

სამჯახო სამართლი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო
პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის
მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა
შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-
გვერდზე: http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე
2016, №12**

**Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)
2016, №12**

**Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)
2016, №12**

**Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)
2016, №12**

**გადაწყვეტილებების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი ზაზა ჯაფარიძე**

ტექნიკური რედაქტორი მარია მაღალაშვილი

**რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 298 21 03; www.supremecourt.ge**

**უზენალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით**

1. დაქორწივების ნესი და პირობები

ქორწივების დამაბრკოლებელი გარემოები

განხილვა

№ას-195-186-2016

20 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ოოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ქორწინების სააქტო ჩანაწერის ბათილად
ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

1. ნ. კ-ი (შემდეგში: მოსარჩელე) და ან გარდაცვლილი ნ. ს-ე (შემდეგში: მამკვიდრებელი) დაქორწინდნენ 1967 წლის 25 ივნისს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ, 1106-ე მუხლი).
2. მოსარჩელესა და მამკვიდრებელს ჰყავთ ერთი შვილი – 1989 წლის 28 მარტს დაბადებული ნ. ს-ე.
3. მამკვიდრებელი გარდაცვალა 2015 წლის 25 მაისს.
4. მამკვიდრებელი, 2011 წლის 30 ივნისიდან, სსგს ჭიათურის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2011 წლის 30 ივნისის №6... ქორწინების სააქტო ჩანაწერის საფუძველზე, ასევე, რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ა. ყ-ესთან (შემდეგში: მოპასუხე, აპელანტი ან კასატორი).
5. მამკვიდრებელსა და მოპასუხეს შორის არსებული ქორწინების №6..... სააქტო ჩანაწერში, ოჯახური მდგომარეობის გრაფაში, მითითებულია, რომ არცერთი მათგანი დაქორწინებული არ ყოფილა.
6. მოპასუხე ამჟამად ცხოვრობს ქ. ჭიათურაში, მამკვიდრებელის სახელზე რეგისტრირებულ საცხოვრებელ სახლში, მდებარე თ-ის ქ. №13.
7. საჩხერის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 1-ლი ოქტომბრის გადაწყვეტილებით, მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი ამ განჩინების მე-4 პუნ-

ქტში მითითებული აქტის ჩანაწერი ან გარდაცვლილ მამკვიდრებლისა და მოპასუხის ქორწინების შესახებ.

8. სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად სასამართლომ გამოიყენა სსკ-ის 61-ე, 1120-ე, 1143-ე მუხლები, „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლი და განმარტა, რომ არ შეიძლება ქორწინების რეგისტრაციაში გატარდეს პირი, რომელიც უკვე იმყოფება სხვა პირთან ქორწინებაში, ასეთ შემთხვევაში, თუ მაინც მოხდა ქორწინების რეგისტრაცია, იგი უნდა გაბათილდეს, მიუხედავად იმისა, იცოდა თუ არა მეორე პირმა ამ ქორწინების არსებობის შესახებ.

9. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის უარყოფა.

10. მოპასუხის განმარტებით, სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები და შესაბამისად არასწორი გადაწყვეტილება მიიღო, კერძოდ, სასამართლო სხდომაზე, მოწმედ დაკითხულმა პირებმა განმარტეს, რომ მამკვიდრებელი 26 წელია ფაქტობრივად განქორწინებული იყო მოსარჩელესთან, ცხოვრობდა ჭიათურაში, თ-ის ქ. №13-ში, მოპასუხესთან ერთად, რომელთანაც ქორწინების რეგისტრაცია გააფორმა 2011 წლის 30 ივნისის სააქტო ჩანაწერით. ქორწინების რეგისტრაციისას, წყვილმა განუმარტა სარეგისტრაციო სამსახურს, რომ მამკვიდრებელი განქორწინებული იყო, აღნიშნულის შემდეგ კი განხორციელდა ქორწინების რეგისტრაცია. აპელანტთან მამკვიდრებლის ქორწინების თაობაზე მოსარჩელისთვის იმთავითვე იყო ცნობილი და მას ქორწინების სააქტო ჩანაწერზე შეცილების უფლება უნდა გამოეყენებინა 2011 წლის 30 ივნისიდან ერთი თვის ვადაში.

10. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 იანვრის განჩინებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

11. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილი წინამდებარე განჩინების 1-6 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და გაიზიარა ამავე სასამართლოს დასკვნები სამართლებრივ საკითხებზე.

12. სსკ-ის 1106-ე მუხლის თანახმად: ქორწინება არის ოჯა-

ხის შექმნის მიზნით, ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში (შემდეგში – სააგენტოს ტერიტორიული სამსახური).

13. სსკ-ის 1120-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად: დაქორწინება არ დაიშვება: იმ პირთა შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი დაქორწინებულია სხვასთან;

14. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2011 წლის 30 ივნისს, ანუ იმ დროისათვის, როცა მამკვიდრებელი დაქორწინდა მოპასუხესთან, ის რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა მოსარჩელესთან, რაც ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენდა.

15. სსკ-ის 1140-ე მუხლის თანახმად: ქორწინება შეიძლება ცნობილ იქნეს ბათილად, თუ დარღვეულია 1107-ე, 1108-ე და 1120-ე მუხლებით დაწესებული პირობები და თუ ქორწინების რეგისტრაცია მიზნად არ ისახავდა ოჯახის შექმნას (ფიქციური ქორწინება).

16. ამავე კოდექსის 1143-ე მუხლის თანახმად: ქორწინება, რომელიც გაფორმდება 1120-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დარღვევით, შეიძლება სასამართლომ ბათილად ცნოს.

17. ამგვარადვე აწესრიგებს საკითხს სპეციალური კანონი (იხ. ამ განჩინების მე-8 პუნქტი), რომლის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად: ქორწინება არ დაიშვება იმ პირთა შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი დაქორწინებულია სხვაზე.

18. სასამართლომ აღნიშნა, რომ ქორწინების ბათილობა წარმოადგენს იმ იურიდიული შედეგების გაუქმებას, რომელსაც კანონი წამდებილ ქორწინებასთან აკავშირებს. იგი დგება მაშინ, როცა დარღვეულია ქორწინების აუცილებელი პირობები, ან იგი მომხდარია იმ დამაბრკოლებელ გარემოებათა არსებობისას, რომლის დროსაც ქორწინება აკრძალულია ან კიდევ, ყველა ფორმალური ნიშნის დაცვით, მაგრამ იმ განზრახვის გარეშე, რომ წამდებილად შეიიქმნას ოჯახი. ქორწინების ბათილად ცნობა წიმნავს იმას, რომ არ წარმოიშვა ის იურიდიული შედეგები, რაც წამდებილ ქორწინებას მოსდევს. ქორწინების ბათილად ცნობა მხოლოდ სასამართლოს შეუძლია. ამასთან, პრინციპულად განსხვავდება ერთმანეთისაგან ქორწინების ბათილობა და განქორ-

წინება. ქორწინების გაბათილება შეიძლება მიჩნეული იქნას იმ პირთა მიმართ გამოყენებულ სანქციად, რომლებიც კანონის მოთხოვნათა დარღვევით გატარდნენ ქორწინების რეგისტრაციაში.

19. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხე და მამკვიდრებელი კანონის მოთხოვნათა დარღვევით გატარდნენ ქორწინების რეგისტრაციაში, რადგან არსებობდა მათი ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოება (მამკვიდრებლის რეგისტრირებული ქორწინება მოსარჩელესთან).

20. სასამართლომ სრულად გაიზიარა რაიონული სასამართლოს სამართლებრივი შეფასება სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ სსკ-ის 61-ე მუხლის თანახმად, შეორე ქორწინება მამკვიდრებელსა და მოპასუხეს შორის წარმოადგენს ისეთ გარიგებას, რომელიც დადებისთანავე ბათილია. ხანდაზმულობის საკითხი, რაზედაც მოპასუხე მიუთითებს შეიძლება გავრცელდეს და გამოყენებული იქნეს მხოლოდ ნამდვილ გარიგებათა შეფასებისას.

21. მოპასუხემ საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს განჩინება, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის უარყოფა.

22. კასატორს შემდეგი პრეტენზიები აქვს:

22.1. სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსკ) 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ და 394-ე მუხლის „ე“ კვეპუნქტის მოთხოვნები;

22.2. სასამართლომ არათანაბრად გაანაწილა მტკიცების ტვირთი მხარეებზე, რაც საპროცესო ნორმების უხეში დარღვევაა და გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს;

22.3. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ საქმის განხილვის დროს ყოველგვარი დამაბრკოლებელი გარემოება მოხსნილია, პირი, რომელმაც მეორედ იქორწინა, გარდაცვლილია და როგორც პირველი, ისე მეორე ქორწინება შეწყვეტილია. ამასთან, მამკვიდრებელმა და კასატორმა დაქორწინებისას არ იცოდნენ ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოების არსებობის შესახებ. მათი 2011 წლის 30 ივნისის ქორწინება და ქორწინების შესაბამისი ჩანაწერი ამ დრომდე წარმოშობს ყველა იმ სამართლებრივ შედეგს, როგორც ნამდვილი ქორწინება, ამასთან, დადასტურებულია, რომ მოსარჩელეს მამკვიდრებელთან ქორწინება, ფაქტობრივად სამკვიდროს გახსნამდე 3 წელზე მეტი, შეწ-

ყვეტილი ჰქონდა და მეუღლები ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ.

22.4. მოპასუხესთან ქორწინების რეგისტრაციის დღიდან, მამკვიდრებელთან მოსარჩელეს არ უცხოვრია ახალი ქორწინების გამო და არც ეს ქორწინება გაუხდია სადაც. მოსარჩელე დღიდი ხნის ნინ - 26 წლია, რაც განქორწინდა მამკვიდრებელთან და განქორწინების უურნალი არ იძებნება სრს-ს მიერ. მოსარჩელემ სოფლიდან ამოილო ძველი ქორწინების ცნობა და ამის საფუძველზე გაიცა ჭიათურის სრს-ს მიერ 2015 წლის 10 ივნისს ცნობა მოსარჩელესთან ქორწინების თაობაზე. იმ დროს განქორწინება ფიქსირდებოდა შესაბამისი წესით სრს-ის მიერ და პასპორტში შესაბამისი ჩანაწერი კეთდებოდა, რაც განადგურებულია, მისი ახალი პირადობის მოწმობით შეცვლის გამო, ხოლო ჭიათურის სრს-ის მიერ არ იქნა მოძიებული.

22.5. არასწორია სასამართლოს მოსაზრება, რომ მოთხოვნა არ არის ხანდაზმული. მოპასუხესთან ქორწინების რეგისტრაციიდან მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე გავიდა ოთხი წელი, რის გამოც მოთხოვნა ხანდაზმულია.

23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, 2016 წლის 14 მარტის განჩინებით, მოსარჩელის საკასაციო საჩივარი წარმოებაში მიიღო სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოპასუხის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, ამიტომ დაუშვებელია, შემდეგ გარემობათა გამო:

24. სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: а) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილე-

ბა ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავ-დეს და ეფუძნებოდეს.

25. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სსსკ-ის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი ზემომითიებული საფუძვლით.

26. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სააპელაციო სა-სამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტა-ბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს არ-სებული პრაქტიკისაგან (იხ. სუსგ-ები – №ას-740-797-2011, 20.06.2011 წ., №ას-564-535-2013, 07.10. 2013 წ.).

27. საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამარ-თლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსე-ბობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასა-მართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზ-რისით.

28. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საკასაციო სა-ჩივარი დასაშვები რომც ყოფილიყო, მას არა აქვს წარმატების პერსპექტივა შემდეგ გარემოებათა გამო:

ა) განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი საკასა-ციო საჩივრების დასაშვებობის წინაპირობაც, რომლის მიხედ-ვითაც, საკასაციო საჩივარი დასაშვებია, თუ სააპელაციო სასა-მართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცე-სო დარღვევით, რომელსაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქ-მის განხილვის შედეგზე;

ბ) სსსკ-ის 407.2 მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამარ-თლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოე-ბები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წა-მოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენ-ზია. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით კასატორს ასეთი პრეტენზია არ წარმოუდგენია.

29. საკასაციო სასამართლო დაუშვებლად მიიჩნევს საკასა-ციო განაცხადს შემდეგი არგუმენტაციით:

29.1. მოპასუხე აპროტესტებს მასთან მამკვიდრებლის ქორ-

წინების ბათილად ცნობას, იმ საფუძვლით, რომ ეს უკანასკნელი განქორწინებული იყო მოსარჩელესთან და, შესაბამისად, არ არსებობდა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოება სსკ-ის 1120.1. ა-ე მუხლის (დაქორწინება არ დაიშვება იმ პირთა შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი დაქორწინებულია სხვასთან) მიხედვით;

29.2. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, რომ მოპასუხემ ვერ შეძლო კუთვნილი მტკიცების ტვირთის რეალიზაცია სსკ-ის 102.1.-ე მუხლის (თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს) შესაბამისად, რასაც საკასაციო პრეტენზიაც ადასტურებს (იხ. წინამდებარე განჩინების 22.4. ქვეპუნქტი). კასატორის განმარტება ადასტურებს, რომ მოპასუხემ ვერ წარადგინა სარწმუნო და დამაჯერებელი მტკიცებულება, რომლითაც მამკვიდრებელთან მოსარჩელის განქორწინების ფაქტს დაამტკიცებდა. მისი არაერთი მითითება, რომ მამკვიდრებელი და მოსარჩელე ხანგრძლივი დროის მანძილზე ფაქტობრივად განქორწინებულნი იყვნენ და მოსარჩელეს მამკვიდრებლის ხელახალი ქორწინება არ გაუპროტესტებია, ვერ გახდება განქორწინებისა და, შესაბამისად, მეორედ რეგისტრირებული ქორწინების ბათილად ცნობის უარყოფის სამართლებრივი საფუძველი. კასატორმა ვერ დაძლია მოსარჩელის არგუმენტები და სააპელაციო სასამართლოს დასკვნები შესატყვისი მტკიცებულებებით.

29.3. სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს კასატორის პრეტენზიას მოსარჩელის მოთხოვნის ხანდაზმულობაზე და იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მსჯელობას (იხ. წინამდებარე განჩინების მე-20 პუნქტი).

30. ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება კანონიერია, ხოლო საკასაციო საჩივარი სამართლებრივად დაუსაბუთებელი, რაც გამორიცხავს მისი დასაშვებად ცნობისა და განსახილველად მიღების შესაძლებლობას.

31. სსკ-ის 401-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება ცნობილი, პირს დაუბრუნდება, მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 391-ე, 401-ე, 408.3-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ა. ყ-ის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;
2. ა. ყ-ეს (პ/ნ 5...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 150 ლარის (საგადახადო დავალება ..., გადახდის თარიღი 2016 წლის 22 ოქტომბერი), 70% – 105 (ას ხუთი) ლარი;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. მეუღლეთა ქონებრივი უფლებები და მოვალეობები

მეუღლის ქონების გადაკცევა მეუღლეთა თანასაკუთრებად

განებინება

№ას-840-791-2015

4 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოლუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე

დავის საგანი: მეუღლეთა ქონების თანასაკუთრებად გადაქ-
ცევა

აღწერილობითი ნაწილი:

1. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ავტორიზებუ-
ლი მომხმარებელი შპს „ს....“-ს მიერ 2013 წლის 03 აგვისტოს შედ-
გენილი ტექნიკური ნახატის მიხედვით, ქ. თბილისში, ო-ის ქ.
№122-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მი-
ნის ნაკვეთის საერთო ფართობია 2044 კვ.მ., მასზე განთავსე-
ბული შენობა-ნაგებობა – სახლი არის ორსართულიანი; მეორე
სართულზე საცხოვრებელი ფართია (აშენებული) – 78,8 კვ.მ.,
28,9 კვ.მ და 9,8 კვ.მ., პირველ სართულზე – არასაცხოვრებელი
ფართია (აშენებული) 26,9; 42,0; 23,2; 19,6; 1,7, ხოლო აუზის
ფართია (აშენებული) – 7,7 კვ.მ. (შემდეგში – სადაცოდ ქცეული
ქონება).

2. უძრავი ქონების შეფასების 07.08.2013 წ. აუდიტორული
დასკვნის თანახმად: „2044 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო და-
ნიშნულების მინის ნაკვეთი, მათზე მდგომი 140 კვ.მ. საცხოვ-
რებელი სახლი და ეზოში მდგომი დამხმარე სათავსოები (ავტო-
ფარები, შინაური ცხოველების სადგომი, თონე), ...საკადასტრო
კოდი №0..., მისი ტერიტორიული მდებარეობის და მათზე არსე-
ბული სამუალო საბაზრო ფასების გათვალისწინებით“, შეფას-
და „საერთო ღირებულებით 350000.0 (სამას ორმოცდაათი ათა-
სი) ლარად, საიდანაც შენობა-ნაგებობის ღირებულება შეად-

გენს 99 600 ლარს“.

3. საქმის მასალებში განთავსებული მტკიცებულებების მიხედვით, მ. მ-ი (შემდეგში მოსარჩელე ან ყოფილი ცოლი) და გ. გ-ე (შემდეგში მოპასუხე, ყოფილი ქმარი ან კასატორი) რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1983 წლის 26 თებერვლიდან 2010 წლის 17 აგვისტომდე. თანაცხოვრების განმავლობაში, მათ შეეძინათ ორი შვილი: გ. გ-ე (დაბადებული 1986 წელს, გარდაიცვალა 2007 წელს) და დ. გ-ე (დაბადებული 1985 წელს).

4. 1987 წლის 26 თებერვლის ანდერძისმიერი მემკვიდრეობის მოწმობით დასტურდება, რომ მოპასუხემ, ა-ისაგან ანდერძით მიიღო ქონება, მდებარე ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე, რომლის სასარგებლო ფართი შეადგენდა 61.83 კვ.მ-ს, საცხოვრებელი ოთახების რაოდენობა იყო ორი, საცხოვრებელი ფართი 36,26 კვ.მ., დამხმარე ფართი – 24, 57 კვ.მ., მინის ნაკვეთი – 600 კვ.მ. (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ, 1344-ე, 1345-ე, 1357-ე მუხლები).

5. 1999 წლის 29 სექტემბერს მოპასუხემ საკუთარ დედას ა. კ-ს (შემდეგში მოპასუხის დედა), ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, გადასცა მე-4 პუნქტში მითითებული ქონება (სსკ ის 524-ე მუხლი).

6. მოსარჩელე ქ. თბილისში, ო-ის ქუჩა №122-ში რეგისტრირებულია 1987 წლის 04 ივლისიდან.

7. საქმეში განთავსებული ცნობების მიხედვით დგინდება, რომ მოსარჩელე 1973 წლიდან – 2005 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, მუშაობდა არაერთ სამსახურში სხვადასხვა თანამდებობაზე, მათ შორის, 10 წლის განმავლობაში – საქართველოს შსს „ა-ში“, 2005 წლის ნოემბრის ჩათვლით, მისი თანამდებობრივი განაკვეთი შეადგენდა 590 ლარს, დანამატი პროდუქტებისათვის – 59 ლარს, სამხედრო წოდების განაკვეთი 9-27, წელთა დამსახურების პროცენტული დანამატი – 149-82 25%-ს, ხოლო პენსიის სახით მოსარჩელეს დაენიშნა – 560 ლარი.

8. საქმეში წარმოდგენილი მინის გადახდის ქვითორებით დგინდება, რომ მოპასუხეს საკუთარ და, ასევე, დედის (იხ. ამ განჩინების მე-5 პუნქტი) სახელზე 1999 წელს აქვს გადახდილი მინის გადასახადი (449,68 ლარი და 140,52 ლარი). საჯარო რეესტრის 1999 წლის 29 ნოემბრის ამონანერით კი, დგინდება, რომ მოპასუხისა და დედამისის საკუთორებად ირიცხება 2044 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებები 61,83 კვ.მ..

9. 2007 წლის 13 აგვისტოს მოპასუხემ დედისაგან ჩუქების ხელშეკრულებით მიიღო 2044 კვმ მიწის ნაკვეთი და 61,83 კვ.მ შენობა-ნაგებობები (სსკ-ის 524-ე მუხლი).

10. 2009-2010 წლების კომუნალური გადახდის ქვითრების მიხედვით, ქ. თბილისში, ო-ის ქუჩა №122-ში აპონენტად რეგისტრირებული მოპასუხის დედის (იხ. ამ განჩინების მე-5 პუნქტი) სააბონენტო ქვითრებს იხდიდა მოსარჩევე.

11. 2013 წლის 07 აგვისტოს საჯარო რეესტრის ამონაწერით, ქ. თბილისში, ო-ის ქუჩა №122-ში მდებარე დაზუსტებული ფართის 2044 კვ.მ., შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 61,83 კვ.მ. (საკადასტრო კოდი 0....) მესაკუთრეა მოპასუხე (სსკ-ის 183-ე, 311-ე, 312-ე მუხლები).

12. უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისში, ა-ს ქ. №13-ში, საერთო ფართით 19,50 კვ.მ., მიშენებული აივანი 5,20 კვ.მ., ანდერძისმიერი სამკვიდრო მონმობის საფუძველზე, გადაეცა მოდავე მხარების შვილს – დ. გ-ეს (შემდეგში მოდავე წყვილის შვილი) თ. უ-აგან. აღნიშნული ქონება 2007 წლის 27 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მოდავე წყვილის შვილისაგან შეიძინა 6. კ-მა (სსკ-ის 477-ე მუხლი), ამ უკანასკნელმა კი, 2010 წლის 10 ნოემბერს, ჩუქების ხელშეკრულებით გადასცა მოპასუხეს, ხოლო 2011 წლის 18 ივნისს, ჩუქების ხელშეკრულებით, იგივე უძრავი ქონება მოპასუხემ აჩუქა თავის შვილს (სსკ-ის 524-ე მუხლი).

13. ლ. სამხარაულის სახელმის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2014 წლის 30 იანვრის დასკვნის (შემდეგში ექსპერტიზის დასკვნა) თანახმად, „ქ. თბილისში, ...მდებარე საცხოვრებელ ბინაში ჩატარებული სამუშაოების სახეობების დაღირებულების დადგენა, საჭირო დოკუმენტაციის არ არსებობის გამო, ექსპერტიზისათვის დღეის მდგომარეობით შეუძლებელია. №2/11531-13 სამოქალაქო საქმეში წარმოდგენილ ინვენტარიზაციის გეგმების და ფაქტიური მდგომარეობის შედარებისას დგინდება, რომ საცხოვრებელ ბინაში მომხდარია გადაგეგმარება..., ხოლო განსაზღვრის მეთოდიკის არ არსებობის გამო, შეუძლებელია დადგინდეს გადაგეგმარებითი სამუშაოები ჩატარებულია 1987 წლიდან – 2011 წლის ზაფხულის პერიოდში, თუ სხვა დროს“. ამავე დასკვნის საფუძველზე, საცხოვრებელი სახლის ფართი შეადგენს 154,66 კვ.მ.-ს და ავტოფარეხის მოლიანი ფართი – 50,27 კვ.მ. აღსანიშნავია, რომ ავტოფარეხი ფართით – 24,35 კვ.მ არის დატანილი არც საინვენტარიზაციო და

არც საკადასტრო გეგმაზე. უძრავი ქონების ლირებულება, 2014 წლის 29 იანვრის მდგომარეობით, შეადგენს 212 413 აშშ ფოლარს“.

14. მოსარჩელემ 2013 წლის 8 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი აღმრა ყოფილი ქმრის წინააღმდეგ, მეუღლეთა ქონების თანასაკუთრებად გადაქცევის მოთხოვნით (სსკ-ის 1158-ე, 1163-ე მუხლები).

15. საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა.

16. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-13 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და გადაწყვეტილების დასაბუთებისას გამოიყენა სსკ-ის 1151-ე, 1152-ე, 1158-ე, 1160-ე 1163-ე-1164-ე, 1168-ე მუხლები.

17. სასამართლომ აღნიშნა, რომ უსაფუძვლო იყო მოპასუხის მტკიცება იმის შესახებ, რომ მან ყოფილ ცოლსა და შვილს, ბინის წილის სანაცვლოდ, გადასცა უძრავი ქონება, რომელიც ამ განჩინების მე-12 პუნქტშია მითითებული. საქმის მასალებით დადგინდა ფაქტობრივი გარემოება, რომ აღნიშნული ქონება თავდაპირველად ანდერძისმიერი მექვიდრეობით მიიღო მოპასუხის შვილმა.

18. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის განმარტება, რომ სადაცოდ ქცეული სახლის მეორე სართულზე რემონტის ჩატარება დაიწყო მას შემდგევ, რაც იგი განქორწინდა მოსარჩელეს-თან, კერძოდ, 2013 წელს. აღნიშნული გარემოება მოპასუხემ ვერ დაადასტურა ვერც მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, ვერც ექსპერტიზის დასკვნითა და ვერც მოწმეთა ჩვენებებით.

19. სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ ქორწინების შემდეგ, მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში, სადაცო უძრავი ქონება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, კერძოდ, მოხდა გადაგეგმარება და საცხოვრებელი ფართის გაზრდა, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა მისი ლირებულება. მოპასუხემ მითითებული გარემოების საწინააღმდეგო მტკიცებულებები ვერ წარადგინა. სასამართლომ გამოიკვლია და შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები: ექსპერტიზის დასკვნა, აუდიტორული დასკვნა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან წარმოდგენილი მასალები (ტექნიკურის საარქივო მასალები), უძრავი ქონების ნასყიდობისა და ჩუქების ხელშეკრუ-

ლებები, მოწმეთა ჩვენებები.

20. სასამართლომ განმარტა, რომ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაძლოა, მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრება გადაიქცეს თანაზიარად. ქონების სამართლებრივი რეჟიმის ასეთი ტრანსფორმირება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ქორწინების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ ქონების ღირებულება, რომელიც ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენდა. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხემ, ქორწინების პერიოდში, სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე მიიღო სამკვიდრო ქონება ფართით 600 კვ.მ. მინის ფართობი, ერთსართულიანი სახლი და მის ქვემოთ მდებარე სარდაფი 61,83 კვ.მ.; აღნიშნული სამკვიდრო ქონების ნახევარი მოპასუხემ აჩუქა დედას 1999 წლის ჩუქების ხელშეკრულებით, ხოლო ქონებას უვლიდა და კომუნალურ გადასახადებს იხდიდა მოსარჩელე (აღნიშნული გარემოებიდანაც იკვეთებოდა მოპასუხის განზრახვა, რომ მას არ სურდა მეუღლესთან ჰქონოდა თანაზიარი ქონება). საქმეში წარმოდგენილი მასალებით, კერძოდ, 1987 წლის 26 თებერვალს გაცემული ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობის, სახლთმფლობელობის დახასიათებითა და 1999 წლის 29 სექტემბერს მოპასუხესა და დედამისს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულების თანახმად, დადგინდა ის გარემოება, რომ მოპასუხისათვის გადაცემული სამკვიდრო ქონება შეადგენდა სწორედ 600 კვ.მ. მინის ფართზე აშენებულ ერთსართულიან ნაგებობას და არა 2044 კვ.მ მინის ფართს, 61, 83კვ.მ.-ს დამატებული 78,17 კვ.მ. როგორც ამას მოპასუხე მიუთიობდა. სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია, რომ მინის ნაკვეთის ფართი გაიზარდა სწორედ მხარეთა თანაცხოვრების პერიოდში; საქმეში წარმოდგენილი 1987 წლის კიროვის რაისაპჭოს აღმასრულებელი კომიტეტის №23 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოპასუხის მოთხოვნა, ო-ის ქუჩა №122-ში, მოპასუხის მამკვიდრებლის სახელზე რიცხულ სახლზე 1974 წლის 01 სექტემბრამდე მომხდარი ცვლილებების დაკანონებაზე, რასაც საფუძლად დაედო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 23 დეკემბრის №806 დადგენილება, რომლის პირველი პუნქტითაც განისაზღვრა: „უფლება მიეცეთ სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული) საბჭოების აღმასკომებს, მოახდინონ, როგორც გამონაკლისი, 1974 წლის სექტემბრამდე თვითნებურად აშენებული ინდივიდუალური საცხოვრებელი

სახლების (მათი ნაწილების) სამართლებრივი რეგისტრაცია, თუ მიზანშეწონილია დადგენილი წესით მათი უსასყიდლოდ ჩამორთმევა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ფონდში ჩარიცხვა ან დანგრევა და თუ მათი სასარგებლო ფართობი არ აღემატება 136 კვადრატულ მეტრს, აქედან საცხოვრებელი ფართობი – 96 კვადრატულ მეტრს, აგრეთვე გაუფორმონ სათანადო წესით მიწის ნაკვეთების გამოყოფა (ქალაქებში, სადაც დაშვებულია ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა) იმ თვითნებურ ამშენებლებს, რომლებმაც ააგეს საქალაქო განაშენიანების მოთხოვნების დამაკამაყოფილებელი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები (მათი ნაწილები) 1974 წლის სექტემბრამდე". სასამართლოს მსჯელობით, ნათლად იკვეთებოდა ის გარემოება, რომ მოპასუხეს მოცემული დადგენილება საშუალებას აძლევდა 1974 წლამდე განხორციელებული თვითნებური მშენებლობა დაეკანონებინა. ამასთან, ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის გამოსაყოფი მიწის ნაკვეთების ოდენობას ადგენდა მიწის კოდექსი, რომლის 114-ე მუხლით განისაზღვრა ინდივიდუალური მშენებლობისათვის გასაცემი მიწის ოდენობა, კერძოდ, „ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთებს გასცემში სახლის მოცულობის და ადგილობრივი პირობების მიხედვით შემდეგი ნორმების ფარგლებში: ქალაქად – 0,03-დან 0,06 ჰექტრამდე, ქალაქგარეთ – 0,07-დან 0,12 ჰექტრამდე". სწორედ მითითებული ნორმების შესაბამისად განესაზღვრა მოპასუხეს, ო-ის ქ. №122-ში მდებარე მიწის ნაკვეთი – ფართით 600 კვ.მ. და საცხოვრებელი ფართი 61,83 კვ.მ.; საქმეში წარმოდგენილი 30.01.2014 წლის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დღეის მდგომარეობით, საცხოვრებელი ფართი არის 154,66 კვ.მ., ანუ სარეკონსტრუქციო-გადაგეგმარებითი სამუშაოების შედეგად, საცხოვრებელი სახლის ფართი გაზრდილია 92,83 კვ.მ-ით და დამატებული ავტოფარეხი – 24,35 კვ.მ-ით. ამავე დასკვნის თანახმად უძრავი ქონების ღირებულება 2014 წლის 29 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 212 413 აშშ დოლარს. საქმეში წარმოდგენილი მიწის გადახდის ქვითრებითაც დადგინდა ის ფაქტი, რომ მოპასუხეს მისივე და დედის სახელზე 1999 წელს აქვს გადახდილი მიწის გადასახადი, რის შემდეგაც, საჯარო რეესტრში, 1999 წლის 29 ნოემბერს, დედაშვილის თანასაკუთრებად დარეგისტრირდა ქ. თბილისში, ო-ის ქუჩა №122-ში მდებარე 2044 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

21. სასამართლომ განმარტა, რომ მეუღლეთა მიერ ქორწი-

ნების განმავლობაში შეძენილი ქონების ცნების ქვეშ იგულისხმებოდა არა ქორწინების პერიოდში შეძენილი ყოველგვარი ქონება, არამედ ის, რომელიც შეძენილი იყო (ან შექმნილი იყო) ორივე მეუღლის ერთობლივი შრომითა და სახსრებით. თანასაკუთრების უფლებით მეუღლეთა ქონების წარმომობის ძირითად წყაროს წარმოადგენს მათი შრომა, საერთო მეურნეობის წარმოება. ამასთან, მეუღლეთა ერთობლივი შრომა, მოცემულ შემთხვევაში, ნიშნავდა ოჯახის საკეთილდღეოდ გაწეულ ყოველგვარ საზოგადოებრივად სასარგებლო და აუცილებელ შრომას, რასაც მეუღლეები ასრულებდნენ, როგორც ოჯახში, ისე მის გარეთ. აქედან გამომდინარე, მეუღლეებს თანაბარი უფლებები აქვთ ქონებაზე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ერთ-ერთი მათგანი ეწევა საოჯახო მეურნეობას, უვლის შვილებს, ან სხვა საპატიო მიზეზის გამო (ავადმყოფობა, სწავლა და ა.შ.), არ აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი.

22. საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სადაც ქონების შექმნაში მოსარჩევე პირადად მონაწილეობდა, კერძოდ, მოსარჩევე მოპასუხესთან ქორწინების განმავლობაში, 1983 წლიდან 2005 წლამდე, მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე, მისი საშუალო ხელფასი შეადგენდა 590-800 ლარს, ყოფილ ცოლს გააჩნდა საკუთარი შემოსავალი, რასაც ახმარდა ოჯახს. ამასთან, იგი მონაწილეობდა შვილების რჩენა-აღზრდაში, რაც სადაც არ გამხდარა. თავად მოწმეთა ჩვენებებითაც დადასტურდა მოსარჩევის შრომა და ღვაწლი სადაც ქონების გაზრდა-გაუმჯობესებაში, რაც გამოიხატა მოსარჩევის უშუალო მონაწილეობაში ბალისა და ეზოს მოპირკეთებაში, ასევე, სხვა არაერთ სარემონტო-სამშენებლო სამუშაოებში შვილებთნერთად.

23. სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაც ქონების გაყოფის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა სწორედ ის ფაქტი, რომ მოსარჩევესთან თანაცხოვრების პერიოდში გაიზარდა მოპასუხის საკუთრებაში არსებული სადაც სამკვიდრო უძრავი ქონება (მინის ნაკვეთი 600 კვ.მ დან 2044 კვ.მ. გახდა). მითოთებული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სამართლებრივი საფუძველი მეუღლეთა წილების თანაფარდობის დარღვევისათვის, ვინაიდან მოსარჩევე, თავისი შრომით, წლების მანძილზე ამატებდა და აუმჯობესებდა მოპასუხის სამკვიდრო ქონებას. მოსარჩევეს ოჯახის ინტერესების საზიანოდ არ დაუხარჯავს საერთო ქონება და, უფ-

რო მეტიც, აღნიშნული ქონება სწორედ მისი ძალისხმევის შედეგად გაიზარდა. ზემოხსენებული შეფასებების საფუძველზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი უნდა დაკმაყოფილებულიყო.

24. მოპასუხებ სააპელაციო წესით გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის უარყოფა.

25. სააპელაციო საჩივარი შემდეგ საფუძვლებს ემყარებოდა:

25.1. სადავო უძრავი ქონება არასდროს წარმოადგენდა მოსარჩელისა და მოპასუხის საერთო საკუთრებას, სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა მოსარჩელის მიერ აღნიშნული ქონების თანასაკუთრებად გადაქცევის შესახებ მოთხოვნის დაყენება. სასამართლომ ისე ჩათვალა ინდივიდუალური ქონება საერთო ქონებად ტრანსფორმირებულად, რომ საქმეში ამის დამადასტურებელი მტკიცებულება არ ჰქონია. არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი საფუძველი. დადასტურდა, რომ 1987 წელს, სადავო ქონება მოპასუხებ ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლებით მიიღო. დადგინდა ისიც, რომ მოპასუხებ აღნიშნული ქონების ნაწილი, 1999 წლის 29 სექტემბერს, აჩუქა დედას. შესაბამისად, სადავო უძრავი ქონების თანამესაკუთრებს წარმოადგენდნენ მოპასუხე და დედამისი. საქმეზე ისიც დადასტურდა, რომ 2007 წლის ზაფხულში, მოპასუხეს დედამ აჩუქა თანასაკუთრებიდან საკუთარი წილი. გასაჩივრებული გადაწყვეტილების 3.1.7. პუნქტში ასევე უდავოდ იყო დადგენილი ის ფაქტი, რომ მოპასუხებ, მისივე და დედის სახელზე, 1999 წლის 26 ნოემბერსა და 11 აგვისტოს გადაიხადა მიწის გადასახადი (იხ. განჩინების მე-8 პუნქტი). გადახდის მიზანი იყო მიწის დაკანონება, რის შემდეგაც, მოპასუხისა და დედამისის სახელზე დარეგისტრირდა სადავო უძრავი ქონება, მიწის ფართით – 2044 კვ.მ. მოცემული გარემოებებიდან, სასამართლოს უნდა გამოეტანა დასკვნა, რომ უძრავი ქონება, 600 კვ.მ. მიწის ფართით, 1999 წლამდე, ისედაც ითვლებოდა მოპასუხისა და დედამისის ინდივიდუალურ საკუთრებად, ხოლო უძრავი ქონების ის ფართი, რომლის ოდენობაც შეადგენდა 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთსა და 2044 კვ.მ. მიწის ნაკვეთს შორის განსხვავებას, დაკანონდა მოპასუხისა და დედა-

მისის სასარგებლოდ, ე.ი. სადავო ქონება დაკანონდა ქორწინების გარეშე არსებული ურთიერთობის ფარგლებში, შესაბამისად, მოპასუხესა და დედამისს გაეზარდათ ფართები, როგორც ინდივიდუალურ მესაკუთრებს, ხოლო 2007 წლის ზაფხულში, დედამ თავისი მთლიანი წილი, თანასაკუთრებაში გაზრდილი ფართიდან, აჩუქა შვილს – მოპასუხეს. სასამართლომ დარღვია კანონი, როდესაც არ გაითვალისწინა სსკ-ის 1161-ე მუხლის დანაწესი მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრების განსაზღვრის შესახებ. სასამართლოს არ გამოუკვლევია, რომ თვით ინდივიდუალური საკუთრებაც კი, 2007 წლამდე არ ეკუთხნოდა მოპასუხეს მთლიანი ფართი, სრული ოდენობით. სასამართლოს მსჯელობა, რომ მოსარჩელეც მუშაობდა და მანაც გასწია გარკვეული სამუშაოები, არ იყო საკმარისი გადაწყვეტილების საფუძვლიანობის განსაზღვრისათვის. სასამართლოს არ გამოუკველევია, რას შეადგენდა მოპასუხეს, როგორც მეუღლის საკუთრება, რა პერიოდში ეკუთვნოდა მას ეს ქონება, ან ქონების ნაწილი და რომელი ქონების ტრანსფორმაცია მოხდა საერთო საკუთრებად.

25.2. განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობდა მეუღლეთა ერთობლივი ნება, შეეძინათ ქონება. პირიქით, მოპასუხებ, ჩუქების ხელშეკრულებით, გაასხისა მის საკუთრებაში არსებული ნივთი 1999 წელს. ცხადია ალნიშნული არ შეიძლებოდა შეფასებულიყო, როგორც ცოლ-ქმრის მიერ ქონების ერთობლივად შეძენის ფაქტი. მოპასუხე მეუღლემ ინდივიდუალურად განკარგა თავისი უფლება. მართალია, მოსარჩელე დავობდა ქონების თანასაკუთრებად ტრანსფორმაციაზე 1987 წლიდან 2010 წლამდე პერიოდში, მაგრამ 1999 წელს დადებული ჩუქების ხელშეკრულება მოპასუხესა და დედამისს შორის, მოსარჩელეს არასოდეს გაუხდია სადავოდ. შესაბამისად, არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო, რომ 1999 წელს განხორციელებული უძრავი ქონების ნაწილის დაკანონების ფაქტი მიმართული იყო მეუღლეთა საერთო ქონების შეძენისაკენ. ისიც საყურადღებო იყო, რომ მინის გადასახადი გადაიხადა მოპასუხემ საკუთარი და დედის სახელზე (იხ. განჩინების მე-8 პუნქტი).

25.3. ისეთ ვითარებაში, როდესაც გაურკვეველი იყო სადავო ქონების ადრინდელი ღირებულება, უსაფუძვლო იყო სასამართლოს დასკვნა ქონების ღირებულების გაზრდილად მიჩნევის შესახებ. ალნიშნული არ შეესაბამებოდა ექსპერტის დასკვნასა და თავად მოსარჩელის მიერ მოყვანილი მოწმეების ჩვენე-

ბეჭს. გასაჩივრებული გადაწყვეტილების 3.2.3. პუნქტში, სასამართლომ კანონის დარღვევით გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, გადაგეგმარებისა და საცხოვრებელი ფართის გაზრდით, სადაც უძრავი ქონების ღირებულების მნიშვნელოვნად გაზრდის შესახებ. სასამართლომ არასწორად დაასკვნა, რომ სადაც კონების გაყოფის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა სწორედ ის ფაქტი, რომ მოსარჩელესთან თანაცხოვრების პერიოდში გაიზარდა მოპასუხის საკუთრებაში არსებული სადაც სამკვიდრო ქონება (600 კვ.მ – დან 2044 კვ. მ-დე გახდა მინის ნაკვეთი). სსკ-ის 1163-ე მუხლი ყურადღებას ამახვილებს არა თავად ქონების გაზრდაზე, არამედ ქონების ღირებულების მნიშვნელოვან გაზრდაზე (გადიდებაზე). იგივეს ადასტურებს სასამართლო პრაქტიკაც. უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ქონებაზე ქორწინების განმავლობაში ჩატარებული სარეკონსტრუქციო სამუშაოები და განეული ხარჯი, რომლის შედეგად გაიზარდა ქონების ღირებულება, არ იყო საკმარისი ქონების სამართლებრივი რეჟიმის ტრანსფორმაციისათვის, აუცილებელი იყო ქონების ღირებულების მნიშვნელოვანი გაზრდა. ქონების ღირებულების მნიშვნელოვან გაზრდად ითვლებოდა გადაგეგმარება, მშენებლობის დასრულება, გადაკეთება, ე.ო. კანონმდებელი ყურადღებას ამახვილებს არა მარტო ქონების ღირებულების გაზრდაზე, არამედ ამ ღირებულების მნიშვნელოვნად გაზრდის თავისებურებებზე. ქონების სამართლებრივი რეჟიმის ტრანსფორმაციისთვის არ არის საკმარისი მიმდინარე სამუშაოების ჩატარება, რაც არ იწვევს ქონების არსებით შეცვლას, მოცემულ შემთხვევაში, მოწმეებმაც დაადასტურეს, რომ სადაც სახლი ორსართულიანი იყო მხარეთა ქორწინებამდეც, რაც შეეხება, მოსარჩელის მიერ ეზოში ბალის მოვლას, ან მოსარჩელის შვილების მიერ გარკვეული სამუშაოების წარმოებას, ეს არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო ქონების სამართლებრივი რეჟიმის შეცვლის საფუძვლად.

26. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 ივნისის განჩინებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

27. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი დასკვნა სარჩელის საფუძვლიანობასთან დაკავშირებით. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ, სა-

კუთარი განჩინების დასაბუთებისას, დამატებით მიუთითა საქ-მისათვის მნიშვნელოვან უდავო ფაქტობრივ გარემოებებზე. კერძოდ, სადაცო უძრავი ნივთი, 1987 წლის 26 თებერვლიდან აღირიცხა მოპასუხის სახელზე (თავდაპირველი აღრიცხვის სა-ფუძველია ანდერძისმიერი მემკვიდრეობა), რომელთანაც მო-სარჩელე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა 1983 წლიდან 2010 წლის 17 აგვისტომდე. მეუღლეთა განქორწინების შემდეგ, სადაცო სახლში ცხოვრობს მოპასუხე. ყოფილმა ცოლ-მა მეუღლის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა 2013 წლის 8 აგვის-ტოს.

28. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სადაცო უძრა-ვი ნივთის ამჟამინდელი მონაცემებია: მინის ნაკვეთი – 2044 კვ.მ. და მასზე განთავსებულია საცხოვრებელი სახლი, რომლის ფართიც, საჯარო რეესტრის მონაცემებით, 61 კვ. მ-ია, თუმცა, ფაქტობრივი მდგომარეობით, როგორც ამას საქმეში წარმოდ-გენილი ექსპერტიზის დასკვნა ადასტურებს, რეალურად სახ-ლი 154,66 კვ.მ-ია. 2044 კვ.მ. მინის ნაკვეთზე, გარდა საცხოვ-რებლი სახლისა, ასევე განთავსებულია სხვადასახვა დამხმარე ნაგებობა მაგ: კაპიტალური ავატოფარები და სათავსი, მსუბუ-ქი კონსტრუქციით ნაგები თონე, ასევე, მსუბუქი კონსტრუქ-ციით ნაგები ავტოფარები და პირუტყვის სადგომი ფართი. მთლი-ანობაში სადაცო უძრავი ნივთი, 2014 წლის იანვრის მდგომარე-ობით, ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, შეფასებულია 378 000 ლარად.

29. სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაცო უძრავი ნივთის ამ-ჟამინდელი მდგომარეობა და მახასიათებლები, ასევე, მისი სა-ბაზრო ღირებულება მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ მდგო-მარეობის, მახასიათებლებისა და ღირებულებისაგან, რაც 1987 წელს ჰქონდა უძრავი ნივთს.

30. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ მოპასუხებ ანდერძისმიერი მემკვიდრეობით მიიღო სადაცო ქო-ნება, რომლის მინის ნაკვეთი იყო მხოლოდ 600 კვ.მ; სწორედ ქორწინების პერიოდში, 1999 წლიდან, ამ ნაკვეთს დაემატა 1444 კვ.მ. მინის ნაკვეთი და დღეისათვის ნაკვეთი შეადგენს 2044 კვ.მ-ს. გარდა ამისა, 600 კ.მ. მინის ნაკვეთზე განთავსებული საცხოვრებელი სახლის გადაკეთების, მასზე მიშენების განხორ-ციელებისა და ჩატარებული მთელი რიგი სარემონტო სამუშაო-ბის შედეგად, დღეისათვის ნაგებობა ფაქტობრივად ორ სარ-თულიანი სახლია, მიუხედავად იმისა, რომ პირველი სართული,

მოხსენიებულია, როგორც სარდაფის სართული (სასამართლო უთითებს საქმეში წარმოდგენილ სახლის საინვენტარიზაციო გეგმა – ნახაზზე და ექსპერტიზის დასკვნის №1 და №2 დანართებზე, ასევე ფოტომასალაზე და ექსპერტიზის დასკვნაზე თანდართული ფოტოილუსტრაციაზე, აგრეთვე, ფაქტების კონსტატაციის ოქმზე). სახლის პირველ (ე.წ. სარდაფის) სართულზე, როგორც ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, არსებითი გადაკეთებებისა და მიშენების შემდეგ, განთავსებულია 6 ოთახი. ამასთან, პირველი სართული თითქმის მთლიანად გარემონტებულია (პირველ სართულზეა მისაღები ოთახი, რომელშიც არის ბუხარი, ასევე, საძინებელი, სველი წერტილი, სამზარეულო. ოთახები გარემონტებულია). რაც შეეხება სახლის მეორე სართულს, საქმის განხილვის დროისათვის, აქ არის 7 ოთახი, რომლებიც ბოლომდე არა გარემონტებულია. ექსპერტიზის დაკვნის მიხედვით, სახლის მთლიანი ფართი შეადგენს 154 კვ.მ-ს.

31. იმ ფაქტობრივი მოცემულობიდან გამომდინარე, რომ სადაც უძრავი ნივთი სახეცვლილი იყო მის პირვანდელ მდგომარეობასთან შედარებით და მოპასუხის მიერ მიღებული სამკვიდრო – მინის ნაკვეთი (600 კვ.მ.) დამატებით გაიზარდა 1444 კვ.მ-ით, სასამართლომ მიიჩნია, რომ დავის მართებულად გადაწყვეტილი და თავად გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების თვალსაზრისით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხთაგანი იყო იმის გამორკვევა, სადაც უძრავი ქონება, არსებული სახით, წარმოადგენდა, თუ არა მთლიანად მოპასუხის ინდივიდუალურ (როგორც მემკვიდრეობით მიღებულ) საკუთრებას, თუ ამ უძრავი ქონების რომელიმე ნაწილი შეიძლებოდა შეფასებულიყო, სსკ-ის 1158-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, მეუღლეთა თანასაკუთრებად.

32. ამ საკითხის გამოსაკვლევად სასამართლომ იმსჯელა შემდეგ ფაქტებზე: მოპასუხებ სამკვიდროს სახით მიიღო უძრავი ნივთი, რომლის მინის ნაკვეთი იყო 600 კვ.მ. და მასზე განთავსებული იყო საცხოვრებელი სახლი სხვადასხვა დამხმარენაზებობით; 1999 წელს, მოსარჩელესთან ქორწინების პერიოდში, მოპასუხებ, როგორც 1444 კვ.მ. ფართის მოსარგებლებ, „ფიზიკური პირების და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მინის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ერთჯერადი საზღაურის გადახდის შედეგად, დაისაკუთრა 1444 კვ.მ. მინის ნაკვე-

თი, რომელიც დღეისათვის 600 კვ.მ მიწის ნაკვეთთან და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებთან ერთად წარმოადგენს ერთ უძრავ ნივთს, ერთიანი საკადასტრო კოდით.

33. ზემოხსენებული ფაქტების გათვალისწინებით, სასამართლომ განმარტა, რომ სადაც უძრავი ქონების შემადგენელი 1444 კვ.მ. მიწის ნაკვეთი არ შეიძლებოდა განხილულიყო იმ სამკვიდრო ქონების შემადგენელ ნაწილად, რომელიც მოპასუხებ ანდერძისმიერი მემკვიდრეობით მიიღო ა-ისაგან. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მართალია, 1444 კვ.მ. მიწის ფართის მოსარგებლებ, დასახელებული კანონის მიზნებიდან გამომდინარე, მათზრდებული უნდა ყოფილიყო მოპასუხე, რომელიც, ანდერძის საფუძველზე, იყო 600 კვ.მ. მიწის და მასზე განთავსებული სახლის მესაკუთრე და, შესაბამისად, 600 კვ.მ. მიწის მომიჯნავე 1444 მიწის ნაკვეთის მოსარგებლე, თუმცა, გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მინიჭებოდა თავად იმ ფაქტს, თუ როდის მოხდა მის მიერ კანონიდან გამომდინარე უფლების რეალიზება და კანონით გათვალისწინებული მიწის გადასახადის გადახდა დასახელებულ 1444 კვ.მ. მიწის ფართზე. კონკრეტულ შემთხვევაში, რამდენადაც სწორედ მოსარჩელესთან ქორწინების პირიოდში – 1999 წელს, მოხდა 1444 კვ.მ.-ზე კანონით გათვალისწინებული (იხ. ფიზიკური პირების და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი) ერთჯერადი საზღაურის გადახდა და მისი, როგორც ამ მიწის მოსარგებლის უფლების რეალიზება, სასამართლოს მოსაზრებით, წარმოშობდა არა ინდივიდუალური (სსკ-ის 1161 მუხლი), არამედ მეუღლეთა თანასაკუთრების სამართლებრივ საფუძველს (სსკ-ის 1158 მუხლი), შესაბამისად, მოხმობილი ნორმების გათვალისწინებით, დასახელებული ფაქტების სამართლებრივი ანალიზიდან გამომდინარეობდა დასკვნა, რომ სადაც უძრავი ნივთიდან მის შემადგენელ ნაწილზე, კერძოდ, 1444 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, მოსარჩელეს, როგორც იმხანად მოპასუხესთან ქორწინებაში მყოფ მეუღლეს, წარმოეშვა თანასაკუთრების უფლება.

34. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხის პრეტენზია, რომ იგი დედამისთან ერთად, 1999 წლის ნოემბერს იყო სადაც ქონების თანამესაკუთრე და კანონით მიწის გადასახადის (ერთჯერადი საზღურის) გადახდა მესაკუთრეების სახელით მხოლოდ

მოპასუხესა და დედამისის წარმოუშობდა უფლებას 1444 კვ.მ. მიწის ფართზე, არადამაჯერებელი და სამართლებრივ საფუძველს მოკლებული იყო. სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო უძრავი ნივთის 1444 კვებული მოსარჩელის თანასაკუთრების უფლების წარმოშობისათვის განმსაზღვრული იყო ის ფაქტი, რომ მოპასუხებ მიწის გადასახადი ქორწინების განმავლობაში, 1999 წელს გადაიხადა. შესაბამისად, გადახდილი თანხების მხოლოდ მოპასუხის კუთვნილებად მიჩნევის შემთხვევაშიც კი, ერთ-ერთი მეუღლის სახსრებით შეძებილი ქონება, სსკ-ის 1158-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მართებულად მიიჩნია მეუღლეთა თანასაკუთრებად.

35. მოპასუხის პრეტენზის შეფასებისას, რომელიც ეხებოდა იმ ფაქტს, რომ სადავო ქონებიდან 1444 კვ.მ. მიწის ნაკვეთის დაკანონების პერიოდისათვის, მოპასუხესთან ერთად, ქონების მესაკუთრე იყო დედამისიც და მოსარჩელეს 1/2 ნილზე ვერ წარმოეშობოდა თანასაკუთრება, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული პრეტენზია საინტერესო და მნიშვნელოვანი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ნილების მოცულობის გადანაწილების თვალსაზრისით, თუმცა, ეს ვერ აბათილებდა თავად მოსარჩელის თანასაკუთრების უფლების წარმოშობის ფაქტობრივ გარემოებას 1444 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე.

36. ზემოხსენებულ პუნქტში ასახული ფაქტობრივი გარემოებების და მსჯელობის გათვალისწინებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ სადავო უძრავი ნივთიდან ნაწილის, კერძოდ 1444 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, რომელიც შეძებილი იქნა ქორწინების განმავლობაში, ერთ-ერთ თანამესაკუთრეს წარმოადგენდა მოსარჩელე, სსკ-ის 1158-ე მუხლის საფუძველზე, შესაბამისად, სადავო უძრავი ნივთიდან მოპასუხის ინდივიდუალური საკუთრებას წარმოადგენდა 600 კვ.მ მიწის ფართი და მასზე განთავსებული საცხოვრებელი სახლი და დამხმარე შენობა ნაგებობები.

37. სასამართლოს მოსაზრებით, სარჩელის საფუძვლიანობის შეფასებისათვის, ერთ-ერთ ასევე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა ინდივიდუალური საკუთრების საგანზე, კერძოდ, 600 კვ.მ მიწის ნაკვეთზე და მასზე განთავსებულ საცხოვრებელ სახლზე განხორციელებული სამუშაოების შინაარსი და მასშტაბები, ასევე იმ საკითხის გამორკვევა, თუ რამდენად გამოიწვია ჩატარებულმა სამუშაოებმა ინდივიდუალური საკუთრების საგნის გარდაქმნა მეუღლეთა თანასაკუთრებად. ამ თვალსაზრისით კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი იყო სამუშა-

ოთა ჩატარების პერიოდის დადგენა.

38. სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში წარმოდგენილი სა-დავო სახლის საინვენტარიზაციო გეგმის მონაცემების და ასე-ვე ექსპერტიზის დასკვნის შინაარსის ურთიერთშეჯერების შე-დეგად, ცალსახად დგინდებოდა სადავო სახლზე სარეკონ-სტრუქციო სამშენებლო სამუშაოების ჩატარების ფაქტი. ექ-სპერტიზის დასკვნა ობიექტურად ვერ შეაფასებდა იმ ფარული სამუშაოების მოცულობას, სახეობასა და მათი ჩატარების პე-რიოდს, რომელიც შეიძლებოდა ჩატარებული ყოფილიყო ამ სა-რეკონსტრუქციო სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე. ამ მხრივ კი, მნიშვნელოვანი ინფორმაციას შეიცავდა თავად მოწ-მეთა ჩვენებები. სასამართლომ აღნიშნა, რომ ზოგიერთი სამუ-შაოს ჩატარებას, რომელიც ვერ იქნებოდა ასახული ექსპერტი-ზის დასკვნაში, ადასტურებდა თავად მოპასუხეც, მაგ. გზიდან შესასვლელის მხრიდან, სახლის კედლის დემონტაჟის და ამ მხა-რეს ახალი კედლის მშენელობისათვის საჭირო საძირკველის მოწყობა და ბლოკის ახალი კედლის აშენება, თავად მოპასუხემ დაადასტურა საქმის სააპელაციო ინსტანციაში ზეპირი განხილ-ვისას. მოპასუხე ძირითადად სადავოდ ხდიდა ამ სამუშაოთა დაწყების, განხორციელების პერიოდის შესახებ მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებას; ეს გარემოებები განმარტეს მო-დავე მხარეთა მეზობლებმა: თ. ბ-ემ, თ-მა და მ. ა-მა. მოწმეებმა აღნიშნეს, რომ სამუშაოები მათ თვალწინ მიმდინარეობდა, ხში-რად შესწრებინან სამუშაოთა პროცესს. მოპასუხეს მოწმეთა ჩვე-ნების გასაბათილებლად რაიმე დასაბუთებული და ფაქტებით გამყარებული არგუმენტი არ წარუდგენია სასამართლოსათვის, მან ასევე, ვერ უზრუნველო ვერცერთი მოწმის წარდგენა, რო-მელიც გააბათილებდა მოწმედ მოწვეული მეზობლების განმარ-ტებას.

39. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქმეში წარმოდ-გენილი სახლის საინვენტარიზაციო გეგმის მონაცემებზე და მოწმეთა ჩვენებებზე. კერძოდ, საინვენტარიზაციო მონაცემე-ბით დადგინდა, რომ სახლი ერთსართულიანი იყო და პქონდა სარდაფის სართული. მოწმეებმა განმარტეს, რომ სახლის სარ-დაფის სართული საცხოვრებლად მოუხერხებელი იყო და მასში ჩასასვლელად მოწყობილი იყო რამდენიმე საფეხური. მოწმე-ებმა დამაჯერებლად და სარწმუნოდ განმარტეს, რომ სარდაფ-ში, სადაც დღეს პირველი სართულია განთავსებული, ჩასასვლე-ლი იყო მოწყობილი და სარდაფის იატაკი იმდენად დაბლა იყო

ეზოდან, რომ საჭირო იყო კიბის რამდენიმე საფეხურის გამოყენება სარდაფში ჩასასვლელად, მთელი რიგი სამუშაოების ჩატარებამდე, სარდაფი ფაქტობრივად უვარგისი იყო საცხოვრებლად. მოწმეებმა ისიც დაადასტურეს, რომ მოსარჩელემ, შვილებთან ერთად, რამდენიმე საზაფხულო სეზონის განმავლობაში ჩატარა სამუშაოები ეზოს დასადაბლებლად (იგულისხმება ჭიშკრის მხრიდან არსებული ეზო, საიდანაც მოწყობილია შესასვლელი პირველ სართულზე, იხ. ფოტოები), ასევე, სარდაფის სართულის იატაკის დასადაბლებლად, რისთვისაც საჭირო გახდა მიწის დიდი მასის მოჭრა და გატანა. ასევე, მიწის დიდი მასა მოჭრეს და გატანეს, სახლის გზის მხარეს არსებული კედლიდან, რომელსაც დაახლოებით მეორე სართულის საწყის ნიშნულამდე ჰქონდა მიყრილი მიწა.

40. სასამართლომ აღნიშნა, რომ 39-ე პუნქტში მითითებული სამუშაოების ჩატარებამდე, შეუძლებელი იყო უშუალოდ სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების დაწყება. ასევე, მიწვნელოვანი იყო, რომ ამ სამუშაოების მოსარჩელისა და მისი შვილების ჩართულობითა და უშუალო მონაწილეობით განხორციელებას (ხშირად, მუშების დახმარების გარეშე), ადასტურებდნენ მოწმეები. ასევე, საგულისხმო იყო, რომ ერთ-ერთი მოწმის განმარტებით, მოსარჩელე თავის შეილებს ზაფხულობით დასასვენებლადაც არ უშვებდა, რადგან ე.ნ. მიწის სამუშოებს, ძირითადად, ზაფხულობით აწარმოებდნენ ისინი.

41. სასამართლომ იმსჯელა სამშენებლო სამუშაოებზე, რომლის შედეგადაც სადაცვო სახლს, გზის მხრიდან მიედგა ორსართულიანი მიშენება (რაც ასევე ასახულია ექსპერტიზის დასკვნაში, იხ. დასკვნის დანართები) თავისი გადახურვით. ასევე, ფასადის მხარეს, მეტალო – პლასტმასის კარ-ფანჯრები გაკეთდა, შეილესა და შეიღება კედელი, პირველ სართულზე გაკეთდა და და მოპირკეთდა ბუხარი, დაიგო იატაკის ფილები, მოპირკეთდა სველი წერტილები, მოეწყო სამზარეულო და ა.შ. (იხ. სააპელაციო სასამართლოს განჩინება).

სასამართლომ დაასკვნა, რომ განეული სამუშაოების შედეგად განხორციელებული მიშენებისა და გადაკეთების შედეგად, სახლის ლირებულება მნიშვნელოვნად გაიზარდა, რამდენადაც სარდაფის სართული ფაქტობრივად ამ გადაკეთებებისა და მიშენების შედეგად ასრულებს პირველი სართულის ფუნქციას, შეიქმნა საცხოვრებლად ვარგისი გარემონტებული ფართი, სახლს მიემატა ოთახების რაოდენობა და, შესაბამისად, საც-

ხოვრებელი ფართი, რომელიც მანამდე სახლს არ გააჩნდა და დღეისათვის სახლის მთლიანი ფართი შეადგენს 154 კვმ-ს. სა-სამართლომ დაასკვნა, რომ გაწეული სამუშაოების შინაარსის, მასშტაბებისა და შედეგების გათვალისწინებით, მნიშვნელოვ-ნად გაიზარდა სახლის ღირებულება.

42. სააპელაციო სასამართლომ სადაცო უძრავი ქონების ღი-რებულების მნიშვნელოვნად გაზრდასთან დაკავშირებით, მო-იხმო მოპასუხესა და დედამისს შორის, 1999 წლის 29 სექტემ-ბერს და, ამავე მხარეებს შორის, 2007 წლის 13 აგვისტოს დადე-ბული ჩუქების ხელშეკრულებებში დაფიქსირებული ქონების ღირებულება. 1999 წლის ჩუქების ხელშეკრულებაში გაჩუქე-ბული ქონების ღირებულება მხარეებმა შეაფასეს 500 ლარად, ხოლო 2007 წლის ხელშეკრულებაში კი – 500 000 ლარად. სასა-მართლოს მოსაზრებით, მითითებულ ხელშეკრულებებში ასა-ხული შეფასებები, არც ერთ შემთხვევაში არ ასახავდა გაჩუქე-ბული ქონების რეალურ საბაზრო ღირებულებას და, ამ თვალ-საზრისით, ნაკლებად საინტერესო იყო აღნიშნული დოკუმენ-ტები, თუმცა, თავად ამ კოლოსალური განსხვავების არსებობა, ფაქტობრივად ერთი და იმავე საგანთან დაკავშირებით, იძლე-ოდა გარკვეული დასკვნების გაკეთების საფუძველს. კერძოდ, გაჩუქებული ქონების შეფასებასთან დაკავშირებით, ამ ორ ხელ-შეკრულებაში მოცემული რადიკალურად განსხვავებული მო-ნაცემების არსებობა, მნიშვნელოვანი იყო სასამართლოს შინა-განი რწმენის ჩამოსაყალიბებლად, რომ მოსარჩელის მტკიცე-ბა, სახლის სარეკონსტრუქციო, სამშენებლო ძირითადი სამუ-შაოების 2007 წლისთვის დასრულებული იყო და ამ დროისათ-ვის უკვე მნიშვნელოვნად იყო გაზრდილი ქონების ღირებულე-ბა, თანხვედრაში მოდიოდა დასახელებული გარიგებების ანა-ლიზთანაც, ვინაიდან გაჩუქებული ქონების (სადაცო უძრავი ქო-ნების 1/2), მხოლოდ 1444 კვ.მ. მიწის ნაკვეთით გაზრდას, არ უნდა გამოიწვია 2007 წლის ხელშეკრულებაში მხარეთა მიერ გაჩუქებული იმავე ქონების 500 000 ლარად შეფასება.

43. სასამართლომ აღნიშნა, რომ გარდა საცხოვრებელი სახ-ლისა, სადაცო მიწის ნაკვეთზე, სხვა შენობა-ნაგებობებიც იყო განთავსებული. სადაცო მიწის ნაკვეთზე განთავსებული იყო ორი ავტოფარეხი, მსუბუქი კონსტრუქციისა და კაპიტალური, რომელიც არსებობდა მხარეთა ქორწინებამდეც, თუმცა, დად-გინდა და მოწმეებმაც დაადასტურეს, რომ მოდაცე მხარეთა ქორწინების პერიოდში, კაპიტალური ავტოფარეხი გადაკეთდა,

გაფართოვდა და, საბოლოოდ, ავტოფარეხის გარდა, მარანიც გაკეთდა (იხ. სასამართლო სხდომის ოქმი, თ. ჯ-ის ჩვენება – 14:14:35-14:15:00სთ). ქორწინების პერიოდში, მსუბუქი კონსტრუქციის ავტოფარეხისა და მის ქვევით განთავსებული პირუტყვის სადგომის გაკეთება სადაც არც გამხდარა.

44. ზემოხსენებული მტკიცებულებების საწინააღმდეგოდ, მოპასუხის მითითება, რომ სახლის მიშენების და სხვ. სამუშაოები, დედამისის ნაჩუქარი თანხებით ჩატარა, დაახლოებით 2007 წელს, არადამაჯერებელი იყო, შესაბამისი მტკიცებულებების არარსებობის გამო. პალატამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ გარემოების დასადასტურებლად მოპასუხეს რაიმე მტკიცებულება საქმეში არ წარმოუდგენია. სასამართლომ დაადგინა, რომ ე.წ. მიწის, სარეკონსტრუქციო, სამშენებლო და სარეზონტო სამუშაოები დაიწყო მხარეთა ქორწინების პერიოდში, კერძოდ, დაახლოებით 1994 წლიდან და დასრულდა მხარეთა განქორწინებამდე.

45. იმის გათვალისწინებით, რომ ქორწინების პერიოდში ჩატარებული მთელი რიგი სამუშაოების შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა მოპასუხის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული, 600 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განთავსებული სახლისა და მთლიანობაში ამ უძრავი ნივთის ღირებულება, სასამართლოს შეფასებით, სსკ-ის 150-ე მუხლის თანახმად, მყარად ნაგები ნაგებობა-სადაც სახლი, იყო 600 კვ.მ მიწის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილი. ასევე, ქორწინების განმავლობაში, მეუღლებს წარმოეშვათ თანასაკუთრება 1444 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, რომელიც შეემატა მოპასუხის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებულ ქონებას. სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა სსკ-ის 1163-ე მუხლით გათვალისწინებული აუცილებელი წინაპირობები, მოპასუხის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული სადაც ქონების მეუღლეთა თანასაკუთრებად ტრანსფორმირებისათვის და დღეისათვის მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული სადაც უძრავი ნივთის მეუღლეთა თანასაკუთრებად მიჩნევის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

46. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის პრეტენზია, რომ ვინაიდან სადაც უძრავი ნივთის მესაკუთრეს, მასთან ერთად, წლების განმავლობაში, 1999 წლის 29 სექტემბრიდან 2007 წლის 13 აგვისტომდე, წარმოადგენდა, დედამისიც, ეს ფაქტი გამორიცხავდა მთლიანი სადაც ქონების $\frac{1}{2}$ ნაწილზე მოსარჩელის

თანასაკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველს.

47. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის დედის საკუთრების უფლების არსებობა, 1999 წლის 29 სექტემბრიდან 2007 წლის 13 აგვისტომდე, სადაც უძრავი ნივთის ½ ნაწილზე, გაფლენას არ ახდენდა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ვინაიდან, საბოლოოდ, სადაც უძრავი ქონების ½ ნაწილი, რომლის მესაკუთრეც იყო მოპასუხის დედა, მოდავე მხარეთა განქორწინებამდე, 2007 წლის 13 აგვისტოს ჩუქების ხელშეკრულებით დაუბრუნდა მის ადრინდელ მესაკუთრეს – მოპასუხებს. შესაბამისად, ეს ფაქტი გამორიცხავდა სსკ-ის 1161-ე მუხლით გათვალისწინებული მეუღლის ინდივიდუალური საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველს, მოპასუხის სასარგებლოდ, ჩუქების საფუძველზე მიღებული სადაც ნივთის ½ ნაწილთან.

48. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხებ, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის უარყოფა.

49. საკასაციო საჩივარი დამყარებულია შემდეგზე:

49.1. სადაცოა ორი საკითხი, პირველი ეხება ინდივიდუალური ქონების გადაქცევას მეუღლეთა საერთო ქონებად, ხოლო მეორე – დაკანონებულ 1444 კ.მ. მიწის ნაკვეთზე მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობას. ორივე საკითხი ერთმანეთს უკავშირდება; მათ შორის კავშირის დანახვის გარეშე, საპელაციო სასამართლომ არასწორი დასკვნა გამოიტანა სადაც ნივთთან დაკავშირებით, მხარეთა უფლებებისა და მათი მოცულობის შესახებ.

49.2. დავის სწორად გადასაწყვეტად და თავად გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების თვალსაზრისით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხთაგანია, იმის გარკვევა, სადაც უძრავი ქონება, არსებული სახით, წარმოადგენს თუ არა მოპასუხის ინდივიდუალურ საკუთრებას, თუ მისი რომელიმე ნაწილი შეიძლება შეფასდეს, სსკ-ის 1158-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, მეუღლეთა თანასაკუთრებად.

49.3. მოპასუხე სარჩელის დაკმაყოფილების გამომრიცხავ გარემოებად უთითებდა სადაც უძრავი ქონების ½ ნილის, 1999 წლიდან, ჩუქების ხელშეკრულებით, დედამისის საკუთრებაში არსებობაზე, ასევე, იმავე ქონების ჩუქებით, დედისაგან მიღებაზე, 2007 წელს. კასატორის მოსაზრებით, ამ ფაქტს, მოცემულ დავაში, განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს, რადგან, 1999

წლის მდგომარეობისაგან განსხვავებით, 2007 წლისათვის – მოპასუხის დედა 2044 კვ.მ. მიწის ნაკვეთის $\frac{1}{2}$ წილის მესაკუთრეს წარმოადგენდა, რომელიც ჩუქებით გადასცა შვილს – მოპასუხეს. სააპელაციო სასამართლომ, საქმის გარემოებების გამოკულევისა და დადგენის არეალი დაავიწროვა, რადგან მოპასუხე არა მარტო მემკვიდრეობით, არმედ, ასევე, ჩუქებით მიღებული ქონების მესაკუთრეა. აქედან გამომდინარე, კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არ განსაზღვრა, რა სამართლებრივი საფუძველი გააჩნია სადავო ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლების წარმოშობას, არ შეაფასა და არ გაანალიზა თითოეული საფუძვლის მნიშვნელობა მოცემული დავისათვის. კასატორის განმარტებით, საქმეში განთავსებული საჯარო რეესტრის ამონაწერების მიხედვით, სადავო ნივთზე, მოპასუხის საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტებია: სამკვიდრო მოწმობა, ჩუქების ხელშეკრულება და მიწის დაკანონების აქტი. სასამართლოს სწორედ ამ უფლების დამდგენი დოკუმენტების მიხედვით უნდა განესაზღვრა მხარეთა უფლება-მოვალეობები, თუმცა, გასაჩივრებული განჩინებით, დავის გადასაწყვეტად, სამართლებრივი მნიშვნელობა უკანონოდ მიენიჭა ისეთ ფაქტს, რომელსაც საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნდა – ერთი საკადასტრო კოდის მინიჭება 2044 კვ.მ. მიწის ნაკვეთისათვის.

49.4. უძრავ ნივთზე ერთი საკადასტრო კოდის არსებობა არ ნიშნავს იმას, რომ სახეზეა ერთი ნივთი. საქმის მასალები და აღნიშნულ ნივთზე უფლების წარმოშობის საფუძვლები ცხად-ჰყოფს, რომ ერთი საკადასტრო კოდით გაერთიანდა ორი მიწის ნაკვეთი (600 კვ.მ.-ს დამატებული 1444 კვ.მ.), ხოლო საკუთრების უფლების წარმოშობა გაერთიანებულ ნაკვეთებზე რამდენიმე (სამი) საფუძვლით მოხდა. ამ ორი ნივთის ერთი საკადასტრო კოდით გაერთიანების ინტერესს თანამესაკუთეებისათვის (მოპასუხე და დედამისი) წარმოადგენდა მიწის ნაკვეთების ერთ სივრცეში მოქცევა. ე.ი. აღნიშნული ფაქტი (ერთი კოდის მინიჭება) საკითხის მხოლოდ ტექნიკური მხარეა და არა სამართლებრივი. ამიტომ, ერთ სივრცეში ნივთების მოქცევა ვერ მოსპობს იმ სამართლებრივ საფუძვლებს, რომლებიც თითოეულ ნივთზე ან მის ნაწილზე საკუთრების უფლების წარმოშობას დაედო საფუძვლად.

49.5. ორივე ნივთზე მოსარჩელის თანასაკუთრების უფლების წარმოშობის ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებ-

თან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად და-ადგინა ფაქტები. 1444 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მოპასუხისა და დე-დამისის მიერ დაკანონების ფაქტი არასწორად შეაფასა სასა-მართლომ და მიიჩნია მეუღლეთა თანასაკუთრებად. კასატო-რის მოსაზრებით, საკასაციო სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს მოპასუხის განმარტებაზე, კერძოდ, მტკიცებუ-ლებათა კვლევის ეტაპზე, მოპასუხები მიუთითა, რომ 1444 კვ.მ. მიწის ნაკვეთის დაკანონება მოხდა და არა შეძენა მეუღლეთა მიერ. მიწის ნაკვეთი დაკანონდა საქორნინო-სამართლებრივი ურთიერთობის მიღმა არსებული სანივთო ურთიერთობის ფარ-გლებში და იგი ვერ იქნება მეუღლეთა თანასაკუთრება. დადგე-ნილია, რომ მოპასუხის საკუთრების უფლების წარმოშობის ერთ-ერთი საფუძველია მემკვიდრეობა. დადგენილია ისიც, რომ მო-პასუხები, დედასთან ერთად, იყო 1444 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მო-სარგებლები. მოპასუხის მიერ, მის ნანილში, მიწის ნაკვეთის და-კანონებას არ შეიძლებოდა საფუძვლად დადებოდა ამ ქონების მეუღლეთა მიერ შეძენის ფაქტი. 1444 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ად-მინისტრაციული აქტით მოხდა არა ნივთის შეძენა, არამედ სა-კუთრების უფლების აღიარება, სარგებლობაში უკვე არსებულ ნივთზე. დაკანონებული ქონება, მემკვიდრეობით მიღებულ ქო-ნებას ეკვრის და 600 კვმ მიწის ნაკვეთთან ერთად, სადაც სახ-ლის მემკვიდრეობით მიღებით, მოპასუხებ 1444 კვ.მ მიწით სარ-გებლობის უფლება მიიღო. მართალია, რამე უფლების დამა-დასტურებელი დოკუმენტი მიწის ნაკვეთის დააკანონებამდე არ არსებობს, მაგარამ ეს არც არის საჭირო, რადგან ქართულ სამართლში, მფლობელობა მიიჩნევა ფაქტად და არა უფლე-ბად. სსკ-ის 157-ე მუხლის შესაბამისად, მფლობელითა მემკვიდ-რეობით გადადის იმავე სახით, რა სახითაც არსებობდა იგი მამ-კვიდრებელთან. იმ გარემოებას, რომ აღნიშნული ქონება დაკა-ნონდა სამეცყვიდრეო ურთიერთობის საფუძველზე ადასტუ-რებს ისიც, რომ საუბარია ერთსა და იმავე მისამართზე არსე-ბულ ფართზე. მოპასუხის საკუთრების უფლებისადმი ზემოაღ-ნიშნული მიღვომის სისწორეს ადასტურებს სასამართლოს უახ-ლესი პრაქტიკაც (სუსგ № ას-439-415-2013, 30.10.2013).).

49.6. კასატორის მოსაზრებით, დაუშვებელია პირველი ინ-სტანციის გადაწყვეტილების ძალაში დატოვება სააპელაციო სა-სამართლოს მიერ სხვა მხრივაც, კერძოდ, საქალაქო სასამარ-თლოს თავისი გადაწყვეტილების მე-10 გვერდზე ისე აქვს მი-თითებული ქონების 600 კვ.მ-დან 2044 კვ.მ-დე გაზრდასთან

დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში ეს გარემოება დადგენილი არ არის, არც სადავო და არც უდავო ფაქტობრივ გარემოებებში, რაც, კასატორის მტკიცებით, ენინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მოთხოვნას, გადაწყვეტილების შინაარსისადმი.

49.7 მოსარჩელეს არასდროს გაუხდია სადავოდ მოპასუხის დედის საკუთრების უფლება, არ მოუთხოვია მოპასუხის მიერ დედისათვის ჩუქების, არც შემდეგ, დედის მიერ მოპასუხისათვის ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა. აქედან გამომდინარე, როდესაც სააპელაციო სასამართლო უთითებს, რომ 1444 კვ.მ. დაკანონებით მოსარჩელეს, როგორც მოპასუხესთან ქორწინებაში მყოფ მეუღლეს, წარმოეშვა თანასაკუთრების უფლება. სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა მოპასუხის დედის საკუთრების წილი ქონებაში, ანუ უნდა გაერკვია, ქონების რა წილი იყო მოპასუხის ინდივიდუალური საკუთრება და ისე გამოეტანა დასკვნა მოსარჩელის უფლებებთან დაკავშირებით.

49.8. საქალაქო სასამართლოს თავისი გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში დადგენილ გარემოებად არ აქვს მითითებული 1444 კვ.მ. ფართის, მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენა. სასამართლომ მთელი ქონების, კერძოდ, 2044 კვ.მ. ფართის ნახევარი, მოსარჩელეს ზემოაღნიშნული საფუძვლით არ მიაკუთვნა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივად შეცვალა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ამ ნაწილში. კასატორის მოსაზრებით, საკასაციო სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს იმ ფაქტზე, რომ მოსარჩელე თავის მოთხოვნას ამყარებდა ქონების საერთო საკუთრებად ტრანსფორმირებისა და არა ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენის ფაქტზე. მოსარჩელეს არც დაზუსტებული სარჩელი შეუტანია აღნიშნულზე, მხოლოდ მოგვიანებით მიუთითა ერთერთ შუამდგომლობაში, რომ 1444 კვ.მ. ფართი მეუღლეთა თანასაკუთრებაა. ამრიგად, შეცვალა სარჩელის საფუძველი ამ ნაწილში, თუმცა, ეს ისეთ დროს მოხდა, როცა მხარეთა ქორწინების შეწყვეტიდან სამი წელი იყო გასული. ამის გამო, საერთო ქონების გაყოფა ხანდაზმულია.

49.9. კასატორის მოსაზრებით, სადავო ქონება არც ტრანსფორმირებულად არ უნდა ჩაითვალოს, რადგან სასამართლოში მარტოოდენ ფულადი ატესტატების წარდგენა იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელეს გარკვეული სახის შემოსავალი

ჰქონდა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ თანხა ქონების ღირებულების მნიშვნელოვან გაზრდას მოხმარდა, ვინაიდან, სააპელაციო შესაგებელში თავად მოსარჩელე აღიარებდა, რომ ოჯახს დიდი შემოსავალი არ ჰქონდა. კასატორს, ასევე, დაუსაბუთებლად მიაჩნია საქმეში არსებული ნასყიდობის ხელშეკრულებისათვის (რომლითაც მოპასუხის დედამ გაჰყიდა თავისი ბინა) სამართლებრივი მნიშვნელობის მიუნიჭებლობა სასამართლოს მიერ, მოპასუხე ამის საფუძველზე განმარტავდა, რომ ბინის გაყიდვით მიღებული თანხა მოხმარდა სადავო სახლზე მიშენებასა და რემონტს. ამ ფაქტის გათვალისწინება მნიშვნელოვანი იყო და ადასტურებდა მოპასუხის განმარტების სარწმუნობას, ვიდრე, სასამართლოს დასკვნა, ქონების გაზრდის საკითხში მოსარჩელის წვლილთან დაკავშირებით, მითუმეტეს, რომ მეუღლებს არ გააჩნდათ საკმარისი სახსრები მიშენება-რემონტისათვის.

49.10. სააპელაციო სასამართლომ 1444 კვ.მ. დაკანონებული ფართი ისე ჩათვალა მეუღლეთა თანასაკუთრებად მთლიანად, რომ მასზე მოპასუხის დედის საკუთრების უფლების გაუთვალისწინებლობის გარდა, დაარღვია სსკ-ის 954-ე მუხლიც, ქონებაში წილის განსაზღვრის შესახებ. სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ მოსარჩელეს წარმოეშვა თანასაკუთრების უფლება ამ ქონებაზე, დამაჯერებელი რომც იყოს, მას პრეტენზია შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ იმ იურიდიულ წილზე, რომელიც ერგებოდა მოპასუხეს დაკანონებულ ნივთზე თავისი საკუთრების უფლებიდან, კერძოდ, ეს არის ნაკვეთის $\frac{1}{2}$ წილი. შესაბამისად, მეუღლეთა შორის ეს წილი უნდა გაყოფილიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დადგინდებოდა ამგვარი გაყოფის ფაქტობრივი საფუძველი. ამრიგად, კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ ერთმანეთში აურია წილადი და თანაზიარი საკუთრების სამართლებრივი რეჟიმი, არ გათვალისწინა, რომ სადავო ქონება წარმოადგენდა მოპასუხისა და მისი დედის წილად საკუთრებას.

49.11. კასატორის განმარტებით, იმის გამო, რომ მოპასუხის დედა იყო, დაკანონებამდე არსებული 600 კვ.მ. მიწის მესაკუთრე ჩუქების ხელშეკრულებით, არასწორია სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება, თითქოს 600 კვ.მ. მიწის ფართი, მასზე განთაესტებული საცხოვრებელი სახლითა და დამხმარე შენობანაგებობით მარტო მოპასუხის ინდივიდუალური საკუთრების უფლების საგანს წარმოადგენდა.

49.12. უსაფუძვლოა სასამართლოს დასკვნა, რომ სამუშაოები დაახლოებით 1993-1994 წლებში დაიწყო. საქმეში არსებული ოფიციალური ორგანოს დოკუმენტის მიხედვით, 1999 წლის ნოემბრამდე, სახლზე არავითარი მიშენება არ განხორციელებულა. ასევე სადაცოა, თუ როგორ ასრულებდნენ იმ დროისათვის მხარეთა 7-8 წლის ბავშვები იმ მასშტაბის სამუშაოებს, რაზეც მოსარჩელე მიუთითებდა.

49.13. გაუმართლებელია მოწმეთა ჩვენებებით სარჩელის დაკმაყოფილება. სსკ-ის 1163-ე მუხლის თანახმად, თითოეული მეუღლის ქონების მეუღლეთა თანასაკუთრებად ჩასათვლელად, სავალდებულოა დადგინდეს, რომ ქორნინების განმავლობაში განეული ხარჯების შედეგად, ამ ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გადიდდა. ამრიგად, საყურადღებოა, რომ თავისთავად სამუშაოთა წარმოება კი არ ის მთავარი და საკმარისი გარემოება, არამედ ქონების ღირებულების მნიშვნელოვანი გაზრდა. აღნიშნული ფაქტი ექსპერტიზამ ვერ დაადგინა, ხოლო მოწმეებმა მიუთითეს მხოლოდ გარკვეული სამუშაოების წარმოებაზე, მაგრამ, ცხადია, მოწმეები ქონების ღირებულების გაზრდის ფაქტს ვერ დაადასტურებდნენ. სასამართლომ მტკიცების პროცესი არასწორი მიმართულებით წარმართა და ფაქტობრივად, არარსებული მტკიცებულებებით გამოიტანა დასკვნა ქონების ტრანსფორმირების შესახებ.

49.14. სახლზე გარკვეული სამუშაოების წარმოება არ შეიძლება მოსარჩელეს წარმოუშობდეს უფლებას, თავად სადაცო სახლზე და მითუმეტეს 2044 კვ.მ მინის ნაკვეთზე. უზენაეს სასამართლოს არასდეს განუმარტავს 1163-ე მუხლი 150-ე მუხლთან მიმართებით, რის გამოც საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

49.15. მოპასუხებ დედის წილი მიიღო, მოდავე მხარეების საერთო შეიღილების გარდაცვალების შემდეგ. ეს ის პერიოდია, როდესაც მოსარჩელესა და მოპასუხეს აღარ განუხორციელებიათ რაიმე სამუშაოები სადაცო ქონებაზე, შესაბამისად, ჩუქებით, ერთერთი მეუღლისათვის საკუთრების უფლებით გადაცემული ქონება ვერ ტრანსფორმირდება მეუღლეთა საერთო ქონებად.

49.16. კასატორის განმარტებით, ყურადღება უნდა მიექცეს სააპელაციო სასამართლოს მიერ მოპასუხების შუამდგომლობებისადმი ზერელე დამოკიდებულებას, კერძოდ, სააპელაციო პალატას შუამდგომლობით სთხოვდნენ სადაცო ნივთის ადგილზე

დათვალიერებას. სასამართლომ კი ისე დაამთავრა საქმის განხილვა, გაუგებარი დარჩა დააკმაყოფილა თუ არა შუამდგომლობა. საკასაციო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ადგილზე დათვალიერება სააპელაციო სასამართლოსათვისაც მნიშვნელოვანი იქნებოდა, რადგან დარწმუნდებოდა მოსარჩელის მოხსოვნის უსაფუძვლობაში, ასევე, სასამართლო უკანონოდ მოიქცა, როცა მოსარჩელის ხელფასის შესახებ ცნობა საქმეს არ დაურთო.

50. საკასაციო სასამართლომ, 2015 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით, წარმოებაში მიიღო მოპასუხის საკასაციო საჩივარი, სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო იმავე წლის 26 ნოემბრის განჩინებით, გადაწყდა საკასაციო განაცხადის დასაშვებობის შემოწმება, ზეპირი მოსმენით, მხარეთა მონანილეობით, 4 დეკემბერს (სსსკ-ის 408-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები).

51. საკასაციო სასამართლოში, 2015 წლის 4 დეკემბერს გამოცხადებულმა მხარეებმა საკუთარი არგუმენტები შემდეგნაირად წარმოჩინეს:

51.1. კასატორის წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა იმ საკითხის გარკვევის საჭიროებაზე, რომ უპროექტო მშენებლობა, ანუ ის, რაც არ არსებობს სამოქალაქო ბრუნვაში, რამდენად შეიძლება წარმოშობდეს რაიმე უფლებას. იმის გათვალისწინებით, რომ 1444 კვმ. მინის ნაკვეთი დაიკანონეს კასატორმა და მისმა დედამ, ადმინისტრაციული აქტით დაკანონებული მინის ნაკვეთი, რამდენად გახდა მუულლეთა თანასაკუთრება, ესეც გამოსაკლვლევია, რადგან 600 კვმ მინის ნაკვეთება განთავსებული ნაგებობა.

51.2. გასარკვევია სსკ-ის 150-ე მუხლის მიმართება 1163-ე მუხლთან, მხარე თავიდან არ უთითებდა სარჩელში, არც დაზუსტებული სარჩელი წარუდგენია, მერე შუამდგომლობით განაცხადა, რომ სადაცო ქრისტიანული აქტით დაკანონებული მინის ნაკვეთი, რამდენად გახდა მუულლეთა თანასაკუთრება, ესეც გამოსაკლვლევია, რადგან 600 კვმ მინის ნაკვეთება განთავსებული ნაგებობა.

51.3. მოსარჩელის წარმომადგენელმა განმარტა, რომ შენობა-ნაგებობა, რომელიც 600 კვმ მინის ნაკვეთზეა განთავსებული და სსკ-ის 150-ე მუხლის საფუძველზე, არის არსებითი შემადგენელი ნაწილი, რომელიც ერთიანი საკადასტრო კოდითაა რეგისტრირებული, მთლიანი ნივთია. 1163-ე მუხლში კანონმდებელი იმაზე უთითებს, რომ ერთ ნივთზეა საუბარი, თუ იგი გა-

უმჯობესდა, გადიდდა, გაიზარდა მისი ღირებულება, შესაბამისად, გადაიქცევა თანასაკუთრებად. დაუსაბუთებელია კასატორის პრეტენზია, რომ მოსარჩელემ შეცვალა მოთხოვნა, რადგან სარჩელის ალდვრიდან მოყოლებული, ყოფილი მეუღლე ქონების ½ ნაწილს ითხოვდა, სხვა მოთხოვნა არ დაგვიყენებია. რაც შეეხება, გაუმჯობესებულ ქონებას, ორსართულიანი სახლია და თანაბრად გაიყოფა ქონება.

51.4. მოპასუხემ ვერ უზრუნველყო ვერცერთი მოწმის წარმოდგენა, ხოლო მოსარჩელის მიერ წარდგენილმა მოწმეებმა დაადასტურეს მოსარჩელის მონაბილეობა სადავოდ ქცეული ქონების გაუმჯობესებასა და გაზრდაში. აპელაცია კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებრზე ამავილებს ყურადღებას, მათ შორის ფარულ სამუშაოებზე, წლების მანძილზე მიმდინარეობდა სამუშაოები, რაც ძირითადად ზაფხულის პერიოდში მიმდინარეობდა, რადგან მოდავე მხარეები მუშაობდნენ, შვილები სწავლობდნენ და არდადეგების პერიოდში მუშაობდნენ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და ერთობლიობაში შეჯერების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

55. სსკ-ის 404-ე მუხლის პირველი პუნქტით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება); კასატორს ასეთი დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია.

56. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ დავაში მოსარჩელის მოთხოვნა – მეუღლეთა ქონების თანასაკუთრებად გადაქცევა – სსკ-ის 1158-ე, 1163-ე მუხლებს ემყა-

რება (იხ. სარჩელი), რასაც მოპასუხე დაუპირისპირდა მოთხოვნის გამომრიცხავი შესაგებლით (იხ. შესაგებელი), კერძოდ, იმ დასაბუთებით, რომ საჯარო რეესტრის მონაცემებით, სადავო სახლის ფართობი შეადგენს 61,83 კვმ-ს, რაც ტექბიუროშიცაა დაფიქსირებული და ქორნინებამდელი მდგომარეობა უცვლელია; საკუთრების უფლების ობიექტი ვერ იქნება შენობის ის ფართი, რომელიც არ ფიქსირდება რეესტრში (სსკ-ის მე-7 მუხლი), ხოლო მიწის ნაკვეთთან დაკავშირდებით, მოპასუხემ მიუთითათ, რომ მისი ნაწილი 1999 წლიდან დედის საკუთრებად ირიცხებოდა, ამ უკანასკნელმა კუთვნილი წილი შვილს აჩუქა, 2007 წელს, ხოლო მეორე ნაწილს, მოპასუხე მემკვიდრეობის საფუძვლზე ფლობდა 1987 წლიდან, 1999 წელს კი, დედასთან ერთად დაიკანონა დანარჩენი მიწის ფართი, რამაც საბოლოოდ 2044 კვმ შეადგინა. მოპასუხემ ისიც მიუთითა, რომ სადავო სახლის მეორე სართულზე რემონტი დაიწყო განქორწინების შემდეგ, 2013 წელს (იხ. ამ განჩინების 49.3 ქვეპუნქტი).

57. წინამდებარე განჩინების 56-ე პუნქტში ასახული გარემოების გათვალისწინებით, სასამართლოს დაუსაბუთებლად მიაჩნია კასატორის 49.8 ქვეპუნქტში მითითებული პრეტენზია, რადგან მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი სწორედ მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრების თანაზიარად გადაქცევას, ქონების სამართლებრივი რეჟიმის ტრანსფორმაციას ეხება იმ საფუძვლით, რომ ქორნინების განმავლობაში განცეული ხარჯების შედეგად ქონების ლირებულება მნიშვნელოვნად გადიდდა (იხ. სსკ-ის 1163-ე მუხლის დეფინიცია).

58. ამ განჩინების 49.1 – 49.5 ქვეპუნქტებში მითითებული პრეტენზიების საპასუხოდ, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მჯელობასა და დასკვნებს, რომლებიც მითითებულია 27-30 პუნქტებში. განსაკუთრებით საგულისხმოა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები, რომლებიც ეხება მოპასუხის მიერ მიღებული სამკვიდროს – მიწის ნაკვეთის (600 კვმ) გაზრდას 1444 კვმ-ით და კვლევას, სადავო უძრავი ქონება, არსებული სახით, წარმოადგენდა თუ არა მოპასუხის ინდივიდუალურ საკუთრებას, რომელიც ამ უკანასკნელმა მემკვიდრეობით მიიღო, თუ ამ ქონების რომელიმე ნაწილი განეკუთვნებოდა მეუღლეთა თანასაკუთრებას (სსკ-ის 1158-ე მუხლი). აღნიშნული საკითხზე ქვემდგომი სასამართლოს მიერ მტკიცებულებების დეტალური შესწავლით გამოტანილ დასკვნებს (იხ. 32-36 პუნქტები) საკასაციო სასამართლო სრუ-

ლად ეთანხმება. მოპასუხემ, სამკვიდროს სახით, მიიღო 600 კვტ მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული საცხოვრებელი სახლითა და სხვადასხვა დამხმარე შენობა-ნაგებობებით; მოპასუხემ, მოსარჩელესთან ქორწინების პერიოდში, სპეციალური კანონით (იხ. განჩინების 32-ე პუნქტი) დადგენილი წესით, დაიკანონა 1444 კვმ მიწის ნაკვეთი, რაც მის მიერ მემკვიდრეობით მიღებულ 600 კვმ მიწის ნაკვეთთან და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებთან ერთად ერთიანი უძრავი ნივთია. სააპელაციო სასამართლოს დასკვნის საწინააღმდეგოდ, რომ სადავო უძრავი ნივთიდან 1444 კვმ მიწის ნაკვეთი, როგორც ქორწინების განმავლობაში შექნილი ქონება, მეუღლეთა თანასაკუთრებაა, კასატორს არ ნარმოუდენია სარმმუნო და დამაჯერებელი მტკიცებულებები მოსარჩელის მოთხოვნის გასაბათილებლად (სსკ-ის 102-ე, 105-ე მუხლები).

59. საკასაციო სასამართლო განსახილველი დავისათვის სამართლებრივად უმნიშვნელოდ მიიჩნევს კასატორის არგუმენტაციას, რომ უძრავ ნივთზე, რომელიც ორი მიწის ნაკვეთის გაერთიანების შედეგია, საკუთრების უფლების ნარმოშობა მოხდა უფლების დამდგენი სამი სხვადასხვა დოკუმენტის საფუძველზე (იხ. კასატორის პრეტენზიები – 49.4 – 49.10 ქვეპუნქტები). 600 კვმ მიწაზე, მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებზე და შემდგომ 1444 კვმ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვების იურიდიული საფუძვლები, მოცემულ შემთხვევაში, არ ნარმოადენ მნიშვნელოვანს იმ ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლითაც, რომ 600 კვმ მიწაზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებზე ჩატარებული სარეკონსტრუქციო სამშენებლო სამუშაოების მასშტაბის შედეგად, ექსპერტიზის დასკვნით და მოწმეთა განმარტებებით, ხოლო ზოგიერთი სამუშაოს ჩატარებაზე თავად მოპასუხის დასტურით, სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოკვლეული და დადგენილი ფაქტი, რომ მოპასუხის ინდივიდუალური საკუთრების საგანი გარდაიქმნა მეუღლეთა თანასაკუთრებად, მათი ქორწინების პერიოდში (იხ. ამ განჩინების 37-47 პუნქტები), ვერ გააბათილა კასატორმა. მარტოოდენ პრეტენზიის გაცხადება, სამართლებრივად წონადი მტკიცებულებების არქონის პირობებში და იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო სამართალწარმოებისას, მოპასუხემ, საკუთარი პოზიციის გასამყარებლად, ვერცერთი მოწმის, არათუ საექსპერტო დასკვნის წარდგენა ვერ შეძლო, საკასაციო სასამართლოს არწმუნებს, რომ მხარეთა დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითო-

ბის პრინციპის საფუძველზე, მოპასუხემ საქმის განხილვის ვერცერთ სტადიაზე ვერ მოახდინა კუთვნილი მტკიცების ტვირთის რეალიზება (სსსკ-ის მე-3, მე-4, 102-ე, 105-ე მუხლები), ვერ დაძლია მოწინააღმდეგის არგუმენტები და ვერ დაამტკიცა, თუ რა სამართლებრივი საფუძვლით არ უნდა იქნეს მიჩნეული სადაცო ქონება მეუღლეთა თანასაკუთრებად გარდაქმნილად. საკასაციო სასამართლოს შინაგან რწმენას ამყარებს ის ფაქტიც, რომ მოპასუხემ საკუთარი პოზიციის დასაცავად მიუთითა, რომ სახლის მიშენებისა და სხვა სამუშაოები, დაახლოებით 2007 წელს ჩატარა, დედამისის ნაჩუქარი თანხებით, თუმცა, ვერ შეძლო სასამართლოსათვის შესაბამისი მტკიცებულებების ნარდგენა (იხ. ამ განჩინების 44-ე პუნქტი).

60. კასატორის პრეტენზიების საწინააღმდეგოდ, რომლებიც ამ განჩინების 49.7-49.15 ქვეპუნქტებშია გადმოცემული, საკასაციო სასამართლო უთითებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნებზე (იხ. განჩინების 45-47 პუნქტები) და განმარტავს, რომ მოპასუხის ინდივიდუალურ საკუთრებად არსებულ 600 კვემინის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობისათვის ჩატარებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების მასშტაბისა და იმის გათვალისწინებით, რომ სენებული უძრავი ქონების ½-ზე 1999 წლის 29 სექტემბრიდან 2007 წლის 13 აგვისტომდე ირიცხებოდა მოპასუხის დედის საკუთრების უფლება, ამ უკანასკნელის კუთვნილი წილი ჩუქებით გადაეცა მოპასუხეს – ადრინდელ მესაკუთრეს, ხოლო სახლზე 1994 წელს დაწყებული სამუშაოები დასრულდა მხარეთა განქორწინებამდე, სამართლებრივად უდავოა ქონების მეუღლეთა თანასაკუთრებად გარდაქმნა. კასატორი თვითონვე უშვებს შესაძლებლობას, რომ დაკანონებული 1444 კვემინის ნაკვეთის ½-ზე შეიძლებოდა ყოფილ ცოლს წარმოშობოდა საკუთრების უფლება (იხ. საკასაციო საჩივარი) იმ შემთხვევაში, თუ დადგინდებოდა ამგვარი გაყოფის ფაქტორი საფუძველი. კასატორის მოსაზრება, რომ სასამართლომ ერთმანეთში აურია წილადი და თანაზიარი საკუთრების სამართლებრივი რეჟიმი დაუსაბუთებელია და უარყოფილია ამ განჩინების 58-59 პუნქტებში მითითებული დასკვნებით.

61. საკასაციო სასამართლო, ასევე, ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიებს, რომლებიც ამ განჩინების 45-ე პუნქტშია მითითებული, ეხება სსკ-ის 150-ე და 1163-ე მუხლების ურთიერთმიმართებას (იხ. საკასაციო საჩივარი) და აღნიშნავს: „150-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ნივთის შემადგენელი ნაწილი,

რომლის გამოცალკევებაც შეუძლებელია მთლიანი ნივთის ან ამ ნაწილის განადგურების ანდა მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე (ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი) ცალკე უფლების ობიექტად შეიძლება იყოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ხოლო 1161-ე მუხლის თანახმად, თითოეული მუხლის საკუთრებას წარმოადგენს: ა. ქონება, რომელიც თითოეულ მათგანს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე; ბ. ქონება, რომელიც ქორწინების განმავლობაში მიღებულია მეტკვიდრეობით ან ჩუქებით. სამოქალაქო კოდექსის 1163-ე მუხლის შესაბამისად, თითოეული მუხლის ქონება შეიძლება ჩაითვალოს მეუღლეთა თანასაკუთრებად, თუ დადგინდება, რომ ქორწინების განმავლობაში გაწეული ხარჯების შედეგად ამ ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გადიდდა (გადაეგებარება, მშენებლობის დასრულება, გადაკეთება და სხვა). მოცემული წესი არ გამოიყენება, თუ საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ იქნა გათვალისწინებული. სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, იმ ქონების გაყოფისას, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს, მეუღლეთა წილი თანაბარია, თუ მათ შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული” (იხ. სუსგ №ას-1440-1358-2012წ., 08.04.2013.).

62. სსკ-ის 1151-ე მუხლის თანახმად, მეუღლეთა უფლებამოვალობებს წარმოშობს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ქორწინება, ხოლო 1152-ე მუხლით, საოჯახო ურთიერთობებში მეუღლეთა პირადი და ქონებრივი უფლებები, ისევე, როგორც მოვალეობები, თანაბარია. საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა: „ქვემდგომმა სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას მართებულად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1151-ე, 1152-ე, 1158-ე, 1159-ე, 1161-ე, 1163-ე, 1164, 1168-ე მუხლებით, რადგანაც დადასტურებული იყო, რომ სადაცო საცხოვრებელი სახლის მშენებლობა გრძელდებოდა მოდავე მხარეთა რეგისტრირებული ქორწინების პერიოდში, რამდენიმე წლის განმავლობაში, რის შედეგადაც უძრავი ნივთის ღირებულება 6 000 ლარიდან გაიზარდა 162 900 ლარამდე. მიუხედავად იმისა, რომ უძრავი ნივთი 2004 წლის 8 ივნისიდან წარმოადგენდა პ. ფ-ის ინდივიდუალურ საკუთრებას, პ. ფ-ისა და ნ. მ-ის რეგისტრირებული ქორწინების პერიოდში განხორციელებული მშენებლობის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ამ ნივთის

ლირებულება, რის გამოც ქონება მოდავე მხარეთა თანასაკუთრებას წარმოადგენდა და მოსარჩელეს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის შესაბამისად, სწორად მიეკუთვნა ამ ქონების სარჩელით მოთხოვნილი ნაწილი“ (იხ. სუსგ-ზე №ას-551-523-2014, 04.03.2015წ., ასევე, იხ. სუსგ-ზე №ას-964-922-2013, 29.11.2013წ., №ას-1619-1611-2011, 16.02.2012წ.).

63. საკასაციო სასამართლო, არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომელიც ამ განჩინების 49.16 ქვეპუნქტშია მითითებული, რადგან სიმართლეს არ შეეფერება მოპასუხის სამდურავი სააპელაციო სასამართლოსადმი, რომელმაც თითქოსდა არ იმსჯელა მის შუამდგომლობაზე, მომხდარიყო ადგილზე დათვალიერება. აღნიშნულის სანინაალმდეგოდ, საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოპასუხებ 2015 წლის 22 იანვრის სხდომაზე წარადგინა შუამდგომლობა, რომელიც ადგილზე თათბირით არ დააკამაყოფილა სასამართლომ და მოტივაცია დააფუძნა სსსკ-ის 372-ე, 120-ე მუხლებს, ამასთან, სასამართლომ არც ის გამორიცხა, რომ არსებითი განხილვის შედეგად, თუკი საჭირო გახდებოდა, საკუთარი ინიციატივით დანიშნავდა ადგილზე დათვალიერებას, ასევე, უსაფუძვლოა პრეტენზია 2015 წლის 22 იანვრის საოქმო განჩინების გაუქმებაზე, რომლითაც არ დაკამაყოფილდა მოპასუხის შუამდგომლობა, საქმეს დართვოდა მოსარჩელის ხელფასის ცნობა (დეტალურად იხ. 22.01.2015წ. სხდომის ოქმი). კასატორის ამგვარი დაუსაბუთებელი პრეტენზია მხოლოდ იმ შინაგან რწმენას უყალიბებს სასამართლოს, რომ იგი არ არის თანმიმდევრული საკუთარ პოზიციებში და დავობს ისეთ გარემოებებზე, რომლებზეც სამართალნარმოების შესაბამის ეტაპზე მიღებულია დასაბუთებული გადაწყვეტილება. ამდენად, არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის საოქმო განჩინებების (იხ. დავის საგანი) გაუქმების საფუძველი.

64. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ დავაზე, სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტები სწორად არის გამოკვლეული და დადგენილი სააპელაციო სასამართლოს მიერ, ამასთან, მათი იურიდიული შეფასება მართებულია, რაც საკასაციო განაცხადის უარყოფისა და გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების საფუძველია.

65. კასატორს სახელმწიფო ბაჟი გადახდილი აქვს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-

მოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.3-ე, 410-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. გ. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილის სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 ივნისის განჩინება და ამავე სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის საოქმო განჩინებები ადგილზე დათვალიერებისა და მ. მ-ის ხელფასის შესახებ ცნობის საქმეზე დართვის თაობაზე შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;
3. კასატორს სახელმწიფო ბაჟი გადახდილი აქვს;
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მეუღლეთა თანასაკუთრება

გადცევატილება საქართველოს სახელი

№ას-950-900-2015

16 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. ძლიერიშვილი,
გ. ალავიძე

დავის საგანი: შვილად აყვანის დადგენა, სამკვიდრო ქონებიდან წილის გამოყოფა

აღნერილობითი ნაწილი:

1. პ. კ-ემ სარჩელი აღმრა სასამართლოში ბ. ტ-ის მიმართ და მოითხოვა მ. კ-ის მიერ პ. კ-ის შვილების თაობაზე იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა, ქ. ოზურგეთში, ე-ის ქ. №...ში მდებარე უძრავი ქონების $\frac{1}{2}$ წილის მესაკუთრედ მ. კ-ის აღიარება და პ. კ-ისათვის, როგორც მ. კ-ის მემკვიდრისათვის, აღნიშნული წილის მიკუთვნება შემდეგი დასაბუთებით:

2. მოსარჩელის განმარტებით, იგი დაიბადა 1970 წლის 2 ნო-

ემბერს ოზურგეთის რაიონის სოფ. ბ-ში. ბიოლოგიური დედ-მამა ა. და ლ. კ-ები არიან. ქობულეთის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების 1985 წლის დადგენილებისა და ქობულეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1985 წლის 23 იანვრის №27 დადგენილების საფუძველზე, იგი იშვილა მ. კ-ემ და საცხოვრებლად გადავიდა მშვილებლის (მ. კ-ის) საცხოვრებელ ადგილზე – ქობულეთის რაიონის დაბა ჩ-ში.

3. 1992 წელს პ. კ-ემ და მ. კ-ემ გაყიდეს საცხოვრებელი სახლი ჩ-ში და იყიდეს ბინა ქ. ოზურგეთში, ი-ის ქ. №...-ში. 2003 წელს გაყიდეს აღნიშნული ბინა და იყიდეს სახლი ოზურგეთში, ე-ის №...-ში.

4. მ. კ-ე 2003 წლიდან არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა მოპასუხე ბ. ტ-ესთან. პ. კ-ისა და მ. კ-ის მიერ შეძენილი სახლი ე-ის ქუჩაზე ბ. ტ-ის უკანონო ქმედების შედეგად დარეგისტრირდა ბ. ტ-ის სახელზე. უძრავი ქონება, მიუხედავად იმისა, თუ რომელ მეუღლეზეა რეგისტრირებული, ითვლება მეუღლეთა საერთო საკუთრებად.

5. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ პ. კ-ის შევილად აყვარის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. მოსარჩელის მიერ ნარდეგნილ მასალებს არ ერთვის დაბადებისა და შვილად აყვარის აქტების ჩანაწერის ასლები.

6. ამასთან, მოპასუხემ აღნიშნა, რომ მან სადავო საცხოვრებელი სახლი იყიდა 2004 წელს, ხოლო მ. კ-ე ცოლად შეირთო 2007 წელს. პ. კ-ე არ იყო ნაშვილები მ. კ-ის მიერ და, შესაბამისად, მისი მოთხოვნაც არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

7. მოსარჩელე პ. კ-ემ დაზუსტებული სარჩელით მიმართა სასამართლოს და აღნიშნა, რომ მ. კ-ისა და ბ. ტ-ის ერთად ცხოვრების პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა სადავო სახლის ღირებულება. კერძოდ, გაკეთდა ფასადი, შეიცვალა ფანჯრები, შეიღება და კეთილმოწყობილ იქნა ოთახები და სათავსოები, აშენდა შენობა.

8. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით პ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; დადგინდა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი 1985 წლის 23 იანვარს მ. კ-ის მიერ პ. კ-ის შვილების თაობაზე; უძრავი ქონების საკადასტრო კოდით № ... მესაკუთრებად ½ წილით აღიარებულ იქნა ბ. ტ-ე და მ. კ-ე; პ. კ-ეს საკუთრების უფლებით მიეკუთვნა მ. ტ-ის წილიდან შესაბამისი წილი (უძრავი ქონებიდან საკადას-

ტრო კოდით № ...).

9. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო ნესით გაასაჩივრა პ. ტ-ემ.

10. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით პ. ტ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც უძრავი ქონების, საკადასტრო კოდით №... მესაკუთრებად ½ ნილით აღიარებულ იქნენ პ. ტ-ე და მ. კ-ე და პ. კ-ეს საკუთრების უფლებით მიეკუთვნა მ. ტ-ის ნილიდან შესაბამისი ნილი (უძრავი ქონებიდან საკადასტრო კოდით №...); პ. კ-ის სარჩელი №... საკადასტრო კოდის უძრავი ქონების თანამესაკუთრედ მ. კ-ის აღიარებისა და ამ ქონებიდან ნილის მიკუთვნების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

11. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

12. ქობულეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1985 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებით პ. კ-ეს ნება დაერთო შვილად აეყვანა არასრულწლოვანი პ. კ-ე. პ. კ-ის მშობლებად დაბადების მოწმობაში რეგისტრირებულ იქნენ ბიოლოგიური მშობლები – ა. კ-ე და ლ. კ-ე.

13. 2007 წლის 11 ივნისს მ. კ-ე და აპელანტი პ. ტ-ე დაქორწინდნენ.

14. დაქორწინებამდე, 2004 წლის 13 ოქტომბერს პ. ტ-ემ შეიძინა ოზურგეთში, ე-ის ქ. №...-ში მდებარე უძრავი ქონება საკადასტრო კოდით №....

15. მ. კ-ე გარდაიცვალა 2014 წლის 22 იანვარს, ხოლო პ. კ-ემ სასამართლოში სარჩელი აღდრა 2014 წლის 7 აგვისტოს.

16. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა 1985 წლის 23 იანვრისათვის მოქმედი საქართველოს საქორწინო და საოჯახო კოდექსის 101-ე, 109-ე, 113-ე მუხლებით, ასევე ამჟამად მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 1244-ე მუხლით და დადგენილად მიიჩნია, რომ ქობულეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, ანუ იმ პერიოდისათვის უფლებამოსილმა ორგანომ, მ. კ-ეს ნება დართო შვილად აეყვანა პ. კ-ე. ამის შესაბამისად, იმავე დღეს, ე.ი. 1985 წლის 23 იანვარს მ. კ-ესა და პ. კ-ე შორის შვილება წარმოიშვა.

17. პალატამ აღნიშნა, რომ შვილების ნამდვილობაზე გავ-

ლენას ვერ მოახდენს ის, რომ გადაწყვეტილების თანახმად, სარეგისტრაციო მონაცემებში პ. კ-ის მშობლებად ისევ ბიოლოგიური მშობლები უნდა ყოფილიყვნენ რეგისტრირებულნი. პირი-ქით, საქართველოს საქორნინო და საოჯახო კოდექსის 112-ე მუხლის თანახმად, მშვილებელი ნაშვილების მშობლად შეიძლებოდა ჩაწერილიყო, მხოლოდ მისივე თხოვნით. ეს კი ნიშნავს, რომ თხოვნის არარსებობის შემთხვევაში, ნაშვილების მშობლებად რეგისტრირებულნი ისევ ბიოლოგიური მშობლები რჩებოდნენ. მსგავსი წესია დადგენილი დღეს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 1258-ე მუხლითაც.

18. ამრიგად, შვილების ფაქტის დადგენის ნაწილში, სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არსებითად სწორად მიიჩნია.

19. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ რაიონულმა სასამართლომ მ. კ-ე შეცდომით მიიჩნია სადაც უძრავი ქონების თანამესაკუთრებული მათგანის უკუთხოდა დაქორწინებამდე და აღნიშნა, რომ მ. კ-ე და ბ. ტ-ე დაქორწინდნენ 2007 წლის 11 ივლისს, ხოლო სადაც ქონება ბ. ტ-ემ შეიძინა 2004 წლის 13 ოქტომბერს, ე.ი. დაქორწინებამდე.

21. ზემოხსნებული ნორმის საფუძველზე, პალატამ სადაც კონკრეტული მენეჯერის მენეჯერის მიმდევარი და მიმდევარი მიიჩნია.

22. სააპელაციო სასამართლომ ასევე იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1163-ე მუხლით და განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, პ. კ-ეს უნდა დაემტკიცებინა, რომ 2007 წლის 11 ივლისის შემდეგ გაწეული ხარჯის შედეგად სადაც ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზარდა.

23. პალატამ მიიჩნია, რომ ამ ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები პ. კ-ეს სასამართლოსთვის არ წარუდგენია.

24. რაიონული სასამართლოს სხდომაზე დაკითხულ მოწმე-თაგან მ. კ-ემ, ნ. გ-ამ, კ. რ-ამ, დ. დ-ემ, ც. ჩ-ემ, ნ. იმ-ემ, რ. ცი-ემ, ხ. კ-მა, ი. კ-ემ და კ. ა-მა ჩვენება მისცეს მ. კ-ისა და პ. კ-ის ურთიერთობის თაობაზე. ამ მოწმეთა ჩვენებები სადაც ქონებაზე განეულ ხარჯებს არ ეხება და, მეტიც, თითქმის ყველა მათგანმა განაცხადა, რომ ოზურგეთში გადასვლის შემდეგ მხა-

რეთა საცხოვრებელი პირობები მათთვის უცნობი იყო.

25. სადავო ქონებაზე გაწეულ ხარჯს ეხება თ. გ-ის, მ. წ-სა და ჟ. ჩ-ის ჩვენებები, თუმცა მოსარჩელის პოზიციას არც ეს მტკიცებულებები ადასტურებს.

26. ასე, მაგალითად, თ. გ-ემ განმარტა, რომ „2006-2007 წლებში პ. ტ-ეს მიპქონდა სილა და ცემენტი“, ის თუ რა სამუშაოები ჩატარდა ამ მასალით, მოწმისათვის უცნობი იყო. მოწმის თქმით, „სახლის მშენებლობის ამბავი არ იცოდა, რადგან არ აინტერესებდა“.

27. მოწმე მ. წ-ემ, მართალია, განმარტა, რომ სახლის შეძენის შემდეგ, ნინა მხარე ჩამოიშალა და შეკეთდა, ხოლო შემდეგ ეზოში ნაგებობა ჩ-მა ააშენა, თუმცა მისი თქმით, ეს დაახლოებით, 2005-2006-2007 წლებში მოხდა (ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 26 ნოემბრის სხდომის ოქმი: 14:34:34-14:35:20).

28. სააპელაციო პალატის განმარტებით, მხოლოდ მოწმის, ჟ. ჩ-ის ჩვენებიდან გამომდინარეობს, რომ სამშენებლო სამუშაოების ნაწილი 2008 წელს შესრულდა. თუმცა, პალატამ აქვე აღნიშნა, რომ მოწმეს ეს პირდაპირ და ერთმნიშვნელოვნად არ უთქვამს. ჟ. ჩ-მა განმარტა, რომ „სადავო ტერიტორიაზე 2008 წელს მივიდა. ნინა მხარეს იყო შენობა, რომელიც დაიშალა და იმის ფონზე გააკეთეს აფთიაქი და სწორედ ამ შენობის თაობაზე დადო მან გარიგება“.

29. სასამართლოს აზრით, აღნიშნული მოწმის ჩვენებით არც ნაგებობის აშენების დრო და არც ის გარემოება ირკვევა, თუ ვინ ააშენა იგი. თუმცა, ასეც რომ არ იყოს, მოსარჩელეს არ მიუთითებია და დაუსაბუთებია, რამდენად და როგორ გაიზარდა მთელი სადავო უძრავი ქონების ღირებულება ეზოში სამეურნეო ფართის აგებით.

30. პალატამ აღნიშნა, რომ ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალური საკუთრების ქცევა მეუღლეთა თანასაკუთრებად, ამ ქონების წილზე პირვანდელი მესაკუთრის უფლებების დაკარგვას იწვევს. ამიტომ, ამგვარი დასკვნის გამოტანისათვის მნიშვნელოვანი და უტყუარი მტკიცებულებებია საჭირო. მსგავსი მტკიცებულებები კი, პ. კ-ეს სასამართლოსთვის არ წარუდგენია. მეტიც, ნაგებობა, რომელიც, სავარაუდო, 2008 წელს აშენდა, საჯარო რეესტრში რეგისტრირებულიც კი არ არის – საჯარო რეესტრის ამონანერის მიხედვით, რეესტრში რეგისტრირებულია მხოლოდ ის შენობები, რომლებიც პ. ტ-ემ 2004 წლის 13

ოქტომბერს შეიძინა.

31. ამის შესაბამისად, პალატის აზრით, ის გარემოება, რომ მ. კ-ისა და ბ. ტ-ის დაქორწინების შემდეგ სადავო ქონების ღირებულება, მასზე განცული ხარჯების შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა, პ. კ-ემ ვერ დაამტკიცა. ამიტომ, მ. კ-ე სადავო ქონების თანამესაკუთრე არ გამხდარა.

32. სააპელაციო სასამართლოს აზრით, პ. კ-ის დაზუსტებულ სარჩელში მითითებული პოზიცია დადასტურებულად არ ითვლება, მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხეს მასზე შესაგებელი არ წარუდგენია.

33. პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ პ. კ-ემ თავდაპირველად სარჩელი აღძრა 2014 წლის 7 აგვისტოს. სარჩელი სასამართლომ წარმოებაში მიიღო და მოპასუხეს შესაგებლის წარსადგენად 7 დღის ვადა განუსაზღვრა. სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში მოპასუხემ სარჩელზე შესაგებელი წარადგინა.

34. ამის შემდეგ, 2014 წლის 30 სექტემბერს პ. კ-ემ სასამართლოს მიმართა ე.წ. დაზუსტებული სარჩელით, რომელშიც თავისი მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლები შეცვალა.

35. პირველი იხსტანციის სასამართლომ სარჩელის საფუძვლების შეცვლა დასაშვებად მიიჩნია, თუმცა ეს სარჩელი მოპასუხისათვის არ გადაუგზავნია და არც შესაგებლის წარდგენისთვის განუსაზღვრავს ვადა.

36. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოპასუხე ვალდებულია წარუდგინოს სასამართლოს თავისი პასუხი (შესაგებელი), მხოლოდ სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღების შემდეგ და სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში.

37. რადგან სასამართლოს მოპასუხისათვის არც ე.წ. დაზუსტებული სარჩელი გაუგზავნია და არც შესაგებლის წარდგენისათვის განუსაზღვრავს ვადა, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მოპასუხე არ იყო ვალდებული დაზუსტებულ ფაქტობრივ გარემოებებზე წარედგინა წერილობითი პასუხი. მას შეეძლო მოსარჩელის მიერ დაზუსტებულ ფაქტებს შეცილებოდა სასამართლოს სხდომაზე, რაც განახორციელა კიდეც. ამის შესაბამისად, მოპასუხის შეცილება დასაშვები იყო.

38. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე, 1424-ე, 1319-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ მ. კ-ის სამკვიდრო გაიხსნა 2014 წლის 22 იან-

ვარს. პ. კ-ეს კი არ მიუთითებია, რომ სამკვიდროს გახსნიდან ექვსი თვის განმავლობაში, ე.ი. 2014 წლის 22 ივლისამდე რაიმე სახით მიიღო მ. კ-ის სამკვიდრო, ან რომ ჰქონდა სამკვიდროს მიღების ვადის გადაცილების საპატიო მიზეზი.

39. საქართველოს ოუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2014 წლის 30 ოქტომბრის ცნობით პალატამ დაადგინა, რომ ოზურგეთში, ე-ის ქ. №...-ში პ. კ-ე რეგისტრაციდან მოიხსნა 2012 წლის 23 იანვარს, ხოლო 2013 წლის 10 ოქტომბერს იგი დარეგისტრირდა სოფელ ბ-ში. ამ რეგისტრაციის საფუძველი მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრება გახდა. საქმის მასალებიდანაც ჩანდა, რომ ამ მისამართზე ცხოვრობს პ. კ-ე დღესაც.

40. ამრიგად, სასამართლომ აღნიშნა, რომ მ. კ-ე სადავო ქონების თანამესაკუთრედაც რომ ჩაითვალოს, მისი სამკვიდროს მიღების ფაქტი პ. კ-ემ ვერ დაამტკიცა.

41. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე პ. კ-ემ შეიტანა საკასაციო საჩივარი და მითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი დასაბუთებით:

42. სააპელაციო სასამართლომ სადავო უძრავი ქონება არ მიიჩნია ბ. ტ-ისა და მ. კ-ის თანასაკუთრებად, ვინაიდან აღნიშნული ქონება საჯარო რეესტრში ბ. ტ-ის სახელზე რეგისტრირებული იყო 2004 წლიდან, ხოლო ბ. ტ-ე და მ. კ-ე ქორწინებაში იმყოფებოდნენ 2007 წლიდან. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ქორწინების შემდეგ ქონების ღირებულების გაზრდისა და მის საფუძველზე ქონების თანასაკუთრებად მიჩნევის თაობაზე ვერ დადასტურდა. აქვე მიუთითა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელის მიერ წარდგენილ დაზუსტებულ სარჩელზე მხარეს შესავებელი არ წარუდგენია, სასამართლოს ფაქტობრივი გარემოებები არ უნდა მიეჩნია დადგენილად, რადგან საქმეში არ იდო მოპასუხისათვის დაზუსტებული სარჩელის ჩაბარების დასტური.

43. კასატორის აზრით, სასამართლომ არასწორად განმარტა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ.

44. მოსარჩელის მიერ სასამართლოში თავდაპირველად წარდგენილ სარჩელში არ იყო მითითებული მეუღლეთა ქორწინების პერიოდში სადავო ქონების ღირებულების გაზრდის შესახებ. აღნიშნული გარემოება მოსარჩელემ მიუთითა დაზუსტე-

ბულ სარჩელში და აღნიშნა, რომ მ. კ-ე და ბ. ტ-ე სამოქალაქო ქორწინებაში იყვნენ 2007 წლიდან. მათი ქორწინების პერიოდში მოხდა სადავო საცხოვრებელი სახლის ღირებულების მნიშვნელოვანი გაზრდა. კერძოდ, გაკეთდა ფასადი, შეიცვალა ფანჯრები, შეიღება და კეთილმოენყო საცხოვრებელი ოთახები და სათავსოები, აშენდა შენობა და ა.შ.

45. დაზუსტებული სარჩელი მოწინააღმდეგე მხარეს გადაეცა მოსარჩელის მიერ. მოთხოვნის გაზრდისა და დაზუსტებული სარჩელის წარმოებაში მიღების თაობაზე მხარეს ეცნობა სასამართლო სხდომის დაწყების ნინ, თუმცა პრეტენზია არ განუცხადებია დაზუსტებული სარჩელის მისთვის გადაუცემლობის შესახებ, ასევე არ მოუთხოვია დაზუსტებული სარჩელის გადაცემა და საპროცესო ვადის მიცემა მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების გასაბათილებლად. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ მის მიერ წარდგენილი სააპელაციო საჩივარი არ შეიცავს არანაირ პრეტენზიას ამ საკითხთან მიმართებაში, მიუხედავად იმისა, რომ შეიცავს მსჯელობას ქონების თანასაკუთრებად აღიარებასთან დაკავშირებით.

46. შესაბამისად, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ მოპასუხეს დაზუსტებულ სარჩელზე შესაგებელი არ შეუტანია. ამასთან, მოპასუხეს შესაგებელიც რომ შეეტანა და უარყო მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებები, კასატორის განცხადებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 449-ე მუხლის მე-2 ნაწილი შესაძლებლობას აძლევდა მოსარჩელეს 5 დღის ვადაში დამატებით წარედგინა მტკიცებულებები.

47. ამრიგად, საკასაციო საჩივრის ავტორის აზრით, უზენაესმა სასამართლომ უნდა იმსჯელოს შემდეგ საკითხებზე: დაზუსტებულ სარჩელზე მოპასუხის მხრიდან შესაგებლის წარუდგენლობა უნდა მიჩნეულიყო თუ არა მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებების აღიარებად, იმ პირობებში, როდესაც სააპელაციო საჩივარი არ შეიცავდა მითითებას ოზურგეთის რაიონული სასამართლოს ან მოსარჩელის მხრიდან დაზუსტებული სარჩელის ჩაუბარებლობის შესახებ; მოპასუხეს სასამართლო სხდომაზე ეცნობა დაზუსტებული სარჩელის შესახებ და მას არ განუცხადებია მისი ჩაუბარებლობის შესახებ და არ გაუსაჩივრებია მისი წარმოებაში მიღება; შესაძლებელია თუ არა შესაგებლის წარუდგენლობა სასამართლომ მიიჩნიოს საპატი-

ოდ და პარალელურად შესაგებლის წარუდგენლობის პირობებში არ ჩათვალის სარჩელში მითითებული გარემოებები დადასტურებულად, ისე რომ არ აღუდგინოს შესაგებლის წარდგენის ვადა მოპასუხეს და გაარკვიოს მისი პოზიცია სარჩელში მითითებული გარემოების მიმართ; მოცემულ შემთხვევაში იმსჯელა თუ არა სააპელაციო სასამართლომ იმ უფლებაზე, რომელიც მოსარჩელეს მინიჭებული ჰქონდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 449-ე მუხლის მე-2 ნაწილით (რომლის მიხედვითაც, შესაგებლის მიღების შემდეგ გააჩნდა 5-დღიანი ვადა დამატებითი მტკიცებულებების წარსადგენად; დარღვეულია თუ არა მოცემულ შემთხვევაში მტკიცების ტვირთის განაწილების პრინციპი და სამოქალაქო პროცესის შეჯიბრებითობა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლი).

48. კასატორის აზრით, მოცემულ შემთხვევაში სახეზეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტებით საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პირობები.

49. სასამართლომ ასევე არასწორად შეაფასა მოწმეთა ჩვენები, რომლითაც დასტურდება უძრავი ქონების ლირებულების გაზრდა. კერძოდ, მოწმე ქ. ჩ-ის ჩვენებით, მან 2008 წელს დაამთავრა აფთიაქის მიშენება საცხოვრებელ სახლზე, რა დროსაც უკვე არსებობდა ქორწინება. ასევე სხვა მოწმეებიც მიუთითებდნენ იმას, რომ ბ. ტ-ე და მ. კ-ე ერთად არემონტებდნენ სახლს, რომელიც მანამდე ავარიულ მდგომარეობაში იყო. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ მ. კ-ე გარდაცვალებამდე 10 წლის განმავლობაში ცხოვრობდა სადაც სახლში; ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ფაქტობრივად, მ. კ-ისა და პ. კ-ის მიერ ნაყიდი სახლის რეგისტრაცია 2004 წელს მოხდა ბ. ტ-ის სახელზე მის მიერ ჩადენილი უკანონო მოქმედების შედეგად.

50. კასატორის განცხადებით, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, უძრავი ქონება მიუხედავად იმისა, თუ რომელ მეუღლეზეა რეგისტრირებული, ითვლება მათ საერთო საკუთრებად, შესაბამისად, უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მ. კ-ის სამკვიდროდან პ. კ-ისათვის წილის გამოყოფის ნაწილში უარის თქმის შესახებ. აღნიშნულის საფუძვლად სასამართლო აღნიშნავს, რომ პ. კ-ეს არ მიუმართავს წოტარისასათვის მ. კ-ის გარდაცვალებიდან 6 თვეის ვადაში. ეს გარემოება პელანტის მიერ მითითებული იყო კანონდარღვევით, რადგან ამის შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლო-

ში მას არ განუცხადებია. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასა-მართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის დარღვევით იმსჯელა ახალ გარემოებაზე და დაადგინა, რომ დარღვეული იყო სამკვიდროს მიღების 6-თვიანი ვადა.

51. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატის 2015 წლის 28 სექტემბრის განჩინებით პ. კ-ის საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებო-ბის შესამოწმებლად.

52. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატის 2016 წლის 11 მარტის განჩინებით პ. კ-ის საკასა-ციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალა-ქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება-ზე დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

53. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლე-ბის შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იური-დიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ პ. კ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუ-თაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალა-ტის 2015 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება და ძალაში დარჩეს ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

54. საკასაციო სასამართლოს შემოწმების საგანია სააპელა-ციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ნაწილში, რომ-ლითაც სააპელაციო სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტან-ციის სასამართლოს გადაწყვეტილება (ა) სადავო უძრავი ქონე-ბის $\frac{1}{2}$ ნაწილზე მ. კ-ის თანამესაკუთრედ აღიარებისა და (ბ) მო-სარჩელისათვის მ. კ-ის წილის მიეუთვნების შესახებ.

55. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამარ-თლომ დაადგინა, რომ: (ა) მოსარჩელემ სათანადო მტკიცებუ-ლებებით ვერ დაადასტურა მ. კ-ისა და პ. ტ-ის ქორნინების (2007 წლის 11 ივლისის) შემდეგ მეუღლეთა მიერ გაწეული ხარჯის შედეგად სადავო უძრავი ქონების ღირებულების მნიშვნელო-ვანი გაზრდა და შესაბამისად, მისი თანასაკუთრებად გადაქ-ცევა; (ბ) ამავე დროს, აღნიშნულის დადასტურებისა და მ. კ-ის უძრავი ქონების თანამესაკუთრედ მიჩნევის შემთხვევაშიც, მოსარჩელის მოთხოვნა მ. კ-ის წილის მიეუთვნების შესახებ ვერ

დაკმაყოფილდებოდა, რადგან მოსარჩელემ ვერ დაადასტურა სამკვიდროს მიღების ფაქტი.

56. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული საფუძვლებით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების შემოწმებისას სააპელაციო სასამართლო გასცდა სამიქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას მხოლოდ სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შეამოწმოს გადაწყვეტილება ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. კერძოდ: მოსარჩელე თავდაპირველ სარჩელში მ. კ-ის სადავო უძრავი ქონების თანამესაკუთრედ აღიარებას იმ საფუძვლით ითხოვდა, რომ აღნიშნული ქონება მ. კ-ისა და ბ. ტ-ის ქორწინებამდე მოსარჩელისა და მ. კ-ის მიერ იქნა შეძენილი. თუმცა, მოპასუხის მიერ თავდაპირველ სარჩელზე შესაგებლის წარდგენის შემდეგ (სადაც მითითებული იყო, რომ სადავო უძრავი ქონება ქორწინებამდე სწორედ ბ. ტ-ემ და არა მ. კ-ემ შეიძინა), საქმის მომზადების სტადიაზე მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნის საფუძველი შეცვალა და სადავო უძრავი ქონების თანამესაკუთრედ მ. კ-ის აღიარება დაზუსტებულ სარჩელში მოითხოვა იმ საფუძვლით, რომ მ. კ-ისა და ბ. ტ-ის დაქორწინების შემდეგ, უძრავ ქონებაზე განეული ხარჯების შედეგად, ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზარდა (კერძოდ, გაკეთდა ფასადი, შეიცვალა ფანჯრები, შეიღება და კეთილმოწყობილ იქნა ოთახები და სათავსოები, აშენდა ახალი შენობა).

57. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას გამართული სხდომების ოქმებით დასტურდება, რომ მოსარჩელის მიერ დაზუსტებულ სარჩელში მითითებულ ახალ საფუძველს – ქორწინების შემდეგ სადავო უძრავ ქონებაზე მნიშვნელოვანი ხარჯების განევასა – მოპასუხე კვალიფიციურად არ შედავებია (მან მხოლოდ ზოგადად უარყო ხარჯების განევის ფაქტი). ამავე დროს, პირველი ინსტანციის სასამართლომ მოწმეთა ჩვენებით დაადგინა, რომ მეუღლეებმა ქორწინების პერიოდში სადავო უძრავ ქონებაზე ხარჯები გასწიეს, რამაც ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გაზარდა და დააქმაყოფილ მ. კ-ის ქონების თანამესაკუთრედ ცნობის თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნა.

58. მოპასუხეს/აპელანტს სააპელაციო საჩივარში პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ქორწინების პერიოდში სადავო უძრავ ქონებაზე ხარჯების განევისა და ქონების ღირებულების

მნიშვნელოვნად გაზრდის ფაქტის არასწორად დადგენაზე არ მიუთითებია. მოპასუხე სააპელაციო საჩივარში მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ: 2004 წელს ბინა შეიძინა და გაიფორმა ბ. ტ-ემ; მ. კ-ე კი ცოლად შეირთო 2007 წელს, ე.ი. ბინის ყიდვიდან სამი წლის შემდეგ; მ. კ-ე ბინის მესაკუთრედ რეგისტრირებული არ არის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად კი, ცოლ-ქმრის საერთო საკუთრებას წარმოადგენს ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონება; ამრიგად, აპელანტის მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ შემთხვევაში ქონება თანაზიარი არ იყო, იგი სასამართლომ შუაზე გაყო და გარდაცვლილ მ. კ-ზე მიკუთვნებული წილიდან თავისი წილი მიაკუთვნა სასამართლოს მიერვე უკანონოდ, სრულიად დაუსაბუთებლად შვილად ცნობილ პ. კ-ს; შესაბამისად, არასწორია სასამართლოს მიერ სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის გამოყენებაც, რადგან უდავოდ დადგენილია, რომ ქონება თანასაკუთრებას არ წარმოადგენდა.

59. ასეთ პირობებში, როდესაც მოპასუხე ქონებაზე ხარჯების განევისა და შედეგად, ქონების ღირებულების მნიშვნელოვნად გაზრდის ფაქტს არც პირველ ინსტანციაში საქმის განხილვისას და არც სააპელაციო საჩივრით კვალიფიციურად არ შედაგებია, აღნიშნული ფაქტის დადგენის მართებულობის თვალსაზრისით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების შემოწმებით სააპელაციო სასამართლო გასცდა გადაწყვეტილების შემოწმების კანონით დადგენილ ფარგლებს.

60. საკასაციო სასამართლო იზიარებს ასევე კასატორის მითითებას და ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მოპასუხებ მოსარჩელის მიერ კანონით დადგენილ ექვსთვიან ვადაში სამკვიდროს მიუღებლობის შესახებ პირველად სააპელაციო საჩივარში მიუთითა (შესაგებელში და პირველი ინსტანციის სასამართლოში მას აღნიშნულზე არ მიუთითებია). სააპელაციო სასამართლომ კი ისე იმსჯელა ამ გარემოებაზე, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის შესაბამისად, არ შეუმოწმებია რამდენად საპატიო იყო პირველი ინსტანციის სასამართლოში მისი მიუთითებლობა, რითაც სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 83-ე მუხლებით განსაზღვრული მხარეთა შეჯიბრობითობის პრინციპი. შესაბამისად, ასევე არასწორი იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ ამ ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების შემოწმება.

61. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

62. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას შედეგად მოჰყვა არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა სადავო უძრავი ქონების 1/2 ნაწილზე მ. კ-ის თანამესაკუთრედ აღიარებისა და მოსარჩელისათვის მ. კ-ის ნილის მიკუთვნების თაობაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, რომლის დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტი). შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს.

63. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ საქმის გარემოებები სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშეა დადგენილი და საჭირო არ არის მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

64. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევის საჭიროება და იგი უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

65. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გადებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

66. მოცემულ შემთხვევაში, მოწინააღმდეგე მხარეს, ბ. ტეს პ. კ-ის სასარგებლოდ, უნდა დაეკისროს კასატორის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 300 (სამასი) ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. პ. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება;
3. ძალაში დარჩეს ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება;
4. მოპასუხე ბ. ტ-ეს დაეკისროს პ. კ-ის სასარგებლოდ მის მიერ საკასაციო ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდა;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მეუღლეთა თანასაკუთრება

განჩინება

№ას-621-588-2015

3 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ნ. ბაქაქური

დავის საგანი: უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობა, ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება

აღნერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

1.1. ნ. გ-აიამ (შემდგომში – მოსარჩელე ან მონინააღმდეგი მხარე) სარჩელი აღძრა სასამართლოში რ. გ-აიასა (შემდგომში – თავდაპირველი თანამოპასუხე, მოვალე) და სსიპ შემოსავლების სამსახურის (შემდგომში – მოპასუხე, აპელანტი ან კასატო-

რი) მიმართ და მოითხოვა ქ. აბაშაში, სადგურის მიმდებარედ არსებული, რ. გ-აიას სახელზე აღრიცხული 120.00 კვ.მ არასა-სოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული 90.00 კვმ შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი 40.01.34.1..) ½-ის მესაკუთრედ აღიარება, ასევე, სსიპ შემოსავ-ლების სამსახურის 2013 წლის 25 მაისის №... ბრძანების საფუძ-ველზე, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუ-როს საგადასახადო ოფიცირის მიერ 2013 წლის 19 ივნისს გამო-ცემული, ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ №0... აქტით და-ყადაღებული ამ ქონების (½ ნაწილის) ყადაღისაგან გათავისუფ-ლება.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ გარემოებებს: მოსარჩელე ქორწინებაში იმყოფება მოვალესთან. ქორწინების პერიოდში შეიძინეს უძრავი ქონება მდებარე ქ. აბაშაში, სადგურის მიმდე-ბარე ტერიტორიაზე, საკადასტრო კოდით 40.01.34.1..., რაც სა-ჯარო რეესტრში აღირიცხა მოვალის საკუთრებად. მეუღლეთა ქორწინების პერიოდში შეძენილი უძრავი ქონება, მოვალის სა-გადასახადო ვალდებულების გამო, სსიპ შემოსავლების სამსა-ხურის ბრძანების საფუძველზე მთლიანად იქნა დაყადაღებუ-ლი, რაც დაუშვებელია, ვინაიდან ყადაღადადებული ქონების ½ ნაწილი წარმოადგენს მოსარჩელის საკუთრებას.

2. მოპასუხეების პოზიცია:

2.1. თავდაპირველმა თანამოპასუხემ სარჩელი სრულად ცნო;

2.2. სსიპ შემოსავლების სამსახურმა მოთხოვნის შემწყვეტი შესაგებლით არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ უძრავი ნივ-თის დაყადაღება მოვალის საგადასახადო დავალიანების გამო განხორციელდა ამ სფეროს მარეგულირებელი ნორმების სრუ-ლი დაცვით. ყადაღადადებული უძრავი ქონება საჯარო რეეს-ტრში რეგისტრირებულია მოვალის სახელზე, შესაბამისად, მი-სი საკუთრების უფლება უძრავი ქონების მიმართ უდავოა. ყა-დაღადადებულ ქონებას მოვალე სამეწარმეო საქმიანობისათ-ვის იყენებდა, რაც ცნობილი იყო მოსარჩელისათვისაც. ამდე-ნად, ის წარმოადგენს ვალდებულ პირს მეუღლის მიერ ამ ქონე-ბით განხორციელებული სამეწარმეო საქმიანობის შედეგად წარ-მოშობილ ვალდებულებებზეც.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილე-ბის სარჩეოლუციის ნაწილი:

სენაკის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოსარჩელე ცნო-

ბილ იქნა ქ. აბაშიში, სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე არ-სებული, მოვალის სახელზე აღრიცხული 120 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული 90 კვ.მ შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი 40.01.34.1...) ½-ის მესაკუთრედ. ყადალისაგან გათავისუფლდა სსიპ შემოსავ-ლების სამსახურის 2013 წლის 25 მაისის №... ბრძანების საფუძველზე, სამეცნიერო და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუ-როს საგადასახადო ოფიცრის მიერ, ქონებაზე ყადალის დადე-ბის შესახებ 2013 წლის 19 ივნისს №... აქტით დაყადალებული სადაცვო უძრავი ქონება ($\frac{1}{2}$ ნაწილი).

4. აპელაციის მოთხოვნა:

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წე-სით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩი-ვარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტი-ლება დარჩა უცვლელად.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გა-ასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გა-დაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექ-სის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და მიიჩნევს, რომ იგი დაუშვებელია შემ-დეგ გარემოებათა გამო:

1. საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის დასაბუთება:

1.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-ხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნე-ლოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასა-მართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სა-სამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არ-სებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქ-მე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რო-

შელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შე-დეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გა-დაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშ-ნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც სა-კასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს. საკასა-ციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო სა-ჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითე-ბული საფუძვლით.

1.2. გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება ძირითადად იმ დასკვნებს ეფუძნება, რომ:

1.2.1. 1986 წლის 17 დეკემბრიდან მოსარჩელე ქორწინებაში იმყოფება რ. გ-აიასთან;

1.2.2. ქორწინების პერიოდში, 2003 წლის 18 ივნისს, აბაშის ადგილობრივი მმართველობის გამგეობასა და მოვალეს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შე-ძენილ იქნა უძრავი ქონება – 120.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურ-ნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული 90 კვ.მ შენობა – ნაგებობა, (საკადასტრო კოდით 40.01.34.1...), მდება-რე ქ. აბაშაში, სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე;

1.2.3. შეძენილი უძრავი ქონება საჯარო რეესტრში აღირიც-ხა მოვალის საკუთრებად;

1.2.4. თავდაპირველი თანამობასუხე (მოვალე) 1998 წლის 5 აგვისტოდან რეგისტრირებულია ინდივიდუალურ მენარმედ და სსიპ შემოსავლების სამსახურში ირიცხება გადასახადის გადამ-ხდელად. მისი საქმიანობის საგანს წარმოადგენს სურსათით ვაჭ-რობა;

1.2.5. მოვალეს ერიცხება ვადაგადაცილებული საგადასახა-დო დავალიანება 74 978.34 ლარი, რასაც ყოველდღიურად ერიც-ხება საურავი;

1.2.6. საბიუჯეტო დავალიანების გადაუხდელობის გამო, და-ვალიანების დაფარვის უზრუნველყოფის მიზნით, სსიპ შემო-სავლების სამსახურმა 2013 წლის 28 მაისს გამოსცა №... ბრძა-ნება მოვალის კუთვნილ ქონებაზე ყადალის დადების შესახებ;

1.2.7. სსიპ შემოსავლების სამსახურის 2013 წლის 28 მაისის №... ბრძანების საფუძველზე, სამეცნიელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს საგადასახადო ოფიცერმა 2013 წლის 19 ივნისს გამოსცა ქონებაზე ყადალის დადების შესახებ №... აქ-

ტი, რომლითაც დაყადაღებულ იქნა მოვალის სახელზე აღრიც-ხული სადაცო უძრავი ქონება;

1.2.8. სენაკის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 1 ოქტომბრის ბრძანებით დაკმაყოფილდა რა სსიპ შემოსავლების სამსახურის შუამდგომლობა, დადგინდა დაყადაღებული ქონების რეალიზაცია აუქციონის გზით რეალიზაციის დროისათვის არსებული დავალიანების ფარგლებში. აღნიშნული ბრძანება აღსასრულებლად მიქცეული არ არის.

1.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

1.4. საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვების წინაპირობა ვერ გახდება კასატორის შედავება იმის თაობაზე, რომ:

1.4.1. სააპელაციო პალატამ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მოთხოვნები და სააპელაციო საჩივრის ფარგლებში არ შეაფასა ამავე კოდექსის 393-ე-394-ე მუხლების დარღვევა, ხოლო 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის საწინააღმდეგოდ, დაუსაბუთებლად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები;

1.4.2. ვინაიდან მოვალეს გააჩნდა აღიარებული საგადასახადო დავალიანება საგადასახადო კოდექსის 241-ე მუხლის დაცვით განხორციელდა იმ ქონების დაყადაღება, რაც საჯარო რეესტრში მოვალის საკუთრებად იყო რეგისტრირებული და დაცულია სამოქალაქო კოდექსის 311-ე და 312-ე მუხლების შესაბამისად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის ფარგლებში სასამართლოს ჯერ დაყადაღების კანონიერებაზე უნდა ემსჯელა, ხოლო შემდგომ მიეღო გადაწყვეტილება. განსახილველი აღიარებითი სარჩელი დაუშვებელია, რადგანაც მო-

სარჩელეს ჰქონდა სრული შესაძლებლობა, გაეყო თანასაკუთრება, სარჩელის მიზანს, განსახილველ შემთხვევაში, გადასახადის გადახდისაგან თავის არიდება წარმოადგენს;

1.4.3. სააპელაციო პალატამ მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის 1151-ე და 1158-ე მუხლებზე დაყრდნობით საფუძვლიანად მიიჩნია სარჩელი, სასამართლომ ამ საკითხის თაობაზე არასწორად არ გაიზიარა სასამართლო პრაქტიკა (სუსგ №3კ/932-02), რომლის თანახმადაც, მეუღლეთა თანასაკუთრება მესამე პირის მიმართ საჯარო რეესტრში თანამესაკუთრედ რეგისტრაციისას წარმოიშობა. მოსარჩელისათვის ცნობილი იყო, რომ მისი მეუღლე სადავო ქონებას სამენარმეო საქმიანობისათვის იყენებდა, რაც განაპირობებს სწორედ მოსარჩელის ვალდებულებას მეუღლის დავალიანებაზე. ამ თვალსაზრისით სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება (სუსგ №ას-1035-1228-08). სასამართლოს მხრიდან დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნები.

1.5. საკასაციო პალატა განუმარტავს კასატორს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლი წარმოადგენს საკუთრების კონსტიტუციური უფლების წარმოშობის წინაპირობას და კანონის ძალით აღჭურავს მეუღლეს ამ უფლებით, თუკი ქონება მეორე მეუღლის მიერაა შეძენილი და ქონებრივი ნამატი რეგისტრირებული ქორწინების პერიოდს ემთხვევა, რადგანაც სწორედ ქორწინების ფაქტის რეგისტრაცია წარმოშობს ქონებრივ უფლებებს (სკ-ის 1151-ე მუხლი). განსახილველ შემთხვევაში, სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ ქონების დაყადალება საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცით განხორციელდა, თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ასეთ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლით გათვალისწინებული მესამე პირის დაცვითი ფუნქცია არ გამოიყენება, რამდენადაც სპეციალური კანონი – „საადსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი პირდაპირ ითვალისწინებს სასარჩელო წარმოების გზით მესაკუთრის უფლების დაცვის გარანტიას (აღნიშნულის თაობაზე ქვემოთ იმსჯელებს სასამართლო). განსახილველ შემთხვევაში, დავის საგანს მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების თაობაზე დადებული გარიგების ბათილობა არ წარმოადგენს, რის გამოც ვერ იქნება გაზიარებული კასატორის პრეტენზია გასაჩივრებული განჩინების სასამართლო პრაქტიკისაგან განსხვავებულობის თა-

ობაზე (იხ. სუს დიდი პალატის 09.12.2002წ. №3კ/932-02 განჩინება), რაც შეეხება კასატორის მითითებას უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 23 მარტის განჩინებაზე (საქმე №ას-1035-1228-08), საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს სამოქალაქო კოდექსის 1170-ე მუხლის დისპოზიციაზე და განმარტავს, რომ ნორმის მე-2 ნაწილით სარგებლობისათვის სავალდებულო წინაპირობას სასამართლოს მხრიდან იმის დადგენა წარმოადგენს, რომ ვალდებულება, რომელსაც მოვალეს ედავებიან, გამოყენებულია მთელი ოჯახის საერთო ინტერესებისათვის. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხეს შეგებებული სარჩელის უფლებით არ უსარგებლია, რის გამოც, მხოლოდ შესაგებლის ფარგლებში სამოქალაქო კოდექსის 1170-ე მუხლის გამოყენება დაუშვებელია.

1.6. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლით დაგენილია აღსრულების საგანზე მესამე პირის უფლების დაცის გარანტია და ნორმის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, თუ მესამე პირი ამტკიცებს, რომ მას აღსრულების საგანზე გააჩნია უფლება, მაშინ იმ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ხდება აღსრულება, მესამე პირს შეუძლია აღძრას სარჩელი. ასეთ სარჩელს სასამართლო განიხილავს სასარჩელო წარმოების წესით (სარჩელი ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ). სარჩელი ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ წარედგინება მოვალესა და კრედიტორს. აღნიშნული დანაწესი იცავს იმ პირთა უფლებებს, რომელთა საკუთრების ობიექტი გარკვეული ცდომილების შედეგად მიიჩნევა მოვალის ქონებად (აღსრულების საგნად). ასეთ ვითარებაში აღსრულების საგანზე უფლების მქონე მესამე პირი სარგებლობს უფლებამოსილებით, აღძრას სასამართლოში სარჩელი მოვალისა და კრედიტორის წინააღმდეგ და მოითხოვოს ქონების ყადაღისაგან განთავისუფლება (იხ. სუსგ-ებები: №ას-262-253-2012, 25 ივნისი, 2012 წელი; №ას-305-293-2012, 7 მაისი, 2012 წელი; №ას-1522-1529-2011, 29 დეკემბერი, 2011 წელი; №ას-1777-1755-2011, 4 ივნისი, 2012 წელი; №ას-1101-1050-2014, 6 თებერვალი, 2015 წელი).

1.7. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შე-

დეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

1.8. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას საკასაციო საჩივარი, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

2. სასამართლო ხარჯები:

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1. მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.

2. კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მეუღლეთა თანასაკუთრება; მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფა

განჩინება

№ას-569-540-2015

1 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. თოლუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე

დავის საგანი: მესაკუთრედ აღიარება, ქონების ყადაღის-
გან გათავისუფლება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ნ. მ-ი (შემდეგში მოსარჩეულე) 1997 წლის 14 იანვრიდან რე-
გისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება მოპასუხე ე. ჭ-ასთან
(შემდეგში: პირველი მოპასუხე, მოსარჩელის მეუღლე, ინდ.მე-
ნარმე ან მოვალე; იხ. ქორწინების მოწმობა).

2. ქორწინების პერიოდში, 2001 წლიდან, მოსარჩელის მეუღ-
ლე დაეუფლა ქ. ა-ი, რეინიგზის გადასასვლელის მიმდებარე ტე-
რიტორიაზე არსებულ 54.00 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო და-
ნიშნულების მიწის ნაკვეთს მასზე არსებული 54.00 კვმ. შენო-
ბა-ნაგებობით (საკადასტრო კოდით – 4.), რომელიც აბაშის მუ-
ნიციპალიტეტის მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღი-
არების მუდმივმოქმედი კომისიის 2008 წლის 28 მარტის გადაწ-
ყვეტილებით გადაეცა საკუთრებაში და საჯარო რეესტრში აღი-
რცხა მოვალის საკუთრებად.

3. უძრავი ქონების საბაზო ღირებულება, სასაქონლო ექ-
საერტიზის დასკვნის შესაბამისად, შეადგენს 17 820 ლარს.

4. პირველი მოპასუხე 2007 წლის 5 ივნისიდან რეგისტრირე-
ბულია ინდივიდუალურ მენარმედ და სსიპ შემოსავლების სამ-
სახურში ირიცხება გადასახადის გადამხდელად. მისი საქმია-
ნობის საგანს წარმოადგენს სურსათით ვაჭრობა, რისთვისაც გა-
მოყენებული ჰქონდა მის სახელზე აღრიცხული, შენობა – ნა-
გებობა.

5. ინდ.მენარმეს ერიცხება ვადაგადაცილებული საგადასა-
ხადო დავალიანება – 67516.45 ლარი, რასაც ყოველდღიურად

ემატება საურავი.

6. საბიუჯეტო დავალიანების გადაუხდელობის გამო, დავალიანების დაფარვის უზრუნველყოფის მიზნით, სსიპ შემოსავლების სამსახურმა (შემდეგში მეორე მოპასუხე, შემოსავლების სამსახური, აპელაციი ან კასატორი) 2013 წლის 27 სექტემბრს გამოსცა №0.. ბრძანება ინდ.მენარმის კუთვნილ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე, სამეცნიეროსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს საგადასახადო ოფიცერმა, 2013 წლის 13 ნოემბერს გამოსცა ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ №0.. აქტი, რომლითაც ყადაღა დაედო ინდ.მენარმის საკუთრებად რიცხულ უძრავ ქონებას (იხ. ამ განჩინების მე-2 პუნქტი).

7. სენაკის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 30 ივნისის ბრძანებით, დაკმაყოფილდა შემოსავლების სამსახურის შუამდგომლობა, დადგინდა დაყადაღებული ქონების რეალიზაცია აუქციონის გზით, რეალიზაციის დროისათვის არსებული დავალიანების ფარგლებში. აღნიშნული ბრძანება აღსასრულებლად მიქცეული არ არის.

8. ინდ.მენარმის მეუღლემ 2014 წლის 1 აგვისტოს სარჩელი აღძრა პირებით და მეორე მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა მოვალის საკუთრებად რიცხული, დაყადაღებული სადავო უძრავი ქონების $\frac{1}{2}$ ნაწილის მესაკუთრედ ცნობა და ქონების ამავე ნაწილის ყადაღისაგან გათავისუფლება; მანვე, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, მოითხოვა დაყადაღებული ქონების რეალიზაციის შეჩერება.

9. სენაკის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 2 აგვისტოს განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა და, 2013 წლის 13 ნოემბრის №0.. აქტის საფუძველზე, სადავო ქონებაზე (იხ. ამ განჩინების მე-2 პუნქტი), შეჩერდა რეალიზაცია.

10. იმავე რაიონული სასამართლოს 2014 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა და მოსარჩელე ცნობილი იქნა წინამდებარე განჩინების მე-2 პუნქტში მითითებული, პირველი მოპასუხის საკუთრებად აღრიცხული უძრავი ქონების $\frac{1}{2}$ ნაწილის მესაკუთრედ, შესაბამისად, ყადაღისაგან გათავისუფლდა სააღსრულებო ბიუროს საგადასახადო ოფიცირის 2013 წლის 13 ნოემბრის №0.. აქტით (იხ. ამ განჩინების მე-6 პუნქტი) დაყადაღებული უძრავი ქონების – დასახელებული ნაწილიც. უცვლელად დარჩა ამ განჩინების მე-9 პუნქტში მითითებული, მოსარჩელის სასარგებლოდ გამოყენებუ-

ლი უზრუნველყოფის ღონისძიება.

11. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ამ განჩინების 1-7 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და დავის მოსანესრიგებლად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სც) 1151-ე, 1158-ე, 1164-ე, 1168-ე, 183-ე, 185-ე, 312-ე მუხლები.

12. სსკ-ის 1151-ე მუხლის თანახმად, მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ საქართველოს კანონმდებ-ლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ქორნინება. ამავე კოდექსის 1158-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, მეუღლეთა მიერ ქორნინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორნინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამავე მუხლის მეორე ნაწილით კი განსაზღვრულია, რომ ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ენეოდა საოჯახო მეურნეობას, უვლიდა შეკიდებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონდა დამოუკიდებელი შემოსავალი.

13. სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებული ნორმა განსაზღვრავს მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმს, რომლითაც დადგენილია მათი უფლებები ქორნინების პერიოდში შეძენილი ქონების მიმართ. განსახილველი ნორმის მიზანს წარმოადგენს ოჯახის ინტერესების დაცვა. ივარაუდება, რომ ქორნინების პერიოდში შეძენილი ქონება შეძენილია ოჯახის გაძლიერების საერთო მიზნების უზრუნველსაყოფად, ამიტომ, დავის შემთხვევაში, ქორნინების განმავლობაში ქონების შეძენის ფაქტი (კანონით დადგენილი გამონაკლისების გარდა) საკმარისი საფუძველია საიმისოდ, რომ ეს ქონება მიჩნეული იქნეს მეუღლეთა თანასაკუთრებად.

14. დადგენილია, რომ სადაც უძრავი ქონება შეძენილია მეუღლეთა ქორნინების პერიოდში (იხ. ამ განჩინების პირველი და მეორე პუნქტები), მათივე საერთო სახსრებით, ამდენად, აღნიშნული უძრავი ქონება მეუღლეთა თანასაკუთრებაა. საქორნინო კონტრაქტი, რომელიც განსხვავებულ რეჟიმს დაადგენდა მეუღლეთა ქონებრივი უფლებების შესახებ, მხარეთა შორის გაფორმებული არ არის.

15. სსკ-ის 1159-ე მუხლის თანახმად, თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე მეუღლეებს თანაბარი უფლებები აქვთ. ამავე კოდექსის 1164-ე მუხლის თანახმად, მეუღლეთა ქო-

ნება თითოეული მეუღლის მოთხოვნით, შეიძლება გაიყოს, როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე მისი შეწყვეტის შემდეგაც, ხოლო 1168-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად დადგენილია, რომ იმ ქონების გაყოფისას, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს მეუღლეთა ნილი თანაბარია, თუ მათ შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებულ.

16. ზემოხსენებული ნორმების ანალიზის საფუძველზე, სასამართლომ დაასკენა, რომ ვინაიდან ქორწინების განმავლობაში შეძენილ უძრავ ქონებაში მეუღლეთა ნილი თანაბარია, თითოეული მათგანის ნილი უძრავი ქონებიდან უნდა განისაზღვროს ½ ნაწილით.

17. სასამართლომ სსკ-ის 183-ე, 185-ე და 1158-ე მუხლების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე, აღნიშნა, რომ მითითებულთაგან, ბოლო ნორმა, ქმნიდა იმ ნორმატიულ საფუძველს, რაც რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეს აძლევდა შესაძლებლობას, მოეპოვებინა და სათანადო წესით დაერეგისტრირებინა საჯარო რეესტრში თანასაკუთრების უფლება. თუმცა, ამ შესაძლებლობის გამოუყენებლობისა და ქორწინებაში შეძენილი ნივთის რეგისტრირებული მესაკუთრის მიერ გასხვისების შემთხვევაში, ნორმატიული საფუძვლის არსებობის მიუხედავად, პირი ვერ შეიძენს საკუთრების უფლებას უძრავ ნივთზე ან მის ნაწილზე სსკ-ის 183-ე და 185-ე მუხლების თანახმად, რაც განპირობებულია სამართალურთიერთობის სტაბილურობის, კეთილსინდისიერი შემძენის კანონით დადგენილ უფლებების დაცვის ინტერესებით. ამასთან, ვინაიდან საკუთრების უფლების რეგისტრაციის კანონისმიერი ვალდებულება ან რაიმე კონკრეტული ვადა საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის კანონმდებლობით დადგენილი არ არის, პირი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს მოახდინოს თავისი უფლების რეალიზაცია, საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით, მხოლოდ, რეგისტრირებული მესაკუთრის მიერ, საკუთრების ობიექტის განვარგვამდე.

18. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ პირველ მოპასუხეს უძრავი ნივთი არ გაუსხვისებია და ამ მხრივ რაიმე დამაბრკოლებელი გარემოება (კეთილსინდისიერი შემძენის სახით), რაც გამორიცხავდა უძრავი ნივთის მიმართ მოსარჩელის საკუთრების უფლების აღიარებას, არ არსებობდა. შესაბამისად, სსკ-ის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დადგენილი იყო პირველი მოპასუხის საკუთრებად საჯარო რეესტრში

რეგისტრირებულ მონაცემთა უფყუარობისა და სისრულის პრეზუმიცია, რომლის უზუსტობის გამო, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანით, მოსარჩევე უნდა დარეგისტრირებულიყო ამავე უძრავი ქონების ½ ნაწილის მესაკუთრედ.

19. მოსარჩელის მეორე მოთხოვნის თაობაზე (იხ. ამ განჩინების მე-8 პუნქტი) მსჯელობისას, სასამართლომ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის (შემდეგში საგადასახადო კოდექსი) 155-ე მუხლის პირველ და მე-7 ნაწილების, 238-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტის ანალიზის საფუძვლზე, განმარტა, რომ ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი საწარმოები და მენარმე ფიზიკური პირები, ვალდებული არიან მიმდინარე გადასახდელების თანხები ბიუჯეტში შეიტანონ გასული საგადასახადო წლის წლიური გადასახადის მიხედვით. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გამოიყენება საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ორინისძიებები. საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფად, დააყადალოს ქონება და მოახდინოს მისი რეალიზაცია. საგადასახადო კოდექსის 241.1-ე მუხლის თანახმად, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე დაადოს ყადაღა პირის საკუთრებაში არსებულ ან/და მის ბალანსზე რიცხულ (გარდა ლიზინგით მიღებული ქონებისა) ნებისმიერ ქონებას, აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის მოცულობის ფარგლებში. ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. იმავე მუხლის მე-11 ნაწილის თანახმად, საგადასახადო ორგანოსა და აღსრულების ეროვნულ ბიუროს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, გადასახადის გადამხდელის ქონებაზე ყადაღის დადების პროცედურების განხორციელება საგადასახადო ორგანომ შეიძლება დაავალოს აღსრულების ეროვნულ ბიუროს. ხოლო იმავე მუხლის 21-ე ნაწილის თანახმად, ამ მუხლის მე-11 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საგადასახადო ორგანო ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ – სამართლებრივ აქტს, მასში მითითებული პირის ქონებაზე ყადაღის დადების უზრუნველყოფის მიზნით, უგზავნის აღსრულების ეროვნულ ბიუროს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზ-

რუნველყოფს ქონებაზე ყადაღის დადების პროცედურების განხორციელებას.

20. გარდა ამისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ საგადასახადო ორგანოების და საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ კონტროლის განხორციელების, მათ შორის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების და სამართლდარღვევების საქმისნარმოების პროცედურები, განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბერის №994 ბრძანებით დამტკიცებული „საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამონერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართლდარღვევათა საქმისნარმოების წესით“. იმავე წესის 41-ე მუხლით დადგენილია პირის ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცედურა, რომლის თანახმად, ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება საგადასახადო ორგანოს უფროსის/მოადგილის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომლის გამოცემა და გადასახადის გადამხდელისთვის წარდგენა ხორციელდება ამ წესის მე-2 მუხლის შესაბამისად.

წესის 42-ე მუხლით კი, დადგენილია ქონებაზე ყადაღის დადების პროცედურა, რომლის თანახმად, გადასახადის გადამხდელი ან/და მისი წარმომადგენელი ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ჩაბარების შემდეგ ვალდებულია სრულად წარმოადგინოს მის საკუთრებაში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ქონების ნუსხა (ქონების დასახელებისა და ადგილმდებარეობის ზუსტი მისამართის ჩვენებით), რომელშიც უნდა მიუთითოს ის ქონებაც, რომელიც მას სხვებისაგან ეკუთვნის (42-ე მუხლის პირველი პუნქტი). საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს მარეგისტრირებელი ორგანოებიდან გადასახადის გადამხდელის ქონების შესახებ ინფორმაციის მიღებას (42-ე მუხლის მეორე პუნქტი), საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი გადასახადის გადამხდელის მიერ წარმოდგენილი, მარეგისტრირებელი ორგანოებიდან მიღებული და საგადასახადო ორგანოში არსებული მონაცემების შეს-

წავლის საფუძველზე ახორციელებს ქონებაზე ყადალის დადებას (42-ე მუხლის მესამე პუნქტი).

21. ამრიგად, მითითებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, უდავოა, რომ ყადალის დადება საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველსაყოფად დასაშვებია მხოლოდ გადასახადის გადამხდელის (მოვალის) კუთვნილ ნივთებზე.

22. სასამართლომ განმარტა, რომ დადგენილია, რომ სადავო უძრავ ქონებაზე ყადალის დადება განხორციელდა გადასახადის გადამხდელის – ინდ.მენარმის ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების გამო, რაც გამორიცხავს, მისი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, იმ პირის კუთვნილი ქონების აღწერა-დაყადაღებასა და რეალიზაციას, რომელიც გადასახადის გადამხდელს (მოვალეს) არ წარმოადგენს და საგადასახადო დავალიანებაც არ ერიცხება. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩევე არ არის გადასახადის გადამხდელი, ანუ პირი, ვინც შეიძლება პასუხი აგოს კრედიტორის (სახელმწიფო ბიუჯეტის) წინაშე. შესაბამისად, მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ნივთის დაყადაღებით მოპასუხე კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული.

23. სასამართლომ „სააღსრულებო წარმოებათა“ შესახებ საქართველოს კანონის (შემდეგში სააღსრულებო კანონი) მიზნებზეც იმსჯელა, რომლის პირველი მუხლის თანახმად, ეს კანონი ანესრიგებს საერთო სასამართლოების, ადმინისტრაციული ორგანოების (თანამდებობის პირების), არბიტრაჟის, რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიისა და მისი კომიტეტის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიღებული აქტების და ამ კანონით გათვალისწინებული აღსასრულებელი გადაწყვეტილებების აღსრულების წესსა და პირობებს. იგივე კანონი იცავს იმ პირთა უფლებებს, რომელთა საკუთრების ობიექტი გარკვეული ცდომილების შედეგად მიიჩნევა მოვალის ქონებად (აღსრულების საგნად). ასეთ ვითარებაში, აღსრულების საგანზე უფლების მქონე მესამე პირი უფლებამოსილია, აღძრას სასამართლოში სარჩელი მოვალისა და კრედიტორის წინააღმდეგ და მოითხოვოს ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება (იხ. კანონის 32-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები).

24. მოსარჩელის მოთხოვნა, სწორედ დასახელებული კანო-

ნის 32-ე მუხლით გათვალისწინებული ქონების ყადალისაგან გა-თავისუფლებას ეხებოდა. მოსარჩელე სადაცოდ ხდიდა მეუღლის – ინდ.მენარმის, საგადასახადო ვალდებულებათა აღსრულების მიზნით, მიმდინარე საადასრულებო წარმოების ფარგლებში გამოყენებულ ყადალას. მოსარჩელე უთითებდა, რომ დაყადალებული უძრავი ნივთი მისი საკუთრებაც იყო. აღსანიშნავია, რომ მესამე პირთა უფლებების დაცვის მექანიზმი, ყადალის აქტიდან ამ პირთა კუთვნილი ქონების ამორიცხვის გზით, დადგენილია, ასევე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბერის №994 ბრძანებით დამტკიცებული წესის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტით, რომლის თანახმად, საგადასახადო ორგანო ან საგადასახადო ორგანოსა და აღსრულების ეროვნულ ბიუროს შორის ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში, აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია, მესამე პირის შუამდგომლობის საფუძველზე, რომელსაც დაერთვის საკუთრების უფლების დამადასტურებელი მტკიცებულებები, ამორიცხოს მესამე პირის ქონება ქონებაზე ყადალის დადების აქტიდან.

25. სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებული ნორმები ქმნიდნენ ნორმატიულ საფუძვლებს საკუთრების კონსტიტუციური უფლების დაცვის თვალსაზრისით. ამავე ნორმებით დაცულია სამართლის ზოგადი – კანონიერების პრინციპი, რაც გამორიცხავდა კონკრეტული პირის ვალდებულების გამო, არავალდებული პირის მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ მოითხოვა ქონების ყადალისაგან გათავისუფლება, მანვე დაამტკიცა აღსრულების საგნის – დაყადალებული ნივთის ნაწილზე მისი საკუთრების უფლების არსებობა, რის გამოც ეს ნივთი უნდა გათავისუფლებულიყო ყადალისაგან, საადასრულებო კანონის 32-ე მუხლის შესაბამისად. სასამართლომ არ გაიზიარა მეორე მოპასუხის (შემოსავლების სამსახური) მითითება, რომ მოსარჩელე, როგორც მოვალის მეუღლე წარმოადგენდა ვალდებულ პირს მეუღლის (ინდ.მენარმის) მიმართ წარმოშობილ საგადასახადო ვალდებულებებზე, რის გამოც არ არსებობდა სადაცო ნივთის ყადალისაგან გათავისუფლების საფუძველი.

26. სასამართლომ აღნიშნა, რომ მეორე მოპასუხის მსჯელობა ფაქტობრივად მეუღლეთათვის სოლიდარული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე მოთხოვნას წარმოადგენდა, რომლის სამართლებრივ საფუძვლებსაც ადგენს სსკ-ის 464-ე და 1170.2

მუხლები, მაგრამ აღნიშნული სცილდებოდა განსახილველი და-ვის საგანს და მისი განხილვა მხოლოდ დამოუკიდებელი სარჩე-ლის აღძვრის შემთხვევაში იყო შესაძლებელი. უდავოა, რომ მე-ორე მოპასუხის მხრიდან სადაცო უძრავ ქონებაზე ყადალის და-დება სსკ-ის 1170.2 მუხლის საფუძველზე არ მომხდარა. უძრავ ქონებას ყადალა დაედო არა როგორც მეუღლეთა თანასაკუთ-რებაში არსებულ ქონებას, არამედ, როგორც გადასახადის გა-დამხდელის ინდ.მეწარმის კუთვნილ ქონებას.

27. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა მეორე მოპასუხემ, რომელმაც მიუთითა საგადასახადო კოდექ-სის 238-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე: „საგადა-სახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის სა-შუალებაა ქონებაზე ყადალის დადება“, ასევე სსკ-ის 311-ე და 312-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ მოვალის ქონებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაედო ყადალა და არ არსებობ-და დაყადაღებული ქონების ყადალისაგან გათავისუფლების სა-ფუძველი, მით უმეტეს, რომ მოვალეს, გააჩნდა აღიარებული საგადასახადო დავალიანება – 68 256,16 ლარი, რომელსაც ყო-ველდღე ერიცხებოდა საურავი. დაყადაღებულ უძრავ ქონებას ინდ.მეწარმე იყენებოდა სამეწარმეო საქმიანობისათვის, რაც თავისთავად ცნობილი იყო მისი მეუღლისათვისაც და ეს გარე-მოება დაადასტურა კიდეც მოსარჩელემ სასამართლო პროცეს-ზე. ამდენად, მოსარჩელე წარმოადგენდა ვალდებულ პირს მი-სი მეუღლის მიერ ამ ქონების სამეწარმეო საქმიანობის შედე-გად წარმოშობილ ვალდებულებებზეც.

28. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ამ გან-ჩინების 1-7 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებე-ბი და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებე-ბი და დასკვები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკით-ხებთან დაკავშირებით (სსსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი), შესაბამისად, არ დააკმაყოფილა მეორე მოპასუ-ხის სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა გასაჩივრებუ-ლი გადაწყვეტილება.

29. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ რაიონულმა სა-სამართლომ სავსებით სწორად შეაფასა დადგენილი ფაქტები და მართებულად მიუთითა, რომ სსკ-ის 1158-ე მუხლის პირვე-ლი ნაწილის საფუძველზე, მოსარჩელეს ეკუთვნოდა სადაცო ქო-ნების ½ ნილი. საადსრულებო კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თუ მესამე პირი ამტკიცებს, რომ მას აღ-

სრულების საგანზე გააჩნია უფლება, მაშინ იმ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ხდება აღსრულება, მე-სამე პირს შეუძლია აღძრას სარჩელი. ასეთ სარჩელს სასამართლო განიხილავს სასარჩელო წარმოების წესით (სარჩელი ყადალისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ). სსკ-ის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად კი, თუ საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა ხდება ნივთის ამოღების ან მისი ჩამორთმევის გარეშე, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ხელის შემშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა. თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით.

30. სასამართლომ აღნიშნა, რომ დადგენილი იყო მოსარჩელის თანასაკუთრების უფლება სადავო ქონებაზე და ამ უფლების ხელყოფა სადავო ყადალით, ამიტომ, ქონების ყადალისგან გათავისუფლების თაობაზე, მოსარჩელის მოთხოვნა კანონიერი იყო და რაიონულმა სასამართლომ მართებულად დააკმაყოფილა იგი.

31. სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მტკიცება იმის თაობაზე, რომ ქონების ყადალისაგან გათავისუფლება დაუშვებელი იყო, რადგან მასზე ყადალის დადება კანონიერად მოხდა.

32. სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, დავის საგანი იყო არა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტის კანონიერება, არამედ მესაკუთრის უფლებების დაცვა დაუშვებელი ხელყოფისაგან. ამის გამო, იმ საკითხს, რამდენად იყო უფლებამოსილი საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელი განეხორციელებინა საადსრულებო მოქმედება, ამ დავის გადაწყვეტილავის მნიშვნელობა არ ჰქონდა.

33. სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მტკიცება, რომ უძრავ ნივთზე მის მიერ გამოყენებულ საჯარო-სამართლებრივ შეზღუდვას იცავდა საჯარო რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმეცია. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ რაიონულმა სასამართლომ, ამ ნაწილშიც საესებით სწორად განმარტა სსკ-ის 185-ე და 312-ე მუხლები და აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმეციაზე შეიძლება მიუთითოს მხოლოდ იმ პირმა, ვინც ქონებას იძენს გარიგების საფუძველზე. აპელანტს კი სადავო ქონება გარიგებით არ შეუძენია. არამოვალის ქონებაზე

მიქცეულ აღსრულებას კი ზემოხსენებული დაშვება არ იცავს.

34. სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მტკიცება, რომ მოსარჩელებმ თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე უფლება დაკარგა, რადგან არ მოახდინა ამ უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში და განმარტა, რომ მოსარჩელე სადავო ქონების თანამესაკუთრე გახდა კანონის ძალით და ამ უფლების რეალიზაცია, ქორწინების განმავლობაში, ვადით შეზღუდული არ არის. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ სადავო ქონებაზე აღსრულების მისაქცევად აუცილებელი იყო, რომ აპელანტს აღეძრა სარჩელი (იხ. ამ განჩინების 25-ე პუნქტი).

35. სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ქონება ისედაც მიქცეული იყო აღსასრულებლად და ამისთვის კრედიტორის მხრიდან ცალკე სარჩელის აღძვრა საჭირო აღარ იყო. თუმცა, მიუხედავად ამისა, სასამართლოს მოსაზრებით, სადავო ქონებაზე აღსრულების მიქცევა დაუშვებელი იყო. სსკ-ის 1170-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ერთ-ერთი მეუღლის ვალის დასაფარავად გადახდევინება შეიძლება მოხდეს მისი ქონებიდან ან/და თანასაკუთრებაში მისი წილიდან, რომელსაც იგი მიიღებდა ქონების გაყიფვის შემთხვევაში. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად კი, აღნიშნული ვალების გამო, მეუღლეთა საერთო ქონებიდან გადახდევინება შეიძლება, მხოლოდ, მაშინ, თუ სასამართლო დაადგენს, რომ, რაც ვალდებულებით იყო მიღებული, გამოყენებულია მთელი ოჯახის საერთო ინტერესებისათვის.

36. სასამართლომ მიიჩნია, რომ სსკ-ის 1170-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მეუღლეთა საერთო ქონებიდან გადახდევინება დასაშვებია, თუ სასამართლო იმ ვალდებულებას, რომლის გამოც აღსრულება უნდა მოხდეს, სსკ-ის 1169-ე მუხლის საფუძველზე, მიიჩნევს მეუღლეთა საერთო ვალად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ მუხლის პირველი ნაწილის დათქმა, პრაქტიკულ აზრს დაკარგავდა.

37. ამასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ დამატებით, მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 16 ივნისის განჩინებაზე – საქმე №ას-412-389-2014, რომლითაც საკასაციო ინსტანციამ საერთო სასამართლოების ერთიან პრაქტიკასთან შესაბამისად ჩათვალა სააპელაციო სასამართლოს იდენტური განმარტება.

38. ამის გამო, სადავო ქონებაში მოსარჩელის წილზე აღსრულება შეიძლება მიქცეულიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დად-

გინდებოდა, რომ ის საგადასახადო ვალდებულება, რომლის გა-
მოც ქონებას ყადაღა დაედო, იყო მეუღლეთა (მოსარჩელისა
და მოვალის) საერთო ვალი.

39. საგადასახადო კოდექსის მე-20 მუხლის პირველი ნაწი-
ლისა და 272-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გადასა-
ხადისა და საგადასახადო საურავების გადახდის ვალდებულე-
ბა ეკისრება მხოლოდ გადასახადის გადამხდელს. ამის გამო,
ინდ.მენარმის გადასახდელი შეუძლებელია ჩაითვალოს მოვა-
ლისა და მოსარჩელის საერთო ვალად. ამიტომ, ამ ვალდებულე-
ბის გამო, საერთო ქონებაში მოსარჩელის კუთვნილ წილზე აღ-
სრულების მიქცევა დაუშვებელი იყო.

40. სააპელაციო სასამართლოს განჩინება, საკასაციო წესით
გაასაჩივრა მეორე მოპასუხემ, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახა-
ლი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის უარყოფა.

41. კასატორს დაუსაბუთებლად მიაჩნია გასაჩივრებული
განჩინება და საგადასახადო კოდექსის 238-ე მუხლის პირველი
ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და 241-ე მუხლის დანაწესზე უთითებს,
ამასთან საკასაციო პრეტენზიაში იმავე არგუმენტებზე ამახ-
ვილებს ყურადღებას, რაც სააპელაციო საჩივარში პქონდა აღ-
ნიშნული (იხ. შესაბამისად, ამ განჩინების მე-19 და 26-ე პუნ-
ქტები). კასატორი, სსკ-ის 311-ე, 312-ე მუხლებზე აპელირებს
და აღნიშნავს, რომ სასამართლოს თავდაპირველად უნდა ემ-
სჯელა სადავო ქონებაზე ყადალის დადების კანონიერების შე-
სახებ და შემდეგ უნდა მიეღო გადაწყვეტილება, რამდენად მარ-
თებული იყო მოთხოვნა სადავო ქონებაზე საკუთრების აღია-
რების თაობაზე (რაც გაზიარებული არ იქნა), მით უმეტეს, რომ
სსკ-ის 180-ე მუხლის თანახმად, აღიარებითი სარჩელის აღ-
ძერისას, მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს იმის იურიდიული ინ-
ტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილე-
ბით მოხდეს. აღიარებითი სარჩელი კი დაუშვებელია, თუ შე-
საძლებელია მიკუთვნებითი აღსრულებითი სარჩელის აღძვრა.
კასატორის მოსაზრებით, მოსარჩელის აღიარებითი სარჩელი
უსაფუძვლოა, რადგან მას პქონდა უფლება, გაეყო მეუღლეთა
საერთო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება და დაერეგის-
ტრირებინა მის საკუთრებად, ვიდრე მოხდებოდა აღნიშნულ ქო-
ნებაზე ყადაღის დადება. შესაბამისად, ვინაიდან მეუღლეთა
საკუთრება გაყოფილი არ არის, უსაფუძვლოა, ასევე, მოთხოვ-
ნა დაყადაღებული უძრავი ქონების ყადაღისაგან გათავისუფ-
ლების შესახებ, ვინაიდან, ცხადია, რომ მოსარჩელის მიზანს

წარმოადგენს მოვალის (მეუღლის) საგადასახადო ვალდებულებების თავის ასარიდებლად ქონების განრიდება.

42. კასატორი უთითებს, ანალოგიურ დავებზე საკასაციო სასამართლოს პრაქტიკაზე (საქმე № 3კ/932-02), რომელშიც სასამართლომ ხაზებსმით აღნიშნა, რომ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოიშობა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით და ამის ძირითადი მიზანია შემძების ინტერესების დაცვა. კასატორი უთითებს საკასაციო სასამართლოსეულ განმარტებაზე სსკ-ის 1158-ე მუხლთან დაკავშირებით: „მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), რაც არ უნდა განიმარტოს მარტოდენ სიტყვა-სიტყვითი აზრით. ასეთი ქონება საკუთრებად იქცევა მხოლოდ ორივე მეუღლის უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციით. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, კასატორმა, მისივე ნებით, ხელიდან გაუქვა შესაძლებლობა, საჯარო რეესტრში აღრიცხულიყო, როგორც თანამესაკუთრე“.

43. კასატორი სადავოდ ხდის, ასევე, გასაჩივრებულ განჩინებაში სსკ-ის 1170-ე მუხლის გამოყენებას და აღნიშნავს, რომ დაყადაღებული ქონებას პირველი მოპასუხე იყენებდა სამენარმეო საქმიანობისათვის, რაც ცნობილი იყო მისი შეუღლისათვის (ზოსარჩელისათვის), რაც ამ უკანასკნელმა დაადასტურა კიდეც სხდომაზე. ამდენად, კასატორს მიაჩნია, რომ მოსარჩელეც ვალდებული პირია თავისი მეუღლის სადავო ქონების სამენარმეო საქმიანობის შედეგად წარმოშობილ ვალდებულებებზე;

44. კასატორი უთითებს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 23 მარტის განჩინებაზე (№ას-1035-1228-08), რომლითაც სასამართლომ განმარტა, რომ სამენარმეო საქმიანობა მოგების მისაღებად ხორციელდება, ხოლო ოჯახის წევრის ლეგალური სამენარმეო საქმიანობა, რომლის მიზანია მოგების მიღება, ყოველთვის მიმართულია ოჯახის მატერიალური და სოციალური კეთილდღეობისაკენ და ოჯახის წევრის მიერ სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები შედის ოჯახის საერთო ინტერესებში. კასატორი უთითებს მეუღლეთა თანასაკუთრების ინსტიტუტის განსაკუთრებულობაზე, რომლითაც დაცული უნდა იქნეს არა მხოლოდ მეუღლეთა ინტერესები, არამედ მეუღლეთა მიმართ წარმოშობილი ვალდებულებებიდან გამომდინარე მესამე პირის ინტერესებიც, რათა მიღებული არ იქნეს არამართლზომიერი და უსამართლო შედეგები და თავიდან იქნეს აცილებული მესამე პირებისათვის საზია-

ნო და არაკეთილსინდისიერი, წინასწარ შეთანხმებული ქმედებები. სასამართლომ, სსსკ-ის 105-ე მუხლის საფუძველზე, მტკიცებულებები უნდა შეაფასოს შინაგანი რწმენით, საქმის გარემოებათა ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განხილვით.

45. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 5 ივნისის განჩინებით, საკასაციო განაცხადი წარმოებაშია მიღებული, სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე, დასაშვებობის შემოწმების მიზნით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის დასაშვებობის იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მეორე მოპასუხის საკასაციო საჩივარი არ აქმაყოფილებს სსსკ-ის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც იგი დაუშვებელია, შემდეგი არგუმენტაციით:

46. სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული საფუძვლები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

47. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სსსკ-ის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი ზემოთ მითითებული საფუძლით.

48. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ გან-

სხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს არსებული პრაქტიკისაგან (იხ. სუსგ-ებები: №ას-1522-1529-2011, 29.12.2011 წ.; №ას-305-293-2012, 07.05.2012 წ.; №ას-1777-1755-2011, 04.06.2012 წ.; №ას-262-253-2012, 25.06.2012 წ.; №ას-1101-1050-2014, 06.02. 2015 წ., №ას-997-877-2015, 16.02.2016წ.).

49. საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს, არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

50. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საკასაციო საჩივრი დასაშვებიც რომ ყოფილიყო, მას არა აქვს წარმატების პერსპექტივა შემდეგ გარემოებათა გამო:

ა) განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი საკასაციო საჩივრების დასაშვებობის წინაპირობაც, რომლის მიხედვითაც, საკასაციო საჩივრი დასაშვებია, თუ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;

ბ) სსსკ-ის 407.2 მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები საგალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით კასატორს ასეთი პრეტენზია არ წარმოუდგენია.

51. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეში დავის საგანს მეუღლეთა საერთო ვალების თანაბარნილად დაკისრება წარმოადგენს. მოსარჩელის მტკიცებით, მისმა დამ ბანკიდან აიღო სესხი იმ მიზნით, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს (ყოფილ მეუღლეებს) საცხოვრებელი სახლის შესაძენად გამოეყენებინათ.

52. განსახილველ შემთხვევაში, კასატორის ძირითადი პრეტენზია მდგომარეობს იმაში, რომ მოვალეს გააჩნდა აღიარებული საგადასახადო დავალიანება, რის გამოც, საგადასახადო კოდექსის 241-ე მუხლის დაცვით, განხორციელდა იმ ქონების დაყადალება, რომელიც საჯარო რეესტრში მოვალის საკუთრებად იყო რეგისტრირებული (სსსკ-ის 311-ე და 312-ე მუხლები),

შესაბამისად, სსსკ-ის 180-ე მუხლის ფარგლებში სასამართლოს ჯერ დაყადალების კანონიერებაზე უნდა ემსჯელა, ხოლო შემდეგ მიეღო გადაწყვეტილება. განსახილველი აღიარებითი სარჩელი დაუშვებელია, რადგანაც მოსარჩელეს ჰქონდა შესაძლებლობა, გაეყო თანასაკუთრება, ხოლო სარჩელის მიზანს, გადასახადის გადახდისაგან თავის არიდება წარმოადგენს; ასევე, კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ, სსკ-ის 1151-ე და 1158-ე მუხლების საფუძველზე, დასაბუთებულად მიიჩნია სარჩელი და არ გაიზიარა სასამართლო პრაქტიკა (სუსგ №3კ/932-02). ასევე, სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება (სუსგ №ას-1035-1228-08), როთაც სასამართლოს მიერ დარღვეულია სსსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნები.

53. საკასაციო სასამართლო კასატორის პრეტენზიათა საპირისპირო განმარტავს, რომ სსსკ-ის 1158-ე მუხლი წარმოადგენს საკუთრების კონსტიტუციური უფლების წარმოშობის წინაპირობას და კანონის ძალით აღჭურავს მეუღლეს ამ უფლებით, თუკი ქონება მეორე მეუღლის მიერაა შეძენილი და ქონებრივი ნამატი რეგისტრირებული ქორწინების პერიოდს ემთხვევა, რადგანაც სწორედ ქორწინების ფაქტის რეგისტრაცია წარმოშობს ქონებრივ უფლებებს (სკ-ის 1151-ე მუხლი). განსახილველ შემთხვევაში, სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ ქონების დაყადალება საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით განხორციელდა, თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ასეთ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლით გათვალისწინებული მესამე პირის დაცვითი ფუნქცია არ გამოიყენება, რამდენადაც სპეციალური კანონი – „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი პირდაპირი ითვალისწინებს სასარჩელო წარმოების გზით მესაკუთრის უფლების დაცვის გარანტიას“ (იხ. სუსგ №ას-621-588-2015წ.)

54. განსახილველ შემთხვევაში, დავის საგანს მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების თაობაზე დადებული გარიგების ბათილობა არ წარმოადგენს, რის გამოც სასამართლო არ იზიარებს კასატორის შედავებას გასაჩივრებული განჩინების სასამართლო პრაქტიკისაგან განსხვავებულობის თაობაზე (იხ. სუს დიდი პალატის 09.12.2002წ. №3კ/932-02 განჩინება), ხოლო უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 23 მარტის განჩინებაზე (საქმე №ას-1035-1228-08), კასატორის მითითების შესახებ, საკასაციო სასამართლო სსკ-ის 1170-ე მუხლის დისპო-

ზიციაზე ამახვილებს ყურადღებას და განმარტავს, რომ მოხმობილი ნორმის მე-2 ნაწილით სარგებლობისათვის, სავალდებულო წინაპირობას წარმოადგენს სასამართლოს მხრიდან იმის დადგენა, რომ ვალდებულება, რომელსაც მოვალეს ედავებიან, გამოყენებულია მთელი ოჯახის საერთო ინტერესებისათვის. „მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხეს შეგებებული სარჩელის უფლებით არ უსარგებლია, რის გამოც, მხოლოდ შესაგებლის ფარგლებში სამოქალაქო კოდექსის 1170-ე მუხლის გამოყენება დაუშვებელია“ (იხ. სუსკ №ას-621-588-2015წ.).

55. სასამართლო, სააღსრულებო კანონის 32-ე მუხლის დანაწიაზე უთითებს, რომლითაც დადგენილია აღსრულების საგანგებო მესამე პირის უფლების დაცვის გარანტია და ნორმის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, თუ მესამე პირი ამტკიცებს, რომ მას აღსრულების საგანგებო გააჩნია უფლება, მაშინ იმ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ხდება აღსრულება, მესამე პირს შეუძლია აღძრას სარჩელი. ასეთ სარჩელს სასამართლო განიხილავს სასამართლო წარმოების წესით (სარჩელი ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ). სარჩელი ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ წარედგინება მოვალესა და კრედიტორს. აღნიშვნული დანაწესი იცავს იმ პირთა უფლებებს, რომელთა საკუთრების ობიექტი გარკვეული ცდომილების შედეგად მიიჩნევა მოვალის ქონებად (აღსრულების საგნად). ასეთ ვითარებაში აღსრულების საგანგებო უფლების მქონე მესამე პირი სარგებლობს უფლებამოსილებით, აღძრას სასამართლოში სარჩელი მოვალისა და კრედიტორის წინააღმდეგ და მოითხოვოს ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება (იხ. ამ განჩინების 47-ე პუნქტში მითითება საკასაციო სასამართლოს პრაქტიკაზე).

56. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კრედიტორის წინაშე მოვალის ვალდებულება – საგადასახადო დავალიანება წარმოშვა საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე, რაც საჯარო მართლწესრიგის მოწესრიგებას განეკუთვნება და მეუღლეთა თანასაკუთრების სამართლებრივი რეჟიმის შეფასებისას ვერ გახდება მხარეთა კერძოსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის ან შეცვლის სამართლებრივი საფუძველი. ამასთან, დადგენილია, რომ სადავო ქონება მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს და მათ შორის არ ყოფილა შეთანხმება (საქორწინო კონტრაქტი – სსკ-ის 1158-ე მუხლის მე-2 ნაწილი), რაც ქონების განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმზე

მიუთითებდა და ცაკლე მსჯელობის საგანი გახდებოდა.

57. კანონმდებელი ერთმანეთისაგან მიჯნავს სსკ-ის 1170-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებს, როგორც მოთხოვნის წარმოშობის ორ დამოუკიდებელ საფუძველს, დასახელებული ნორმის მე-2 ნაწილზე, საკასაციო სასამართლომ გაამახვილა ყურადღება წინამდებარე განჩინების 53-ე პუნქტში და სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომელიც 35-ე პუნქტშია ასახული, ხოლო სსკ-ის 1170-ე მუხლის მე-3 ნაწილის წინაპირობა სრულიად განსხვავებულია და ერთ-ერთი მეუღლის დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას მეუღლეთა თანასაკუთრებიდან გადახდევინებას შესაძლებლად მიიჩნევს მხოლოდ მაშინ, თუკი განაჩენით დადგინდება, რომ ეს ქონება შეძენილია დანაშაულის ჩადენის შედეგად მიღებული სახსრებით. ამდენად, 1170-ე მუხლის მოწესრიგება მეუღლეთა თანასაკუთრებიდან გამომდინარე ერთ-ერთი მეუღლის ვალის დაფარვის სპეციალურ წინაპირობებს ადგენს, რაც განსახილველ შემთხვევაში, ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად აქვს გამოკვლეული და შეფასებული სააპელაციო სასამართლოს.

58. კასატორის პრეტენზია, როდესაც ის სსკ-ის 311-ე, 312-ე მუხლებზე აპელირებს და აღნიშნავს, რომ სასამართლოს თავდაპირველად უნდა ემსჯელა სადავო ქონებაზე ყადალის დადების კანონიერების შესახებ და შემდეგ უნდა მიეღო გადაწყვეტილება, რამდენად მართებული იყო მოთხოვნა სადავო ქონებაზე საკუთრების აღიარების თაობაზე (იხ. ამ განჩინების მე-40 პუნქტი), დასაბუთებულად გააქარწყლა სააპელაციო სასამართლომ (იხ. ამ განჩინების მე-32 პუნქტი), რასაც სრულად იზიარებს და ეთანხმება საკასაციო სასამართლო, ისევე, როგორც გასაჩივრებულ განჩინებაში განვითარებულ მსჯელობასა და დასკვნებს, რომლებიც ასახულია წინამდებარე განჩინების 27-38 პუნქტებში.

59. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

60. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას საკასაციო საჩივა-

რი, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

61. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის თანახმად კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 391-ე, 401-ე, 408.3-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;
2. კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მეუღლეთა საერთო ვალების გაყოფა

განხილვა

№ას-315-300-2016

17 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოლუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომსენებელი),
ჰ. ქათამაძე

დავის საგანი: მეუღლეთა საერთო ვალების თანაბარნილად დაკისრება

აღნერილობითი ნაწილი:

1. მ. ს-სა (შემდეგში: მოსარჩელე, მოვალე, აპელანტი ან კასატორი) და დ. ს-ს (შემდეგში: მოპასუხე ან მოწინააღმდეგე) შორის ქორწინება დარეგისტრირდა 2006 წლის 27 სექტემბერს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ, 1151-ე

მუხლი).

2. მეუღლეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება (სააქტო ჩანაწერის №მნ 0.....) შეწყდა ბოლნისის რაიონული სასამართლოს 16.12.2014ნ. გადაწყვეტილებით (სსკ-ის 1122-ე მუხლის „გ“ პუნქტი, 1123.1. მუხლი).

3. მოსარჩელის სახელზე, 2013 წლის 13 სექტემბრის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე (სსკ-ის 477-ე, 183, 311-ე მუხლები), აღირიცხა ქ. ბოლნისში, ჯ-ის ქ. №.....ში მდებარე მინის ნაკვეთი მასზე განთავსებული სახლით (ს.კ 8; შემდეგში უძრავი ქონება.) ხელშეკრულების თანახმად, ნასყიდობის საგანი გაიყიდა 18 000 აშშ დოლარად. ხელშეკრულების მე-6 პუნქტით განისაზღვრა მყიდველის ვალდებულება, მიიღონ ნასყიდობის საგანი და გადასცეს გამყიდველს ნასყიდობის თანხა ხელშეკრულებაზე ხელმოწერისთანავე.

4. მოსარჩელის საკუთრებად რიცხული უძრავი ქონება დატვირთულია პპოთეკით სს „პ-ა“-სთან 2013 წლის 01 ნოემბერს დადებული იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნა მოპასუხესთან დადებული №36-31202-000016 საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ გენერალური ხელშეკრულება (სსკ-ის 623-ე, 286-ე, 289.1. მუხლები).

5. შ. გ-ემ (შემდეგში: მოსარჩელის და), 2013 წელს, აიღო საბანკო კრედიტი სს „ს-ში“ (შემდეგში: ბანკი), რომლის საწყისი ნაშთი შეადგენდა 5470 ლარს, ხოლო გადასახდელ საპროცენტო სარგებელთან ერთად – 6814,19 ლარს. გადახდის გრაფიკის მიხედვით, ბოლო შენატანი უნდა განხორციელდეს 2016 წლის 20 სექტემბერს. 2015 წლის 22 აპრილის მდგომარეობით, მოსარჩელის დის საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების ძირითადი თანხა შეადგენდა 2 904.36 ლარს, დარიცხული პროცენტი კი – 2,31 ლარს (სსკ-ის 623-ე, 867-ე მუხლები).

6. მოსარჩელესა და მის დას შორის, 2015 წლის 21 იანვარს, გაფორმდა და სანოტარო წესით დადასტურდა ხელშეკრულება ვალის აღიარების შესახებ (სსკ-ის 341-ე მუხლი), რომლის შესაბამისად მოსარჩელემ აღიარა, რომ მას აქვს დის ვალი – 6 815 ლარი. იმავე ხელშეკრულების მე-2 პუნქტის თანახმად, მოვალეს დავალიანება კრედიტორის წინაშე წარმოეშვა 2013 წლის 11 სექტემბერს მოვალის მიერ კრედიტორისაგან უძრავი ქონების (იხ. ამ განჩინების მე-3 პუნქტი) შეძენის შედეგად დარჩე-

ნილი გადაუხდელი თანხის გამო. მე-4 პუნქტით კი მხარეები შე-თანხმდნენ, რომ მოვალე კრედიტორის ვალს გადაიხდიდა 2016 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით. ამავდროულად, მოვალე უფლებამოსილია, კრედიტორს ვალი დაუბრუნოს ვადაზე ადრე – ორი ათას თექვსმეტი წლის ოცი სექტემბრის ჩათვლით ნების-მიერ დროს, ხოლო კრედიტორი ვალდებულია დაიბრუნოს ვალი.

7. მოვალემ 2015 წლის 8 ივნისს სარჩელი აღძრა ყოფილი მეუღლის წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხისათვის ქორწინების განმავლობაში აღებული ვალის თანაბარნილად დაკისრება იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მისმა დამ (კრედიტორმა), ყოფილ მეუღლეთა თხოვნით (მათი ქორწინების განმავლობაში) აიღო ბანკიდან სესხი, რომლის ოდენობა საპროცენტო სარგებელ-თან ერთად შეადგენს 6 815 ლარს.

8. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 30 ივლის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნის უარსაყოფად მიუთითა სსკ-ის 867-ე, 349-ე, 623-ე, 624-ე, 52-ე, 47-ე და 1158-ე მუხლებზე და განმარტა, რომ მოსარჩელესა და მის დას შორის გაფორმებული ვალის აღიარების ხელშეკრულება, არ ადასტურებდა მოვალის სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის დის მიერ სესხის აღებას, რადგან დებს შორის სესხის ხელშეკრულება შედგენილია მას შემდეგ, რაც ჯერ კიდევ რეგისტრირებულ მეუღლეებს შორის (მოსარჩელე და მოპასუხე – იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი) წარმოიშვა დავა მრავალ საკითხზე, მათ შორის მეუღლეთა საერთო ვალების გაყოფის საკითხზე. სასამართლოს შეფასებით, ვალის აღიარების სანოტარო წესით დადასტურებული ხელშეკრულება, ფაქტობრივად, მოსარჩელისა და მისი დის სიტყვიერი განმარტების წერილობითი გამოხატულება იყო, რომლის ერთადერთ მიზანს, მოსარჩელის მოთხოვნის გამყარება წარმოადგენდა, შესაბამისად, სასამართლო აღნიშნულ მტკიცებულებას, სესხის ხელშეკრულების დამადასტურებელი წერილობითი მტკიცებულების ძალას ვერ მიანიჭებდა.

9. მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება – 3 407.5 ლარის მოპასუხისათვის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილება.

10. მოსარჩელემ სააპელაციო საჩივრი შემდეგ პრეტენზი-

ებზე დააფუძნა:

10.1. სასამართლომ არასწორად იმსჯელა ვალის არსებობა-არარსებობის თაობაზე, თითქოს მოპასუხეზე სესხის გადაცე-მა არ მომხდარა და ეს მხოლოდ ვალის აღიარება იყო. მოპასუ-ხეს სადავოდ არ გაუხდია აღნიშნული გარიგება და არც მისი ბათილობა მოუთხოვია, თუკი აღნიშნული გარიგება სხვა გარი-გების დასაფარად გამოყენებულად უნდა მიჩნეულიყო. სასა-მართლო სხდომაზე მოწმეებმა დაადასტურეს ვალის არსებო-ბის ფაქტი, თუმცა, სასამართლომ მათ სხვაგვარი შეფასება მის-ცა;

10.2. სასამართლომ არასწორად განმარტა ვალის აღიარების ხელშეკრულების მე-2 პუნქტი. კერძოდ, სასამართლომ კრედი-ტორად და მოვალედ მიიჩნია სხვა პირები, თითქოს ვალის არ-სებობა ეფუძნებოდა ნასყიდობის ხელშეკრულებას, რომელიც რეალურად არ არსებობს. ვალის აღიარების ხელშეკრულებაში ცალსახად განმარტებულია, რომ მოსარჩელემ ნამდვილად აი-ლო სესხი მისი დისაგან, რაც მოვალემ ბინის შესაძენად გამოი-ყენა. ვალის აღიარების ხელშეკრულება, მიზნობრივად წარმო-ადგენს მტკიცებულებას, რომელიც უნდა გახდეს სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი;

10.3. სასამართლომ არასწორად განმარტა სესხის ხელშეკ-რულების არსებობის ფაქტი და მოპასუხის სახელზე გაცემული სესხის თანხის რაოდენობაც. კერძოდ, მოპასუხის სახელზე და-ირიცხა 7 000 ლარი, დაფიქსირდა საკომისიოს – 140 ლარის გა-დახდა, ხოლო მოპასუხემ ჯერ 5 329 ლარი გაიტანა, შემდეგ – 1 500 ლარი. სასამართლომ სათითაოდ იმსჯელა აღნიშნულ თან-ხებზე და მიიჩნია, რომ მოპასუხემ მთლიანობაში მიიღო გაცი-ლებით მეტი თანხა, ვიდრე მან რეალურად მიიღო სესხის სა-ხით, რაც ბინის შესაძენად საკმარისად ჩათვალა.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატის 2016 წლის 15 თებერვლის განჩინებით სააპელა-ციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

12. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე გან-ჩინების 1-6 პუნქტები მითითებული გარემოებები და გაიზია-რა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები და შეფასე-ბები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან და-კავშირებით.

13. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 316-ე, 317-ე, 1151-ე, 1158-ე, 1169-ე, 341-ე მუხლები და დად-

გენილად მიიჩნია, რომ ბოლნისის რაიონული სასამართლოს 16.12.2014წ. გადაწყვეტილებით მოპასუხე ცნობილ იქნა მოსარჩელის სახელზე რიცხული უძრავი ქონების ½ წილის მესაკუთრედ. გადაწყვეტილება გასაჩივრებულია და არ არის კანონიერ ძალაში შესული.

14. სასამართლომ განმარტა, რომ მეუღლეთა საერთო ვალად მიჩნევისათვის აუცილებელია დადასტურდეს, რომ ვალი აღებულია ორივე მეუღლის მიერ, ან ერთი მეუღლის მიერ, მაგრამ მეორე მეუღლის თანხმობით და ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში აკისრებს კანონმდებელი პასუხისმგებლობას მეორე მეუღლეს საერთო ვალის ვაყფით.

15. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება, რომ მისმა დამ მხარეთა თხოვნით აიღო ბანკიდან სესხი და იგი მოხმარდა მოსარჩელის სახელზე რიცხული უძრავი ქონების შეძენას.

16. სასამართლომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ) მე-4, 102-ე, 105-ე მუხლებზე დაყრდნობით, აღნიშნა, რომ სამოქალაქო სამართალნარმოება შეჯიბრებითობის პრინციპზეა დამყარებული, რაც თავისთავად მიანიშნებს მხარეთა შესაძლებლობაზე, მათი მოთხოვნები, თუ ამ მოთხოვნის წინააღმდეგ წარდგენილი შესაგებლები დამაჯერებლად დაადასტურონ. მტკიცების პროცესში მხარე არ არის შეზღუდული და ის თავად წყვეტს, რომელი ფაქტით დაამტკიცოს მოთხოვნის მართებულობა, თუმცა, ვალდებულია, მითითებული ფაქტები სარწმუნო მტკიცებულებებზე დაამყაროს. გარკვეული ფაქტების დადასტურება შესაძლებელია არა ნებისმიერი, არამედ მხოლოდ კონკრეტული, სათანადო მტკიცებულებებით. სასამართლოს მიზანია, მხარეთა მიერ საქმეში წარდგენილი მტკიცებულებების ურთიერთშეჯვრებით დაადგინოს სადაცვო გარემოების არსებობა-არარსებობის ფაქტი, რა დროსაც ყოველი მტკიცებულებების სათანადობა მოწმდება სასამართლოს მიერ.

17. სასამართლომ ასევე მიუთითა მხარეთა მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთის განანილების სტანდარტზე, რომლის მიხედვით, მხარეს, რომელიც თავის მოთხოვნას, თუ შესაგებელს აფუნქშნს კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებას, ეკისრება მითითებული გარემოების მტკიცების ტვირთი. კონკრეტულ შემთხვევაში, იმ გარემოების მტკი-

ცების ტვირთი, რომ მოსარჩელის დამ, მეუღლეთა თხოვნით, აიღო ბანკიდან სესხი და იგი მოხმარდა მოსარჩელის სახელზე რიცხული უძრავი ქონების შექვნას, ეკისრებოდა სწორედ აპე-ლანტს, რომელმაც სათანადო მტკიცებულებებზე მითითებით აღნიშნული გარემოების დადასტურება ვერ შეძლო.

18. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ქვემდგომი სასა-მართლოს მსჯელობა და დაასკვნა, რომ, მოსარჩელის სასარ-გებლოდ, სესხის ხელშეკრულების დადების დამადასტურებელ საკმარის მტკიცებულებად ვერ იქნებოდა მიჩნეული მოწმეთა ჩვენებები.

19. სასამართლომ მოსარჩელის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულების – ვალის აღიარე-ბის ხელშეკრულების შეფასებისას, სსკ-ის 341-ე მუხლის საფუძ-ველზე, აღნიშნა, რომ ვალის არსებობის აღიარება ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობისაგან დამოუკიდებლად ახალ მოთხოვნას ქმნის. ვალის არსებობის აღიარება ძირითადი ვალ-დებულებითი ურთიერთობის არსებობის სადაცობის შემთხვე-ვაშიც, შესრულების ვალდებულებას წარმოშობს და კრედიტორს მოთხოვნის უფლებას ანიჭებს. ამასთან, ვალის აღიარება იმით განსხვავდება ნებისმიერი სხვა ფორმით გათვალისწინებული მოთხოვნის აღიარებისაგან, რომ იგი ახალი ხელშეკრულებაა და არა სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ნების გამოვლენა. ვალის არსებობის აღიარება არის ცალმხრივი და აბსტრაქტული ხელშეკრულება, რომლის თანახმად ერთი მხა-რე მეორე მხარის სასარგებლოდ დამოუკიდებლად კისრულობს გარკვეულ მოქმედებების შესრულებას და, ამდენად, საკმარი-სია ერთი პირის მიერ ნების გამოვლენა.

20. განსახილველ შემთვევაში პალატამ დადგენილად მიიჩ-ნია, რომ მოსარჩელემ აღიარა, რომ ჰქონდა დის ვალი – 6 815 ლარი.

21. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქვემდგომმა სა-სამართლომ სამართლებრივად სწორად შეაფასა 21.01.2015 წლის ვალის აღიარების ხელშეკრულება და შესაბამისად, გაიზიარა პირ-ველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომელიც ასახუ-ლია წინამდებარე განჩინების მე-8 პუნქტში. შესაბამისად, სასა-მართლომ მართებულად არ მიანიჭა მას ისეთი წერილობითი მტკი-ცებულების ძალა, რომელიც დაადასტურებდა მესამე პირის სა-სარგებლოდ სესხის ხელშეკრულების არსებობას.

22. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით

გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის დაკმაყოფილება.

23. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა მტკიცებულებების, კერძოდ, ქვითრების გამოთხოვის თაობაზე, რითაც დადასტურდებოდა ვალის გადახდის ფაქტი. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს განმარტება, ვალის არსებობის თაობაზე იმ მოტივით, რომ გადაწყვეტილება არ არის კანონიერ ძალაში შესული. კასატორმა მოითხოვა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების (№2ბ/436-15) დართვა საქმეზე.

24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2016 წლის 13 მაისის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი წარმოებაში მიიღო, სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, დასაშვებობის შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის დასაშვებობის იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც იგი დაუშვებელია, შემდეგი არგუმენტაციით:

25. სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: а) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

26. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სსსკ-ის 391-ე მუხლით

გათვალისწინებული არცერთი ზემომითითებული საფუძვლით.

27. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სააპელაციო სა-სამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტა-ბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ გან-სხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს არსებული პრაქტიკისაგან (იხ. სუსგ-ები: №ას-23-18-2011, 24.05.2011წ., №ას-324-208-2011, 06.06.2011წ., №ას-219-211-2013, 10.09.2013წ., №ას-525-499-2013, 08.07.2013წ., №ას-1630-1530-2012, 11.02.2013წ.).

28. საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამარ-თლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს, არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალ-საზრისით.

29. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საკასაციო სა-ჩივარი დასაშვებიც რომ ყოფილიყო, მას არა აქვს წარმატების პერსპექტივა შემდეგ გარემოებათა გამო:

ა) განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხსოფე წაწილის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი საკასა-ციო საჩივრების დასაშვებობის წინაპირობაც, რომლის მიხედ-ვითაც, საკასაციო საჩივარი დასაშვებია, თუ სააპელაციო სასა-მართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცე-სო დარღვევით, რომელსაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქ-მის განხილვის შედეგზე;

ბ) სსსკ-ის 407.2 მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამარ-თლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოე-ბები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წა-მოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენ-ზია. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით კასატორს ასეთი პრეტენზია არ წარმოუდგენია.

30. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეში დავის საგანს მეუღლეთა საერთო ვალების თანაბარნი-ლად დაკისრება წარმოადგენს. მოსარჩელის მტკიცებით, მისმა დამ ბანკიდან აიღო სესხი იმ მიზნით, რომ მოსარჩელესა და მო-პასუხეს (ყოფილ მეუღლეებს) საცხოვრებელი სახლის შესაძე-ნად გამოეყენებინათ.

31. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადასტურებულია მოსარჩევის მიერ რეგისტრირებული ქორწინების განმავლობაში უძრავი ქონების შეძენის, ასევე მოსარჩელის დის მიერ საბანკო კრედიტის აღების ფაქტები (იხ. წინამდებარე განჩინების 1,3, 5 პუნქტები). მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით, კერძოდ, მოწმეთა ჩვენებებითა და ვალის აღიარების ხელშეკრულებით, სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად არ მიიჩნია მოსარჩელის დის მიერ მოსარჩელისა და მოპასუხისათვის თანხის სესხების ფაქტი.

32. საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს საკასაციო პრეტენზიას (წინამდებარე განჩინების 23-ე პუნქტი) მოსარჩელესა და მის დას შორის სესხის ხელშეკრულების არსებობის შესახებ და იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელემ, რომლის პროცესუალურ მოვალეობას შეადგენდა სარჩელის საფუძვლად მითითებული გარემოებების დადასტურება, ვერ შეძლო მისი წილი მტკიცების ტვირთის რეალიზაცია წარდგენილი მტკიცებულებების მეშვეობით (იხ. ამ განჩინების 16-19 პუნქტები).

33. საკასაციო სასამართლო, სსკ-ის 623-ე, 624-ე მუხლებზე მითითებით და და სესხის სახელშეკრულებო-სამართლებრივ დავებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტაბილური პრაქტიკის (იხ. სუსგ-ები №ას-294-278-2011, 03.11.2011წ., №ას-127-119-2015, 22.07.2015წ.) გათვალისწინებით, განმარტავს, რომ სესხის ხელშეკრულების ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით.

34. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ 2015 წლის 21 იანვრის ვალის აღიარების ხელშეკრულება, ფაქტობრივად, წარმოადგენს მოსარჩელისა და მისი დის (მოწმის სახით დაკითხული) სიტყვიერი განმარტების წერილობით გამოხატულებას და შედგენილია უშუალოდ სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის დასადასტურებლად (იხ. წინამდებარე განჩინების 21-ე პუნქტი).

35. სააპელაციო სასამართლომ მართებულად შეაფასა მოსარჩელესა და მოწმეს (მოსარჩელის დას) შორის გაფორმებული ვალის აღიარების ხელშეკრულება და დაასკვნა, რომ აღნიშნული ხელშეკრულება სესხის ხელშეკრულების არსებობის დამადასტურებელ სარწმუნო მტკიცებულებად ვერ იქნებოდა განხილული.

36. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩ-

ნია, გასაჩივრებულ განჩინებაში დასაბუთებული მსჯელობა და სამართლებრივი დასკვნებია ასახული საქმისათვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, რაც განჩინების კანონიერებაზე მიუთითებს. აღნიშნული გამორიცხავს მოსარჩელის საკასაციო განაცხადის დასაშვებად ცნობას.

37. სსსკ-ის 401-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება ცნობილი, პირს დაუბრუნდება, მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 391-ე, 401-ე, 408.3-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ს-ის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

2. მ. ს-ს (პ/ნ 1..) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 300 ლარის (საგადახდო დავალება №3, გადახდის თარიღი 2016 წლის 29 მარტი და 2016 წლის 3 მაისი), 70% – 210 (ორას ათი) ლარი;

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. შვილების ნარმოშობის დაზიანების

დაქორწივებული მშობლებისაგან მვილის ნარმოშობის დაზიანების

განრიცხვა

№ას-307-294-2015

3 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. ბაქაქური,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: მამობის დადგენა, დაბადების სააქტო ჩანა-
წერში ცვლილებების შეტანა, ბავშვისათვის მამის გვარის მინი-
ჭება

აღწერილობითი ნაწილი:

6. ბ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხების: ზ. ზ-ისა და ა. ზ-ის მიმართ, რომლითაც მოითხოვა არასრულწლოვა-
ნი ე. ზ-ის მიმართ 6. ბ-ის მამობის დადგენა და შესაბამისი ცვლი-
ლებების შეტანა ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში, სახელ-
დობრ, ბავშვის მამის გრაფაში ზ. ზ-ის ნაცვლად 6. ბ-ის მითითე-
ბა და ე. ზ-ისათვის მამის გვარის – „ბ-ის“ მინიჭება.

სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ 2005
წლის 15 მაისს დაბადებული ე. ზ-ის დაბადების მონმობის მამის
გრაფაში არასწორადაა აღნიშნული მამა – ზ. ზ-ი. 2012 წლის 11
ივნისის სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერ-
ტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის შესაბამისად 6. ბ-ის არსე-
ბული ბიოლოგიური მასალის და ლაბორატორიაში მიღებული გე-
ნეტიკური პროფილი ერთმანეთის იდენტურია და ეკუთვნის ა.
ზ-ის შვილის – ე. ზ-ის ბიოლოგიურ მამას. ექსპერტიზის დას-
კვნაში აღნიშნული საბერძნეთის მოქალაქე V. N. და მოსარჩელე
საქართველოს მოქალაქე 6. ბ-ი არის ერთი და იგივე პიროვნება.

მოპასუხე ა. ზ-მა წარმოადგინა შესაგებელი, რომლითაც სარ-
ჩელი ცნო და მიუთითა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა დასაბუ-
თებული და საფუძვლიანია, რაც დასტურდება ექსპერტიზის
დასკვნით.

მოპასუხე ზ. ზ-მა საქმეზე წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნოდა და სადავოდ გახადა ის გარემოება, რომ მოქალაქე V. N. და ნ. ბ-ი არის ერთი და იგივე პიროვნება. მოპასუხის განმარტებით, მისთვის უცნობია თუ ვინ არის მოქალაქე V. N. და რა კავშირი აქვს მას ნ. ბ-თან. მოპასუხის მითითებით, საქმეში არ არის წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა ნ. ბ-ისა და მოქალაქე V. N.-ს იგივეობა. ასევე, არ არის წარმოდგენილი ამ უკანასკნელის მხრიდან წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის ფაქტი. მოპასუხე ზ. ზ-ის განმარტებით, ე. ზ-ი არის მისი შვილი, შესაბამისად სასარჩელო მოთხოვნა აბსურდულია და არ უნდა დაკმაყოფილდეს. მოპასუხე ზ. ზ-ი სადავოდ ხდის ექსპერტიზის ბიუროსათვის წარდგენილი ნ. ბ-ის ბიოლოგიური ნიმუშის ნამდვილობას და აცხადებს, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ წარმოდგენილი ბიოლოგიური ნიმუში ნამდვილად ეკუთვნის მოქალაქე V. N.-ს. მოპასუხის განმარტებით, ექსპერტიზის ბიუროსათვის არ მიუმართავს არც მოქალაქე V. N.-ს და არც მის წარმომადგენელს, თუმცა მიუხედავად ამისა დასკვნა მოქალაქე V. N.-ის სახელზე გაიცა. ასევე, დაუდგენელია თუ ვის ეკუთვნოდა ექსპერტიზისათვის წარდგენილი ბიოლოგიური ნიმუში. ზ. ზ-ის განმარტებით, ე. ზ-ი ექსპერტიზის ბიუროში მიიყვანა ბებიამ ქ. მ-მა, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა, რადგან ის არ არის ე-ის კანონიერი წარმომადგენელი. მოპასუხის განმარტებით, ექსპერტიზის დასკვნა მიღებულია მთელი რიგი კანონის ნორმათა დარღვევით, რის გამოც ის უნდა ამოირიცხოს მტკიცებულებათა ნუსხიდან და არ უნდა იქნეს განხილული სასამართლოს მიერ. ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებების გამო მოპასუხე ზ. ზ-ი მიიჩნევს, რომ ნ. ბ-ის სარჩელი უსაფუძლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებით ნ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. 2005 წლის 15 მაისს დაბადებული ე. ზ-ის (3/№...) მამად აღაარებულ იქნა ნ. ბ-ი (3/№..., დაბ...), რის შესახებაც შევიდა ცვლილება ე. ზ-ის დაბადების სააქტო ჩანაწერში №... (რეგისტრირებული 2005 წლის 02 ივლისს ქ. თბილისის სარის №1 განყოფილებაში). ე. ზ-ს მიერიჭა მამის გვარი – „ბ-ი“. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 იანვრის საოქმო განჩინებით ზ. ზ-ის შუამდგომლობა საქმიდან მტკიცებულების ამორიცხვის შესახებ არ დაკ-

მაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემო-ება იმის თაობაზე, რომ ა. ზ-ს ზ. ზ-თან რეგისტრირებული ქორ-ნინების პერიოდში შეეძინა შვილი – 2005 წლის 15 მაისს დაბა-დებული ე. ზ-ი. ბავშვის დაპადების მონმობაში მამის გრაფაში მიეთითა ზ. ზ-ი. 2010 წლის 22 ივნისს ა. და ზ. ზ-ები განქორწინ-დნენ.

დადგენილია, რომ მოსარჩელე ნ. ბ-ი არის ე. ზ-ის ბიოლოგიური მამა.

ასევე დადგენილია, რომ არასრულწლოვანი ე. ზ-ი დედის პა-ტიმრობის გამო ცხოვრობს ბებიასთან (დედის დედასთან) და უფროს ძმასთან (დედის მხრიდან) ერთად, ხოლო შაბათ-კვი-რას იმყოფება ზ. ზ-თან. ნ. ბ-ი ცხოვრობს საბერძნეთში.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე ზ. ზ-ის არ-გუმენტი იმის შესახებ, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, მამო-ბის დადგენა ენინააღმდეგებოდა არასრულწლოვანის ინტერ-ესებს, ვინაიდან მისთვის არაფერი იყო ცნობილი ვინმე ნ. ბ-ის შესახებ და მამად ზ. ზ-ს მიიჩნევდა. სასამართლომ მიუთითა, რომ ე. ზ-მა დედისაგან დიდი ხანია იცის, რომ მისი „ნამდვილი“ მამია იყო ნ. ბ-ი, რომელიც უყვარდა. იგი მასთან ინტერნეტის საშუალებით ურთიერთობდა. ამდენად, სასამართლომ მოპასუ-ხის ზემოთ მითითებული არგუმენტი უსაფუძვლოდ მიიჩნია. ვი-ნაიდან ე. ზ-ის დაბადების სააქტო ჩანაწერიდან ზ. ზ-ის შესა-ხებ მონაცემები ექვემდებარებოდა ამოღებას და ამის ნაცვლად მამის გრაფაში მიეთითებოდა ნ. ბ-ის შესახებ მონაცემები, ამას-თან, ბავშვის დედა – მოპასუხე ა. ზ-მა ცნო სარჩელი, სასამარ-თლომ საფუძვლიანად მიიჩნია ასევე მოსარჩელის მოთხოვნა ბავშვისათვის გვარის შეცვლისა და მისთვის ბიოლოგიური მა-მის გვარის – „ბ-ის“ მინიჭების თაობაზე.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ზ. ზ-ის მი-ერ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2015 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებით ზ. ზ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის სა-ქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება. ნ. ბ-ს უარი ეთქვა 2005 წლის 15 მაისს დაბა-დებული ე. ზ-ის მამად აღიარებაზე. ნ. ბ-ს უარი ეთქვა 2005 წლის 15 მაისს დაბადებული ე. ზ-ის დაბადების სააქტო ჩანაწერის მამის გრაფაში „ზ. ზ-ის“ ნაცვლად „ნ. ბ-ის“ მითითებაზე. ზ. ზ-ს

უარი ეთქვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 იანვრის საოქმო განჩინების გაუქმებაზე მტკიცებულების ამორიცხვაზე უარის თქმის შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის მე-8 ნაწილი, აგრეთვე მთელი რიგი საერთაშორისო ხელშეკრულებები, აგრეთვე არ გამოიყენა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტის მოთხოვნა ექსპერტიზის დასკვნის ამორიცხვაზე უარის თქმის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 21 იანვრის საოქმო განჩინების გაუქმების თაობაზე, იმ საფუძვლით, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მტკიცებულებათა ამორიცხვას, როგორც საპროცესო მოქმედებას არ ითვალისწინებს. სამოქალაქო პროცესი (102-ე და 104-ე მუხლები) კოდექსით გათვალისწინებულია მხოლოდ მტკიცებულებათა კლასიფიკაცია განკუთვნად და დასაშვებ მტკიცებულებებად.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შეჯიბრებითობისა და სამართლიანი სასამართლოს პრინციპთან დაკავშირებით თავის 2001 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებაში საქმეზე №37292/97, F.R. v. Switzerland, აბზაცი 34, განმარტა, რომ „სასამართლოს პრეცედენტული სამართლით თანასწორობის პრინციპი არის უფრო ზოგადი სამართლიანი სასამართლოს პრინციპის ერთ-ერთი ელემენტი – რომელიც მოითხოვს, რომ თითოეულ მხარეს უნდა მიეცეს გონივრული შესაძლებლობა წარმოადგინოს თავის პოზიცია ისე, რომ არ ჩადგეს არსებითად არახელსაყრელ პოზიციაში მის მოწინააღმდეგესთან მიმართებით“.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, 6. ბ-ის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მტკიცებულების – ექსპერტიზის დასკვნის – საქმიდან ამოღება, მას აუცილებლად ჩააყენებდა არსებითად არახელსაყრელ პოზიციაში, ვინაიდან მას მოესპობოდა ყოველგვარი საშუალება ემტკიცებინა თავისი სარჩელის საგანი – ბავშვის მამობა. აქედან გამომდინარე, საოქმო განჩინება უცვლელად უნდა იქნეს დატოვებული.

რაც შეეხება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამარ-

თლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2012 წლის 11 ივნისის გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნას №.., აღნიშნულის გაზიარებაზე უარის თქმის საფუძვლის არარსებობის გამო, იგი გაზიარებულ იქნა სააპელაციო სასამართლოს მიერ. თუმცა სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის მე-8 ნაწილზე, რომლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია უარი თქვას ბავშვის მამობის დადგენაზე, თუ მისი დადგენა ენინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს. სასამართლომ აგრეთვე მიუთითა გაეროს „ბავშვთა უფლებათა შესახებ“ კონვენციის მე-3 მუხლზე, რომლის თანახმად, ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი – სახელმწიფო თუ კერძო, ადმინისტრაციული თუ საკანონდებლო ორგანოები – უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების უკეთ უზრუნველყოფას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დიდი პალატის 2010 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებაში საქმეზე №41615/07 Neulinder and Shuruk v. Switzerland (აბზაცი 136) განმარტა, რომ „ბავშვის ინტერესი ორი ასპექტისაგან შედგება. ერთი მხრივ, ინტერესი მოგვიწოდებს რომ ბავშვის კავშირი ოჯახთან შენარჩუნებული იყოს გარდა იმ შემთხვევისა, როცა ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელია. აქედან გამომდინარეობს ის, რომ ოჯახური კავშირები შეიძლება განწყვეტილ იქნეს მხოლოდ გამონაკლის ვითარებაში და ყველაფერი უნდა გაკეთდეს პირველადი უთიერთობების შესანარჩუნებლად და, როცა ეს შესაძლებლია, უნდა „აღსდგეს“ ოჯახი. მეორე მხრივ, ცხადია ისიც, რომ ბავშვის ინტერესშია, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მისი განვითარება ჯანსაღ გარემოში და მშობელი არ შეიძლება აღიჭურვოს მე-8 მუხლით განსაზღვრული უფლებით იმ ღონისძიებათა განსახორციელებლად, რაც ზიანს მიაყენებს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას“.

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენდა ის გარემოება, რამდენად ხელს შეუწყობდა არასრულწლოვანი ე. ზ-ის განვითარებას და მის ინტერესებს 6. ბ-ის სარჩელის დაკმაყოფილება, ანუ ე. ზ-ის დაბადების სააქტო ჩანაწერის მამის გრაფაში 6. ბ-ის მითითება და ბავშვისათვის გვარის სახით „ზ-ის“ ნაცვლად „ბ-ის“ მინიჭება.

პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ე. ზ-ი დაბადებულია 2005 წელს, ანუ უკვე იმ ასაკისაა, როცა მას

გააჩნია თავისი პიროვნებისა და ღირსების შეგრძნება. იგი დაბადებიდან იზრდება ზ. ზ-თან და იგი მამად მიაჩნია და უყვარს, ზ. ზ-ი მას ყველა სურვილს უსრულებს. ბავშვის მამად ნ. ბ-ის მითითება არ იქნება ე. ზ-ის ინტერესების შესაბამისი. საქმის მასალებით ირკვევა, რომ ნ. ბ-ს საქართველოს სასამართლოების მიერ ნარკოტიკულ საშუალებათა განსაკუთრებით დიდი ოდენობის საერთაშორისო ტრანზიტით გადაზიდვისათვის, დამამდიმებელ გარემოებაში განზრას მკვლელეობის მომზადებისათვის და სხვ. შეფარდებული აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა, იგი თავს აფარებს საბერძნეთს და თავს არიდებს საქართველოს სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას. ასეთი პირის მითითება ბავშვის მამად ენინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მამობა არ ნიშნავს მარტოოდენ სააქტო ჩანაწერში ცვლილების შეტანას. მამობა უპირველეს ყოვლისა გამოიხატება ბავშვის სათანადო აღზრდასა და განვითარებაში, მისთვის ხელის შეწყობაში გახდეს საზოგადოების ღირსეული წევრი. პალატას მიაჩნია, რომ ზემოხსენებულ დანამაულებში მსჯავრდებული და უვადო თავისუფლების აღკვეთა შეფარდებული პირი ვერ გაუწევს ბავშვს ისეთ მამობას, რომ ეს უკანასკნელი წარჩინებულ პიროვნებად ჩამოყალიბდეს.

პალატამ აღნიშნა, რომ ნ. ბ-ის ბავშვის მამად მითითების შემთხვევებში, ზ. ზ-ი (რომლის კმაყოფაზეცა ბავშვი და რომლის ოჯახშიც იზრდება იგი) სამართლებრივად აღარ იქნება ვალდებული არჩინოს ე. ზ-ი. მისი რჩებისა და აღზრდის მოვალეობა გადავა მის სავარუდოდ რეგისტრირებულ მამასთან ნ. ბ-თან, რომელიც მის მიმართ არსებული ზემოხსენებული დევნის გამო, ფიზიკურად ვერ მოახერხებს ბავშვთან საქართველოში ჩამოსვლას. ასეთ ვითარებაში კი, გაურკვეველია, როგორ მოხდება მათ შორის მშობლისა და შეილის ურთიერთობის ჩამოყალიბება, მით უფრო, როცა ასაკის მატებასთან ერთად გაიზრდება როგორც ბავშვის საჭიროებები, ასევე ბავშვის თვითშეგნების დონე.

გარდა ამისა, როდესაც ბავშვის დედას შეფარდებული აქვს 30 წლით თავისუფლების აღკვეთა, ბავშვის მამად ნ. ბ-ის მითითებამ შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ ბავშვი დარჩება მშობლების ზრუნვისა და სიყვარულის გარეშე, რაც თავისთავად ცხადია ვერ იქნება ბავშვის ინტერესის პრიმატის გამომხატველი. აქედან გამომდინარე, პალატა მიდის იმ დასკვნამდე რომ ნ. ბ-

ის სასარჩელო მოთხოვნები ფაქტიურად ექცევიან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის ზემოხსენებული გადაწყვეტილებით განსაზღვრულ იმ იმპერატიულ რეგულირებაში, რომ „მმობელი არ შეიძლება აღიჭურვოს მე-8 მუხლით განსაზღვრული უფლებით იმ ღონისძიებათა განსახორციელებლად, რაც ზიანს მიაყენებს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას“. ყველა ამ გარემოების გათვალისწინებით პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ნ. ბ-ის მითითება ე. ზ-ის მამად ენინაალმდევებოდა ბავშვის ინტერესებს.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მე-6 აბზაცში მითითებულ ნორმატიულ აქტზე „ქორნინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ“ ევროპული კონვენციის მე-4 მუხლზე და მიიჩნია, რომ ამ ნორმით „მამობის ნებაყოფლობითი აღიარება არ შეიძლებოდა ყოფილიყო გასაჩივრებული ან ეჭვებეშ დაყუნებული თუ შიდა კანონმდებლობა ითვალისწინებდა აღნიშნულ პროცედურებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პიროვნება, რომელსაც სურს აღიარონ ან უკვე აღიარა ბავშვი არ არის ბავშვის ბიოლოგიური მამა“. სასამართლომ განმარტა, რომ ამ ნორმის შინაარსი განსაზღვრავდა მამობის საკითხის საცილოდ გახდის საკითხს, მაგრამ არ ადგენდა, რომ მარტოოდენ ბიოლოგიური მამა უნდა ყოფილიყო მითითებული ბავშვის მამად მის დაბადების სააქტო ჩანაწერებში. ამ საკითხის მოწესრიგებას კონვენცია მთლიანად უტოვებდა შიდა კანონმდებლობას, შიდა კანონდებლობა კი მოიცავდა მათ შორის სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის მე-8 ნაწილსაც, რომელიც პალატამ უკვე გამოიყენა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის 2002 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილებაში საქმეზე №53176/99 Mikulic v. Croatia განმარტა (აბზაცი 54) „რომ პირადი ცხოვრების პატივისცემა მოითხოვს, რომ ყველას ჰქონდეს შესაძლებლობა დაადგინოს თავის იდენტიფიკაციის, როგორც ინდივიდუალური ადამიანის, დეტალები და რომ პირის მისაწვდომობა ასეთ ინფორმაციასთან მნიშვნელოვანია პირის როგორც პიროვნების ფორმირების არსიდან გამომდინარე“. იმავე გადაწყვეტილების 64-ე აბზაცში სასამართლომ აღნიშნა, რომ „სასამართლოს აზრით, განმცხადებლის სიტუაციაში მყოფ პირებს აქვთ კონვენციით დაცული სასიცოცხლო ინტერესი, მიიღონ აუცილებელი ინფორმაცია მათი პიროვნული იდენტობის მნიშვნელოვანი ას-

შექტის შესახებ სიმართლის დასადგენად“. იგივე დებულება გაიმუორა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ისეთ საქმეზე, სადაც განმტხადებლი იყო არა ბავშვი, არამედ ქმედუნარიანობის შეზღუდვის გამო მეურვეობის ქვეშ მყოფი მამა (იხ. გადაწყვეტილება საქმეზე №46185/08 Kruskovic v. Croatia, აბზაცი 41).

ამდენად, კონვენციის მე-8 მუხლი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განმარტებულია ისე, რომ პირმა უნდა იცოდეს მისი ბიოლოგიური მშობლის შესახებ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, იმას, რომ ასეთი მშობელი აუცილებლად უნდა მიეთითოს პირის დაბადების სააქტო ჩანაწერში მშობლად, მით უფრო მაშინ, როცა ბავშვს უკვე ჰყავს რეგისტრირებული მშობელი, რომელიც ზრუნავს მასზე და აქტიურად მონაწილეობს მის აღზრდაში.

საქმის მასალებით, კერძოდ, სოციალური მუშავის 2013 წლის 14 ნოემბრის დასკვნით ირკვეოდა, რომ ე. ზ-მა იცის, რომ „ნამდვილი მამა“ 6. ბ-ია. ამდენად, ეს ცოდნა, პალატის აზრით, სრულიად საქმარისია იმისთვის, რომ დაცულ იქნეს კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნები პირადი ცხოვრების პატივისცემასთან, პიროვნული იდენტობასთან დაკავშირებით და იმავე ე. ზ-ის ინტერესებიდან გამომდინარე, მისი დაბადების სააქტო ჩანაწერის მამის გრაფაში ცვლილების შეტანა არაა მიზანშენონილი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება 6. ბ-მა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი ემსჯელა ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც აპელანტის მხრიდან სადაცო არ გამხდარა და რომელთაც არანაირი კავშირი არ ჰქონდა მოცემულ საქმეში დავის საგანთან. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ყველა ფაქტობრივი გარემოება, თუმცა „თავისებური“ შეფასება მისცა მათ და შესაბამისად, მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია.

კასატორის განმარტებით, სასამართლოს არ უნდა გამოეკვლია ფაქტობრივი გარემოება, იმასთან დაკავშირებით, მიადგებოდა თუ არა ზიანი არასრულწლოვანი ე. ზ-ის განვითარებასა და ინტერესებს, იმ შემთხვევაში თუ დაბადების სააქტო ჩანაწერში არაბიოლოგიური მამის ნაცვლად მიეთითებოდა ბიო-

ლოგიური მამა. კასატორი აღნიშნავს, რომ ნ. ბ-ის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი ხელს არ უშლის მას საკუთარ, ბიოლოგიურ შვილთან იურიდიული კავშირის დადგენაში.

წარმოდგენილ საკასაციო საჩივარში, კასატორი მიუთითებს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ ნ. ბ-ის მიმართ გამოიჩინა „სსსასტიკე“ და მას დაუსაბუთებლად აუკრძალა საკუთარ შვილთან იურიდიული კავშირის ქონა, მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ კასატორი სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ცნობილია დამნაშავედ ნარკოტიკულ საშუალებათა განსაკუთრებით დიდი ოდენობის საერთაშორისო ტრანზიტით გადაზიდვისათვის, დამამდიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის მომზადებისათვის და სხვა დანაშაულისათვის, რისთვისაც შეფარდებული აქვს ზუადო თავისუფლების აღკვეთა და ის იმყოფება საქართველოს ფარგლებს გარეთ სასჯელისათვის თავის არიდების მიზნით.

კასატორის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ილახება როგორც ბიოლოგიური მამის, ასევე არასრულწლოვანი შვილის კანონიერი ინტერესები, რადგან დაბადების სააქტო ჩანაწერში გაკეთებული არასწორი აღნიშვნის გამო შვილი კარგავს შესაძლებლობას თავისი ბიოლოგიური მამისგან მიიღოს სიკეთე, თუნდაც იურიდიული საფუძლების შესაბამისად. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, თითქოს ნ. ბ-ი ვერ შეძლებს მონაწილეობა მიიღოს შვილის წარჩინებულ პიროვნებად ჩამოყალიბებაში, იმის გამო, რომ ის ძებნილია და ფიზიკურად ვერ მოახერხებს შვილთან ჩამოსვლას.

კასატორის განმარტებით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ნ. ბ-ი არის კარგი მამა, მას აქვს კონტაქტი თავის შვილთან, ბავშვმა იცის, რომ ნ.ი მისი ბიოლოგიური მამაა და მას მამას ეძახის. კასატორის განმარტებით, ზ. ზ-ის ერთადერთ მიზანს წარმოადგენს ე.ის ბიოლოგიური მშობლებისათვის ზიანის მიყენება. კასატორი განმარტავს, რომ ე.ი ზ. ზ-თან კვირის განმავლობაში მხოლოდ ორ დღეს ატარებს, დანარჩენ დროს ნ. ბ-ის დახმარებით მასზე ზრუნავს თავისი ძებია, დედის დედა. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი არ იზიარებს სასამართლოს შეფასებას იმასთან დაკავშირებით, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ე.ი მზრუნველობის გარეშე დარჩება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 აპრილის განჩინებით საკასაციო სა-

ჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ აქმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით კასატორი პრეტენზიას აცხადებს არასრულწლოვანი ე. ზ-ის დაბადების სააქტო ჩანაწერში, სახელდობრ, ბავშვის მამის გრაფაში ზ. ზ-ის ნაცვლად 6. ბ-ის მითითებაზე და სასარჩელო მოთხოვნის ძირითად საფუძვლად ეყრდნობა სსიპ „ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2012 წლის 11 ივნისის გენეტიკური ექსპერტიზის №... დასკვნაზე, რომლითაც დადგენილია, რომ მოსარჩელე 6. ბ-ი არის ე. ზ-ის ბიოლოგიური მამა.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ 6. ბ-ის მიმართ გამოიჩინა „სისასტიკე“ და მას დაუსაბუთებლად აუკრძალა საკუთარ შვილთან იურიდიული კავშირის ქონა, მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ კასატორი სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ცნობილია დამნაშავედ ნარკოტიკულ საშუალებათა განსაკუთრებით დიდი ოდენობის საერთაშორისო ტრანზიტით გადაზიდვისათვის, დამამძიმებელ გარემოებაში განზრახს მკვლელობის მომზადებისათვის და სხვა დანაშაულისათვის, რისთვისაც შეფარდებული აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა და ის იმყოფება საქართველოს ფარგლებს გარეთ სასჯელისათვის თავის არიდების მიზნით.

საკასაციო პალატა პირველ რიგში, განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის მეორე კარი ეძღვნება მშობლების, შვილებისა და სხვა ნათესავების სამართლებრივ ურთიერთობას. 1198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით. ამდენად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კანო-

ნისმიერი ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგების მიზანს ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს არასრულნლოვანი ბავშვის უპირატესი ინტერესის დაცვა.

თავის მხრივ, არასრულნლოვანის „უპირატესი ინტერესი“ („main interest“) – მიიღოს მშობლებისაგან ის სამართლებრივი სიკეთე, რაც აუცილებელია მისი საზოგადოებაში ღირსეულ წევრად ჩამოყალიბებისათვის, უპირისპირდება მშობლის უფლებას – იწოდებოდეს და იურიდიულად იყოს მითითებული ბავშვის მამად. არასრულნლოვანი ბავშვის ამ ლეგიტიმური ინტერესის დაცვას ეძღვნება ეროვნული კანონმდებლობის – სამოქალაქო კოდექსის არაერთი ნორმა, ბავშვის ეს უფლება გარანტირებულია ასევე უნივერსალური საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებით, რომელებიც სახელმწიფო მხრიდან აწესებენ სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას უზრუნველყოს ბავშვის ამგვარი ინტერესის დაცულობა. აღნიშნული მოიცავს სახელმწიფოს მხრიდან არა მხოლოდ ნეგატიური ჩარევის დაუშვებლობას (რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფომ არ უნდა დაარღვიოს არასრულნლოვანისათვის კანონით მინიჭებული უფლებები), არამედ აწესებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებასაც – განახორციელოს აქტიური მოქმედებები არასრულნლოვანის უფლებებისა და კანონიერი ინტერესის დასაცავად საკანონმდებლო რეგულაციები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თავის მხრივ, სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც „სახელმწიფოს სახელით“ გამოტანილი სამართლებრივი დოკუმენტია და შეეხება არასრულნლოვანის ინტერესებს, არის სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შესრულების ყველაზე ნათელი მაგალითი. მოცემულ შემთხვევაში, სწორედ სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენს არასრულნლოვანი ე. ზ-ის კანონიერი ინტერესის მიღწევის ლეგიტიმურ მექანიზმს და სახელმწიფოს მხრიდან ნაკისრი ვალდებულების შესრულების ერთ-ერთ კომპონენტსაც. სწორედ ეს აზრია გატარებული სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის მე-8 ნაწილში, რომლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია უარი თქვას ბავშვის მამობის დადგენაზე, თუ მისი დადგენა ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს.

ამასთან, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის მე-7 ნაწილს, რომლის დანაწესით, პირს, რომელსაც აქვს დასაბუთებული ვარაუდი, რომ

თვითონ არის ბავშვის მამა, შეუძლია სადაცო გახადოს ამ მუხლის შესაბამისად სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში ბავშვის მამის შესახებ შესრულებული ჩანაწერი ერთი წლის განმავლობაში იმ დროიდან, როდესაც გაიგო ან უნდა გაეგო აღნიშნული ჩანაწერის თაობაზე.

კასატორის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ საქმის განმხილველ სასამართლოს თავისი ინიციატივით არ უნდა გამოევლია ფაქტობრივი გარემოება, იმასთან დაკავშირებით, მიადგებოდა თუ არა ზიანი არასრულწლოვანი ე. ზ-ის განვითარებასა და ინტერესებს, უსაფუძვლოა. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლი არეგულირებს განსხვავებული უფლებებისა და ინტერესების სასამართლო დაცვის წესს. ამ საქმეების მატერიალურ-სამართლებრივი ბუნება ბევრ შემთხვევაში, გავლენას ახდენს მათი განხილვის პროცედურასა და ფორმაზე.

საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეების განხილვა ცალკე თავის სახით არის გამოყოფილი, რადგან მას ახასიათებს გარკვეული თავისებურებები. ამ თავისებურებას განაპირობებს საოჯახო ურთიერთობების სპეციფიკა, რომელიც უპირატესად ატარებს პირადულ და განგრძობად ხასიათს. ერთ-ერთ ფუნდამენტურ თავისებურებას, სხვა კატეგორიის საქმეთა განხილვისაგან განსხვავებით წარმოადგენს სამძებრო პრინციპის უფრო ფართოდ გამოყენება. მართალია საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობები განეკუთვნება კერძო-სამართლებრივი ურთიერთობების სფეროს, მაგრამ ამ ურთიერთობების განვითარებითა და სიმტკიცით დაინტერესებულია მთელი საზოგადოება. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სასამართლო ინარჩუნებს უფლებას დაადგინოს ის გარემოებანი, რომელთა აუცილებლობა განაპირობებს არასრულწლოვანის ინტერესებისათვის ყველაზე კეთილსამედო გადაწყვეტილების მიღებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს, რომელიც იხილავს კონკრეტულ საოჯახო-სამართლებრივ დავას, მინიჭებული აქვს უფლება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილისა და 354-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, არ დასჯერდეს მხოლოდ მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს და თავისი ინიციატივით განსაზღვროს იმ გარემოებათა წრე, რომელთა დადგენის გარეშე

შეუძლებელია საქმის სწორად გადაწყვეტა (მტკიცების საგანი). მაშასადამე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დებულება არის სპეციალური ნორმა და მას უპირატესობა ენიჭება ამავე კოდექსის 103-ე მუხლით გათვალისწინებულ ზოგად ნორმასთან შედარებით.

ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას სასამართლოს შეუძლია:

ა) თავად განსაზღვროს მტკიცების საგანი, ე.ი. იმ გარემოებათა წრე, რომელთა დადგენის გარეშე შეუძლებელია საქმის სწორად გადაწყვეტა;

ბ) თავისი ინიციატივით გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზეც მხარეებს არ მიუთითებიათ, მაგრამ აქვთ მნიშვნელობა მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დასადგენად.

საოჯახო საქმეთა განხილვისას პროცესის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, სასამართლოს აძლევს უფლებას „წარმართოს საქმისნარმოება“, რაც ნიშნავს იმას, რომ სასამართლო არსებით გავლენას ახდენს საქმის მიმდინარეობასა და პროცესის შედეგზე. სასამართლომ საქმის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე უნდა უზრუნველყოს, რომ მხარეებმა წარადგინონ განმარტებები და შესაბამისი შუამდგომლობები. სასამართლოს აკისრია ვალდებულება, მისცეს მხარეებს განმარტებები, რომლითაც ისინი გადალახავენ დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებიდან გამომდინარე სიძნელეებს.

შეჯიბრებითობის პრინციპის პარალელურად, სასამართლოს გადაცემული აქვს პროცესის მატერიალური ხელმძღვანელობის უფლებამოსილება. თუმცა აქ დგება ამ ორი პრინციპის, მხარეთა შეჯიბრებითობისა და სასამართლოს აქტიურობის პრინციპების პროპორციის საკითხი. ამიტომაც, შეჯიბრებითობის პრინციპი არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც სასამართლოს უკიდურესი პასიურობა. საპროცესო კანონმდებლობით სასამართლოს არ ერთმევა უფლება, შესთავაზოს მხარეებს, წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები, ასე მაგალითად, მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან დავა შეეხება არასრულწლოვანის კანონიერ ინტერესებს, გადამწყვეტია, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს არასრულწლოვანს გვარის შეცვლამ და დაბადების სააქტო ჩანაწერში მამის გრაფაში ცვლილებების შეტანამ და ა.შ. აქ უპირატესია ბავშვის აღზრდის, მისი განვითარებისა და

საზოგადოებაში წარმატებული ადაპტაციისათვის აუცილებელი წინაპირობების გათვალისწინება. შესაბამისად, არასრულწლოვანთან მიმართებით ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლოს ამოსავალი წერტილი არის ბავშვის საუკეთესო ინტერესები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს უსაფუძვლოდ მიაჩნია საქმის განმხილველი სასამართლოს მხრიდან დისპოზიციურობის პრინციპის დარღვევაზე კასტორის მითითება.

ამასთან, საკასაციო პალატა მიუთითებს ბავშვთა უფლებების შესახებ 1989 წლის 20 ნოემბერის კონვენციის მე-18 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის შესაბამისად, მშობლებს ან შესაბამის შემთხვევებში, კანონიერ მეურვეებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე, ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესები წარმოადგენს მათი ზრუნვის მთავარ საგანს. ამავე კონვენციის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მშობელს (მშობლებს) ან ბავშვის სხვა აღმზრდელებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა, თავისი უნარისა და ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში უზრუნველყონ ბავშვის განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების პირობები.

1989 წლის 20 ნოემბრის ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო ოუკერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული ოუკერძო დაწესებულებები, საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას.

მშობლის პასუხისმგებლობის შესახებ ევრო საბჭოს წევრი სახელმწიფოების მინისტრთა კომიტეტის R (84) 4 რეკომენდაციის პირველი პრინციპის თანახმად, მშობლის პასუხისმგებლობა არის ვალდებულებებისა და უფლებამოსილებების ერთობლიობა რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს ბავშვის მორალური და მატერიალური კეთილდღეობა, კერძოდ, ბავშვის მოვლა, ბავშვთან პირადი ურთიერთობების შენარჩუნება, და მისი უზრუნველყოფა განათლებით, რჩენისათვის საჭირო სახსრებით, ოფიციალური წარმომადგენლობით და მისი ქონების ადმინისტრირებით.

ამავე რეკომენდაციის მე-2 პრინციპის თანახმად, უფლება-

მოსილი ორგანოს წებისმიერი გადაწყვეტილება მშობლის პასუხისმგებლობის განსაზღვრასთან ან ამ პასუხისმგებლობის განხორციელების გზებთან დაკავშირებით უპირველესად უნდა ეფუძნებოდეს ბავშვის ინტერესებს.

მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან და ზემოთმოთითებული სამართლებრივი რეგულაციებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არასრულწლოვან ე. ზ-ი, ფიზიკური და გონებრივი მოუმწიფებლობის გამო, საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვასა და მზრუნველობას. ბავშვის აღზრდა და მის კეთილდღეობაზე ზრუნვა უპირველესად მშობლების ვალდებულებას წარმოადგენს. ეს ვალდებულება გულისხმობს ბავშვისათვის ცხოვრების ისეთი პირობების შექმნას, რომელიც შეესაბამება მის საუკეთესო ინტერესებს და იმ დადგენილი ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, როგორც თავად აღნიშნავს კასატორი (კასატორის მე-2 პრეტენზია), არასრულწლოვანის ინტერესების დაცვა უკეთ მიიღწევა მისი დაბადების სააქტო ჩანაწერში მოსარჩელის სასარგებლოდ შესაბამისი ცვლილებების განხორციელების გარეშე.

ხოლო კასატორის იმ არგუმენტთან დაკავშირებით, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ილახება როგორც ბიოლოგიური მამის, ასევე არასრულწლოვანი შვილის კანონიერი ინტერესები, რადგან დაბადების სააქტო ჩანაწერში გაკეთებული არასწორი აღნიშვნის გამო, შვილი კარგავს შესაძლებლობას თავისი ბიოლოგიური მამისგან მიიღოს სიკეთე, თუნდაც იურიდიული საფუძვლების შესაბამისად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ბავშვად ითვლება ყოველი ადამიანი დაბადების მომენტიდან 18 წლის ასაკამდე. აღნიშნული კანონით განისაზღვრება ბავშვის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა. 7 წლამდე ასაკის ბავშვი ქმედუნარობა. მის უფლებას მისი კანონიერი წარმომადგენელი (მშობელი, მეურვე) ახორციელებს. 7-18 წლამდე ასაკის ბავშვი შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა და მისი ნების გამოსავლენად აუცილებელია მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, ხოლო სრულად ქმედუნარიანი კი, 18 წლის დადგომისთანავე ხდება (სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის პირველი და მეორე ნაწილი; ასევე ამავე კოდექსის მე-15 მუხლის მე-3 ნაწილი). უფრო მეტიც, ფიზიკური პირის უფლება თავად აირჩიოს სახელი გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსით, სახელდობრ, ყოველ ფიზიკურ პირს აქვს სახელის უფლება, რაც

მოიცავს სახელსა და გვარს. სახელის შეცვლა დასაშვებია. ამი-
სათვის საჭიროა პირის დასაბუთებული განცხადება, რომელიც
დადგენილი წესით უნდა განიხილოს სათანადო ორგანომ (სამო-
ქალაქო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი და მეორე ნაწილი).
აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩინია, რომ
სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილების მოქმედება,
რომლითაც დადგენილია არასრულწლოვანი ე. ზ-ის გვარი და
მის მამად მითითებულია ზ. ზ-ი, სამომავლოდ დამოკიდებულია
თავად ე. ზ-ის ნებაზე, რომელსაც, სრულწლოვანების მიღწე-
ვის დროისათვის, სამართლებრივი შესაძლებლობა ექნება კი-
დევ ერთხელ გადახედოს მითითებულ საკითხს და თავად გან-
საზღვროს იგი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართვე-
ლოს უზენაესი სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამარ-
თლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამარ-
თლებრივ შეფასებას და მიაჩინია, არ იკვეთება საკასაციო სა-
ჩივრის დასაშვებობის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-
ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებო-
ბა, ვინაიდან ნორმის დანაწესით საკასაციო საჩივარი ქონებ-
რივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე
მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვა-
ნი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელა-
ციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგო-
რიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამ-
დე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მი-
ერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით,
რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შე-
დეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე
დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გა-
დაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სააპელაციო სასამარ-
თლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპრო-
ცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ
საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქ-
მედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩი-
ვარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სა-
სამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტა-
ბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით.

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სასამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისითაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას საკასაციო საჩივარი, რის გამოც საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული, კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (300 ლარის) 70% – 210 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ბ-ის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

2. კასატორს – ნ. ბ-ს დაუბრუნდეს თ. ხ-ს მიერ 2015 წლის 08 აპრილს №...საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (300 ლარის) 70% – 210 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. მთვარის უფლებები და მოვალეობი შვილების მიმართ

შვილთან ურთიერთობის ხესის განსაზღვრა

განჩინება

№ას-876-826-2015

26 თებერვალი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: არასრულწლოვან შვილებთან ურთიერთობის
განსაზღვრა

აღწერილობითი ნაწილი:

1. გ. მ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში შ. ტ-ის მიმართ და
მოითხოვა არასრულწლოვან შვილებთან – ი. და თ. მ-ებთან ურ-
თიერთობისათვის ნახვის დღეების განსაზღვრა ყოველ თვეში
ერთი კვირით წაყვანის უფლებით.

2. მოსარჩელის განმარტებით, მას შ. ტ-სთან ქორწინებიდან
ჰყავს ორი შვილი – 2011 წლის 2 მაისს დაბადებული ი. და 2012
წლის 20 აგვისტოს დაბადებული თ. მ-ები, რომლებიც მშობლე-
ბის განქორნინების შემდგომ ცხოვრობენ დედასთან. შ. ტ-ე არ
აძლევს მამას შვილებთან ურთიერთობის საშუალებას, რაც უარ-
ყოფითად აისახება ბავშვების ფსიქიკაზე.

3. მოპასუხებ სარჩელი ცნო ნაწილობრივ და განმარტა, რომ
გ. მ-ს ჰქონდა შესაძლებლობა დღის განმავლობაში ნებისმიერ
დროს მოენახულებინა თავისი შვილები. ერთი კვირით წაყვანას
კი მოპასუხე არ დაეთანხმა იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელე
ცხოვრობდა ბოლნისში, დაბა კ-ში და ამ ვადით ბავშვების ნაყ-
ვანა გამოიწვევდა სასწავლო პროცესის გაცდენას, რაც უარყო-
ფითად აისახებოდა მათზე.

4. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 16 აპრილის
გადაწყვეტილებით გ. მ-ის სარჩელი და მასყოფილდა ნაწილობ-
რიც. გ. მ-ს შვილების, 2011 წლის 2 მაისს დაბადებული ი. მ-ისა
და 2012 წლის 20 აგვისტოს დაბადებული თ. მ-ის ნახვის დღეები

განესაზღვრა შემდეგი წესით: ნება დაერთო მამას, გ. მ-ს მოენახულებინა შვილები, ი. და თ. მ-ები ყოველი კვირის შაბათ დღეს, დილის 12 საათიდან 17 საათამდე.

5. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება საპელაციო წესით გაასაჩივრა გ. მ-მა.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით გ. მ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა: გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; გ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; გ. მ-ს შვილების, 2011 წლის 2 მაისს დაბადებული ი. მ-ის და 2012 წლის 20 აგვისტოს დაბადებული თ. მ-ის ნახვის დღეები განისაზღვრა ყოველ თვეში 1 კვირით (კერძოდ, თვის პირველი კვირა ორშაბათიდან კვირა დღის ჩათვლით) ნაყვანის უფლებით.

7. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

8. შ. ტ-ეს და გ. მ-ს თანაცხოვრების პერიოდში შეეძინათ ორი შვილი – ი. მ-ი (დაბ. 02/05/2011 წ.) და თ. მ-ი (დაბ. 20/08/2012 წ.).

9. შ. ტ-ე და გ. მ-ი ერთ ოჯახად აღარ ცხოვრობენ. მათი საერთო შვილები – ი. და თ. მ-ები ცხოვრობენ დედასთან – შ. ტ-სთან.

10. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის მიერ 2015 წლის 11 მარტს მომზადებული დასკვნით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დედის – შ. ტ-ის ოჯახში შექმნილია სათანადო პირობები ბავშვების ფიზიკური და სულიერი განვითარებისათვის. ი. და თ. მ-ები დადინა საპატრიარქოს ბაგა-ბალში. ბავშვებზე მზრუნველობას ახორციელებას დედა. ბავშვები არიან მოვლილები, სუფთად ჩატარებულები. შ. ტ-ე თბილი და ყურადღებიანი დედაა.

11. სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე გ. მ-მა მოითხოვა ბავშვების ნახვის უფლება ყოველი კვირის პარასკევიდან კვირამდე (თუნდაც ამისათვის მას მოუნიოს ბათუმის ტერიტორიაზე ბინის ქირაობა) ანდა ყოველ თვეში ერთი კვირის მანძილზე ბავშვები იყვნენ მასთან.

12. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბოლნისის რაიონული განყოფილების წარმომადგენელმა გ. თ-ემ სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე განმარტა შემდეგი: იგი არ დაეთანხმა სააპელაციო საჩივრის

ავტორის მოთხოვნას, რომ მამას მიეცეს ბავშვების წაყვანის უფლება ყოველი კვირის პარასკევიდან კვირამდე, თუნდაც ბათუმის ტერიტორიაზე მოუხდეს მას ბინის დაქირავება, რადგან მისი განმარტებით, სოციალური მომსახურების სააგენტოს არ გააჩნია კონტროლის მექანიზმი იმისათვის, რათა გადაამოწმოს პარასკევიდან კვირამდე ბავშვები მართლაც იმყოფებიან თუ არა ბათუმის ტერიტორიაზე, რაც შექმნის ქაოსურ სიტუაციას. გ. თ-ე დაეთანხმა აპელანტის მოთხოვნას თვეში ერთი კვირით ბავშვების წაყვანის უფლების გამოყენების თაობაზე. ამასთან, განმარტა, რომ სასამართლო არ უნდა დაეყრდნოს 2015 წლის 2 მარტის ბოლნისის სოც. მუშაკის დასკვნას, რომლის მე-5 აბზაცში წერია ურთიერთგამომრიცხავი ფრაზები. კერძოდ, ერთ შემთხვევაში წერია, რომ ბავშვების მამა და ბებია ვერ აცნობიერებენ მათ პასუხისმგებლობას ბავშვების მიმართ, ხოლო მეორე შემთხვევაში წერია, რომ მათ უყვართ ბავშვები და მათ მიმართ კეთილგანანწყობილი არიან და ა. შ. ანუ სოც. მუშაკის ეს განმარტებები ურთიერთგამომრიცხავია, შესაბამისად არ არის წარმოდგენილი რაიმე ისეთი მყარი მტკიცებულება, რომლითაც მამას შეეზღუდებოდა ბავშვების ნახვის უფლება, ხოლო ეს უფლება ღამის გათევით განისაზღვრება, თუ მხოლოდ ნახვის დღეებით, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს. დასკვნაში მითითებულია, რომ არასრულწლოვანის განვითარებისათვის მშობლებმა უნდა დათმონ თავიანთი პოზიციები და ბავშვებისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღონ, ანუ ბავშვები დარჩებიან დედასთან, ხოლო მამასაც აუცილებლად მიეცემა ბავშვებთან ყოფნის უფლება.

13. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1197-ე, 1198-ე, 1999-ე, 1202-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ მშობლების შვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრისას სასამართლო გამოდის, უპირველეს ყოვლისა, ბავშვის ინტერესებიდან და ითვალისწინებს მის ასაკს, პირად მიდრეკილებას მშობლებისადმი, იმ სოციალურ და ყოფით გარემოს, სადაც ბავშვს მოუწევს ყოფნა, მისი ცხოვრების წესს. ამასთან, მნიშვნელოვანია დაცული იყოს მშობლის უფლება, ჰქონდეს რეგულარული პირადი ურთიერთობა შვილთან და მონაწილეობდეს მის აღზრდაში, თუ, რა თქმა უნდა, ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის უპირატეს ინტერესს. მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობა შვილთან ურთიერთობის განსაზღვრის დროს თანაბრად იცავს რა მშობელთა ინტერესს, საჯარო წესრიგის შესაბამისად,

უპირატესობას ანიჭებს ბავშვის ინტერესებს, მიიჩნევს, რომ ბავშვი უნდა იზრდებოდეს მყუდრო, მშვიდ, ოჯახურ გარემოში. კანონმდებელი საოჯახო ურთიერთობათა რეგულირებისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ოჯახის ყველა წევრის, როგორც დედის, ასევე, მამის უფლებების დაცვას.

14. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ცალკე მცხოვრები მშობლის ურთიერთობა შვილთან არ უნდა შემოიფარგლოს ბავშვის ხანმოკლე მონახულებით, პირიქით ასეთი შეხვედრები უნდა იყოს ხანგრძლივი, რათა მშობელმა ნამდვილად შეძლოს განახორციელოს ბავშვის აღზრდის უფლება. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშანავს, რომ ცალკე მცხოვრებ მშობელს უფლება აქვს მოითხოვოს შვილთან ურთიერთობა განუსაზღვრელ დროს, დაარღვიოს ბავშვის ნორმალური ცხოვრება (საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის გვ. 119).

15. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის, შ. ტ-ის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელეს ბავშვთან ურთიერთობისათვის უნდა განსაზღვროდა მხოლოდ რამდენიმე საათი ნახვის უფლება წაყვანის გარეშე, რამდენადაც, მას სასამართლოს-თვის არ წარუდგენია იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მამის ურთიერთობა შვილებთან ზემოაღნიშნული წესით ეწინააღმდეგებოდა ბავშვის ინტერესს და ზარნ აყენებდა მას, ასევე ხელს უშლიდა ბავშვების ნორმალურ აღზრდას და ცუდ გავლენას მოახდენდა მათზე. უფრო მეტიც, მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის მიერ მითითებული დროით მამა-შვილებს შორის ურთიერთობის წესის დადგენა არა მარტო მშობლის უფლების დარღვევა იყო, არამედ იგი მნიშვნელოვნად ლახავდა თავად შვილების უფლება-მოვალეობებს ცალკე მცხოვრებ მშობელთან ურთიერთობის სფეროში, მათ ინტერესს, აღზრდილიყვნენ ოჯახში.

16. სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბოლნისის რაიონული განყოფილების ნარმომადგენლის პოზიცია და მიზანშეწონილად მიიჩნია ბავშვების მამას, გ. მ-ს ურთიერთობა ჰქონდა შვილებთან. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ი. და თ. მ-ების ინტერესების გათვალისწინებით, რომ არ მოხდეს მათი ფიზიკური, გონებრივი, სუ-

ლიერი და სოციალური განვითარებისათვის ხელისშეშლა, მა-
მას შვილების ნახვის დღეები უნდა განსაზღვროდა ყოველ თვე-
ში ერთი კვირით – თვის პირველი კვირა ორშაბათიდან კვირის
ჩათვლით წაყვანის უფლებით.

17. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე შ. ტ-მ
შეიტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა გასაჩივრებული გა-
დაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება
შემდეგი დასაბუთებით:

18. კასატორის განმარტებით, სასამართლომ გამოიყენა კა-
ნონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა, მაგრამ არასწორად გან-
მარტა იგი. სასამართლომ უპირველესად არ გაითვალისწინა ბავ-
შვების ინტერესები, რადგან ორივე მათგანი სწავლობს საბავ-
შვები ბალში, მომავალში კი ივლის სკოლაში, ხოლო თუ მოპასუხე
(ბავშვების მამა) ყოველი თვის პირველი კვირას მათ წაიყვანს
ბოლნისში, ბავშვები მოწყდებიან სასწავლო პროცესს, რაც
ხელს შეუშლის მათ ნორმალურ აღზრდა-განვითარებას. ამას-
თან, ბავშვები გაირიცხებიან საბავშვო ბალიდან და ვერ მიიღე-
ბენ სრულყოფილ განათლებას. მათ სასკოლო პერიოდშიც შე-
ექმნებათ ანალოგიური პრობლემები, რადგან სკოლაშიც არ მი-
ეცემათ მათ ყოველ თვეში ერთი კვირით სასწავლო პროცესის
გაცდენის უფლება. გარდა ამისა, კასატორის განცხადებით, მა-
მა სისტემატურად იღებს ალკოჰოლურ სასმელს, რა დროსაც
კარგავს ზომიერებას და ხშირ შემთხვევებში ჩხუბობს (რასაც
ცოლ-ქმრული თანაცხოვრების დროს ხშირად ჰქონდა ადგილი).
აღნიშნული ფაქტი დაფიქსირებულია განქორწინების შემდეგაც,
როდესაც მოპასუხე ბავშვების სანახავად არაფხიზელ მდგო-
მარებაში ჩავიდა ბათუმში, ბავშვები წაიყვანა ბულვარში, იქ
კვლავ მიიღო ალკოჰოლური სასმელი და იჩხუბა, რაზეც გაფ-
რთხილება მიიღო პოლიციის თანამშრომლების მხრიდან. საკა-
საციო საჩივრის ავტორის განმარტებით, მას სურდა სასამარ-
თლოსთვის წარედგინა აღნიშნული ინფორმაცია, რომელიც ინა-
ხებოდა ბათუმის ბულვარის პოლიციაში, თუმცა პოლიციამ მას
ცნობა არ გადასცა.

19. საკასაციო საჩივრის ავტორის განცხადებით, ბავშვების
ყოველ თვეში ერთი კვირით ბოლნისში წაყვანა უარყოფითად
იმოქმედებს მათ ფსიქიკაზე, რადგან სსიპ სოციალური მომსა-
ხურების სააგენტოს ბოლნისში რაიონული განყოფილების დას-
კვნაც ადასტურებს, რომ ბავშვების მამა, გ. მ-ი არ არის მშრო-
მელი და ის ხშირად იმყოფება ნასვამ მდგომარეობაში.

20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით შ. ტ-ის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად დასაშვებობის შესამოწმებლად.

21. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 17 თებერვლის განჩინებით შ. ტ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებაზე დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

22. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შ. ტ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

23. საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენს არასრულწლოვან შვილებთან მშობლის ურთიერთობის წესის განსაზღვრა. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ არასწორად განსაზღვრა მამისათვის შვილების ნახვის დღეები, ისე, რომ არ გაითვალისწინა ბავშვების უპირატესი ინტერესები. ამასთან, კასატორი სადავოდ ხდის ბავშვების მამასთან გარკვეული დროით დარჩენის უფლების გამოყენებას იმ მოტივითაც, რომ იგი ხშირად იმყოფება ალკოჰოლური სასმელის ზემოქმედების ქვეშ, რაც უარყოფითად აისახება ბავშვების განვითარებაზე.

24. საკასაციო პრეტეზზიების დასაბუთებულობის შემოწმებამდე, პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს განსახილველი დავის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძვლებსა და მსგავსი კატეგორიის საქმეებზე გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლოს სახელმძღვანელო პრინციპებზე.

25. სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლით დადგენილია მშობლების თანასწორუფლებიანობის პრინციპი შვილების მიმართ და განსაზღვრულია, რომ ბავშვს აქვს უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. ამავე კოდექსის 1198.1-ე მუხ-

ლის შესაბამისად, მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით. მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს (სკ-ის 1199-ე მუხლი). მითითებული საკანონმდებლო დანაწესების ანალიზი იძლევა ცალსახა დასკვინის შესაძლებლობას, რომ მშობელთა უპირველესი მოვალეობა ბავშვის ჰარმონიული აღზრდა-განვითარება, ოჯახური გარემოს შექმნაა და ამ კუთხით მისაღები ნებისმიერი გადაწყვეტილებისას უპირატესობა არასრულნლოვნის ჭეშმარიტ ინტერესებს ენიჭება. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო აქტებით ქვეყნის მიერ ნაკისრ ვალდებულებებთან, რომელთაგან ერთ-ერთ თვალსაჩინო დანაწესს ნარმოადგენს კონცენცია „ბავშვის უფლებების შესახებ“. შეიძლება ითქვას, რომ მითითებული საერთაშორისო-სამართლებრივი აქტი ბავშვის უფლებების დაცვის ის მინიმალური სტანდარტია, რომელიც საზოგადოების არასრულნლოვანი წევრის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებისა და ნორმალური განვითარების ამოცანას ემსახურება და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ყველა ღონე იხმარონ არასრულნლოვნის უპირატესი ინტერესების დაცვისათვის. მითითებული კონვენციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. მშობლებს ან, შესაბამის შემთხვევებში, კანონიერ მეურვეებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის. ბავშვის საუკეთესო ინტერესები მათი ძირითადი ზრუნვის საგანია.

26. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ დაადგინა საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი გარემოებები:

27. შ. ტ-ეს და გ. მ-ს თანაცხოვრების პერიოდში შეეძინათ ორი შვილი – ი. მ-ი (დაბ. 02/05/2011 წ.) და თ. მ-ი (დაბ. 20/08/2012 წ.).

28. შ. ტ-ე და გ. მ-ი ერთ ოჯახად აღარ ცხოვრობენ. მათი საერთო შვილები – ი. და თ. მ-ები ცხოვრობენ დედასთან – შ. ტ-

სთან.

29. დედის – შ. ტ-ის ოჯახში შექმნილია სათანადო პირობები ბავშვების ფიზიკური და სულიერი განვითარებისათვის. ი. და თ. მ-ები დადიან საპატრიარქოს ბაგა-ბალში. ბავშვებზე მზრუნველობას ახორციელებას დედა. ბავშვები არიან მოვლილები, სუფთად ჩაცმულები. შ. ტ-ე თბილი და ყურადღებიანი დედაა (სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის მიერ 2015 წლის 11 მარტს მომზადებული დასკვნა).

30. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ცალკე მცხოვრები მშობლის უფლება ურთიერთობა ჰქონდეს შვილთან არ ნიშნავს, ცალკე მცხოვრებ მშობელს უფლება ჰქონდეს მოითხოვოს შვილთან ურთიერთობა განუსაზღვრელ დროს ან დააღვიოს ბავშვის ნორმალური ცხოვრება, თუმცა აღნიშნულის საპირისპიროდ, პალატამ დასკვნა, რომ მამას უნდა მისცემოდა ბავშვების ბათუმიდან ბოლნისში წაყვანის უფლება ყოველთვეში ერთი კვირით.

31. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლოს მიერ განსაზღვრული წესით (ყოველ თვეში ერთი კვირით ბავშვების წაყვანის უფლებით) მამის შვილებთან ურთიერთობა არ ენინაალმდგებოდა ბავშვების ინტერესს და ზიანს არ აყენებდა მათ. პალატამ აღნიშნული დასკვნის საფუძვლად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ აპელანტ შ. ტ-ის მიერ არ იყო წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა ზემოაღნიშნული წესით მამის შვილებთან ურთიერთობისას ბავშვების კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დარღვევის ფაქტს.

32. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ დასკვნას და მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ არასწორი შეფასება მისცა დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე მთელ რიგ გარემოებებს.

33. სამოქალაქო კოდექსის 1200-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული სასამართლოს პოზიტიური ვალდებულება, მშობელთა შეუთანხმებლობისას შვილის აღზრდის საკითხის მოგვარების თაობაზე, უნდა ემყარებოდეს ეროვნული და საერთაშორისო აქტებით აღიარებულ ბავშვის უპირატეს ინტერესებს, რაც საქმის გარემოებების ობიექტური და სრულყოფილი კვლევის გზით უნდა განხორციელდეს. ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში, იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო

დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას („ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის 3.1 მუხლი). ბავშვი არ უნდა დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევების გარდა, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, განსაზღვრავენ სათანადო კანონისა და პროცედურების შესაბამისად, რომ ასეთი განმორება საჭიროა ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთ ან ორივე მშობელთან განმორებული ბავშვის უფლებას, რეგულარულ საფუძველზე პირადი ურთიერთობა და პირდაპირი კონტაქტები იქონიოს ორივე მშობელთან, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ენინააღმდეგება (ამავე კონვენციის 9.1. და 9.3. მუხლები).

34. მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია, რომ შ. ტ-ისა და გ. მ-ს შევილები – ი. და თ. მ-ები არიან მცირენ-ლოვნები და დადიან საბავშვო ბალში. ი. მ-ი დაბადებულია 2011 წლის 2 მაისს, ხოლო თ. მ-ი – 2012 წლის 20 აგვისტოს.

35. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, შვილის სწავლა-დასვენებისა თუ სხვა მსგავსი საკითხების განსაზღვრისას გონივრული შეფასება უნდა მიეცეს ბავშვის განსაზღვრული წესით გადაადგილებას და სწორად დადგინდეს იმ მშობლის ურთიერთობის წესი შვილთან, რომელთანაც ბავშვი მუდმივად საცხოვრებლად არ იმყოფება.

36. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორ შ. ტ-ის მოსაზრებას, რომ მამის მიერ ყოველ თვეში ერთი კვირით შვილების ბოლნისში წაყვანა და მათი სასწავლო პროცესისაგან მოწყვეტა, სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის ბავშვების აღზრდა-განვითარებას. პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს მოცემული საკითხის შეფასებისას უნდა გაეთვალისწინონა, რომ ბავშვები ჩაბმული არიან ნინასასკოლო სასწავლო პროცესში და უახლოეს მომავალში სწავლას დაიწყებენ სკოლაში, ხოლო ყოველ თვეში ერთი კვირით სასწავლო პროცესის გაცდენა არა მარტო სირთულეებს შეუქმნის მათ აღზრდა-განვითარებას და შეუზღუდავს ბავშვებს სწავლის უფლებას, არამედ შესაძლოა საფრთხე შეექმნას სასწავლო დაწესებულებაში მათი ყოვნის საკითხსაც.

37. ამასთან, სასამართლოს ყურადღება არ გაუმახვილებია

იმ დადგენილ ფაქტზეც, რომ მოდავე მხარეების სახლებს შორის (ბათუმიდან ბოლნისამდე) მანძილი დაახლოებით 500 კილომეტრია, ხოლო იმ პირობებში, როდესაც საქმე ეხება მცირენლოვანი ბავშვების გადაადგილებას, სასამართლოს არ გამოუკლევია, ყოველ თვეში ორჯერ ამ მანძილზე მცირენლოვანი ბავშვების მგზავრობა უარყოფითად ხომ არ იმოქმედებს მათზე და დაარღვევს თუ არა ბავშვების ცხოვრების ჩვეულ რიტმს, თუნდაც ისინი ჩაბმული არ იყვნენ სასწავლო პროცესში.

38. გარდა აღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია იმ მხრივაც, რომ სააპელაციო სასამართლოს სათანადოდ არ შეუფასებია საქმეში არსებული სოციალური მუშაკების დასკვნები. კერძოდ, საქმეში წარმოდგენილი ბოლნისის რაიონული განყოფილების სოციალური მუშაკის 2015 წლის 2 მარტის დასკვნის შესწავლით ირკვევა, რომ იგი შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ მსჯელობებს: კერძოდ, ერთ შემთხვევაში წერია, რომ ბავშვების მამა და ბებია არ არიან ჩართულები ბავშვების აღზრდა-განვითარებაში, ვერ აცნობიერებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას ბავშვების მიმართ, ხოლო მეორე შემთხვევაში წერია, რომ მათ უყვართ ბავშვები და მათ მიმართ დიდ სითბოს და სიყვარულს გამოხატავენ. ამავე დასკვნაში მითითებულია, რომ გ. მ-ი არ არის მშრომელი ადამიანი, ხშირად იმყოფება ნასვამ მდგომარეობაში. იგი ქურდობის ფაქტის გამო 2008 წელს იმყოფებოდა სასჯელადსრულების დაწესებულებაში. დასკვნაში საუბარია ასევე გ. მ-ის და მისი ოჯახის წევრების სოციალურ მდგომარეობაზე. კერძოდ, აღნიშნულია, რომ ოჯახის წევრების შემოსავალს შეადგენს გ. მ-ის დედის პენსია, 150 ლარი. ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში და ამ დროისთვის გ. მ-ი არის უმუშევარი.... ბავშვების ბებიას და მამას არ აქვთ კარგი ურთიერთობა მეზობლებთან და ახლო ნათესავებთან.

39. აღსანიშნავია, რომ მოცემული დასკვნის გაზიარება მიზანშენონილად არ მიიჩნია სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას გამოცხადებულმა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბოლნისის რაიონული განყოფილების წარმომადგენელმაც, რომელმაც ურჩია სასამართლოს გაეთვალისწინებინა ამ დასკვნის წინააღმდეგობრივი ხასიათი. თუმცა სააპელაციო სასამართლომ სადაცო საკითხის გადაწყვეტისას არ შეაფასა ზემოაღნიშნულ დასკვნაში ასახული წინააღმდეგობრივი

მსჯელობები, მიუხედავად იმისა, რომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებში მიუთითა მათზე.

40. საკასაციო სასამართლოს აზრით, სააპელაციო სასამართლომ ასევე სათანადოდ არ შეაფასა საქმეში არსებული ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის სოციალური მუშავის 2015 წლის 11 მარტის დასკვნა-რეკომენდაცია. სააპელაციო პალატამ აღნიშნული დასკვნის საფუძველზე, დადგენილად მიიჩნია, რომ დედის – შ. ტ.-ის ოჯახში შექმნილია სათანადო პირობები ბავშვების ფიზიკური და სულიერი განვითარებისათვის, ბავშვებზე მზრუნველობას ახორციელებას დედა, რომელიც თბილი და ყურადღებიანია, თუმცა, ყურადღების მიღმა დატოვა ამავე დასკვნაში ასახული ინფორმაცია, სადაც მითითებულია, რომ შ. ტ.-ემ „ოჯახიდან წამოსვლის გადაწყვეტილება 2014 წლის ოქტომბრის თვეში ასევე გ. მ-ის მხრიდან მასზე განხორციელებული ფიზიკური ძალადობის შემდეგ მიიღო. მოპოვებული ინფორმაციით შ. ტ.-ისთვის სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშავის მიერ შეთავაზებული იქნა ოჯახური ძალადობის და ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარში გადასვლა შეილებთან ერთად. შ. ტ.-ემ მშობლების ოჯახში დაბრუნება გადაწყვიტა. აღნიშნულ ძალადობასთან დაკავშირებით ინფორმირებული იყო ადგილობრივი პოლიციის განყოფილებაც“.

41. ამრიგად იმ პირობებში, როდესაც საქმეში არსებობს დასკვნები, რომლებშიც უარყოფითადაა დახასიათებული ბავშვების მამა, ამასთან, ამავე დასკვნებში ასახულია სოციალური მუშავის ურთიერთსაწინააღმდეგო მსჯელობები, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს სათანადო უნდა შეეფასებინა ეს დასკვნები და გამოეკვლია, ბავშვების მამასთან ყოველ თვეში ერთი კვირით დარჩენა უარყოფითად ხომ არ აისახებოდა მათ ფსიქო-ემოციურ და სოციალურ განვითარებაზე. სასამართლოს ასევე არ გაუთვალისწინებია ის ფაქტიც, რომ 2014 წლის ოქტომბრიდან ბავშვები მამასთან ფაქტობრივად აღარ ცხოვრობენ და არ გამოუკვლევია, თუ რამდენად შეუწყობდა ხელს მის მიერ განსაზღვრული წესის დადგენა ბავშვების მშობელთან შეჩევევის პროცესს.

42. სამოქალაქო სამართლაწარმოებით განსახილველ სხვა კატეგორიის საქმეთაგან განსხვავებით, საოჯახო სამართლებრივი დავების განხილვა ინკვიზიციური ელემენტებითაა გაჯერებული და საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლით კანონმდებელი შესაძლებლად მიიჩნევს საქმის გარემოების დადგენას სა-

სამართლოს ინიციატივითაც. ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ. მითითებული საპროცესო წესის გამოყენება სააპელაციო სამართალნარმოების ეტაპზე მით უფრო გამართლებულია, რამდენადაც სააპელაციო სასამართლო, როგორც სამართალნარმოების მეორე ინსტანცია, დავის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენი სასამართლოა და ამავე კოდექსის 380-ე მუხლით მას ახალ მტკიცებულებათა მიღების შესაძლებლობაც გააჩნია. შესაბამისად, თუკი საკითხის განსაკუთრებული თავისებურებიდან გამომდინარე, პალატა მნიშვნელოვნად შიიჩნევდა დამატებით კვლევას ან ფსიქოლოგის დასკვნას ბავშვებისა და მამის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, რომელიც, მოცემულ შემთხვევაში საქმეში არ მოიპოვება, მას სრული შესაძლებლობა გააჩნდა, მოეთხოვა აღნიშნული დასკვნების წარმოდგენა.

43. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთეულთ საქმეზე (Eur. Court H.R. Johansen v. Norway , Judgment of 7 August 1996. Reports. 1996-III.) აღნიშნა, რომ ბავშვთან გაერთიანების შესახებ საკითხის გადაწყვეტილისას, მშობლის ინტერესსა და ბავშვის ინტერესს შორის უნდა იქნეს დაცული ბალანსი. აღნიშნული ბალანსის ძეგლისას სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს ბავშვის ინტერესებს, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეს პრიორიტეტული მნიშვნელობა მშობლის ინტერესებთან მიმართებით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გაერთიანების საკითხის გადაწყვეტილისას ანგარიშგასანევ ფაქტორებს წარმოადგენს ოჯახური ცხოვრება, მშობლებთან თანაბარი ურთიერთობის შესაძლებლობა და სხვა ისეთი ფაქტორები, რომლებიც არასრულწლოვნის სრულფასოვან აღზრდა-განვითარებას შეუწყობს ხელს. ასეთ სიტუაციაში შეძლებისდაგვარად უნდა იქნას გათვალისწინებული სუბიექტური ფაქტორებიც – ბავშვის მიერ არსებული სიტუაციის აღქმა, რაც შესაბამისი დაკვირვება-გამოკვლევის გზითაა შესაძლებელი.

44. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქ-

მეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე¹“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და ნინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას შეამოწმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება, ვიდრე საქმეზე ობიექტურად არ დადგინდება დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

45. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააპრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც გაწეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღდვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყვდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შ. ტ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

შვილთან ურთიერთობის ცენტრის განსაზღვრა

გადაცევის ფილება საქართველოს სახალის

№ას-888-838-2015

14 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: განქორნინება, შვილის ნახვის დღეების გან-
საზღვრა (ძირითად სარჩელში), ალიმენტის დაკისრება (შეგე-
ბებულ სარჩელში)

აღწერილობითი ნაწილი:

1. გ. ჯ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ბ. შ-ის მიმართ გან-
ქორნინებისა და შვილის ნახვის დღეების განსაზღვრის თაობა-
ზე შემდეგი საფუძვლით:

2. მოსარჩელე 2009 წლის ივლისიდან რეგისტრირებულ ქორ-
ნინებაშია ბ. შ-თან. 2010 წლის 2 ნოემბერს მათ შეეძინათ შვილი
– კ. ჯ-ე. ამჟამად ცოლ-ქმარი ფაქტობრივად ერთად აღარ ცხოვ-
რობს, არ ეწევიან საერთო მეურნეობას, აქვთ კონფლიქტი და,
შესაბამისად, ოჯახის შენარჩუნებას პერსპექტივა არ გააჩნია.
კ. ჯ-ე ცხოვრობს თბილისში, დედასთან ერთად, თუმცა ბ. შ-ი
არ აძლევს მამას შვილთან ურთიერთობის საშუალებას.

3. ბ. შ-მა შეგებებული სარჩელი აღძრა გ. ჯ-ის მიმართ და
მოითხოვა მოპასუხისათვის ალიმენტის დაკისრება შემდეგ გა-
რემოებებზე მითითებით:

4. მხარეებს შორის ქორნინება ფაქტობრივად შეწყვეტი-
ლია 2014 წლის მაისის თვიდან, რისი მიზეზიც გახდა გ. ჯ-ის
მხრიდან ღალატი.

5. მეუღლეთა დაშორების შემდეგ, ბ. შ-ის თხოვნის მიუხე-
დავად, გ. ჯ-ე თავს არიდებს შვილთან, კ. ჯ-ესთან ყოველგვარ
კონტაქტს, მათ შორის სატელეფონო საუბრებს. ბავშვს აქვს
ნეკროლოგიური სახის პრობლემები და სჭირდება მუდმივი სა-
მედიცინო გამოკვლევები, მათ შორის, უცხოეთში. ბავშვის საზ-
ღვარგარეთ ტრანსპორტირება, ძვირადლირებული გამოკვლე-

ვების ჩატარება და საჭირო მედიკამენტებით უზრუნველყოფა კი ფინანსურად დიდ თანხებს მოითხოვს, რისი გადახდაც დიდი გაჭირვების შედეგად უწევს მოსარჩელეს (პ. შ-ს) ოჯახის წევრების დახმარებით. იგი არ მუშაობს და არ აქვს საკუთარი შემოსავალი. გ. ჯ-ეს კი დღემდე მონაწილეობა არ მიუღია ბავშვის რჩენა-აღზრდასა და გამოკვლევებთან დაკავშირებულ მოქმედებები, მიუხედავად იმისა, რომ აქვს საკმაოდ მაღალი ხელფასი. შესაბამისად, მას აქვს იმის მატერიალური შესაძლებლობა, რომ მონაწილეობა მიიღოს თავისი შვილის ნორმალურ და სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბების საქმეში, ასევე მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული გამოკვლევების ჩატარებაში.

6. ბ. შ-ის განმარტებით, ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, დედა იძულებულია იგი ატაროს კერძო ბალში, სადაც განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება და არის ფსიქოლოგის მომსახურებით უზრუნველყოფილი. კერძო ბალის გადასახადი კი დამატებით დიდი ტვირთია მისთვის.

7. შეგებებული სარჩელით მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მხარეთა შორის ქორწინების ფაქტობრივად შეწყვეტის მიზეზია თვითონ ბ. შ-ი და მისი ოჯახის წევრები, ვინაიდან მათი მხრიდან მუდმივად ხდება კონფლიქტური სიტუაციების პროცესირება. ბ. შ-ს არასდროს გადაუდგამს რაიმე ქმედითი ნაბიჯი ურთიერთობის მოწესრიგებისათვის. ამასთან, იგი წინააღმდეგობებს უქმნის გ. ჯ-ეს შვილთან ურთიერთობისას.

8. მოპასუხის განცხადებით, იგი მონაწილეობას იღებს შვილის მატერიალურად უზრუნველყოფაშიც. სწორედ მან გაიღო ბავშვის საზღვარგარეთ გამოკვლევის ხარჯები. ამასთან, თავის სახელზე რიცხული უძრავი ქონების (მდებარე, თბილისში, ს. ქ. №... ბინა, საკადასტრო კოდი:) ½ ნაწილი გადააფორმა კ. ჯ-ის სახელზე 2014 წლის 2 ივნისს, ხოლო ამავე პერიოდში უძრავი ქონება (მდებარე თბილისში, ბ. ქუჩა №....-ში, საკადასტრო კოდი:) აჩუქა ბ. შ-ს, რომელიც გაქირავებულია და იძლევა საკმაო შემოსავალს კ. ჯ-ის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, ბ. შ-ი საკუთრების უფლებით ფლობს ქონებას (მდებარე თბილისი, ც. დ-ის/., საკადასტრო კოდი:), რომელიც ასევე გაქირავებული აქვს და მას საერთო ჯამში გ. ჯ-ეზე მეტი შემოსავალი გააჩნია იმისათვის, რომ სასამართლოს მეშვეობით დამატებით არ მოსთხოვს მას შეუსაბამოდ მაღალი ალმენტის გა-

დახდა.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 22 იანვრის განჩინებით მიღებულ იქნა დროებითი განკარგულება, რომლითაც გ. ჯ-ეს შვილთან – 2010 წლის 2 ნოემბერს დაბადებულ კ. ჯ-ესთან ურთიერთობისთვის განესაზღვრა კვირაში ორი დღე – ოთხშაბათი 17:00 საათიდან – 19:00 საათამდე და შაბათი 11:00 საათიდან – 15:00 საათამდე, დედის – ბ. შ-ის თანდასწრებით, ნეიტრალურ ტერიტორიაზე.

10. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებით გ. ჯ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: შეწყდა ბ. შ-სა (დაბ. 22.08.1984წ., პ/№....) და გ. ჯ-ეს შორის (დაბ. 25.09.1983წ., პ/№....) 2009 წლის 26 ივლისის №... სააქტო ჩანაწერით რეგისტრირებული ქორწინება; გ. ჯ-ეს არასრულწლოვან შვილთან, 2010 წლის 2 ნოემბერს დაბადებულ კ. ჯ-ესთან ურთიერთობისთვის განესაზღვრა: თავდაპირველად ექვსი თვის განმავლობაში ყოველკვირეულად ოთხშაბათი 17:00 საათიდან 20:00 საათამდე და შაბათი 11:00 საათიდან 16:00 საათამდე ნაყვანის უფლებით; მითითებული წესით ურთიერთობის დაწყებიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ – ყოველკვირეულად ოთხშაბათი 17:00 საათიდან 20:00 საათამდე ნაყვანის უფლებით და პარასკევს 17:00 საათიდან შაბათს 20:00 საათამდე პერიოდი ღამისთვევით ნაყვანის უფლებით; ასევე ზაფხულის არადადეგების პერიოდში – 15 ივნისიდან 25 ივნისამდე და ზამთრის არდადეგების პერიოდში 20 დეკემბრიდან 30 დეკემბრამდე, დასასვენებლად ნაყვანის უფლებით, რა დროსაც ბავშვის დედას ბ. შ-ს მიეცა შვილის მონახულების უფლება მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ბ. შ-ის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: გ. ჯ-ეს ბ. შ-ის სასარგებლოდ დაეკისრა არასრულწლოვანი შვილის, 2010 წლის 2 ნოემბერს დაბადებული კ. ჯ-ის რჩენა – აღზრდისათვის ყოველთვიურად ალიმენტი 800 (რვაასი) ლარის ოდენობით 2014 წლის 24 ოქტომბრიდან მის სრულწლოვანებამდე.

11. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ბ. შ-მა და გ. ჯ-ემ.

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 2 ივლისის განჩინებით ბ. შ-ისა და გ. ჯ-ის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება.

13. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემ-დეგი ფაქტობრივი გარემოებები:

14. ბ. შ-ი და გ. ჯ-ე დაქორწინდნენ 2009 წლის 26 ივნისს და ერთად ცხოვრების პერიოდში, 2010 წლის 2 ნოემბერს, შეეძინათ შვილი – კ. ჯ-ე.

15. ბ. შ-ი და გ. ჯ-ე ცხოვრობენ ცალ-ცალკე. არასრულწლოვანი კ. ჯ-ე ცხოვრობს დედასთან – ბ. შ-თან.

16. გ. ჯ-ე მუშაობს შპს „ვ-ში“ და მისი ყოველთვიური ხელზე ასაღები ხელფასი შეადგენს 1650 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარს.

17. გ. ჯ-ეს აქეს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, კერძოდ, აღნიშნება გაფანტული სკლეროზი – ცერებრო-სპინალური ფორმა, რეციდივული რემისიული მიმდინარეობით, რის გამოც საჭიროებს მკურნალობას პრეპარატ ავონექსით. გ. ჯ-ე 2014 წლის 14 ოქტომბრიდან ჩართულია შპს „მ-აში“ ზემოაღნიშნული დაავადების ჰერორალური პრეპარატით მკურნალობის ეფექტინანიბისა და უსაფრთხოების დასადგენად მიმართულ კლინიკურ კვლევაში და მონაცილეობას ასრულებს 2016 წლის 16 ოქტომბერს. მკურნალობის დასრულების შემდგომ გ. ჯ-ემ უნდა გააგრძელოს პრეპარატ ავონექსით მკურნალობა (იხ. 23.01.2015 წლის ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, შპს „მ-ას“ გენერალური დირექტორის პასუხი).

18. საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტებით (21.10.2013წ). ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, მიუნხენის საუნივერსიტეტო კლინიკაში 22.04.2014წ. ჩატარებული გამოკვლევის შედეგები) პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მცირებლოვან კ. ჯ-ეს აღნიშნება ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება (დაუზუსტებელი), არადიფერენცირებული მოძრაობის აშლილობა, რომელიც მცირედ პროგრესირებს. ჩაუტარდა გამოკვლევები როგორც საქართველოში, ასევე თურქეთსა და გერმანიაში.

19. დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგის, გ. ჯ-ის 2014 წლის 31 ოქტომბრის №4878 დასკვნის თანახმად, კ. ჯ-ე ავლენს ფსიქოლოგიური ტრავმატიზებისათვის დამახასიათებელ ქცევებს, უცხო გარემოსადმი ავლენს მკვეთრად გამოხატულ უნდობლობას. ფსიქოლოგის რეკომენდაციით, მხარეებმა უნდა მიმართონ ბავშვთა ფსიქოლოგს/ფსიქოთერაპევტს და ერთობლივად დაგეგმონ გარკვეული ქმედებები.

20. დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგის, გ. ჯ-ის მიერ შედგენილი 2014 წლის 3 დეკემბრის №5809 დასკვნის თანახმად, გამოკვლეულ იქნა კ. ჯ-ის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რა დროსაც ბავშვის ემოციური მდგომარეობა შეფასებული იქნა შემდეგნაირად: შეინიშნება ემოციური გაორება, რაც უკავშირდება არასრულწლოვნის მშობლებს შორის არასასურველი ურთიერთობის ფორმას, რაც ბავშვის განწყობისათვის მარტივი აღსაქმელია. არასრულწლოვანი ავლენს მიჯაჭვულობას ორივე მშობლის მიმართ, თუმცა შეინიშნება სერიოზული ჩავარდნა მამასთან ურთიერთობისას, რაც შეხვედრების ხანგრძლივი დროით წყვეტას უკავშირდება. მამასთან კ-ს ურთიერთობისას შეინიშნებოდა მამის მიმართ გაუცხოვება, რის დასაძლევადაც საკმარისი აღმოჩნდა ურთიერთობის 19 წუთი. არასრულწლოვანი მამასთან არ განიცდის დისკომფორტს.

21. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტი ბ. შ-ის პოზიცია, რომ, ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, მიზანშეუწონელია მცირენლოვანი კ. ჯ-ის მამასთან დარჩენა ღამით.

22. სააპელაციო სასამართლის აზრით, მართალია, საქმის მასალებით დგინდება, რომ ბავშვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით აქვს პრობლემები, მაგრამ მამას უნდა მიეცეს შვილის ღამის თევით წაყვანის უფლება. ამასთან, პალატამ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით ბ. შ-ს მიეცა შვილის მონახულების უფლება მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. შესაბამისად, დედას, აუცილებლობის შემთხვევაში, შესაძლებლობა ექნებოდა მოხედინა მყისიერი რეაგირება.

23. მოცემულ შემთხვევაში, პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ფსიქოლოგი გ. ჯ-ი დასკვნაში აღნიშნავს, რომ ღამისთვით დარჩენას წინ უნდა უძლოდეს შეხვედრები, სადაც მოიხსნება მამასთან ურთიერთობის წყვეტის შედეგად ჩამოყალიბებული ბარიერები. პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასება და მიიჩნია, რომ ექვსთვითი პერიოდი არის გონივრული ვადა ბავშვის მამასთან ურთიერთობის წყვეტის შედეგად ჩამოყალიბებული ბარიერების მოსახსნელად და შესაბამისად, გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიცია, რომ ექვსი თვის განმავლობაში ინდივიდუალური შეხვედრების შემდეგ გ. ჯ-ეს უნდა მიეცეს შვილის ღამისთვით წაყვანის უფლება.

24. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მცირენ-ლოვანი ბავშვის, კ. ჯ-ის უპირატესი ინტერესებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იყო, ბავშვს ჰქონოდა მამასთან ურთიერთობა დღე-დამის განმავლობაში.

25. რაც შეეხება დაკისრებული ალიმენტის განსაზღვრის ნაწილში გ. ჯ-ის სააპელაციო საჩივარს, სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 1212-ე მუხლით და განმარტა, რომ არასრულნლოვან კ. ჯ-ეს, რომელიც ცხოვრობს დედასთან, სჭირდება ზრუნვა და მატერიალური უზრუნველყოფა, რომლის ვალდებულება თანაბრად ეკისრება ორივე მშობელს. ამ თვალსაზრისით, პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივრის დასაბუთება იმის შესახებ, რომ აპელანტ გ. ჯ-ეს სჭირდება პრეპარატ ავონექსით მკურნალობა და, ამასთან, მას შესასრულებელი აქვს ბანკის მიმართ სასესხო ვალდებულება, არ ნარმოადგენს მშობლის კანონისმიერი მოვალეობისაგან – არჩინოს არასრულნლოვანი შვილი და შეუქმნას მას ცხოვრების ნორმალური პირობებით აღზრდისა და განვითარებისათვის – გათავისუფლების საფუძველს.

26. სასამართლომ იხელმძღვანელა „ბავშვთა უფლებების შესახებ“ კონვენციის 27-ე და ამავე კონვენციის მე-18 მუხლებით და აღნიშნა, რომ დაკისრებული ალიმენტის იმ ოდენობამდე შემცირებით, რასაც ითხოვს აპელანტი შეუძლებელია ბავშვის ელემენტარული საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დაქმაყოფილება. შესაბამისად, ყოველთვიურად გადახდილი ალიმენტის ოდენობად 800 ლარის განსაზღვრა მშობლისა და სარჩენი პირის ინტერესების დაბალანსებით სამართლიანი იყო და არ არსებობდა გ. ჯ-ის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები.

27. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ბ. შ-მა და გ. ჯ-ემ შეიტანეს საკასაციო საჩივრები. ბ. შ-მა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით გ. ჯ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. გ. ჯ-ემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილება.

28. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით გ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 2 ივლისის განჩინებაზე

დარჩა განუხილველი, ხოლო ბ. შ-ის საკასაციო საჩივარი ამავე პალატის 2015 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული დასაშვებობის შესამონმებლად.

29. ბ. შ-ის საკასაციო საჩივარი ემყარება შემდეგ გარემოებებს:

30. სააპელაციო სასამართლო სადავო ფაქტობრივი გარემოების დადგენისას დაეყრდნო ფსიქოლოგ გ. ჯ-ის 2014 წლის 3 დეკემბრის დასკვნას, რომლის თანახმადაც დადგენილია, რომ „ბავშვის ქცევაზე დაკვირვების შედეგად მცირენლოვანმა კ. ჯ-ემ გამოავლინა მიჯაჭვულობა ორივე მშობლის მიმართ“. ამავე დასკვნის თანახმად, „თავდაპირველ ეტაპზე მამასთან დამისთევით დარჩენა არ არის მიზანშენონილი“. ფსიქოლოგის დასკვნა აღნიშნულ ნაწილში არც თბილისის საქალაქო სასამართლოს და არც სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას არ იქნა სწორად შეფასებული და გაზიარებული.

31. კერძოდ, ფსიქოლოგის დასკვნაში ერთმნიშვნელოვნად გამოკვეთილია მამასთან – გ. ჯ-ესთან მცირენლოვან კ. ჯ-ის ღამისთევით დარჩენის არამიზანშენონილობა. ამასთან, შეუძლებელია იმის იდენტიფიცირება, თუ რა პერიოდის შემდეგ შეიძლება იყოს უსაფრთხო მამასთან მცირენლოვნის ღამისთევით დარჩენა. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა საჭიროებს არსებული ფაქტობრივი გარემოებების კომპლექსურ შეფასებას და არ შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ ფსიქოლოგის მიერ ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით.

32. სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ის გარემოება, რომ საქმეში არ ყოფილა წარმოდგენილი მტკიცებულება, რომ-ლითაც დადასტურდებოდა გ. ჯ-ის მიერ დედისაგან მოშორებით კ. ჯ-ის ღამისთევით წაყვანის მიზანშენონილობა და აუცილებლობა.

33. სასამართლომ უგულებელყო ბ. შ-ის მიერ სამედიცინო დაწესებულებებიდან წარმოდგენილი ცნობები ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რაც ცალსახად ადასტურებს, რომ კ. საჭიროებს განსაკუთრებულ მოვლას, ყურადღებას და გარემო-პირობებს, რისი უზრუნველყოფაც მამას – გ. ჯ-ეს დამოუკიდებლად არ შეუძლია და დედის მუდმივი მეთვალყურეობის გარეშე შესაძლოა ბავშვმა განიცადოს მნიშვნელოვანი ზიანი. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ბავშვი ღამით ხშირად იღვიძებს ტირილით. ამ დროს არის ძალიან ჭირვებული, აღგზნებული და ითხოვს დედას, ბოლომდე ძილიდან

ვერ ერკვევა და დედის მოფერების შემდეგ მშვიდდება.

34. რეალურად, სასამართლოს მიერ საქმის გარემოებების არასათანადო შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად მამასთან მცირენლოვნის ღამისთვით დარჩენის ნაწილში მიღებულ იქნა კ. ჯ-ის უპირატესი ინტერესების საწინააღმდეგო და ცალსახად ზიანის მომტნი გადაწყვეტილება.

35. კასატორი არ ეწინააღმდეგება და თანახმაა, მამას გ. ჯ-ეს ურთიერთობა პერიოდების შეინთან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ დღეებში, კერძოდ ოთხშაბათს 17:00 საათიდან 22:00 საათამდე და შაბათს 11:00 საათიდან 16:00 საათამდე. აღნიშნული, მისი აზრით, ხელს შეუწყობს და არ დააზიანებს როგორც არასრულწლოვნის უპირატეს ინტერესებს, ასევე მშობლების კანონით გათვალისწინებულ უფლებებს.

36. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 თებერვლის განჩინებით ბ. შ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 2 ივლისის განჩინებაზე დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

37. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივარის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ბ. შ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

38. საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს არასრულწლოვან შეინთან მშობლის ურთიერთობის წესის განსაზღვრა წარმოადგენს. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ მხედველობაში არ მიიღო საქმეში წარმოდგენილი ფსიქოლოგის დასკვნა მცირენლოვანი კ. ჯ-ის ღამისთვით მამასთან დარჩენის მიზანშეწონლობაზე, ასევე სამედიცინო დაწესებულებებიდან წარმოდგენილი ცნობები ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და აღნიშნული გარემოებების არასათანადო შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად მამასთან მცირენლოვნის ღამისთვით დარჩენის ნაწილში მიიღო კ. ჯ-ის უპირატესი ინტერესების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება.

39. საკასაციო პრეტენზიების დასაბუთებულების შემოწმებამდე, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს განსახილველი დავის მატერიალურ-სამარ-

თლებრივ საფუძვლებსა და მსგავსი კატეგორიის საქმეებზე გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლოს სახელმძღვანელო პრინციპებზე:

40. საქართველოს კონსტიტუციით, მის მიერ ხელმოწერილი და რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით, მათ შორის, „ბავშვის უფლებათა შესახებ“ გაერთიანებული ერების 1989 წლის კონვენციით და საქართველოს შიდასაკანონმდებლო აქტებით, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსით დადგენილია მშობლების თანასწორუფლებიანობის პრინციპი შვილების მიმართ და განსაზღვრულია, რომ ბავშვს აქვს უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში (სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1197). მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ლირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით (სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1198.1).

41. „ბავშვის უფლებათა შესახებ“ გაერთიანებული ერების კონვენციის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად: „მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთ ან ორივე მშობელთან განშორებული ბავშვის უფლებას, რეგულარულად იქონიოს პირადი ურთიერთობა და პირდაპირი კონტაქტი ორივე მშობელთან, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ენინააღმდეგება“.

42. ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესობა დადგენილია, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, რომელიც ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით განმტკიცებულ ოჯახური ცხოვრების უფლებას.

43. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მშობლების ბავშვთან ურთიერთობასთან დაკავშირებულ დაგებზე არაერთხელ აღნიშნა, რომ ბავშვის ინტერესები არის განსაკუთრებული მნიშვნელობის (Krasicki v. Poland, no. 17254/11, § 83, 15 April 2014). ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა იყოს უპირველესი საზრუნავი (Gnahore v. France, n. 40031/98, § 59, ECHR 2000-IX) და შესაძლებელია, თავისი შინაარსიდან და სერიოზულობიდან გამომდინარე, გადაწონის მშობლების ინტერესი (Sahin v. Gernamy [GC], no. 30943/96, § 66, ECHR 2003-VIII). კერძოდ, კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე, მშობელს არა აქვს ისეთი

ლონისძიებების მოთხოვნის უფლება, რომელთა განხორციელებაში შესაძლებელია ზიანი მიაყენოს ბავშვის ჯანმრთელობას და განვითარებას (Krasicki v. Poland, no. 17254/11, § 83, 15 April 2014, Scozzari and Giunta v. Italy [GC], nos. 39211/98 and 41963/98, § 169, ECHR 2000-VIII, and P., C. And S. v. The United Kingdom, no. 56547/00, § 177, ECHR 2002-VI).

44. საქმეში „საჰინი გერმანიის წინააღმდეგ“ ევროსასამართლომ განმარტა, რომ „კონვენციის მე-8 მუხლი სახელმწიფოებისაგან მოითხოვს ბავშვისა და მშობლების ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის დაცვას და ამ ბალანსის ძიებისას, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს“ (Sahin v. Gernamy [GC], no. 30943/96, § 66, ECHR 2003-VIII).

45. აღნიშნულმა პრინციპმა საქართველოს შიდა ნორმატიულ აქტებშიც ჰპოვა ასახვა. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1202-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს განქორნინებული ან ცალ-ცალკე მცხოვრები მშობლების უფლებებსა და მოვალეობებს შვილების მიმართ, მშობლებს თანაბრად აქვთ ყველა უფლება და მოვალეობა თავიანთი შვილების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი განქორნინებული არიან ან ცალ-ცალკე ცხოვრობენ. თუმცა, იმავე კოდექსის 1199-ე მუხლის თანახმად, მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს.

46. ამრიგად, ბავშვისა და მშობლების ურთიერთობის უფლება შეიძლება შეიზღუდოს ან გამოირიცხოს მხოლოდ მაშინ, თუ ეს აუცილებელია ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის. შესაბამისად, აღნიშნული უფლების შეზღუდვის ან გამორიცხვის საკითხის განხილვისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს შემდეგი გარემოებები: (ა) არსებობს თუ არა საკითხის გადაწყვეტის უფრო ნაკლებად შეზღუდვა საშუალება; (ბ) არის თუ არა უფლების შესაძლო შეზღუდვა ან გამორიცხვა პროპორციული ზომა, და (გ) არის თუ არა უფლების შეზღუდვის ან გამორიცხვის აუცილებლობა სათანადოდ დასაბუთებული. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღიარებს, რომ ბავშვის სურვილები და გრძნობები მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მშობელთან უერთიერთობის საკითხის გადაწყვეტისას (Sahin v. Gernamy [GC], no. 30943/96, § 73, ECHR 2003-VIII).

47. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემულ საქმეში საკასაციო სასამართლოს შემოწმების საგანია არის თუ არა მცირენლოვანი კ. ჯ-ის საუკეთესო ინტერესებში მამასთან ღა-

მისთევით დარჩენა, ასევე დედისგან დამოუკიდებლად არდა-დეგების გარკვეული დღეების გატარება მამასთან და, სწორად დაადგინა თუ არა თბილისის სააპელაციო სასამართლომ, რომ მამის უფლების განხორციელება, ღამით დაიტოვოს ბავშვი, შე-ესაბამება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

48. აღნიშნული საკითხის შეფასების მიზნით საკასაციო სა-სამართლო ყურადღებას ამახვილებს საქმეში დადგენილ შემ-დეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

49. სააპელაციო და მოგვიანებით საკასაციო სასამართლოში წინამდებარე საქმის განხილვის დროს მცირენლოვანი კ. ჯ-ე არის 5 წლის.

50. 2014 წლის მაისის შემდეგ, რაც კ-ს მშობლები ფაქტობ-რივად ცალ-ცალკე ცხოვრობენ, ბავშვი ცხოვრობს დედასთან და დადის საბავშვო ბაღში.

51. კ. ჯ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ 2013 წლის 21 ოქტომბრის №43804 ცნობის, ასევე მიუნხენის საუნი-ვერსიტეტო კლინიკაში 2014 წლის 17 მარტიდან 2014 წლის 25 მარტამდე ჩატარებული გამოკვლევის შედეგების თანახმად, მცირენლოვან კ. ჯ-ეს აღენიშნება ცენტრალური ნერვული სის-ტემის დაზიანება (დაუზუსტებელი), არადიფერენცირებული მოძრაობის აშლილობა, რომელიც მცირედ პროგრესირებს. მი-უნხენის საუნივერსიტეტო კლინიკის პროფესორის, მედიცინის დოქტორის ფ. ჰ-ის მიერ ჯ-ეების ოჯახისათვის 2014 წლის 22 აპრილს გამოგზავნილ წერილში მითითებულია, რომ მიუნხენის კლინიკაში კ. ჯ-ის ჰასპიტალიზაცია მოხდა გაურკვეველი კან-კალისა და მიოკლონიების დიაგნოზით (ეტიმოლოგია დაუზუს-ტებელი). კლინიკაში მას ჩაუტარდა მრავალმხრივი კომპლექ-სური გამოკვლევა, თუმცა მისი ავადმყოფობის სიმპტომატი-კის მიზეზის გადაწყვეტით დადგენა ვერ მოხერხდა. კ-ა 2014 წლის 25 მარტს სტაბილური მდგომარეობით გაწერილ იქნა სახ-ლში და მშობლებს მიეცათ გამოკვლევიდან 6 თვის შემდეგ ბავ-შვის სტანციონარში ხელახალი კლინიკური შემოწმების რეკო-მენდაცია.

52. 2015 წლის 27 მარტს თბილისის სააპელაციო სასამარ-თლოში სს „მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საა-ვადმყოფოდან“ წარდგენილი ცნობის შესაბამისად, ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა არის პრაქტიკულად უცვლელი. მას კვლავ აღენიშნება ტრემორი და მიოკლონიები, აქვს ძილის დარღვევა, ღამის კოშმარები, ესაჭიროება ნევროლოგის მეთ-

ვალყურეობა.

53. საკასაციო სასამართლოში საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის დროს, სასამართლოს მიერ კასატორის წარმომადგენლისაგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა კელავ უცვლელია (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 თებერვლის სხდომის ოქმი).

54. ბავშვის მამას, გ. ჯ-ეს აქვს გაფანტული სკლეროზი, ცერებრო-სპინალური ფორმა, რეციდივულ-რემისიული მიმდინარეობით.

55. 2014 წლის მაისის შემდეგ, რაც ბავშვის მშობლები ერთად ალარ ცხოვრობენ, მამასა და შვილს შორის ურთიერთობა ხდება მხოლოდ დედის თანდასწრებით. დედის გარეშე ბავშვისა და მამის შეხვედრა შედგა მხოლოდ საკასაციო სასამართლოს დავალებით, 2016 წლის 10 მარტს, სკვერში. მშობლების განმორების შემდეგ ბავშვი არ ყოფილა თავის ძველ საცხოვრებელ სახლში (ამჟამად მამის საცხოვრებელ სახლში). მამის საცხოვრებელ სახლში ბავშვი დედის გარეშე, დამოუკიდებლად არ დარჩენილა.

56. რაც შეეხება მამასთან ბავშვის ურთიერთობის წესის განსაზღვრას, საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ აღნიშნულის შეფასება პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას 2014 წლის 23 სექტემბრის საოქმო განჩინების საფუძველზე დაევალა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფსიქოლოგის დასკვნის საფუძველზე. კერძოდ, ფსიქოლოგს დაესვა კითხვები: რამდენად მიზანშეწონილია 2010 წლის 2 ნოემბერს დაბადებული კ. ჯ-ის მამასთან დამისთევით დარჩენა დედის გარეშე ყოველკვირეულად (კვირაში ერთხელ) ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვი და მისი დედა, ბ. შ-ი უკვე ქვეთ თვეების გარეშე და კვეთ თვეების გარეშე მამასთან, გ. ჯ-ეს-თან ერთ ოჯახად; ნინაალმდეგ შემთხვევაში რა ასაკიდანაა რეკომენდებული დედის გარეშე მცირენლოვანი ბავშვის მამასთან დარჩენა დამისთევით.

57. აღნიშნული საკითხების გამოკვლევა-შესწავლისა და კ. ჯ-ის ქცევაზე დაკვირვების მიზნით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის სოციალური მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგმა გ. ჯ-მა ჩაატარა ორი ფსიქოლოგიური კვლევა. პირველი კვლევის მომზადების პროცესში

დაკვირვება განხორციელდა დედა-შვილის ურთიერთობაზე, ხოლო მეორე კვლევისას, ფსიქოლოგმა შეაფასა მამა-შვილის ურთიერთობა.

58. ფსიქოლოგის 2014 წლის 31 ოქტომბრის №4878 დასკვნაში მითითებულია, რომ არასრულწლოვანი ავლენს ფსიქოლოგიური ტრავმატიზებისათვის დამახასიათებელ ქცევებს, უცხო გარემოსადმი მკვეთრად გამოხატულ უნდობლობას; სასამართლოს მიერ დასმულ კითხვებზე პასუხების მიღებისთვის და ბავშვთან ურთიერთობის წესის განსაზღვრისათვის მხარეებს გაეწიათ რეკომენდაცია მიმართონ ბავშვთა ფსიქოლოგს/ფსიქოთერაპევტს, რათა ერთობლივად დაგეგმონ შემდეგი ქმედებები.

59. 2014 წლის 3 დეკემბრის №5809 დასკვნაში ფსიქოლოგმა მიუთითა, რომ არასრულწლოვანი ავლენს მიჯაჭვულობას ორივე მშობლის მიმართ, თუმცა შეინიშნება სერიოზული ჩავარდნა მამასთან ურთერთობისას, რაც შეხვედრების ხანგრძლივი დროით წყვეტას უკავშირდება. დასკვნის შესაბამისად, ფსიქოლოგმა მიზანშეწონილად არ მიიჩნია ბავშვის მამასთან ლამისთევით დარჩენა და განმარტა, რომ აღნიშნულს წინ უნდა უძლოდეს შეხვედრები, სადაც მოიხსენება მამასთან ურთიერთობის წყვეტის შედეგად ჩამოყალიბებული ბარიერები. ამასთან, რეკომენდებულად ჩათვალა მამასთან სხვადასხვა ფორმით ყოველდღიური ურთიერთობა, თავდაპირველად, დედასთან ერთად, შემდეგ კი ინდივიდუალურად, რაც, მისი აზრით, დადებითად აისახებოდა ბავშვის ფსიქიკაზე.

60. მიუხედავად ფსიქოლოგის რეკომენდაციებისა, 2014 წლის 3 დეკემბრის (ფსიქოლოგის ბოლო დასკვნის გაცემის) შემდგომ მამა-შვილის ურთიერთდამოკიდებულების შეფასების მიზნით შესაბამისი სოციალური სამსახურის მიერ ბავშვისა და მამის შეხვედრის შეფასების შემდგომი კვლევა არ განხორციელებულა. აღნიშნული საკითხი არც სააპელაციო სასამართლოს გამოუკვლევია საქმის განხილვისას. სააპელაციო სასამართლოს ასევე არ გამოუკვლევია საკითხი იმის შესახებ, ნახულობს თუ არა მამა შვილს სასამართლოს მიერ დადგენილი წესით და ბავშვის დაავადებიდან გამომდინარე, იკვეთება თუ არა მისი მამასთან დამით დარჩენის მიზანშეწონილობა.

61. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართლანარმოებით განსახილველ სხვა კატეგორიის საქმეთაგან განსხვავებით, საოჯახო სამართლებრივი დავების გან-

ხილვა ინკვიზიციური ელემენტებითაა გაჯერებული და საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლით კანონმდებელი შესაძლებლად მიიჩნევს საქმის გარემოების დადგენას სასამართლოს ინიციატივითაც. აღნიშნული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტებს შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ.

62. უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 თებერვლის საოქმო განჩინებით სოციალური მომსახურების სააგენტოს, როგორც მეურვეობა-მზრუნველობის განმახორციელებელ ორგანოს, დაევალა არასრულწლოვან კ. ჯ-ესა და მის მამას, გ. ჯ-ეს შორის არსებული ფსიქო-სოციალური დამოკიდებულების დამატებითი გამოკვლევა ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასადგენად. კერძოდ, მხარეებს სოციალური მუშავის თანდასწრებით უნდა უზრუნველეყოთ მამისა და შვილის შეხვედრის ორგანიზება მამის საცხოვრებელ ადგილზე დედის გარეშე და სოციალურ სამსახურს შესაბამისი დაკვირვების მიხედვით გაეკეთებინა დასკვნა, თუ რამდენად იმოქმედებდა ბავშვზე მამასთან სახლში დარჩენა. ამავე განჩინებით, მხარეებს მიეცათ დრო მორიგებისათვის. აღნიშნული დავალების შესასრულებლად მათ განესაზღვრათ 2 კვირის ვადა (2016 წლის 10 მარტამდე). ამავე დროს, განემარტათ, რომ მოცემულ ვადაში დავალების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, უფლება ჰქონდათ მოეთხოვათ დამატებითი ვადა მის შესასრულებლად (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 თებერვლის სხდომის ოქმი).

63. საკასაციო სასამართლოს დავალება (ბავშვის მამის მიერ საკუთარ სახლში წაყვანა და მამა-შვილის ურთიერთობაზე დაკვირვება) მხარეებმა სათანადო არ შეასრულეს, მათ შორის ვერ შედგა შეხვედრაც მორიგების მიზნით.

64. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელმა, ლ. ქ-ემ უზენაეს სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას წარმოუდგინა თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის მუშავის, მ. გ-ის 2016 წლის 10 მარტის №5275 დასკვნა, რომლის შესაბამისად ირკვევა, რომ მამა-შვილის შეხვედრა შედგა მ. ქუჩაზე მდებარე სკვერში. ბავშვებს თან ახლდა დედა, რომელმაც სოციალურ მუშავს მისცა საშუალება

მის გარეშე დაკვირვებოდა მამა-შვილის ურთიერთობას. სოცი-ალური მუშავი დადებითად აფასებს კ. ჯ-ისა და გ. ჯ-ის ურთი-ერთობას. იმავე დასკვნაში აღნიშნულია, რომ ბავშვის დედა, ბ. შ-ი წინააღმდეგია ბავშვი ღამით დარჩეს მამასთან, ვინაიდან გ.სთან სახლში ცხოვრობს კ-სთვის უცხო ქალბატონი, ეს ფაქ-ტი კი უარყოფითად აისახება ბავშვის ფსოქო-ემოციურ მდგო-მარეობაზე.

65. საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს კიდევ ერ-თხელ განმარტოს, რომ მშობლების ბავშვთან ურთიერთობის წესის განსაზღვრასთან დაკავშირებული დავების განხილვისას სასამართლოსათვის უპირველესად სახელმძღვანელოა ბავშვის კეთილდღეობა და მისი უპირატესი ინტერესი. სადაც საკით-ხის გადაწყვეტილისას სასამართლომ ზედმიწევნით უხდა შეისწავ-ლოს გარემო, სადაც ბავშვი ცხოვრობს და სადაც მას ურთიერ-თობა უნდა ჰქონდეს თითოეულ მშობელთან, არასრულწლოვ-ნის ჯანმრთელობის მდგომარეობა, მისი ასაკი და ინდივიდუა-ლური მოთხოვნილებები, რის შედეგადაც შესაძლებელია გადაწ-ყდეს, რამდენი ხნით და რა წესით უნდა დაერთოს მშობელს შვილთან ურთიერთობის (მეორე მშობლისაგან დამოუკიდებ-ლად სახლში წაყვანის, ღამით დატოვებისა და სხვ.) ნება. ასეთ სიტუაციაში შეძლებისდაგვარად უნდა იქნას გათვალისწინებუ-ლი სუბიექტური ფაქტორიც – ბავშვის ასაკიდან გამომდინარე, მის მიერ არსებული სიტუაციის აღქმა.

66. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, საკასაციო სასამარ-თლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთება ბავ-შვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მამის საცხოვ-რებელ სახლში ღამით მისი დარჩენის მიზანშეწონილობა. გან-საკუთრებით მხედველობაში მისაღებია ბავშვის ასაკი და ჯან-მრთელობის მდგომარეობა. 5 წლის კ. ჯ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ საქმეში წარმოდენილი დოკუმენტების შესწავლისა და შეფასების შედეგად დადგენილია, რომ მას აღე-ნიშნება ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება (დაუზუს-ტებელი), არადიფერენცირებული მოძრაობის აშლილობა, რო-მელიც მცირედ პროგრესირებს. ავადმყოფობის სიმპტომატი-კის მიზეზის გადაწყვეტით დადგენა ვერ ხერხდება. მითითე-ბული ფაქტი კი უდავოდ წარმოადგენს მნიშვნელოვან დეტალს არასრულწლოვანის დედისაგან (რომელიც ბავშვზე ზრუნვის რეჟიმს უძღვება) თუნდაც დროებით მოშორების წესისა და ვა-

დის განსაზღვრისას.

67. ამავე დროს, მნიშვნელოვანია მამის ჯანმრთელობის მდგომარეობაც, რომელიც გადაწყვეტილების გამოტანისას მხედველობაში არ მიიღო არც პირველმა და არც სააპელაციო სასამართლომ; აგრეთვე, ის ფაქტი, რომ მამის საცხოვრებელ სახლში ამჟამად ცხოვრობს ბავშვისათვის უცხო ქალბატონი, რომელთანაც კ.ს ურთიერთობა არ ჰქონია.

68. საკასაციო სასამართლო უურადღებას ამახვილებს ასევე დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგის, გ. ჭ-ის 2014 წლის 3 დეკემბრის №5809 და თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის მუშაკის, მ. გ-ის 2016 წლის 10 მარტის №5275 დასკვნებზე, რომელთა მიხედვით, მამა-შვილს შორის ურთიერთობა დადებითადაა შეფასებული. მათ შორის არის პოზიტიური მიჯაჭვულობა, მამას აქვს საკმარისი უნარ-ჩვევები, რათა იზრუნოს ბავშვზე. კ. კი მამის მიმართ გამოხატავს სითბოს და სიყვარულს, თამაშობს მასთან და თავს გრძნობს მხიარულად და კარგად. თუმცა ამავე დასკვნებში საკითხი ბავშვის მამასთან ღამით დარჩენის შესახებ დადებითად არ არის შეფასებული.

69. ზემოაღნიშნული გარემოებები საკასაციო სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას მიუხედავად ბავშვის ღამით წაყვანის უფლების შეზღუდვისა, მამას მისცეს უფლება მეტი დრო გაატაროს შვილთან და წაიყვანოს იგი თავის საცხოვრებელ სახლში.

70. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

71. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში განსახილველად დაბრუნების აუცილებლობა და იგი უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

72. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სა-

სამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროცენტის, რომელზედაც მოსარჩელეს ეთქვა უარი.

73. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან ბ. შ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოწინააღმდეგე მხარეს, გ. ჯ-ეს ბ. შ-ის სასარგებლობუნდა დაეკისროს მის მიერ საპატიო და საკასაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 450 (ოთხას ორმოცდათი) ლარის ნახევრის, 225 (ორას ოცდახუთი) ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ უ ვ ი ტ ა:

1. ბ. შ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 2 ივნისის განჩინება თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 5 მარტის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.2.2 პუნქტის უკვლელადდატოვების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;

3. გ. ჯ-ის სარჩელი არასრულწლოვან შეილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრის შესახებ დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.2.1 პუნქტში მითითებული წესით ურთიერთობის დაწყებიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ გ. ჯ-ეს არასრულწლოვან შეილთან, 2010 წლის 2 ნოემბერს დაბადებულ კ. ჯ-ესთან ურთიერთობისათვის განესაზღვროს: ყოველკვირეულად ოთხშაბათი 17:00 საათიდან 20:00 საათამდე და შაბათი 11:00 საათიდან 20:00 საათამდე მამის საცხოვრებელ ადგილას ბავშვის ნაყვანის უფლებით;

5. გ. ჯ-ის სარჩელი მამის საცხოვრებელ ადგილას ბავშვის ლამისთევით წაყვანის, აგრეთვე, ზაფხულის და ზამთრის არდალებზე 10-10 დღით მამის საცხოვრებელ ადგილას ბავშვის წაყვანის შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

6. გ. ჯ-ეს დაეკისროს ბ. შ-ის სასარგებლოდ, მის მიერ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაზის – 225 ლარის გადახდა;
7. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**შვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა;
ალიგაციის ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს
მიერ**

**გადაცევაფილება
საქართველოს სახალის**

№ას-1149-1081-2015

6 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა**
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე

დავის საგანი: შვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა,
ალიგენტის დაკისრება, დამატებით ხარჯებში მონაწილეობა

აღნერილობითი ნაწილი:

1. მ. გ-ი (შემდეგში მოსარჩეულე, ბავშვის მამა ან კასატორი) და ა. ფ-ე (შემდეგში მოპასუხე, შეგებებული სარჩელის ავტორი, ბავშვის დედა, აპელანტი ან მოწინააღმდეგე მხარე) 2010 წლის 27 აპრილიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ. ისინი განქორწინდნენ 2014 წლის 6 ნოემბერს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ, 1122-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი).

2. თანაცხოვრების პერიოდში წყვილს შეეძინა ერთი შვილი – 2010 წლის 18 ნოემბერს დაბადებული ნ. გ-ი (შემდეგში მცირენლოვანი ან ბავშვი).

3. ბავშვი 1 წლამდე იზრდებოდა მშობლებთან ერთად. მამა მასზე ზრუნავდა, ბავშვი ხელოვნურ კვებაზე იყო და ზოგჯერ მამა აძლევდა საკვებს, უცვლიდა საფერებს, აძინებდა და მე-

ულლეს ეხმარებოდა შვილის გაზრდაში.

4. წყვილი, ბავშვის 1 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ, 2011 წლის შემოდგომიდან, ერთად აღარ ცხოვრობს, ხოლო ბავშვი ცხოვრობს დედასთან, ამ უკანასკნელის მშობლების სახლში – ქ. ზესტაფიონში.

5. მეუღლესთან დაცილების შემდეგ, მამა, რამდენიმე თვის განმავლობაში, შვილს ნახულობდა ყოფილი მეუღლის ბაბუის ბ. კ-ის სახლში, რომელიც იმავე ქალაქში მდებარეობს, ი. №29). ბავშვი მამასთან ურთიერთობისას თავს კარგად გრძნობდა. შემდეგ, მამას შვილის ნახვის უფლებასა და მასთან ურთიერთობის საშუალებას არ აძლევდა ყოფილი მეუღლე და მისი ოჯახი.

6. ამჟამად ბავშვის მამაც ცხოვრობს იმავე ქალაქში, ბავშვისაგან მცირედ დაშორებულ, ავტომანქანით 5-7 წუთის სავალ მანძილზე.

7. ბავშვს 2 წლიდან განუვითარდა სწორი ნაწლავის ჩვეული გამოვარდნა, რაც დეფეკაციის შემდეგ ხდებოდა, სხვადასხვა სარისხით. მცირენლოვანს სწორი ნაწლავი ორჯერ ჩაუსწორა ქირურგმა, ხოლო ბოლო წელიწადია, დედამ თავად რამდენჯერმე შეუსწორა. ბავშვი საჭიროებს ქირურგის მეთვალყურეობას, თუმცა, მისი დაავადების ხარისხი იოლ ფორმაშია, არ არის იმდენად მძიმე, რომ მან ვერ შეძლოს დედის გარეშე რამდენიმე საათით ყოფნა. საჭიროების შემთხვევაში, ბავშვისათვის დახმარების აღმოჩენა შეუძლია ნებისმიერ ყურადღებიან და გონიერ ადამიანს და საამისოდ საჭირო არ არის სპეციალური განათლება ან უნარ-ჩვეულები. 2 წლის ასაკის შესრულების შემდეგ, ბავშვს აღნიშნული დაავადების გამო, მხოლოდ ორჯერ დასჭირდა ქირურგთან მიყვანა, ფაქტობრივად, ბოლო 2 წელია იგი ქირურგთან ალარ ჰყოლიათ. ბავშვს, მისი ასაკის გათვალისწინებით, უკვე თავადაც შეუძლია საკუთარი მდგომარეობის გაკონტროლება და მშობლისათვის დახმარების თხოვნაც. ზოგადად, გართულების შემთხვევაში, შესაძლოა დასჭირდეს ქირურგიული ოპერაცია, რაც ამ მდგომარეობით არ ესაჭიროება. ექიმის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში არაფერია საგანგაშო, აღნიშნული დაავადება ხშირია ბავშვებში და ასაკის მატებასთან ერთად, სწორი კვებისა და სათანადო მოვლის შემთხვევაში, უპრობლემოდ დაძლევადია.

8. ბავშვს, გარდა სწორი ნაწლავის დაავადებისა, აქვს რაქიტის ნარჩენი მოვლენები – ბრტყელტერფიანობა, კუნთთა ჰიონტონუსი. 2015 წელს მცირენლოვანს, ჯანმრთელობის მდგო-

მარეობის გამო, დასჭირდა სამკურნალო – გამაჯანსაღებელი ლონისძიებების ჩატარება: მასაფი 20 სეანსი, წელიწადში 3 კურსი, თითოეული კურსის ღირებულება 140 ლარი; ელექტრო ფორეზი 15 სეანსი, წელიწადში სამჯერ, თითოეული კურსის ღირებულება 90 ლარი; ელექტროსტიმულაცია 15 სეანსი, წელიწადში 2 კურსი, თითოეული კურსის ღირებულება 90 ლარი.

9. ბავშვს, ნევროლოგის კონსულტაციის შედეგად, 2015 წლის 29 იანვარს დაუდგინდა ადრეული ასაკის ბავშვთა ნევროზი. ექიმის რეკომენდაციით ბავშვს ესაჭიროება მშვიდი, კომფორტული გარემოს შექმნა და ძირითადი დიაგნოზის – სწორი ნაწლავის მკურნალობა, კერძოდ, კვების რეჟიმის შერჩევა.

10. სოციალური მომსახურების სააგენტოს ზესტაფონის რაიონული განყოფილების დასკვნის (შემდეგში სოცსააგენტოს დასკვნა) თანახმად, მამის ოჯახში არის კარგი საყოფაცხოვრებო პირობები იმისათვის, რომ ბავშვმა კომფორტულად და კარგად იგრძნოს თავი. მამას ოჯახში ჰყავს მშობლები, ბავშვის ბაბუა, რომელიც მუშაობს, ბებია კი დიასახლისია, ის 62 წლის გამრჯე ქალბატონია, რომელსაც ბავშვის მამის გარდა, კიდევ სამი ქალიშვილი ჰყავს და 5 შვილიშვილის აღზრდაში მონაწილეობდა. ოჯახში წენარი და თბილი გარემოა, გამოირჩევიან სტუმართმოყვარეობით, მეზობლებთან და ნათესავებთან კარგი ურთიერთობით.

11. სოცსააგენტოს დასკვნაში მითითებული არ არის მამისა და შვილის ურთიერთობის თაობაზე, თუმცა, სასამართლო სხდომაზე, სააგენტოს ნარმომადგენელმა მ. კ-ემ განმარტა, რომ მამის ოჯახში ვიზიტისას, ამ უკანასკნელმა მას უთხრა, რომ როცა შვილს ნახულობდა, ბავშვი მასთან კარგად გრძნობდა თავს, არ ჰქონია არავითარი გაუცხოება მამის მიმართ, ოჯახში მან მამა-შვილის ერთობლივი ფოტოც ნახა.

12. ბავშვის მამა 2013 წლის 2 სექტემბრიდან რეგისტრირებული იყო ინდ. მენარმედ. მან 2015 წლის 5 იანვრიდან შეწყვიტა ეკონომიკური საქმიანობა და ამჟამად უმუშევარია. მისი შემოსავლების არსებობა არც საქმის სასამართლოში განხილვისას და არც 2013-2014 წლებში საქმის მასაღებით არ დასტურდება.

13. ბავშვის მამამ 2014 წლის 10 დეკემბერს სარჩელი აღძრა ყოფილი მეულლის წინააღმდეგ და მოითხოვა შვილის ნახვის დღეების განსაზღვრა სსკ-ის 1197-ე, 1198-ე მუხლის მე-5 ნაწილის, 1199-ე და 1202-ე მუხლების საფუძველზე.

14. თავის მხრივ, იმავე წლის 26 დეკემბერს, შეგებებული

სარჩელი წარადგინა ბავშვის დედამ თავდაპირველი მოსარჩელის წინააღმდეგ და მოითხოვა მცირენლოვანის მამისათვის ალიმენტისა და დამატებითი ხარჯების დაკისრება (სსკ-ის 1212-ე, 1215-ე მუხლები).

15. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით წაწილობრივ დაქმაყოფილდა როგორც თავდაპირველი, ისე შეგებებული მოსარჩელის მოთხოვნა.

15.1. მამას მცირენლოვან შვილთან ურთიერთობისათვის განესაზღვრა შემდეგი რეჟიმი:

15.1.1. პირველი ორი თვის (60 დღის) განმავლობაში, მამა შვილს მონახულებს მოპასუხის ბაბუის საცხოვრებელ სახლში, ყოველ კვირა დღეს, 12 საათიდან 15 საათამდე;

15.1.2. ორი თვის შემდეგ მამას უფლება მიეცემა, შვილი 6 წლის ასაკის შესრულებამდე თავისთან წაიყვანოს ყოველ კვირა დღეს, დილის 10-დან საღამოს 18 საათამდე;

15.1.3. ბავშვის 6 წლის ასაკის შესრულების შემდეგ: ა) მამას მიეცეს უფლება შვილი თავისთან წაიყვანოს ყოველ შაბათს და კვირას, შაბათს – დილის 10 სათიდან მეორე დღის – კვირის 18 საათამდე; ბ) სასკოლო არდადეგების პერიოდში მამამ შვილი თავისთან წაიყვანოს ზაფხულის არდადეგებზე ივლისის თვეში 15 ივლისიდან 30 ივლისის ჩათვლით, აგვისტოში – 15 აგვისტოდან 30 აგვისტოს ჩათვლით; ზამთრის არდადეგებზე – არდადეგების მეორე ნახევარში; გ) უქმე დღეებზე – აღდგომის დღეს და მეორე დღეს ორშაბათს, საღამოს 20 საათამდე;

15.1.4. ბავშვის წაყვანა და მისი დედასთან დაბრუნება უზრუნველყოს მამან.

16. შეგებებული სარჩელის დაქმაყოფილებული წაწილით, მოსარჩელეს, მოპასუხის სასარგებლოდ, მათი არასრულწლოვანი შვილის რჩენა-აღზრდისათვის ყოველთვიურად დაეკისრა ალიმენტი – 100 (ასი) ლარი; ალიმენტის გადახდევინება დაინტენშებებული სარჩელის აღმვრის მომენტიდან – 2014 წლის 26 დეკემბრიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე. მოსარჩელეს დაეკისრა დამატებით ხარჯებში მონაწილეობა და 2015 წელს შვილის სამკურნალო – გამაჯანსაღებელი ღონისძიებისათვის, მოპასუხის სასარგებლოდ გადახდა 435 ლარი. შეგებებული სარჩელის მოთხოვნა დამატებითი ხარჯების სახით – 1565 ლარის მოსარჩელისათვის დაკისრებაზე, უარყოფილი იქნა.

17. რაიონულმა სასამართლომ, ამ განჩინების 1-12 პუნქტებ-

ში აღნერილ ფაქტობრივ გარემოებებზე და სსკ-ის 1197-ე, 1198-ე, 1201-ე, 1202-ე მუხლებზე დაყრდნობით, გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის საფუძველზე, ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით იმსჯელა, რომ ბავშვის უფლებაა, ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში, რაც გულისხმობს ბავშვისათვის თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფას, ურთიერთობა ჰქონდეს როგორც მშობლებთან, ისე სხვა ნათესავებთან. სსკ-ის 1198-ე მუხლის მე-5 ნაწილით, შვილებთან ურთიერთობა მშობლის არა მარტო უფლებაა, არამედ კანონი მას ავალდებულებს ჰქონდეს ურთიერთობა შვილთან, იზრუნოს მასზე, როგორც ქორწინების დროს, ისე განქორწინების შემდეგ.

18. დასახელებული კონვენციის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთ ან ორივე მშობელს დაცილებული ბავშვის უფლებას, რეგულარული პირადი ურთიერთობები და პირდაპირი კონტაქტები ჰქონდეს ორივე მშობელთან, იმ შემთხვევის გარდა, როცა ეს ენინა-აღმდეგება ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტ ინტერესებს. ამდენად, როგორც საქართველოს კანონმდებლობა, ისე საერთაშორისო სამართლის წორმები, მკაფიოდ ასახავს და მიუთითებს ბავშვთან ურთიერთობის ნესების დადგენისას მშობლების თანაბარ უფლებებსა და მოვალეობებს ბავშვთან მიმართებით.

19. სსკ-ის 1214-ე მუხლზე მითითებით, სასამართლომ იმსჯელა ალიმენტზე, გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე, შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში, ამასთან, მხედველობაში მიიღო როგორც მშობლების, ისე შეილის რეალური მატერიალური მდგომარეობა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსკ) მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს მხარეთა შეჯიბრობითობის საფუძველზე, ხოლო 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. სასამართლომ დაასკვნა, რომ საქმის განხილვისას, ბავშვის მამის შემოსავლების დამადასტურებელი მტკიცებულები შეგებებული სარჩელის ავტორმა ვერ წარადგინა.

20. სსკ-ის 1215-ე მუხლზე დაყრდნობით, ამ განჩინების მე-8 პუნქტში მითთებული გარემოებების საფუძველზე, ბავშვის მა-მას, შვილისათვის 2015 წელს ჩატარებული სამკურნალო – გა-მაჯანსაღებელი ღონისძიებისათვის, შეგებებული მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 435 ლარი.

21. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბავშვის დედამ (შეგებებულმა მოსარჩელემ), რომელმაც შემდეგ არგუმენტებზე მიუთითა:

21.1. მამა არ მონაწილეობდა შვილის აღზრდაში, არც ფინან-სურად და არც ფიზიკურად. სასამართლომ არასწორად გაიზია-რა დაინტერესებული მოწმის – მოსარჩელის დედის ჩვენება, რომელიც ცრუობდა, როდესაც ადასტურებდა, რომ მისი შვილი მონაწილეობდა ფინანსურად და ფიზიკურად შვილის აღზრდა-ში. ბავშვი დაბადებიდან დედასთან იზრდებოდა, ამ უკანასკე-ლის მშობლების ოჯახში და იზრდება დღემდე, ხოლო მოწმე, მეორე ბებია ცხოვრობს თავის სახლში. აქედან გამომდინარე, ის ამ ფაქტებს ვერ დაადასტურებს, ამავე დროს, ბავშვის მამა თავად იყო მეუღლის მშობლების კმაყოფაზე, ხოლო დედა აქ-ტიურად მონაწილეობდა და დღემდე მონაწილეობს შვილის გაზ-რდაში. ბავშვი 4 წლისაა და სამი წლის განმავლობაში მხოლოდ 5-ჯერ ნახა მამამ თავისი შვილი;

22.2. სასამართლომ არ შეისწავლა მოსარჩელის მიერ წარ-დგენილი სამედიცინო დოკუმენტაცია და მორიგე ექიმის გან-მარტებაზე დაყრდნობით, რომელიც არ არის ბავშვის მკურნა-ლი ექიმი, არასწორი დასკვნები გამოიტანა. საცხოვრებელ სახ-ლში ბავშვს აქვს თავისი ინდივიდუალური საპირფარეშო, მავ-რამ ვერ ახერხებს იმის გამოყენებას, იმდენად მძიმე ფორმაში აქვს დაავადება და დღეში მინიმუმ სამჯერ-ოთხჯერ სჭირდე-ბა სპეციალური პამპერსი, რომელიც არაალერგიულია, რადგან ამ დაავადებას თან ერთვის ქრონიკული ყაბზობა, რის გამოც ბავშვს, რამდენჯერმე უნევს ტანჯვით შესაბამისი პროცედუ-რის გავლა. ამას ემატება კუნთების ჰიპოტონუსი ანუ კუნთა სისუსტე, ადრეული ასაკის ნევროზი, რითაც ბავშვი ძალიან გა-ღიზიანებულია. ეს ყველაფერი საჭიროებს დედის თანადგომას, ასევე, ფინანსებს, რაც სასამართლომ არ გაითვალისწინა;

22.3. სასამართლომ არასწორად გამოთვალა ერთჯერადად მოთხოვნილი თანხა ბავშვის სამედიცინო მომსახურებისათვის, რასაც დედა სამი წელია დამოუკიდებლად, მამის დაუხმარებ-ლად უძღვება. ამიტომ ამ ნაწილშიც დაუსაბუთებელია გასაჩივ-

რებული გადაწყვეტილება;

22.4. სასამართლომ არასწორად განმარტა გამოყენებული კანონი, რითაც დაარღვია ბავშვის და მეორე მშობლის – დედის უფლება.

22.5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ბავშვის დედის სააპელაციო საჩივარი;

22.6. მამას დაერთო ნება, შეხვდეს შვილს, ყოველი კვირის შაბათს და კვირას 12-დან 13 საათამდე, ამასთან, შეხვედრა უნდა მოხდეს აპელანტის საცხოვრებელ ადგილას აპელანტის ან მის მიერ მითითებული პირის თანდასწრებით. ურთიერთობის ეს წესი გაგრძელდეს ვითარების შეცვლამდე, ე.ი. მანამ, სანამ შესაძლებელი არ იქნება მამასა და შვილს შორის უფრო ხანგრძლივი შეხვედრები, მათ შორის, დედის დასწრების გარეშე;

22.7. ვითარების შეცვლის შემდეგ კი, მამას უნდა დაერთოს ნება, დამოუკიდებლად იქნიოს ურთიერთობა შვილთან ყოველი მეორე კვირის შაბათის 10 საათიდან – კვირის 18 საათამდე. გარდა ამისა, ვითარების შეცვლის შემდეგ, მას უნდა დაერთოს ნება, წაიყვანოს შვილი ზაფხულის სასკოლო არდადეგების პერიოდში პირველი ორი კვირის და ზამთრის სასკოლო არდადეგების პერიოდში – ბოლო 10 დღის განმავლობაში. ასევე, აღდგომის დღეს და აღდგომის მეორე დღეს, 20 საათამდე.

22.8. აპელანტის სასარგებლოდ, ბავშვის მამას, შვილის სარჩოდ უნდა დაეკისროს, ყოველთვიურად, 200 ლარის გადახდა. გარდა ამისა, აპელანტის სასარგებლოდ, მის მოწინააღმდეგებეს უნდა დაეკისროს 950 ლარის გადახდა.

23. სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 2 ივნისის განჩინებით, ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესასწავლად და ასევე იმის გასარკვევად, თუ რა გავლენას მოახდენს მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, დედის გარეშე, მამა-შვილის ხანგრძლივი დროით ურთიერთობა, მათ შორის, ბავშვის მამასთან დარჩენა ღამით, მოწვეულმა სპეციალისტ-ფსიქოლოგმა დაასკვნა: ქცევაზე დაკვირვებისას გამოიკვეთა, რომ ბავშვისათვის მამასთან შეხვედრა ემოციურად არასასიამოვნო მოვლენაა. იმ დამოკიდებულების ფონზე, რომელიც ამჟამად გამოიკვეთა მამასა და შვილს შორის, მათი შემდგომი შეხვედრები წარუმატებელი აღმოჩნდება. შესაბამისად, დაუშვებელია, რომ ეს შეხვედრები ბავშვის ოჯახის წევრების დასწრების გარეშე

წარიმართოს და, აქედან გამომდინარე, უახლოეს მომავალში, შეუძლებელი იქნება ბავშვის მამის სახლში ხანგრძლივი დროით წაყვანა. ფსიქოლოგმა ისიც განმარტა, რომ იმ ვადის დადგენა, რაც მამასა და შვილს შორის კონტაქტის აღდგენას დასჭირდება, ამ ეტაპზე, შეუძლებელია. ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, სასურველია, ეს ურთიერთობა გაგრძელდეს, არა უმეტეს 1 საათისა და შეხვედრები მოხდეს კვირაში ერთხელ მაინც.

24. სასამართლომ აღნიშნა, რომ ფსიქოლოგის დასკვნა და მის მიერ სასამართლოს სხდომაზე მიცემული ჩვენება მხარეებს არ გაუპროტესტებიათ და მისი სანინააღმდეგო მოსაზრებები არ გამოუთქვამთ. მნიშვნელოვანია, რომ რაომნული სასამართლოს მიერ დადგენილი შეხვედრის საათები მხარეებს სადაც არ გაუხდიათ, ამიტომ, სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, ბავშვის ასაკის გათვალისწინებით, შეხვედრა უნდა მოხდეს 12-დან 13 საათამდე და ურთიერთობის ეს წესი უნდა გაგრძელდეს ვითარების შეცვლამდე, ე.ი. მანამ, სანამ შესაძლებელი არ იქნება მამასა და შვილს შორის უფრო ხანგრძლივი შეხვედრები, მათ შორის, დედის დასწრების გარეშე.

25. ამის შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ მამაშვილს შორის ურთიერთობის წესი უნდა განისაზღვროს შემდეგი სახით: მამას უნდა დაერთოს ნება, შეხვდეს შვილს ყოველი კვირის შაბათს და კვირას, ერთი საათით. ამასთან, შეხვედრა უნდა მოხდეს დედის საცხოვრებელ ადგილას, დედის ან მის მიერ მითითებული პირის თანდასწრებით. ვითარების შეცვლის შემდეგ, მამას უნდა დაერთოს ნება, დამოუკიდებლად იქონიოს ურთიერთობა შვილთან ყოველი მეორე კვირის შაბათის 10 საათიდან – კვირის 18 საათამდე. გარდა ამისა, ვითარების შეცვლის შემდეგ, მას უნდა დაერთოს ნება, წაიყვანოს შვილი ზაფხულის სასუკლო არდადეგების პერიოდში პირველი ორი კვირის და ზამთრის სასკოლო არდადეგების პერიოდში – ბოლო 10 დღის განმავლობაში. ასევე, აღდგომის დღეს და აღდგომის მეორე დღეს, 20 საათამდე.

26. სასამართლომ, სსკ-ის 1212-ე, 1214-ე მუხლების, სსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დაადგინა, რომ საქმის მასალებით მტკიცდებოდა, რომ უშუალოდ, სარჩელის აღძრის მომენტში და შემდეგაც ბავშვის მამა ეწეოდა სამეწარმეო საქმიანობას, კერძოდ, მას საზღვარგარეთიდან ჩამოჰყავდა ავტომობილები, ჩამოჰქონდა მოძრავი ნივთები და ახ-

დენდა მათ რეალიზაციას.

27. ამ გარემოებებს ამტკიცებდა ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რესტრიდან და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ გაცემული სატრანსპორტო საშუალების ბარათი. მართალია, სარჩელის აღმართის შემდეგ, 2015 წლის 5 იანვარს, ბავშვის მამამ განცხადებით მიმართა შემოსავლების სამსახურს, სამეწარმეო საქმიანობის შეჩერების შესახებ განცხადებით, თუმცა, ეს არ ნიშნავდა, რომ მას შემოსავალი არ გააჩნია.

28. ამასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტებაზე (იხ. 2011 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-58-49-2011), „მართალია, მოპასუხე თვითდასაქმებისა და შემოსავლის მიღების შესაძლებლობას. თავად მოპასუხის განმარტებით, იგი ავტომანქანებით ვაჭრობდა, ჰქონდა ხის საამქრო, ასევე, როგორც მუსიკოსი, შეკვეთებით იღებდა შემოსავლებს. ამდენად, მოპასუხე თვითდასაქმებული იყო და შემოსავლებიც გააჩნდა, თუმცა, მისივე განმარტებით, ყველა ზემოაღნიშნულ საქმიანობას მან თავი დაანება ალიმენტის თაობაზე სარჩელის შეტანამდე რამდენიმე თვით ადრე. უდავოა, რომ ინდმენარმედ რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით მოპასუხემ საგადასახადო ორგანოს მიმართა მის წინააღმდეგ სარჩელის შეტანის შემდეგ. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სწორედ ზემოაღნიშნული იძლევა იმ პრეზუმეციის დაშვების შესაძლებლობას, რომ მოპასუხე შესაძლოა, ამჟამადაც დასაქმებული იყოს იმავე ან სხვა საქმიანობით“.

29. სასამართლოს შეფასებით, იგივე პრეზუმეცია მოქმედებდა მოსარჩელის მიმართაც და მან ეს პრეზუმეცია სარწმუნოდ უკრ გააქარწყლა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ 2014 წლის 19 ივნისს, ბავშვის მამამ სს „ფ-დან“ 1 წლით ისესხა 1000 აშშ დოლარი. ამ ხელშეკრულების თანახმად, მოსარჩელეს საკრედიტო ორგანიზაციისათვის 2015 წლის 25 ივნისამდე ყოველთვიურად უნდა გადაეხადა 99,47 აშშ დოლარი. სასამართლოს დასკვნით, აღნიშნული ადასტურებდა, რომ მიუხედავად სამეწარმეო საქმიანობის შეწყვეტისა, იგი ფინანსურ ვალდებულებებს ასრულებდა.

30. სასამართლომ დაასკვნა, რომ იმის გათვალისწინებით,

რომ 2015 წლის 25 ივნისის შემდეგ, მოსარჩელეს ბანკისადმი აღარ აქვს შესასრულებელი ვალდებულებები, მას შვილის სარჩოდ, ყოველთვიურად, 200 ლარის გადახდა საცხოვით შეეძლო. სსკ-ის 1215-ე მუხლის საფუძველზე, დამატებით ხარჯებში მონაწილეობის თაობაზე, სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ასეთი ხარჯის ოდენობის მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა აპელანტს, რომელმაც თავისი პოზიციის დასამტკიცებლად, წარადგინა ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობები. სხვა მტკიცებულებები, რომლითაც მკურნალობისათვის აუცილებელი ხარჯის ოდენობის დადგენა იქნებოდა შესაძლებელი, აპელანტს არ წარუდგენია. ამიტომ, სასამართლომ დაადგინა, რომ წლის განმავლობაში, ცნობებში მითითებული სამკურნალო პროცედურების ჩასატარებლად საჭიროა – $4X20+140X3+90X3+90X2=950$ ლარი.

31. სასამართლომ იმაზეც იმსჯელა, რომ ამავე ცნობის თანახმად, ბავშვმა მსგავსი მკურნალობა ჩაიტარა 2012-2013 წლებში და ამ მკურნალობისათვის საჭირო ხარჯის დაფარვაში ბავშვის მამას მონაწილეობა არ მიუღია, ე.ი. ეს ხარჯი მთლიანად აპელანტის მიერ იქნა გაღებული. იგივეს ამტკიცებდა თავად მამის შესაგებელი, რომელშიც მითითებულია, რომ შვილის ავადმყოფობის შესახებ მისთვის ცნობილი გახდა, მხოლოდ, სარჩელზე წარდგენილი შესაგებლის ჩაბარების შემდეგ.

32. მითითებული მსჯელობისა და დასკვნების გათვალისწინებით, სასამართლომ, 2015 წლისათვის ბავშვის მკურნალობისათვის საჭირო ხარჯის ანაზღაურება სრულად დააკისრა მის მამას.

33. ბავშვის მამამ საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, მისი სარჩელის დაკმაყოფილება და შეგებებული სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილება, კერძოდ:

34. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, თვით ბავშვის დედის თანხმობით, ამ უკანასკნელის ბაბუის საცხოვრებელ სახლში მიეცა შვილის ნახვის უფლება მამას. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელშიც მითითებულია „ვითარების შეცვლის“ თაობაზე, მეტი ბუნდოვანება შევიდა და პრაქტიკულად მხარეთა შორის სადავო გახდა ეს გარემოება. ბავშვის ასაკისა და მისი ფიზიკური მდგომარეობის, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით (ბავშვის უფლება-

თა კონვენციის მე-3 მუხლი), პქონდა რაიონულ სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებული;

35. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დარღვეულია სსკ-ის 1197-ე მუხლით მშობლებისათვის დადგენილი თანაბარი უფლება-მოვალეობები; დაუსაბუთებელია 950 ლარის საკასაციო საჩივრის ავტორისათვის დაკისრება, რადგან დარღვეულია სსსკ-ის მე-4 და 102.3 მუხლები; შეგებებული სარჩელის ავტორს სასამართლოსათვის არ წარუდგენია ბავშვის 2012-13 წლებში მკურნალობისთვის განეული ხარჯების დამადასტურებელი მტკიცებულებები, ასევე, სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ბავშვის მამა აღარ ენევა სამენარმეო საქმიანობას, უგულებელყო მისი მატერიალური შესაძლებლობა;

36. კასატორი ფაქტობრივ გარემოებებზეც დავობს და აღნიშნავს, რომ დაუსაბუთებელია გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.4. პუნქტი ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე, რადგან ამ ნაწილში სპეციალისტის განმარტებაც არსებობდა; ასევე, ბავშვის ნევროპათოლოგთან მიყვანა, მხოლოდ სასამართლო საქმისწარმოების დროს მოხდა, ხოლო ბავშვის მასაჟისა და მკურნალობის თაობაზე ექიმის მიერ გაცემული ცნობა მხარემ დაგვიახებით წარადგინა, რაც არ უნდა დართვოდა საქმეს და აღნიშნული იმთავითვე სადავოდ გახადა ბავშვის მამამ.

37. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამეთა პალატის 2015 წლის 4 დეკემბრის განჩინებით, საკასაციო საჩივარი წარმოებაშია მიღებული, სსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2016 წლის 22 იანვრის განჩინებით დასაშვებადაა ცნობილი, დასახელებული ნორმის მე-5 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნტების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივრის სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმების, მტკიცებულებათა ერთობლიობით გაანალიზებისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი მოტივაციით:

38. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-

განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

39. კასატორის პრეტენზიათა ნაწილი, კერძოდ, რომელიც ბავშვთან ურთიერთობას ეხება, დასაბუთებულია, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტები უცვლელად უნდა დარჩეს, რადგან კასატორმა ვერ შეძლო სარწმუნო არგუმენტების წარმოდგენა და შესაბამის მტკიცებულებებზე მითითება, რათა დაეძლია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები, რაც ამ ნაწილში კასატორის მოთხოვნის უარყოფის საფუძველია.

40. საკასაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას ამახვილებს, რომ საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი განსაზღვრულია სსსკ-ის XLIII თავით და, განსახილველ შემთხვევაში, ბავშვის საუკეთესო ინტერესების კვლევისას, სასამართლო ინკვიზიციური სამართალწარმოების ელემენტებითა აღჭურვილი, რაც დასადგენ გარემოებათა წრის სასამართლოს ინიციატივით განსაზღვრაში და მტკიცებულებათა გამოთხვაში გამოიხატება. ბავშვის საუკეთესო ინტერესების კვლევისას (ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლი), სასამართლოსათვის უპირატესია ბავშვის საუკეთესო ინტერესების მხარდაჭერა, ამასთან, დასახელებული კონვენციის მე-8 მუხლით განმტკიცებული ოჯახური ცხოვრების პატივისცემის სტანდარტის დასაცავად, მამა-შვილს შორის ურთიერთობის ხელშეწყობა, მშობელსა და შვილს შორის კონტაქტი არის ის ამოსავალი პრინციპი, რომლითაც ხელმძღვანელობს სასამართლო, რათა ოჯახური ცხოვრების კონვენციისეული მიდგომა იყოს დაცული.

41. სასამართლო იზიარებს, კასატორის პრეტენზიის იმ ნაწილს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, მამა-შვილს შორის ურთიერთობის განსაზღვრისათვის ზოგადი ცნების „ვითარების შეცვლის შემდეგ“ დაწესება, რომელიც შეფასებითი კატეგორიისა, იმთავითვე სადავოდ ხდის მშობელთა შორის, თუ რამდენად და ვის სასიკეთოდ შეიცვალა ვითარება და როგორ

უნდა განხორციელდეს აღნიშნულის მონიტორინგი. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი (შესაბამისი პუნქტები), მის აღსრულებასაც აყენებს საფრთხის ქვეშ, ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ბავშვთან ურთიერთობის წესის განსაზღვრის მიზნით, 2014 წელს დაწყებული დავა, რომელიც საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე 2016 წელს იხილება, რისკის ქვეშ აყენებს მამაშვილის გაურკვეველი და რეგულირების მიღმა დატოვებულ ურთიერთობას. წინამდებარე განჩინების 22-ე პუნქტში მითითებული ფსიქოლოგის დასკვნა, რომელიც ერთ-ერთი შესაფასებელი მტკიცებულებაა სხვებთან ერთობლიობაში (სსსკ-ის 105-ე მუხლი), ასევე, ის გარემოება, რომ მხარეებს არ გაუპროტესტებიათ ფსიქოლოგის განმარტება და რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილი ბავშვის ნახვის წესი (იხ. ამ განჩინების 23-ე პუნქტი) არ შეიძლება დაედოს საფუძვლად სასამართლოს გადაწყვეტილებას. სასამართლოს განსახილველია არა მშობლის უფლება, ურთიერთობა ჰქონდეს საკუთარ შეილთან და ნახოს იგი, არამედ ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესი, ოჯახური გარემოს ჰარმონიული აღქმისა და აღზრდა-განვითარებისათვის ყველა პირობა ჰქონდეს, რათა კონტაქტი არ დაიკარგოს მშობელთან, მიუხედავად მშობლების დაშორებისა. „ბავშვები უნდა იყვნენ განხილული არა როგორც მშობლების საკუთრება, არამედ, როგორც საკუთარი უფლებებისა და საჭიროებების მქონე ინდივიდები“ (ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, 31-ე სესია, რეკომენდაციები ბავშვთა უფლებების ევროპულ ქარტიაზე, ტესტი მიღებული 04.10.1979წ.).

42. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების კონცეფციის უზენაესობა ყოველთვის გადასწონის მშობლის უფლებასა და ინტერესს (იხ. სუსგ №ას-967-916-2015, 25.02.2016წ). ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, საქმეში ზავადეა პოლონეთის წინააღმდეგ (Zawadka v. Poland, No 48542/99, 23.06.2005, საბოლოო გახდა 12.10.2005წ.), კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევად მიიჩნია ეროვნული სასამართლოების უმოქმედობა, გადაედგათ ნაბიჯები, რათა მომხდარიყო მომჩიქნის – მამის უფლების რეალიზება, იძულებით აღსრულება, ენახა საკუთარი შვილი, როდესაც დედამ უარი განაცხადა, დამორჩილებოდა მშობლებს შორის ადრე მიღწეულ შეთანხმებას. საბოლოოდ, მომჩივანმა, დაკარგა მუდმივი კონტაქტი ბავშვთან, მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს დამდგარა ეჭქვეშ

მისი უნარები, ყოფილიყო მშობელი.

43. საკასაციო სასამართლო ბავშვის საუკეთესო ინტერესი-სა და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების, იქონიოს მამასთან კონტაქტი, მაღალი სტანდარტის გათვალისწინებით, იზიარებს კასატორის პრეტენზიის იმ ნაწილს, რომელიც მამა-შვილის ურთიერთობას ეხება და 41-42 პუნქტებში განვითარებული მსჯელობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ არა მხოლოდ განსაზღვროს ბავშვთან მამის ურთიერთობა, არამედ დაადგინოს გადაწყვეტილების აღსრულების წესიც (სსსკ-ის 251-ე მუხლი) და მონიტორინგი განახორციელოს, რადგან გადაწყვეტილების აღსრულება მხარისათვის გარანტი-რებული სამართლიანი სასამართლოს განუყოფელი ნაწილია (Apostol v. Georgia; §37; aseve ix. Hornsby v. Greece, §40), ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე (IZA Ltd and Makrakhidze v. Georgia, §42; Burdov v. Russia, §34; Hornsby v. Greece, §40). სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება მხარეთათვის კონკრეტულ სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს, რომელიც აღსრულებადი უნდა იყოს. მამა-შვილის შორის არსებული შესაძლო გაუცხოების აღმოფხვრისა და მათი ურთიერთობის ხელშეწყობის მიზნით, სასამართლო ადგენს ბავშვის ნახვის დღეებსა და საათებს, რომელთა გონივრულად, უპირატესად, ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით გამოყენება, ორივე მშობლის პასუხისმგებლობის საკითხია. კერძოდ, ბავშვის დედა ვალდებულია, ხელი შეუწყოს მამა-შვილის ურთიერთობას, ხოლო თავის მხრივ მამა, ვალდებულია, ბავშვის ფსიქოემოციური მდგომარეობის გათვალისწინებით, ფრთხილად და მზრუნველობით მოეკიდოს და გამოიყენოს თითოეული საათი, რათა ბუნებრივად მოხდეს მშობლისა და შვილის ურთიერთობის პარმონიული განვითარება. მშობელთა მიერ წინამდებარე გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, მათი უფლებებისა და მოვალეობების კანონიერი გამოყენებისათვის, უწინარესად კი, ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ბავშვისათვის ჩვეული გარემო იქნება მისი დედის ბაბუის სახლი, სადაც მამა შეძლებს შვილის მონახულებას, დედის თანხლების გარეშე, იმ კონკრეტული დღეებისა და საათების განმავლობაში, რომელიც გადაწყვეტი-

ლების სარეზოლუციო ნაწილშია ჩამოყალიბებული და სავალ-დებულოა მოდავე მხარეთათვის შესასრულებად.

44. მხარეთა მიერ ნინამდებარე გადაწყვეტილებით დადგენილი წესის აღსრულების მიზნით, მონიტორინგი უნდა დაევალოს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ზესტაფონის რაიონულ განყოფილებას, რომელიც ვალდებულია, არანაკლებ სამ კვირაში ერთხელ, ბავშვის მშობლების ნინასწარი ინფორმირების გარეშე, გამოცხადდეს მამა-შვილის შესახვედრად სასამართლოს მიერ განსაზღვრულ მისამართზე (ქ. ზესტაფონში, ი. ქუჩა №29-ში; იხ. სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი), ანარმონის დაკვირვება მშობლისა და შვილის ურთიერთობაზე, თითოეულის ქცევაზე, აღნეროს მონიტორინგის შედეგები საკუთარ დასკვნაში. სოციალური მომსახურების ორგანო ვალდებულია, თითოეული დასკვნის ასლი გადმოუეზავნოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

45. თითოეული მშობლის შუამდგომლობა დამოუკიდებლად, სოციალური სამსახურის მიერ უზენაეს სასამართლოში ნარმოდებილ დასკვნასთან ერთად (შუამდგომლობის შემოტანის პერიოდისათვის არსებული დასკვნების გათვალისწინებით), შესაძლებელია, დაედოს საფუძვლად მშობლისა და შვილის ურთიერთობის შემდეგი ეტაპის განსაზღვრას. საკასაციო სასამართლო აღნიშნული წესის განსაზღვრისას, მხედველობაში იღებს დავის სპეციფიკურ ხასიათს, ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის მხარდაჭერის საჭიროებას, სოციალური სამსახურის კანონით დაკისრებულ ფუნქციას, რათა ეფექტუანად და დროულად განხორციელდეს ნინამდებარე გადაწყვეტილების აღსრულება, რათა, ბავშვის საუკეთესო ინტერესებისა და თითოეული მშობლისათვის არიდებული იქნეს გაუმართლებელი ფორმალური პროცედურები და მოცემულ დავაზე სასამართლოსათვის კანონმდებლობით მინიჭებული ინკვიზიციური წარმოებით, განახორციელოს გადაწყვეტილების აღსრულების მონიტორინგი.

46. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მოწინააღმდეგ მხარეს კასატორის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს, კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 300 ლარის, ნახევრის - 150 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მე-3, მე-8 მუხლებით, საქართველოს სამო-

ქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლით, 372-ე, 399-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე და 251-ე მუხლებით
და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ლ დ ე ს:

1. მ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო პალატის 2015 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1,2,3,4,5 პუნქტები და ამ ნაწილში მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. გ-ს (პ/ნ ...) დაერთოს ნება, წინამდებარე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან, შესვდეს შვილს, ნ. გ-ს (პ/ნ ...), დედის თანხლების გარეშე, ყოველი კვირის შაბათს, 12 საათიდან 15 საათამდე, ხოლო კვირას – 12 საათიდან 18 საათამდე; შესვედრა მოხდეს ქ. ზესტაფონში, ი. ქუჩა №29-ში მდებარე ბ. კ-ის (ა-ის ბაბუა) საცხოვრებელ სახლში;
4. მამა-შვილის ურთიერთობის ეს წესი გაგრძელდეს ვითარების შეცვლამდე, ე.ი. მანამ, სანამ შესაძლებელი იქნება მამა-სა და შვილს შორის უფრო ხანგრძლივი შესვედრები. აღნიშნულ ურთიერთობაზე დაკვირვება, შესაბამისი დასკვნის მომზადება და საკასაციო სასამართლოსათვის წარდგენა დაევალოს სის სოციალური მომსახურების სააგენტოს ზესტაფონის რაიონულ განყოფილებას;
5. განემარტოთ მხარეებს, რომ მე-4 პუნქტში მითითებული ურთიერთობის წესის შეცვლა დამოკიდებული იქნება მათ შუამდგომლობასა და სოციალური მომსახურების სააგენტოს ზესტაფონის რაიონული განყოფილების დასკვნაზე;
6. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-6, მე-7, მე-8 პუნქტები დარჩეს უცვლელად;
7. ა-ეს, კასატორის სასარგებლოდ, დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის – 150 ლარის გადახდა;
8. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

არასრული მოვლენის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა მშობლების განეორინიერებისას

განეორინება

№ას-53-51-2016

6 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ.ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომსენებელი),
6. ბაქაქური,
ბ.ალავიძე

დავის საგანი: არასრულწლოვანი შვილების საცხოვრებელი
ადგილის განსაზღვრა

აღნერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. ნ. ჩ-ემ (შემდგომში – მოსარჩელე, მეორე კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში ლ. ჩ-ის (შემდგომში – მოპასუხე, პირველი კასატორი) მიმართ 2004 წლის 6 მარტს დაბადებული ა. ჩ-ისა და 2012 წლის 13 თებერვალს დაბადებული ა. ჩ-ის საცხოვრებელ ადგილად მოსარჩელის, 6. ჩ-ის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის შესახებ.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის განმარტებით, 2003 წლის 10 მაისიდან რეგისტრირებულ ქორნინებაში იმყოფებოდა მოპასუხესთან, რაღოსაც შეეძინათ ორი შვილი. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით მათი ქორნინების რეგისტრაცია შეწყდა და ორივე შვილის სასარგებლოდ დაეკასრა ალიმენტის გადახდა, ასევე, სასამართლო გადაწყვეტილებით განისაზღვრა შვილების ურთიერთობის დრო.

3. 2014 წლის დასაწყისში მოპასუხებ დატოვა საქართველო და გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბავშვები კი დარჩნენ მის მშობლებთან. მოსარჩელის ძალისხმევის შედეგად მოპასუხე მალევე დაბრუნდა უკან, რის შემდეგაც უზღუდავ და შვილებთან ურთიერთობას.

4. 2014 წლის 26 ნოემბერს მოსარჩელემ მიმართა სასამართლოს სააღსრულებო ფურცლის ამონერის თხოვნით, რაც წარადგინა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში. სწორედ

ამ დროს მისთვის ცნობილი გახდა, რომ მისი მცირენლოვანი შვილი დედას წაუყვანია ამერიკის შეერთებულ შტატებში, უფრო სი კი, დაუტოვებია მშობლებთან.

5. მოსარჩელის მოსაზრებით, ვინაიდან მოპასუხეს სურვილი აქვს, იმყოფებოდეს საზღვარგარეთ, აუცილებელია, ორივე შვილის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვროს მამის საცხოვრებელი ადგილი, სადაც ბავშვებს აღარ მოუწევთ ერთმანეთთან დაშორება და ექნებათ საუკეთესო პირობები აღზრდა-განვითარებისათვის.

მოპასუხის პოზიცია:

6. მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მისი უმცროსი შვილი არის ამერიკის შეერთებულ შტატების მოქალაქე, რომელმაც მოქალაქეობა მოიპოვა დაბადებით. მოპასუხე საზღვარგარეთ გაემგზავრა დროებით, შვილებისათვის უკეთესი მომავლის შესაქმნელად. ამასთან, უმცროსი შვილი მცირენლოვანია და დედასთან აქვს განსაკუთრებული მიჯაჭვულობა, ხოლო უფროსი 11 წლისაა და კატეგორიულად არ სურს მამასთან ცხოვრება, შესაბამისად, სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

7. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ (მეორე კასატორი) გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

8. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, 2004 წლის 6 მარტს დაბადებული ა. ჩ-ის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვროს მამის საცხოვრებელი ადგილი, ხოლო სასარჩელო მოთხოვნა 2012 წლის 13 თებერვალს დაბადებული ა. ჩ-ის საცხოვრებელ ადგილად მამის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

9. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2004 წლის 6 მარტს დაბადებული ა. ჩ-ე და 2012 წლის 13 თებერვალს დაბადებული ა. ჩ-ე არიან მხარეთა შვილები.

10. ა. ჩ-ე ცხოვრობს დედასთან ამერიკის შეერთებულ შტატებში. ა. ჩ-ე კი, ცხოვრობს მოსარჩელის მშობლებთან ერთად ქუთაისში.

11. მოპასუხე ძირითადად იმყოფება ამერიკის შეერთებულ შტატებში. უკანასკნელად იგი საქართველოში ჩამოვიდა 2014 წლის 9 ივლისს, თუმცა ქვეყნიდან გავიდა 2014 წლის 20 ოქტომბერს და ამის შემდეგ აღარ დაბრუნებულა.

12. სააპელაციო სასამართლომ, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ზესტაფონის რაიონული განყოფილების დასკვნის თანახმად, დაადგინა, რომ მოსარჩელეს აქვს კარგი საყოფაცხოვრებო და სოციალური პირობები, ჰყავს ძლიერი თანადგომის ქსელი მშობლების, ძმისა და ბიძაშვილების სახით. არის განათლებული ადამიანი, უყვარს შვილები და, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვები იზრდებიან დედის ოჯახში, ყველაფერს აკეთებს, რომ აქტიურად იყოს ჩართული შვილების ცხოვრებაში.

13. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 27 ნოემბრის ნანილობრივი გადაწყვეტილებით მამას შვილების სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა, ყოველთვიურად, 500 ლარის ოდენობით ბავშვების სრულწლოვანებამდე ან მდგომარეობის სხვაგვარად შეცვლამდე. ამავე სასამართლოს 2012 წლის 27 დეკემბრის განჩინებით კი, დამტკიცდა მორიგება მხარებს შორის და განისაზღვრა შვილებთან მოსარჩელის ურთიერთობის წესი. ამ განჩინების თანახმად, მამას უფლება მიეცა, წაეყვანა შვილები კვირის განმავლობაში შაბათს, დილის 10 საათიდან კვირის 17 საათამდე, არდადეგების პერიოდის პირველი ნახევარი ბავშვებს უნდა გაეტარებინათ მამასთან, ხოლო სადღესასწაულო და დასვენების დღეებში კი, მშობლებთან უნდა ყოფილიყვნენ მონაცვლეობით.

14. განჩინება შვილებთან ურთიერთობის წესის განსაზღვრის თაობაზე სრულდებოდა მხოლოდ 2014 წლის 20 ოქტომბრამდე, რის შემდეგ კი, როგორც აღინიშნა, მოპასუხე უმცროს შვილთან ერთად გაემგზავრა საზღვარგარეთ და განჩინების პირობების შესრულება ობიექტურად შეუძლებელი გახდა.

15. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში – სსკ) მე-20 მუხლის მეორე ნანილით, 1201-ე მუხლით, ასევე, ბავშვთა უფლებათა კონვენციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით, რომლის თანახმად მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ

დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, სათანადო კანონისა და პროცედურის შესაბამისად განსაზღვრავენ, რომ ასეთი დაშორება აუცილებელია და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს. ეს შეიძლება აუცილებელი გახდეს ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგალითად, როცა მშობლები სასტიკად ექცევიან ბავშვს და არ ზრუნავენ მასზე, ან როცა მშობლები ცხოვრობენ ცალ-ცალკე და აუცილებელია ბავშვის საცხოვრებელი ადგილის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, კი მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთ ან ორივე მშობელს დაცილებული ბავშვის უფლებას რეგულარული პირადი ურთიერთობები და პირდაპირი კონტაქტები ჰქონდეს ორივე მშობელთან, იმ შემთხვევის გარდა, როცა ეს ეწინააღმდეგება ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტ ინტერესებს.

16. აღნიშნულ ნორმათა შესაბამისად, ბავშვის საცხოვრებელ ადგილად უნდა განისაზღვროს მისი ერთ-ერთი მშობლის საცხოვრებელი ადგილი.

17. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ უდავოდ დაადგინა, რომ ა. ჩ-ე, ფაქტობრივად, ცხოვრობს არა დედასთან, არამედ დედის მშობლებთან. საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობისა და იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის 2015 წლის 9 მარტის დასკვნით დგინდება, რომ ა. ჩ-ე ცხოვრობს ბებია-ბაბუას ოჯახში.

18. სააპელაციო პალატის შეფასებით, მან გადაწყვეტილება უნდა მიიღოს შვილის საცხოვრებელ ადგილად მამის ან ბებიაბაბუას საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე. ცხადია, ბებია-ბაბუას უნდა ჰქონდეთ ურთიერთობა შვილიშვილთან, თუმცა კანონისა და კონვენციის თანახმად, ბავშვის საცხოვრებელ ადგილად უნდა განისაზღვროს მისი მშობლის და არა ყოფილი მეუღლის მშობლების საცხოვრებელი ადგილი.

19. სააპელაციო სასამართლომ დამატებით მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 11 ოქტომბრის განჩინებაზე №ას-669-630-2011 საქმეზე და 2012 წლის 3 მაისის განჩინებაზე №ას-440-417-2012 საქმეზე, რომლებშიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალტამ განმარტა, რომ ბავშვის საცხოვრებელი ადგილი უნდა გა-

ნისაზღვროს მშობლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მშობლისა და შვილის დაშორება მოხდეს მხოლოდ გამონაკლის, განსაკუთრებულ შემთხვევაში მაშინ, როცა ეს ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებლად იქნება მიჩნეული.

20. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა №ას-211-204-2012 საქმეზე საქართველოს უზენაში სასამართლოს 2012 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებით, სადაც საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ იგი არ აკნინებდა ბებია-ბაბუის როლს ბავშვის აღზრდაში, მაგრამ აღნიშნული ვერანაირად ვერ შეცვლიდა დედასთან შვილების ურთიერთობის აუცილებლობას.

21. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სსკ-ის 1197-ე მუხლის თანახმად, შვილების მიმართ მშობლებს თანაპარი უფლება-მოვალეობები აქვთ. ნორმის სხვაგვარი განმარტება და ერთ-ერთი მშობლისათვის, მხოლოდ, მისი ბიოლოგიური სქესის გამო, რაიმე უპირატესობის მინიჭება კანონშეუსაბამო და დისკრიმინაციულია. ამის შესაბამისად, ბებია-ბაბუასთან ურთიერთობა, თანაბარნილად, ვერ შეცვლის როგორც დედასთან, ასევე, მამასთან შვილის ურთიერთობისა და მასთან ცხოვრების აუცილებლობას. არ შეიძლება ბავშვის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვროს მესამე პირების საცხოვრებელი ადგილი მხოლოდ იმიტომ, რომ ბავშვი მათ ალსაზრდელად დედამ მიაბარა.

22. აპელანტის მოთხოვნას არ გამორიცხავს ის გარემოება, რომ 2012 წლის 27 ნოემბერსა და ამავე წლის 27 დეკემბერს სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის ალიმენტის დაკისრებისა და შვილებთან ურთიერთობის წესის განსაზღვრის თაობაზე.

23. უპირველეს ყოვლისა, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ზემოთ მითითებული გადაწყვეტილებითა და განჩინებით სასამართლოს ბავშვების საცხოვრებელი ადგილი არ განუსაზღვრავს. გარდა ამისა, უდავოდ დადგენილია, რომ დასახელებული მოვლენების შემდეგ ფაქტობრივი ვითარება შეიცვალა, მოპასუხე უმცროს ვაჟთან ერთად განუსაზღვრელი ვადით გაემგზავრა საზღვარგარეთ. ეს კი ნიშნავს, რომ ამჟამად უფროსი შვილის საცხოვრებელი ადგილი დედის საცხოვრებელი ადგილი არ არის. 2012 წლის 27 დეკემბერს მხარებს შვილების საცხოვრებელი ადგილი რომც შეეთანხმებინათ, ნათელია, რომ ბავშვების საცხოვრებელ ადგილად მესამე პირების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე ისინი არ შეთანხმებულან. ამასთან, ამგვარი შეთანხმება შემდგომში სასამართლოსათვის სარ-

ჩელით მიმართვას არ გამორიცხავდა.

24. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მამის საყოფაცხოვრებო და სოციალური პირობები ბავშვის აღზრდისათვის საგვებით შესაბამისია. ამის გამო, აპელანტის მოთხოვნა ა. ჩ-ის საცხოვრებელ ადგილად მამის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე დასაბუთებული და საფუძვლიანია.

25. ამავდროულად, მცირეწლოვანი ა. ჩ-ე არის ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე და ცხოვრობს ამ სახელმწიფოში დედასთან ერთად. სააპელაციო პალატის მითითებით, აპელანტს სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ ა. ჩ-ის საცხოვრებელ ადგილად, დედის ნაცვლად, მამის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა შესაბამებოდა მცირეწლოვანის ინტერესებს, ამდენად, ამ ნაწილში აპელანტის მოთხოვნა დაუსაბუთებელია.

საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და საფუძვლები:

26. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში მოპასუხებ (პირველი კასატორი) გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

27. პირველმა კასატორმა მიიჩნია, რომ სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მხრიდან იგნორირებულ იქნა როგორც ქართული, ისე საერთაშორისო კანონმდებლობის დანაწესები ბავშვის ინტერესების დაცვის კუთხით. დედის დროებით გამგზავრების მოტივით პალატამ არ გაითვალისწინება ბავშვის მიჯაჭვულობა იმ ადგილთან, სადაც დაიბადა და დაიზარდა, სკოლის მეგობრებთან და პედაგოგებთან, თავად არასრულწლოვანის პოზიცია, რითაც დაარღვია სსკ-ის 1199-ე მუხლი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა უფლებათა კონვენციის მე-3, მე-14 მუხლები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ბავშვთა უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-9 და მე-18 მუხლების მოთხოვნები. ამასთან, მოსარჩელე თვალის ქირურგია, ცხოვრობს მარტო, დღის განმავლობაში სახლში არ იმყოფება, შესაბამისად, გაურკვეველია, ვისთან უნდა დარჩეს მოზარდი.

28. პირველი კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო სოციალური მუშავის პოზიცია, რომ არასრულწლოვანის საცხოვრებლად მამასთან გადასვლით უგულებელყოფილი იქნებოდა ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესი (რომლის დაცვის მიზნით კანონმდებელი ბავშვისა და მშობლის

განცალკევებით ცხოვრებასაც უშებს) და სასამართლო გადაწყვეტილება ვერ აღსრულდებოდა.

29. პირველი კასატორის მოსაზრებით, მოზარდისათვის საცხოვრებელი ადგილის ამგვარი შეცვლა გამოიწვევს მისი ფსიქიკის რღვევას და დანაშაულებრივი ქმედების ტოლფასია.

30. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემაც (მეორე კასატორი), მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში უკანონოა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ უმცროსი შვილის საცხოვრებელ ადგილად დედის საცხოვრებელი ადგილის დადგენისას იგულისხმებოდა დედის მისამართი ქ. ქუთაისში და არა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მოპასუხემ მცირენლოვანი ბავშვი წაიყვანა მამისაგან მაღლად, მისი ნებართვის გარეშე. აღნიშნული ფაქტი დადასტურებულია საქმეში ნარმოდგენილი მტკიცებულებებით.

31. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 4 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივრები მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2016 წლის 17 თებერვლის განჩინებით კი ცნობილ იქნენ დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის – საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით – საფუძველზე. საქმეზე გაიმარაორი ზეპირი მოსმენა დავის მხარეთა მორიგებით დასრულების მიზნით. მორიგების მიზნით მიცემული ვადის უშედეგოდ გასვლის გამო, საკასაციო პალატის 2016 წლის 17 ივნისის განჩინებით დადგინდა, საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა 2016 წლის 6 ივლისს მხარეთა და სოციალური მომსახურების სააგენტოს ნარმომადგენლის მონაწილეობით.

სამოტივაციო ნაწილი:

32. საკასაციო სასამართლომ მოისმინა მხარეთა განმარტებები, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივ-

რების საფუძვლები და მიიჩნევს, რომ ისინი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

33. საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს მცირენ-ლოვნი ბავშვების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის კანონიერება ნარმოადგენს. ამ თვალსაზრისით არც პირველი და არც მეორე კასატორი არ ეთანხმება გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეფასებებსა და დასკვნებს იმის შესახებ, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, ა. ჩ-ის საცხოვრებელი ადგილად განისაზღვროს მამის – ნ. ჩ-ის საცხოვრებელი ადგილი, ხოლო ა. ჩ-ის საცხოვრებელ ადგილად კი განისაზღვროს დედის – ლ. ჩ-ის საცხოვრებელი ადგილი და პრეტენზიას აცხადებენ სააპელაციო სასამართლოს მიერ, როგორც მატერიალური სამართლის ნორმების არასწორ განმარტებაზე, ისე საპროცესო წესების დარღვევაზე.

34. საკასაციო პრეტენზიების დასაბუთებულების შემოწმებამდე, პალატა ყურადღებას გაამახვილებს განსაზილველი კატეგორიის საქმეებზე გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლოსათვის სახელმძღვანელო რამდენიმე საკითხზე:

35. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-8 მუხლით გარანტირებულია ყველას უფლება, პატივი სცენ მის ოჯახურ ცხოვრებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიხედვით, მითითებული დებულება ფართო განმარტებას ექვემდებარება და მასში მოიაზრება ოჯახური ცხოვრების ყველა ის ასპექტი, რომელიც დამკვიდრებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში და ემსახურება ამ საზოგადოების კეთილდღეობას, მათ შორისაა არასრულნლოვანთა ოჯახური ცხოვრების უზრუნველყოფის ასპექტიც, რაც ასახულია ეროვნულ კანონმდებლობაში, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლის ბოლო წინადადების თანახმად, ბავშვს აქვს უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. მართალია, საერთაშორისოდ აღიარებული ეს უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურს, თუმცა ზემოხსენებული სამართლებრივი აქტები თავადვე იძლევიან ჩარევის ლეგიტიმურ დეფინიციას და განსაზღვრავენ, რომ იგი პროპორციულია, თუ ჩარევა გამოწვეულია დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული აუცილებლობით, ამასთან, ჩარევის სტანდარტად, გამოყენებულ

უნდა იქნას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, რაც ცალ-სახადაა ასახული „ბავშვთა უფლებათა კონვენციაში“.

36. მითითებული საერთაშორისო-სამართლებრივი აქტი ბავშვის უფლებების დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტებს აწესებს, რომელიც საზოგადოების არასრულწლოვნი წევრის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებისა და ნორმალური განვითარების ამოცანას ემსახურება და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ყველა ღონე იხმარონ არასრულწლოვნის უპირატესი ინტერესების დაცვისათვის. კონვენციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. მშობლებს ან შესაბამის შემთხვევებში კანონიერ მეურვეებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის. ბავშვის საუკეთესო ინტერესები მათი ძირითადი ზრუნვის საგანია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლით დადგენილია მშობლების თანასწორუფლებიანობის პრინციპი შვილების მიმართ. მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით (სსკ-ის 1198.1 მუხლი). მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს (სსკ-ის 1199-ე მუხლი). მითითებული საკანონმდებლო დანაწესების ანალიზი იძლევა ცალსახადასკვნის გაეთების შესაძლებლობას, რომ მშობელთა უპირველესი მოვალეობა ბავშვის პარმონიული აღზრდა-განვითარება, ოჯახური გარემოს შექმნაა და ამ კუთხით მისაღები ნებისმიერი გადაწყვეტილებისას უპირატესობა არასრულწლოვნის ჭეშმარიტ ინტერესებს ერიჭება, შესაბამისად, ჩარევის პროპორციულობის დასაშვები ზღვარი იმის უალტერნატივოდ დადგენაა, რომ ამგვარი ჩარევა წარმოადგენს ერთადერთ სწორ და მისაღებ გადაწყვეტილებას არასრულწლოვნის/მცირებლოვნის, როგორც საზოგადოების მომავალი სრულუფლებიანი და ღირსეული წევრის, განვითარებაში.

37. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს არასრულწლოვნთა უფლებების დაცვის საპროცესო რეალიზაციის წესზეც. საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობი-

ლი საქმეების განხილვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცალკე თავის სახით არის გამოყოფილი, რადგან მას ახასიათებს გარკვეული თავისებურებები. ამ თავისებურებას განაპირობებს საოჯახო ურთიერთობების სპეციფიკა, რომელიც უპირატესად ატარებს პირადულ და განგრძობად ხასიათს. ერთ-ერთ ფუნდამენტურ თავისებურებას საოჯახო-სამართლებრივი დავების განხილვისას, სხვა კატეგორიის საქმეთა განხილვისა-გან განსხვავებით, წარმოადგენს ინკვიზიციურობის პრინციპის უფრო ფართოდ გამოყენება. მართალია, საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობები განეკუთვნება კერძო-სამართლებრივი ურთიერთობების სფეროს, მაგრამ ამ ურთიერთობების განვითარებითა და სიმტკიცით დაინტერესებულია მთელი საზოგადოება. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სასამართლო ინარჩუნებს უფლებას, დაადგინოს ის გარემოებანი, რომელთა აუცილებლობა განაპირობებს არასრულნლოვანის ინტერესებისათვის ყველაზე კეთილსამიერო გადაწყვეტილების მიღებას.

38. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს, რომელიც იხილავს კონკრეტულ საოჯახო-სამართლებრივ დავას, მინიჭებული აქვს უფლება, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილისა და 354-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, არ დასჯერდეს მხოლოდ მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს და თავისი ინიციატივით განსაზღვროს იმ გარემოებათა წრე, რომელთა დადგენის გარეშე შეუძლებელია საქმის სწორად გადაწყვეტა (მტკიცების საგანი). მაშასადამე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დებულება არის სპეციალური ნორმა და მას უპირატესობა ენიჭება ამავე კოდექსის 103-ე მუხლით გათვალისწინებულ ზოგად ნორმასთან შედარებით.

39. ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას სასამართლოს შეუძლია:

ა) თავად განსაზღვროს მტკიცების საგანი, ე.ი. იმ გარემოებათა წრე, რომელთა დადგენის გარეშე შეუძლებელია საქმის სწორად გადაწყვეტა;

ბ) თავისი ინიციატივით გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზეც მხარეებს არ მიუთითებიათ, მაგრამ აქვთ მნიშვნელობა მტკიცების საგანში შემაგალი ფაქტების დასადგენად.

40. საოჯახო საქმეთა განხილვისას პროცესის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს სამოქალაქო

საპროცესო კოდექსი სასამართლოს აძლევს უფლებას, „წარმართოს საქმის წარმოება“, რაც ნიშნავს იმას, რომ სასამართლო არსებით გავლენას ახდენს საქმის მიმდინარეობასა და პროცესის შედეგზე. სასამართლომ საქმის მიმდინარეობის წებისმიერ ეტაპზე უნდა უზრუნველყოს, რომ მხარეებმა წარადგინონ განმარტებები და შესაბამისი შუამდგომლობები. სასამართლოს აკისრია ვალდებულება, მისცეს მხარეებს განმარტებები, რომლითაც ისინი გადალახავენ დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებიდან გამომდინარე სიძნელეებს.

41. შეჯიბრებითობის პრინციპის პარალელურად, სასამართლოს გადაცემული აქვს პროცესის მატერიალური ხელმძღვანელობის უფლებამოსილება. თუმცა აქ დგება ამ ორი პრინციპის, მხარეთა შეჯიბრებითობისა და სასამართლოს აქტიურობის პრინციპების პროპორციის საკითხი. ამიტომაც, შეჯიბრებითობის პრინციპი არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც სასამართლოს უკიდურესი პასურობა. საპროცესო კანონმდებლობით სასამართლოს არ ერთმევა უფლება, შესთავაზოს მხარეებს, წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები, ასე მაგალითად, მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდნ დავა შეეხება არასრულწლოვანის კანონიერ ინტერესებს, აქ უპირატესია ბავშვის აღზრდის, მისი განვითარებისა და საზოგადოებაში წარმატებული ადაპტაციისათვის აუცილებელი წინაპირობების გათვალისწინება. შესაბამისად, არასრულწლოვანთან მიმართებით ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტილისას, სასამართლოს ამოსავალი წერტილი არის ბავშვის საუკეთესო ინტერესები.

42. ამასთან, საქასაციო პალატა მიუთითებს ბავშვთა უფლებების შესახებ 1989 წლის 20 ნოემბერის კონვენციის მე-18 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის შესაბამისად, მშობლებს ან შესაბამის შემთხვევებში, კანონიერ მეურვეებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე, ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესები წარმოადგენს მათი ზრუნვის მთავარ საგანს. ამავე კონვენციის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მშობელს (მშობლებს) ან ბავშვის სხვა აღმზრდელებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა, თავისი უნარისა და ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში უზრუნველყონ ბავშვის განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების პირობები.

43. 1989 წლის 20 ნოემბრის ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბავშვე-

ბის მიმართ ყველა მოქმედებაში იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას.

44. მშობლის პასუხისმგებლობის შესახებ ევრო საბჭოს წევრი სახელმწიფოების მინისტრთა კომიტეტის დ (84) 4 რეკომენდაციის პირველი პრინციპის თანახმად, მშობლის პასუხისმგებლობა არის ვალდებულებებისა და უფლებამოსილებების ერთობლიობა რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს ბავშვის მორალური და მატერიალური კეთილდღეობა, კერძოდ, ბავშვის მოვლა, ბავშვთან პირადი ურთიერთობების შენარჩუნება, და მისი უზრუნველყოფა განათლებით, რჩენისათვის საჭირო სახსრებით, ოფიციალური წარმომადგენლობით და მისი ქონების ადმინისტრირებით.

45. ამავე რეკომენდაციის მე-2 პრინციპის თანახმად, უფლებამოსილი ორგანოს ნებისმიერი გადაწყვეტილება მშობლის პასუხისმგებლობის განსაზღვრასთან ან ამ პასუხისმგებლობის განხორციელების გზებთან დაკავშირებით უპირველესად უნდა ეფუძნებოდეს ბავშვის ინტერესებს.

46. მაშასადამე, სამოქალაქო სამართალწარმოებით განსახილველ სხვა კატეგორიის საქმეთაგან განსხვავებით, საოჯახო-სამართლებრივი დავების განხილვა ინკვიზიციური ელემენტებითაა გაჯერებული, შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლის საფუძველზე კანონმდებელი შესაძლებლად მიიჩნევს საქმის გარემოების დადგენას სასამართლოს ინიციატივითაც. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ. მითითებული საპროცესო წესის გამოყენება სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე მით უფრო გამართლებულია, რამდენადაც სააპელაციო სასამართლო, როგორც სამართალწარმოების მეორე ინსტანცია, დავის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენი სასამართლოა და ამავე კოდექსის 380-ე მუხლით, მას ახალ მტკიცებულებათა მიღების შესაძლებლობაც გააჩინა. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, როდესაც საკითხი სამოქალაქო კოდექსის 1201-ე მუხ-

ლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ სასამართლოს პოზიტიურ ვალდებულებას შეეხება, სასამართლომ ყოველი ლონე უნდა იხ-მაროს, რათა ზედმიწევნით სწორად დაადგინოს არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესები. ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში, იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო ოუ კერძო დანესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული ოუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას (ბავშვთა უფლებათა კონვენციის 3.1 მუხლი). ბავშვი არ უნდა გაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის სანინააღმდეგოდ, იმ შემთხვევების გარდა, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, განსაზღვრავენ სათანადო კანონისა და პროცედურების შესაბამისად, რომ ასეთი განშორება საჭიროა ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთ ან ორივე მშობელთან განშორებული ბავშვის უფლებას, რეგულარულ საფუძველზე პირადი ურთიერთობა და პირდაპირი კონტაქტები იქონიოს ორივე მშობელთან, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ეწინააღმდეგება (ამავე კონვენციის 9.1. და 9.3. მუხლები).

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ:

47. 2003 წლის 10 მაისიდან ლ. ჩ-ე და ნ. ჩ-ე იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში.

48. თანაცხოვრების პერიოდში შეეძინათ ორი შვილი: 2004 წლის 6 მარტს ა. ჩ-ე და 2012 წლის 13 თებერვალს – ა. ჩ-ე.

49. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით ლ. ჩ-ესა და ნ. ჩ-ეს შორის ქორწინება შეწყდა, ასევე, ნ. ჩ-ეს ბავშვების სასარგებლოდ სრულწლოვნობამდე დაეკისრა ალიმენტის გადახდა, ყოველთვიურად 500 ლარის ოდენობით, ბავშვების სრულწლოვნობამდე ან მდგომარეობის სხვაგვარად შეცვლამდე.

50. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 27 დეკემბრის განჩინებით კი, დამტკიცდა მორიგება მხარეებს შორის და განისაზღვრა შვილებთან მოსარჩელის (მეორე კასატორი) ურთიერთობის წესი. ამ განჩინების თანახმად, მამას უფლება მიეცა, წაეყვანა შვილები კვირის განმავლობაში შაბათს, დილის 10 საათიდან კვირის 17 საათამდე, არდადეგების პერიოდის პირველი ნახევარი ბავშვებს უნდა გაეტარებინათ მამას-

თან, ხოლო სადლესასწაულო და დასვენების დღეებში კი, მშობლებთან უნდა ყოფილიყვნენ მონაცვლეობით.

51. განჩინება შვილებთან ურთიერთობის წესის განსაზღვრის თაობაზე სრულდებოდა მხოლოდ 2014 წლის 20 ოქტომბრამდე, რის შემდეგ კი, როგორც აღინიშნა, მოპასუხე უმცროს შეილთან ერთად გაემგზავრა საზღვარგარეთ და განჩინების პირობების შესრულება ობიექტურად შეუძლებელი გახდა. ა. ჩ-ე ცხოვრობს დედასთან ამერიკის შეერთებულ შტატებში. ა. ჩ-ე კი, ცხოვრობს მოპასუხის (მეორე კასატორი) მშობლებთან ერთად ქუთაისში დედის მშობლებთან – ბებია გ. ლ-ისა და ბაბუა – მ. ლ-ის ოჯახში (მის: ქუთაისი, გ.ტ-ის ქ. №...), ორსართულიან კეთილმოწყობილ საცხოვრებელ სახლში, სადაც საყოფაცხოვრებო პირობები დამაკმაყოფილებელია.

52. მოპასუხე (პირველი კასატორი) ძირითადად იმყოფება ამერიკის შეერთებულ შტატებში. უკანასკნელად იგი საქართველოში ჩამოვიდა 2014 წლის 9 ივნისს, თუმცა ქვეყნიდან გავიდა 2014 წლის 20 ოქტომბერს და ამის შემდეგ აღარ დაბრუნებულა.

53. სააპელაციო სასამართლომ, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ზესტაფონის რაიონული განყოფილების დასკვნის თანახმად, დაადგინა, რომ მოსარჩელე (პირველი კასატორი) ცხოვრობს ზესტაფონში, ა-ის ქ. №...-ში, პროფესიით ექიმია, კერძოდ, რეფერალ-ოფთალმო-ქირურგი, ენევა პრაქტიკას, როგორც კერძო კლინიკაში, ასევე, სამედიცინო დაწესებულება „ჯ-ში.“ აქვს კარგი საყოფაცხოვრებო და სოციალური პირობები, (ყოველთვიური შემოსავალი 2500 ლარი), ჰყავს ძლიერი თანადგომის ქსელი მშობლების, ძმისა და ბიძაშვილების სახით. არის განათლებული ადამიანი, უყვარს შვილები და, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვები იზრდებიან დედის ოჯახში, ყველაფერს აკეთებს, რომ აქტიურად იყოს ჩართული შვილების ცხოვრებაში.

54. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და

განმარტება.

55. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს პირველი კასატორების არგუმენტს იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად არ გამოუკვლევია საქმის მასალები, უფრო მეტიც, საკითხის გადაწყვეტისას შემოიფარგლა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის კანონიერების შემოწმებით იმგვარად, რომ არ შეუფასებია დავის დაწყებიდან სააპელაციო განხილვის ეტაპამდე ხომ არ არსებობდა რაიმე ფსიქო-ემოციური ცვლილებები არასრულწლოვანთა მშობლებისადმი დამოკიდებულებაში და სხვა. მაგალითად, ა. ჩ-ის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას სააპელაციო სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ იმ დასაბუთებით, რომ ბავშვის საცხოვრებელ ადგილად უნდა განისაზღვროს მისი ერთ-ერთი მშობლის საცხოვრებელი ადგილი და რადგან ა. ჩ-ე ფაქტობრივად (ცხოვრობს არა დედასთან, არამედ დედის მშობლებთან, ამიტომაც ბავშვის საცხოვრებელ ადგილად უნდა განისაზღვროს მისი მშობლის და არა ყოფილი მეუღლის მშობლების საცხოვრებელი ადგილი.

56. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია საკითხი შეფასდეს არა ცალმხრივად, არამედ ყოველმხრივ, როგორც არასრულწლოვანი დედმამიშვილების ურთიერთობის, ისე, თითოეული მშობლის ბავშვთან ურთიერთობის რეალური შესაძლებლობის გათვალისწინებით, რათა მიღწეულ იქნას დასახული მიზანი, რაც გულისხმობს ოჯახთან გაერთიანებასა და არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების რეალიზაციას.

57. ადამიანის უფლებათა ეკროპულმა სასამართლომ დიდი პალატის 2010 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებაში საქმეზე №41615/07 Neulinder and Shuruk v. Switzerland (აბზაცი 136) განმარტა, რომ „ბავშვის ინტერესი ორი ასპექტისაგან შედგება. ერთი მხრივ, ინტერესი მოგვიწოდებს, რომ ბავშვის კავშირი ოჯახთან შენარჩუნებული იყოს გარდა იმ შემთხვევისა, როცა ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელია. აქედან გამომდინარეობს ის, რომ ოჯახური კავშირები შეიძლება გაწყვეტილ იქნეს მხოლოდ გამონაკლის ვითარებაში და ყველაფერი უნდა გაკეთდეს პირველადი უთიერთობების შესანარჩუნებლად და, როცა ეს შესაძლებლია, უნდა „ადსდგეს“ ოჯახი. მეორე მხრივ, ცხადია ისიც, რომ ბავშვის ინტერესშია, უზრუნველყოფილ იქნეს მისი განვი-

თარება ჯანსაღ გარემოში და მშობელი არ შეიძლება აღიჭურვოს მე-8 მუხლით განსაზღვრული უფლებით იმ ღონისძიებათა განსახორციელებლად, რაც ზიანს მიაყენებს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას“.

58. თავის მხრივ, არასრულწლოვანის „უპირატესი ინტერესი“ („main interest“) – მიიღოს მშობლებისაგან ის სამართლებრივი სიკეთე, რაც აუცილებელია მისი საზოგადოებაში ღირსეულ წევრად ჩამოყალიბებისათვის, უპირისპირდება მშობლის უფლებას – იწოდებოდეს და იურიდიულად იყოს მითითებული ბავშვის მამად. არასრულწლოვანი ბავშვის ამ ლეგიტიმური ინტერესის დაცვას ეძღვნება ეროვნული კანონმდებლობის – სამოქალაქო კოდექსის არა ერთი ნორმა, ბავშვის ეს უფლება გარანტირებულია ასევე უნივერსალური საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებით, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან აწესებენ სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, უზრუნველყოს ბავშვის ამგვარი ინტერესის დაცულობა. აღნიშნული მოიცავს სახელმწიფოს მხრიდან არა მხოლოდ ნებატიური ჩარევის დაუშვებლობას (რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფომ არ უნდა დაარღვიოს არასრულწლოვნისათვის კანონით მინიჭებული უფლებები), არამედ აწესებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებასაც – განსახორციელოს აქტიური მოქმედებები არასრულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესის დაცვისათვის, კერძოდ, შეიმუშავოს არასრულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესის დასაცავად საკანონმდებლო რეგულაციები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, თავის მხრივ, სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც „სახელმწიფოს სახელით“ გამოტანილი სამართლებრივი დოკუმენტია და შეეხება არასრულწლოვნის ინტერესებს, არის სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შესრულების ყველაზე ნათელი მაგალითი.

59. საკასაციო პალატის მოსაზრებით, როდესაც საქმე არასრულწლოვნის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრასა და ცალ-ცალკე მცხოვრებ მშობლებთან ურთიერთობის მოწესრიგებას ეხება, განსაკუთრებული სიფრთხილით შეფასებას მოითხოვს არასრულწლოვნითა საქმეებზე მომუშავე პირებისა თუ შესაბამისი სპეციალისტების (ფსიქოლოგის) მიერ გაკეთებული დასკვნები. ამ კონტექსტში საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს საქმის მასალებზე, კერძოდ, იმერეთის სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 9 მარტის №107-ე დასკვნის თანახმად, ა-ი არის 11 წლის. იგი სკოლა „პ-ს“ მე-5

კლასის წარმატებული მოსწავლეა. მიუხედავად იმისა, რომ ა-ი კეთილგანწყობილია მამის – ნ. ჩ-ის მიმართ, რომელიც ჩამოდის ხოლმე ქუთასში მის მოსანახულებლად და გარკვეული სახის პატივს სცემს მას, ა-მა განაცხადა, რომ პატარაობიდანვე იზრდება ბებიასთან (დედის დედასთან), ცხოვრობს კეთილმოწყობილ გარემოში, იღებს სათანადო განათლებას, მას არავითარი სურვილი არა აქვს, მუდმივად საცხოვრებლად წავიდეს მამასთან ზესტაფონში. ა.ის მომავალში სრულფასოვანი აღზრდა-განვითარებისათვის, მისი ფიზიკური, ემოციური და სოციალური უნარების გამყარებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მას ჰქონდეს მამასთან დადებითი ურთიერთობა, რომლის მიმართაც იგი კეთილგანწყობილია, მაგრამ, ბავშვის ასაკიდან გამომდინარე, აუცილებლობას წარმოადგენს გათვალისწინებულ იქნას არასრულწლოვნის აზრი მისი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრასთან დაკავშირებით.

60. ის, რომ სურვილი არა აქვს მუდმივად საცხოვრებლად წავიდეს მამასთან ზესტაფონში, ა-მა გამოხატა აგრეთვე სასამართლო სხდომაზე ფსიქოლოგის მონაწილეობით დაკითხვისას.

61. მოსარჩელის (მეორე კასატორი) შუამდგომლობის საფუძველზე პირველი ინსტანციის სასამართლო ფსიქოლოგის მონაწილეობით გამოიკვლია საკითხი, ხომ არ არის ა. ჩ-ის დამოკიდებულება საცხოვრებელი ადგილის თაობაზე, ნაკარნახევი უფროსების ზეწოლით. სპეციალისტის დასკვნით, არასრულწლოვანი იმყოფება ბებიის ზეგავლენის ქვეშ, რადგან იგი დაბადებიდან იზრდებოდა სწორედ ბებიის საცხოვრებელ სახლში და აქვს ძლიერი მიჯაჭვულობა მასთან, თუმცა მისი ასაკისა და სოციალური გარემოს გათვალისწინებით, აუცილებელია, ბავშვმა მამასთან გააგრძელოს ცხოვრება, რათა ჩამოყალიბდეს სრულფასოვან პიროვნებად და მიიღოს ის თანადგომა, ცოდნა და გამოცდილება, რაც მხოლოდ მამაკაცისაგან, კონკრეტულად მამისაგან შეიძლება მიიღოს ვაჟმა.

62. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მცირენლოვანი ა. ჩ-ე არის ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე და ცხოვრობს ამ სახელმწიფოში დედასთან ერთად. სააპელაციო პალატის მითითებით, აპელანტს (მოსარჩელე, მეორე კასატორი) სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ ა. ჩ-ის საცხოვრებელ ადგილად, დედის ნაცვლად, მამის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა შეესაბამებოდა მცირენლოვანის ინტერესებს, ამდენად, ამ ნაწილში

აპელანტის მოთხოვნა დაუსაბუთებელია.

63. სააპელაციო პალატის ამ დასკვნას არ ეთანხმება მოსარჩელე (მეორე კასატორი) და განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში უკანონოა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ უმცროსი შვილის საცხოვრებელ ადგილად დედის საცხოვრებელი ადგილის დადგენისას იგულისხმებოდა დედის მისამართი ქ. ქუთაისში და არა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მოპასუხემ მცირებლოვანი ბავშვი წაიყვანა მამისაგან მალულად, მისი ნებართვის გარეშე.

64. საკასაციო სასამართლო მოხმობილი კვლევების ანალიზის შედეგად მიიჩნევს, რომ, სააპელაციო პალატას საკმარისი კვლევა არ განუხორციელებია, კერძოდ, არ შეუსწავლია ის გარემოება, თუ რა გავლენას იქონიებს ძმების დაშორება, რამდენად ნეგატიურად აისახება იგი მათ მდგომარეობაზე. უფრო მეტიც, საქმეში არსებული დასკვნების შედგენიდან გასულია საკმაო დრო, გარკვეულწილად ვერ სრულდება სასამართლოს მიერ დამტკიცებული მორიგების აქტიც, ასევე, არ არის წარმოდგენილი სპეციალისტის შესაბამისი დასკვნა, რომელიც ასახავდა და გააანალიზებდა მარტიოდ დარჩენილი ა-ის ძდგომარტებას, მის ემოციურ განცდებს, რაც მოგვცემდა შესაძლებლობას, გვემსჯელა ბავშვთა საუკეთესო ინტერესებზე. ამ თვალსაზრისით საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმასაც, რომ რაიონული სასამართლოსათვის ფსიქოლოგის მიერ მიცემულ განმარტებებიდან, საერთოდ არ იკვეთება, მამისათვის ერთერთი ბავშვის მიკუთვნებამ თუ რა ფსიქოლოგიური პრობლემები შეიძლება შეუქმნას მეორეს; ფსიქოლოგი რეკომენდაციას აძლევს მშობლებს, საკუთარ თავზე აიღონ პასუხისმგებლობა, ბავშვების მშობლებთან დამოკიდებულების ჩამოყალიბება-აღდგენისათვის, არ მოხდეს მესამე პირთა ჩარევა, რაც ნეგატიური შედეგების მომტანი იქნება, ამასთანავე, გარემოსთან ადაპტაციის შედეგად მოსალოდნელი შესაძლო უარყოფითი ეფექტის გასაქარნყლებლად ფსიქოლოგი მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმას, რომ თავად გარემო არ იყოს ძალადობრივი. რეკომენდაციის თანახმად, ა-ის ბებიისადმი განსაუთრებული „მიჯაჭვულობა“ ფაქტია, რომელიც შეიძლება გაქრეს თანდათან, სწორედ ბებიისა და დედის სურვილის შემთხვევაში (იხ.სხდომის ოქმი).

65. საკასაციო სასამართლო, ბუნებრივია, არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ საქმის ხელახლა განსახილველად

დაბრუნების შემდგომ, მტკიცებულებათა სრული და ობიექტური შეფასების შედეგად პალატა კვლავ იმ დასკვნამდე მივიდეს, რომ ა. ჩ-ის საუკეთესო ინტერესი მამის გარემოში ცხოვრება იყოს, თუმცა, ასეთ შემთხვევაში, უაღტერნატივოდ უნდა დადგინდეს და აისახოს გადაწყვეტილებაში ა. ჩ-ის ურთიერთობის შესაძლებლობა ძმასთან და დედასთან, ასევე, ამ ურთიერთობის რეალური და ინტენსიური ხასიათი, რამეთუ ბავშვების დაშორებამ, შესაძლოა, მათი ემოციური დაშორებაც გამოიწვიოს, რაც წევატიურ ფაქტორად შეიძლება იქნეს შეფასებული ასეთ ვითარებაში. მართალია, კანონით უზრუნველყოფილია ცალცალკე მცხოვრები მშობლების უფლებები და სამოქალაქო კოდექსის 1202-ე მუხლი უკრძალავს იმ მშობელს, შეზღუდოს მეორე მშობლის ურთიერთობა ბავშვთან, რომელიც მასთან ცხოვრობს, თუმცა, რეალური სურათის გათვალისწინებით, სასამართლომ უნდა გადაჭრას ამ ნორმის ფაქტობრივად გამოყენების გზაც, ასეთ ვითარებაში გასათვალისწინებელია მხარეთა, მათ შორის, საკასაციო სასამართლოსათვის მიცემული განმარტებებიც. ისინი სიტყვიერად ადასტურებენ საკუთარი როლის მნიშვნელობას და გამოთქვამენ მზობას შვილებისათვის ნორმალური გარემოს შესაქმნელად, თუმცა, ფაქტობრივი სიტუაცია განსხვავებულია და მხარეთა და მესამე პირთა ჩარევა ამას განუხორციელებადს ხდის. საგულისხმოა, რომ ნ. ჩ-ეს უფროს შვილთან ურთიერთობის შესაძლებლობა ეძლევა მხოლოდ შაბათკვირას, რაც, ბუნებრივია, არასრულფასოვანია და, როგორც ფსიქოლოგი სასამართლო სხდომაზე განმარტავს, შესაძლოა, ბავშვის რეაქცია მამის მიმართ მესამე პირთა დამოკიდებულებით იყო გამოწვეული, რაც შეეხება უმცროს შვილ ა-ს, მამაშვილის ურთიერთობა რეალურად ვერ ხორციელდება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გზით, რომელსაც, ფაქტია, გარკვეული უთანხმოებები თან სდევს.

66. საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს მოცემულ დავაში სოციალური მომსახურების სააგენტოს როლზე და აღნიშნავს, რომ განსახილველი კატეგორიის საქმეებზე მშობლის უფლება, იყოს ბავშვის წარმომადგენელი სასამართლო დავასთან მიმართებით, შეჩერებულია. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს ბავშვის წარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლოში განხილვის დროს ბავშვის ინტერესებს წარმოადგენს (სკ-ის 1200-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს

როლის საკანონმდებლო აღიარების სწორი ანალიზი ამ ორგანოს მხრიდან მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სწორედ მას ეკისრება ვალდებულება, აქტიური მონაწილეობით ხელი შეუწყოს სასამართლოს იმის დადგენაში, თუ რა წარმოადგენს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. ამ პროცესში წარმომდგენლობა პასიური ქმედებებით არ შემოიფარგლება და არ შეიძლება, დამოკიდებული იყოს ჩასატარებელი სამუშაოს ფორმალურ შესრულებაზე. შესაძლებელია, ვიმსჯელოთ საკითხის არასაკმარის საკანონმდებლო რეგულირებაზე, თუმცა პრობლემის მოსაგვარებლად მეურვეობის ორგანომ მინიმუმ უნდა იხელმძღვანელოს „ბავშვთა უფლებათა კონვენციით“, რომელიც რატიფიცირებულია საქართველოს მიერ და მას სავალდებულო ძალა გააჩნია. მან ეფექტური გზით უნდა გასწიოს სათანადო მუშაობა დასახული მიზნის მიღწევისათვის.

67. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სიკეთეში ჩარევის „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების“ სწორი შეფასებისათვის, საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილებაზე: ერთ-ერთ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ (Johansen v. Norway) აღნიშნა, რომ ბავშვთან გაერთიანების შესახებ საკითხის გადაწყვეტილისას, მშობლის ინტერესა და ბავშვის ინტერესს შორის უნდა იქნეს დაცული ბალანსი. აღნიშნული ბალანსის ძიებისას სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს ბავშვის ინტერესებს, რომლებსაც შეიძლება, ჰქონდეს პრიორიტეტული მნიშვნელობა მშობლის ინტერესებთან მიმართებით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გაერთიანების საკითხის გადაწყვეტილისას ანგარიშგასასწევ ფაქტორებს წარმოადგენს ოჯახური ცხოვრება, მშობლებთან თანაბარი ურთიერთობის შესაძლებლობა და სხვა ისეთი ფაქტორები, რომლებიც არასრულნოვნის სრულფასოვან აღზრდა-განვითარებას შეუწყობს ხელს. ასეთ სიტუაციაში შეძლებისდაგვარად უნდა იქნას გათვალისწინებული სუბიექტური ფაქტორებიც – ბავშვის მიერ არსებული სიტუაციის აღქმა, რაც შესაბამისი დაკვირვება-გამოკვლევის გზითაა შესაძლებელი. ევროსასამართლოს განმარტებით, მშობლებსა და ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვებს შორის კავშირი, კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პარაგრაფის ფარგლებში წარმოადგენს ოჯახურ ცხოვრებას. მსგავსი ბუნებრივი ოჯახური ურთიერთობები

არ წყდება იმ საფუძვლით, რომ მშობლები დაშორდნენ ან განქორნინდნენ, როდესაც ამ მიზეზით ბავშვი ან ერთ მშობელთან ცხოვრობს ან მეორესთან (Ciliz v. the Netherlands). ერთ-ერთ საქმეზე სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ კონვენციის მე-8 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში ოჯახური ცხოვრება სახეზე იყო იმ ბავშვების მიმართ, რომლებიც მშობლების განქორნინებამდე ერთად, ერთ სახლში ცხოვრობდნენ (inter alia, Olsson v. Sweden (no. 1), 24 March 1988, § 81, Series A no. 130). კონვენციის მე-8 მუხლის ძირითადი მიზანია, ინდივიდების დაცვა სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლების თვითნებური ქმედებებისგან. ოჯახური ცხოვრების „პატივისცემის“ უფლება, აგრეთვე, მოიცავს დამატებით პოზიტიურ ვალდებულებებს, თუმცა, სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს შორის არსებული ზღვარი ზუსტ განსაზღვრებას არ ექვემდებარება. მათ მიმართ გამოყენებადი პრინციპები იდენტურია: ორივე კონტექსტში ყურადღება უნდა გამახვილდეს სამართლიან ბალანსზე, რაც დაცული უნდა იქნას შეპირისპირებულ ინტერესებს შორის. გარდა ამისა, ორივე კონტექსტში სახელმწიფო სარგებლობს შეფასების ფართო ზღვარით (Tuquabo-Tekle and Others v. the Netherlands, 2005 წლის პირველი დეკემბერი). საქმეზე – „MUSTAFA AND ARMAĐAN AKIN v. TURKEY“ სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება ბავშვების განცალკევების თაობაზე წარმოადგენდა მომჩინების ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევას. აღნიშნული გადაწყვეტილება არა მხოლოდ და-ძმას უკრძალავდა ერთმანეთის ნახვას, არამედ, პირველი მომჩინისთვის (მამისათვის) შეუძლებელს ხდიდა, ორივე შვილი ერთდროულად ენახა. საკითხის განხილვისას მხედველობაში იქნა მიღებული მე-8 მუხლთან მიმართებით დადგენილი პრეცედენტული პრაქტიკა, რომელიც ხაზს უსვამს ხელისუფლების ვალდებულებაზე, იხელმძღვანელონ ბავშვის საუკეთესო ინტერესებით (Maslov v. Austria [GC], 2008 წლის 23 ივნისი). გარდა ამისა, გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხარისხის შეფასება ევროსასამართლოსაგან მოიხოეს, დაადგინოს, ჰქონდა თუ არა შიდა სასამართლოების გადაწყვეტილებას საკმარისი მტკიცებულებითი საფუძველი (რაც მოიცავს, მონმეთა ჩვენებებს, კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოთა დასკენებს, ფინქონლოგისა და სხვა ექსპერტის შეფასებებს და სამედიცინო ცნობებს); აგრეთვე, დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის ბავშვებს, მი-

ეცათ თუ არა საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა (Havelka and Others v. the Czech Republic, saC. nom. 23499/06, § 62, 2007 wlis 21 ivnisi; Haase v. Germany, saC. nom. 11057/02, § 97, ECHR 2004-III (extracts)). სტრასბურგის სასამართლომ არ გაიზიარა მთავრობის პოზიცია, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და-ძმას ერთმანეთის ნახვას არ უკრძალავდა, ვინაიდან ბავშვები სამეზობლოში ცხოვრობდნენ და, ამრიგად, ერთმანეთთან კონტაქტის შენარჩუნება შესაძლებელი იყო. სასამართლოს განმარტებით, ბავშვებს შორის კავშირის შენარჩუნება ძალიან მნიშვნელოვანი იყო და აღნიშნულის მშობლების დისკრეციისა და ახირებისთვის მინდობა დაუშვებელი იყო. დაუსაბუთებლად იქნა მინეული ეროვნული სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ არასრულწლოვანთათვის შაბათ-კვირის ერთად გატარება იქნებოდა მიუღებელი ცვლილება ბავშვისათვის, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ისინი ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდნენ. ალტერნატივის სახით, მომჩინების მიერ შეთავაზებული ვარიანტი შეუფერებლადაც რომ მიეჩნია, ეროვნულ სასამართლოს შეეძლო, ბავშვების მიერ ერთმანეთის ნახვის სხვა მეთოდები განეხილა და, ამრიგად, დაეცვა კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული მათი უფლებები. სტრასბურგის სასამართლო, აგრეთვე, არ დაეთანხმა მთავრობის არგუმენტს, რომ ცალკე მცხოვრები შვილის მიერ ყოველი შაბათ-კვირის მამასთან ერთად გატარება უარყოფითად იმოქმედებდა მის განვითარებაზე, იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობს აღნიშნული არგუმენტის დამადასტურებელი მყარი მტკიცებულება, როგორიცაა ფსიქოლოგის ან სხვა ექსპერტის შეფასებები. მშობლებისა და შვილების მიერ ერთმანეთის კომპანიით ორმხრივად სარგებლობა კონვენციის „ოჯახური ცხოვრების“ ფუნდამენტურ ელემენტს წარმოადგენს მე-8 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში (Kutzner v. Germany).

68. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძ

ვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

69. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას შემოწმოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერება, ვიდრე საქმეზე ობიექტურად არ დადგინდება დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

70. შესაბამისად, მოცემული დავის ხელახალი განხილვისას, სააპელაციო სასამართლომ თანაბრად უნდა დაიცვას ორივე მშობლის უფლება, მაგრამ უპირატესობა უნდა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს. სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ბავშვის ასაკი, პირადი დამოკიდებულება მშობლისადმი, მისი ცხოვრების წესი, ფსიქოლოგიური მდგომარეობა. უნდა დაადგინოს, რამდენად არსებობს არასრულწლოვანი ბავშვების უპირატესი ინტერესების გათვალისწინებით მათი საცხოვრებელი ადგილის შეცვლის საჭიროება, ასევე, რა გავლენას იქონიებს არასრულწლოვანი ძმების დაშორება და ა. ჩ-ის საცხოვრებელ ადგილის განსაზღვრა, ხოლო ა. ჩ-ის საცხოვრებელ ადგილის კი დედის – ლ. ჩ-ის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა.

სასამართლო ხარჯები:

71. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც გაწეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპრო-

ცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ლ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილ-დეს.
2. 6. ჩ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქა-ლაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტი-ლება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
4. საკასაციო საჩივრებზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
5. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივ-რდება.

შვილთან ურთიერთობის ცესის განსაზღვრა

განრიცხა

№ას-458-440-2016

15 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ბავშვის ნახვის დღეების განსაზღვრა

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი სა- ფუძვლები:

1.1. რ. ა-ემ (შემდგომში – მოსარჩელე, მონინაალმდეგე მხა- რე) სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. დ-ის (შემდგომში – მოპა- სუხე, კასატორი) მიმართ მცირენლოვანი შვილის – ა. ა-ის ნახ- ვის დღეების შემდეგი წესით განსაზღვრის მოთხოვნით: ყოველ პარასკევს 19:00 საათიდან კვირის 20:00 საათამდე, ასევე, არ- დადეგებზე დასვენების დღეების ნახევრის ბავშვის მოსარჩე-

ლესთან ღამით დარჩენის უფლებით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ გარემოებებს: მხარეებს რეგისტრირებული ქორნინების განმავლობაში შეეძინათ ორი შვილი: ა. ა-ე, დაბადებული 2008 წლის 6 სექტემბერს და ა. ა-ე, დაბადებული 2009 წლის 26 აგვისტოს. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით, მხარეთა რეგისტრირებული ქორნინება შეწყდა და ისინი ცხოვრობენ ცალ-ცალკე. ა. ა-ე იზრდება დედასთან, ხოლო ა. – მამასთან. მოსარჩელეს სურს, ა. შაბათ-კვირას წაიყვანოს სახლში და ჰყავდეს მეორე შვილთან ერთად, მაგრამ მის წაყვანაში ხელს უჭილის ბავშვების დედა.

2. მოპასუხის პიზიცია:

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად იმ გარემოებაზე მიუთითა, რომ ერთი შვილი ისედაც მამასთან იზრდება, მოსარჩელე გადაიბირებს მეორე არასრულწლოვანსაც და იგი დედასთან საცხოვრებლად აღარ დაბრუნდება.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს არასრულწლოვანი შვილის – ა. ა-ის წახვისათვის დაუდგინდა შემდეგი დღეები: 10 წლამდე ყოველი კვირის ორშაბათი და ოთხშაბათი, 16:00 საათიდან 19:00 საათამდე, ასევე, პარასკევს 17:00 საათიდან შაბათს 19:00 საათამდე, დამე დარჩენის უფლებით, მასვე დაერთო წება, არასრულწლოვანი შვილი ზამთრის არდადეგებზე 10 დღით, ხოლო ზაფხულის არდადეგებზე ერთი თვით წაიყვანოს საკუთარ ოჯახში ან სხვაგან. გადაწყვეტილების თანახმად, თუ მხარეები სხვა თარიღზე არ შეთანხმდებიან, ზამთრის არდადეგებზე ბავშვის წაყვანა დადგინდა 10 იანვრიდან 20 იანვრის, ხოლო ზაფხულში – 15 ივლისიდან 15 აგვისტოს ჩათვლით. არასრულწლოვნის მიერ 10 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ განისაზღვრა მოსარჩელის მიერ მის წახვისა და ურთიერთობის დღეების საკითხის მხარეთა ურთიერთშეთანხმებით გადაწყვეტა, ხოლო ამგვარი შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში – სასამართლო წესით დაინტერესებული პირის სარჩელის საფუძველზე.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წე-

სით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 31 მარტის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა მისი, ასევე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის საქალაქო სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და მიიჩნევს, რომ იგი დაუშვებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

1. საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის დასაბუთება:

1.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითე-

ბული საფუძვლით.

1.2. გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება ძირითადად იმ დასკვნებს ეფუძნება, რომ:

1.2.1. მხარეები დაქორწინდნენ 2008 წლის 23 აპრილს და ჰყავთ ორი საერთო შვილი, 2008 წლის 6 სექტემბერს დაბადებული ა. ა-ე და 2009 წლის 26 აგვისტოს დაბადებული ა. ა-ე.

1.2.2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 16 ივლის გადაწყვეტილებით მეუღლეები განქორწინდნენ. ამავე გადაწყვეტილებით, არასრულწლოვანი შვილების მისამართი განისაზღვრა დედის საცხოვრებელი ადგილით. საქმის განხილვის მომენტისათვის ა. ა-ე ცხოვრობს და იზრდება დედასთან, ხოლო ა. ა-ე – მამასთან.

1.2.3. მოპასუხე ცხოვრობს მშობლებთან ერთად ქ. ბათუმში მეჯინის საცხოვრო დასახლება, გ-ის ქ. №19-ში. ა. ა-ე ცხოვრობს და იზრდება დედასთან; რ. ა-ე ცხოვრობს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ბ-ში.

1.2.4. აპელანტმა სააპელაციო სასამართლოს წარმოუდგინა პაციენტ ა. ა-ის ამბულატორიული სამედიცინო ბარათის ასლი, რომლის თანახმად, პაციენტს დაენიშნა ფსიქოლოგის კონსულტაცია. ფსიქოლოგის 2016 წლის 12 თებერვლის კონსულტაციის თანახმად, ა. ა-ე ადვილად შედის კონტაქტში, ცდილობს კითხვებზე პასუხის გაცემას, ალენიშნება დაძაბულობა, ინარჩუნებს სიმშვიდეს. პაციენტი მორიდებულია, თუმცა იჩენს ინტერესს გამოკვლევისადმი. ადვილად ეგუება უცხო პირებს და შედის კონტაქტში. ემოციურად გასადავებულია, არ შეენიშნება აგრესიული ქცევა, უჭირს ყურადღებს კონცენტრაცია და გაძნებულია დამახსოვრების უნარი. საუბრის საშუალებით შეუძლია თავისუფლად გადმოსცეს აზრი. სააზროვნო პროცესი წარმოდგენილია ელემენტარული მარტივი ოპერაციებით. ფსიქიკური ფუნქციების განვითარება შეესაბამება ასაკობრივ ნორმას. ადაპტირებულია გარემოსთან, საჭიროებს მშობლის მხარდაჭერასა და დახმარებას.

1.2.5. აპელანტმა სასამართლო სხდომაზე მოითხოვა იმის შეფასება, დასაშვებია თუ არა შაბათსა და კვირას მოსარჩევემ საკუთარ სახლში წაიყვანოს ა. ა-ე, ასევე, მიუთითა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებაზე, როგორც ახალ გარემოებაზე და აღნიშნა, რომ მოცემული საქმე განხილულია უკანონო შემადგენლობის მოსამართლის მიერ, რაც გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

1.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

1.4. საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვების წინაპირობა ვერ გახდება კასატორის შედავება იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია პირველი ინსტანციის წესით საქმის კანონიერი შემადგენლობით განხილვა, რადგანაც ამავე მოსამართლეს ამავე მხარეებს შორის უკვე განხილული და გადაწყვეტილი აქვს დავა. გარდა ამისა, სასამართლომ არ გაითვალისწინა არასრულწლოვნის მდგომარეობა, რომელიც არც თუ ისე სახარიელოა, მას უჭირს სწავლა, გადის მკურნალობას ფსიქიატრთან და ფსიქოლოგთან კვირაში ოთხერ, ხოლო გადაწყვეტილების თანახმად, მან დღეში 75 კილომეტრი უნდა გაიაროს.

1.5. საკასაციო პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლით დადგენილი ინკვიზიციურობის პრინციპის ფარგლებში საკუთარი ინიციატივით შეისწავლა საქმის ის გარემოებებიც, რომლებიც კასატორს სადაც არ გაუხდია, გამოიკვლია საქმეში არსებული მასალები და მიიჩნევს, რომ საქმეში არსებული ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათში არსებული ინფორმაცია არ იძლევა დასკვნის საფარელს იმისა, რომ ბავშვის მამასთან ურთიერთობა რაიმე ფორმით გააუარესებს ბავშვის ჯანმრთელობის მდგომაროებას, უფრო მეტიც, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-8 მუხლით გარანტირებულია უყელას უფლება, პატივი სცენ მის ოჯახურ ცხოვრებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიხედვით, მითითებული

დებულება ფართო განმარტებას ექვემდებარება და მასში მოიაზრება ოჯახური ცხოვრების ყველა ის ასპექტი, რომელიც დამკვიდრებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში და ემსახურება ამ საზოგადოების კეთილდღეობას, მათ შორისაა არასრულწლოვანთა ოჯახური ცხოვრების უზრუნველყოფის ასპექტიც, რაც ასახულია ეროვნულ კანონმდებლობაში, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლის ბოლო წინადადების თანახმად, ბავშვს აქვთ უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. მართალია, საერთაშორისოდ ალიარებული ეს უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურს, თუმცა ზემოსხენებული სამართლებრივი აქტები თავადვე იძლევიან ჩარევის ლეგიტიმურ დეფინიციას და განსაზღვრავენ, რომ იგი პროპორციულია, თუ ჩარევა გამოწვეულია დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული აუცილებლობით, ამასთან, ჩარევის სტანდარტად გამოყენებულ უნდა იქნას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, რაც ცალსახადა ასახული „ბავშვის უფლებათა კონვენციაში“. მოხმობილი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტი ბავშვის უფლებების დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტებს ანესებს, რომლებიც საზოგადოების არასრულწლოვანი წევრის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებისა და წორმალური განვითარების ამოცანას ემსახურება და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ყველა ღონე იხმარონ არასრულწლოვნის უპირატესი ინტერესების დაცვისათვის. კონვენციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. მშობლებს, ან შესაბამის შემთხვევებში კანონიერ მეურვეებს, აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის. ბავშვის საუკეთესო ინტერესები მათი ძირითადი ზრუნვის საგანია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლით დადგენილია მშობლების თანასწორუფლებიანობის პრინციპი შვილების მიმართ. მშობლები უფლებამოსილნი და ვალდებულნი არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით (სკ-ის 1198.1 მუხლი). მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს (სკ-ის 1199-ე მუხლი). მითითებუ-

ლი საკანონმდებლო დანაწესების ანალიზი იძლევა ცალსახა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მშობელთა უპირველესი მოვალეობა ბავშვის ჰარმონიული აღზრდა-განვითარება, ოჯახური გარემოს შექმნაა და ამ კუთხით მისაღები ნებისმიერი გადაწყვეტილებისას, უპირატესობა არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესებს ენიჭება, შესაბამისად, ჩარევას პროპორციულობის დასაშვები ზღვარი იმისი უაღტერნატივოდ დადგენაა, რომ ამგვარი ჩარევა წარმოადგენს ერთადერთ სწორ და მისაღებ გადაწყვეტილებას არასრულწლოვნის/მცირებლოვნის, როგორც საზოგადოების მომავალი სრულუფლებიანი და ღირსეული წევრის, განვითარებაში. სამოქალაქო კოდექსის 1202-ე მუხლი უკრძალავს იმ მშობელს შეზღუდოს მეორე მშობლის ურთიერთობა ბავშვთან, რომელიც მასთან ცხოვრობს. მშობლის უფლების შეზღუდვის წინაპირობები საქმეში წარმოდგენილი სოციალური სამსახურის კვლევით არ დასტურდება, გარდა ამისა, გასათვალისწინებულ ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ კვირის დღეებში მამას ნება დაერთო ინახულოს ბავშვი, რაც, ბუნებრივია, ყველა შემთხვევაში 75 კილომეტრით მის გადაადგილებას არ გულისხმობს და საპირისპირო ვითარებაშიც კი, მშობლების უაღტერნატივო ვალდებულებაა, საკუთარი უფლება-მოვალეობები განახორციელონ იმგვარად, რომ ამით არ შეიღავოს ბავშვის ინტერესი, მისი ცხოვრების ჩვეული რეჟიმი და მკურნალობის კურსი. საკასაციო პალატა გასაჩივრებული განჩინების კანონიერებას იმ დასაბუთებითაც ეთანხმება, რომ არასრულწლოვნას ჰყავს ბიოლოგიური დედმამიშვილი, რომელიც მისგან ცალკე ცხოვრობს და იზრდება, შესაბამისად, ბავშვების განცალკევებით აღზრდა არ შეიძლება არასრულწლოვნანთა საუკეთესო ინტერესებს ემსახურებოდეს. ერთ-ერთ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ (Johansen v. Norway) აღნიშნა, რომ ბავშვთან გაერთიანების შესახებ საკითხის გადაწყვეტისას, მშობლის ინტერესსა და ბავშვის ინტერესს შორის უნდა იქნეს დაცული ბალანსი. აღნიშნული ბალანსის ძიებისას სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს ბავშვის ინტერესებს, რომლებსაც შეიძლება, ჰქონდეს პრიორიტეტული მნიშვნელობა მშობლის ინტერესებთან მიმართებით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გაერთიანების საკითხის გადაწყვეტისას ანგარიშგასაწევ ფაქტორებს წარმოადგენს ოჯახური ცხოვრება, მშობლებთან თანაბარი ურთიერთობის შესაძლებლობა და სხვა ისეთი ფაქტორები, რომლებიც არასრულწლოვნის სრულფასო-

ვან აღზრდა-განვითარებას შეუწყობს ხელს. ასეთ სიტუაციაში შეძლებისდაგვარად უნდა იქნას გათვალისწინებული სუბიექტური ფაქტორებიც – ბავშვის მიერ არსებული სიტუაციის აღქმა, რაც შესაბამისი დაკვირვება-გამოკვლევის გზითაა შესაძლებელი. ევროსასამართლოს განმარტებით, მშობლებსა და ქორნინების შედეგად დაბადებულ ბავშვებს შორის კავშირი, კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პარაგრაფის ფარგლებში წარმოადგენს ოჯახურ ცხოვრებას. მსგავსი ბუნებრივი ოჯახური ურთიერთობები არ წყდება იმ საფუძვლით, რომ მშობლები დაშორდნენ ან განქორნინდნენ, როდესაც ამ მიზეზით ბავშვი ან ერთ მშობელთან ცხოვრობს ან მეორესთან (Ciliz v. the Netherlands). ერთ-ერთ საქმეზე სტრასბურგის სასამართლომ მიმინა, რომ კონვენციის მე-8 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში, ოჯახური ცხოვრება სახეზე იყო იმ ბავშვების მიმართ, რომლებიც მშობლების განქორნინებამდე ერთად, ერთ სახლში ცხოვრობდნენ (inter alia, Olsson v. Sweden (no. 1), 24 March 1988, § 81, Series A no. 130). კონვენციის მე-8 მუხლის ძირითადი მიზანია, ინდივიდების დაცვა სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლების თვითნებური ქმედებებისგან. ოჯახური ცხოვრების „პატივისცემის“ უფლება, აგრეთვე, მოიცავს დამატებით პოზიტიურ ვალდებულებებს, თუმცა, სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს შორის არსებული ზღვარი ზუსტ განსაზღვრებას არ ექვემდებარება. მათ მიმართ გამოყენებადი პრინციპები იდენტურია: ორივე კონტექსტში ყურადღება უნდა გამახვილდეს სამართლიან ბალანსზე, რაც დაცული უნდა იქნას შეპირისპირებული ინტერესებს შორის. გარდა ამისა, ორივე კონტექსტში სახელმწიფო სარგებლობს შეფასების ფართო ზღვარით (Tuquabo-Tekle and Others v. the Netherlands, 2005 წლის პირველი დეკემბერი). საქმეზე – „MUSTAFA AND ARMAĐAN AKIN v. TURKEY“ სასამართლომ მიმინა, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება ბავშვების განცალკევების თაობაზე წარმოადგენდა მომჩივნების ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევას. აღნიშნული გადაწყვეტილება არა მხოლოდ და-ძმას უკრძალავდა ერთმანეთის ნახვას, არამედ, პირველი მომჩივნისთვის (მამისათვის) შეუძლებელს ხდიდა, ორივე შვილი ერთდროულად ენახა. საკითხის განხილვისას, მხედველობაში იქნა მიღებული მე-8 მუხლთან მიმართებით დადგენილი პრეცედენტული პრაქტიკა, რომელიც ხაზს უსვამს ხელისუფლების ვალდებულებაზე, იხელმძღვანელონ ბავშვის

საუკეთესო ინტერესებით (Maslov v. Austria [GC], 2008 წლის 23 ივნისი). გარდა ამისა, გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხარისხის შეფასება ეკროსასამართლოსაგან მოითხოვს, დაადგინოს, ჰქონდა თუ არა შიდა სასამართლოების გადაწყვეტილებას საქმარისი მტკიცებულებითი საფუძველი (რაც მოიცავს, მოწმეთა ჩვენებებს, კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოთა დასკვნებს, ფსიქოლოგისა და სხვა ექსპერტის შეფასებებს და სამედიცინო (ცნობებს); აგრეთვე, დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის ბავშვებს, მიეცათ თუ არა საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა (Havelka and Others v. the Czech Republic, saC. nom. 23499/06, § 62, 2007 wlis 21 ivnisi; Haase v. Germany, saC. nom. 11057/02, § 97, ECHR 2004-III (extracts)). სტრასბურგის სასამართლომ არ გაიზიარა მთავრობის პოზიცია, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და-დმას ერთმანეთის ნახვას არ უკრძალავდა, ვინაიდან ბავშვები სამეზობლოში ცხოვრობდნენ და, ამრიგად, ერთმანეთთან კონტაქტის შენარჩუნება შესაძლებელი იყო. სასამართლოს განმარტებით, ბავშვებს შორის კავშირის შენარჩუნება ძალიან მნიშვნელოვანი იყო და აღნიშნულის მშობლების დისკრეციისა და ახირების-თვის მიხდობა დაუშვებელი იყო. დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული ეროვნული სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ არასრულწლოვანთათვის შაბათ-კვირის ერთად გატარება იქნებოდა მიუღებელი ცვლილება ბავშვისათვის, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ისინი ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდნენ. აღტერნატივის სახით, მომჩინების მიერ შეთავაზებული ვარიანტი შეუფერებლადაც რომ მიეჩნია, ეროვნულ სასამართლოს შექმლო, ბავშვების მიერ ერთმანეთის ნახვის სხვა მეთოდები განეხილა და, ამრიგად, დაეცვა კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული მათი უფლებები. სტრასბურგის სასამართლო, აგრეთვე, არ დაეთანხმა მთავრობის არგუმენტს, რომ ცალკე მცხოვრები შეილის მიერ ყოველი შაბათ-კვირის მამასთან ერთად გატარება უარყოფითად იმოქმედებდა მის განვითარებაზე, იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობს აღნიშნული არგუმენტის დამადასტურებელი მყარი მტკიცებულება, როგორიცაა ფსიქოლოგის ან სხვა ექსპერტის შეფასებები. მშობლებისა და შვილების მიერ ერთმანეთის კომპანიით ორმხრივად სარგებლობა კონვენციის „ოჯახური ცხოვრების“ ფუნდამენტურ ელემენტს წარმოადგენს მე-8 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში (Kutzner v. Germany).

1.6. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა ეთანხმება ქვემდგომი სასამართლოს დასკვნას, რომ არ არსებობს გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი, რამდენადაც ერთი და იგივე მოსამართლის მიერ, ერთსა და იმავე ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვა იმავე მხარეებს შორის, არ ქმნის სასამართლოს არაკანონიერ შემადგენლობას, თანახმად, საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლისა.

1.7. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქვემდგომმა სასამართლომ სწორად იხელმძღვანელა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკით (იხ. სუსგ №ას-1112-1047-2015), რის გამოც საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

1.8. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას საკასაციო საჩივარი, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

2. სასამართლო ხარჯები:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს ა. ა-ის მიერ 03.06.2016წ. №... საგადახდო დავალებით სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 150 ლარის 70% – 105 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7, 257-ე, 391-ე, 401-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. 6. დ-ის საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად და-უშვებლობის გამო.
2. კასატორ 6. დ-ეს (პ/№...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ.თბი-ლისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს ა. ა-ის მიერ 03.06.2016წ. №... საგადახდო დავალებით სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 150 ლარის 70% – 105 ლარი.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

5. მშობლების სააღითეთო მოვალეობები

აღითეთის განსაზღვრა

განხილვა

№ას-912-862-2015

11 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ოოლუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღნერილობითი ნაწილი:

1. ი. ხ-ე (შემდეგში მოსარჩეულე, აპელანტი ან კასატორი) და ზ. მ-ე (შემდეგში მოპასუხე, ალიმენტვალდებული პირი) 1993 წლიდან იმყოფებოდნენ ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობაში. 2007 წლის 20 ნოემბრიდან მათი ქორწინება რეგისტრირებულია კანონით დადგენილი წესით {საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 1106-ე, 1151-ე მუხლები}.

2. ქორწინების პერიოდში მხარეებს შეეძინათ შვილები: ბ-ი, დაბადებული 2000 წლის 22 მარტს და თ-ი, დაბადებული 2009 წლის 9 იანვარს {სსკ-ის 1187-ე და 1189-ე მუხლები}.

3. მოპასუხეს 2010 წლის 14 მაისს არარეგისტრირებულ ქორწინებაში შეეძინა ვაჟი – ნ-ი.

4. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით მხარეთა შორის ქორწინება შეწყდა და მოპასუხეს შვილების სარჩენად დაეკისრა ალიმენტის, 500 ლარის, გადახდა {სსკ-ის 1122-ე მუხლის „გ“ პუნქტი, 1212-ე და 1214-ე მუხლები}.

5. მოსარჩეულებ სარჩელი აღძრა მოპასუხის მიმართ და მოითხოვა სასამართლოს მიერ დაკისრებული ალიმენტის გაზრდა 1000 ლარამდე შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

5.1. ქორწინების შეწყვეტის შემდეგ მოპასუხის მატერიალური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, კერძოდ, იგი ეწევა სალომბარდო მომსახურებას, გახსნილი აქცს ვალუტის გადამცვლელი პუნქტი. მან 2014 წლის 7 ნოემბერს 30 000 აშშ

დოლარად ქ. ქუთაისში, შეიძინა უძრავი ქონება (შემდგომში – ქონება);

5.2. შვილების სწავლის ხარჯის, ტანსაცმლის, დამატებითი ხარჯებისა და კომუნალური გადასახადების დასაფარავად 500 ლარი საკმარისი არ არის;

6. მოსარჩელის განცხადების საფუძველზე ქუთაისის საქა-ლაქო სასამართლოს 2015 წლის 2 თებერვლის განჩინებით ყა-დალა დაედო მოპასუხის საკუთრებაში არსებულ ქონებას.

7. მოპასუხებ წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესა-გებელი და მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

7.1. მისი მატერიალური მდგომარეობა არ გაუმჯობესებუ-ლა. იგი არ ენევა სამენარმეო საქმიანობას (არ აქვს გახსნილი ლომბარდი და ვალუტის გადამცვლელი პუნქტი);

7.2. აქვს მძიმე ფინანსური მდგომარეობა და აღებული აქვს კრედიტები;

7.3. ქონება არ წარმოადგენს მის საკუთრებას და იგი დროე-ბითაა აღრიცხული მის სახელზე, რასაც ადასტურებს უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმების შესახებ შე-თანხმება;

7.4. არ არის დასაბუთებული, რატომ არ არის საკმარისი სა-სამართლოს მიერ დაკისრებული ალიმენტი (500 ლარი) შვილე-ბის სარჩენად;

7.5. თვითონ მოსარჩელე დასაქმებულია და აქვს სოლიდური შემოსავალი.

8. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 25 თებერ-ვლის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რის ფაქ-ტობრივ საფუძვლადაც სასამართლომ მიუთითა შემდეგი:

8.1. წარმოდგენილი არ იქნა მტკიცებულება ბავშვების აღ-ზრდა-განვითარებაზე გასაწევი ხარჯების გაზრდის თაობაზე;

8.2. მოპასუხეს ბანკიდან აღებული აქვს კრედიტი;

8.3. არ არსებობს ერთ-ერთი ის გარემოება, რაც საფუძვლად დაედო სარჩელის აღძვრას, კერძოდ, ქონება არ ირიცხება მო-პასუხის სახელზე და დაუბრუნდა თავდაპირველ მესაკუთრეს. სასამართლომ დავის გადასაწყვეტად გამოიყენა სსკ-ის 1221-ე და 1241-ე მუხლები.

9. მოსარჩელემ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა აპელაციის წესით, რაც ქუთაისის სააპელაციო სა-სამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 11 ივნი-სის განჩინებით არ დაკმაყოფილდა.

9.1. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები, ასევე, მოპასუხის შემოსავლებთან დაკავშირებით დამატებით მიუთითა სს „საქართველოს ბანკის“ ინფორმაციაზე, რომ მოპასუხეს საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმებისას შემოსავლების დამადასტურებელი დოკუმენტები არ წარუდგენია.

10. სააპელაციო სასამართლოს განჩინება აპელანტმა გაასაჩივრა საკასაციო წესით და მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

10.1. მოსამართლემ არ გაითვალისწინა სსკ-ის 1214-ე და 1230-ე მუხლების მოთხოვნები;

10.2. სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები, რის შედეგადაც დადასტურებულად არ მიიჩნია მოპასუხის ქონებრივი და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება;

10.3. განჩინება არ არის იურიდიულად საკმარისად დასაბუთებული და დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 4 დეკემბრის განჩინებით, სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების მიხედვით, საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

12. საქმის მასალების გაცნობა, შესწავლა და ანალიზი, ასე-ვი, მიღებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობისა და საკასაციო საჩივრის მოტივების ზეპირი მოსმენით შემოწმება, საკასაციო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, გამოიტანოს დასკვნა გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვის მიზნით იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების თაობაზე.

13. სააპელაციო სასამართლომ ყოველმხრივად, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია და სათანადო არ შეაფასა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები {სსსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილი}, რასაც შედეგად მოჰყვა არასწორი სამართლებრივი დასკვნა სარჩელის უსაფუძვლობის თაობაზე, სახელდობრ:

13.1. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ამ ტიპის დავების განხილვის თავისებურებანი {სსსკ-ის XLIII თავი} და არასწორად გადაკისრა მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს,

როცა დაასკვნა, რომ მოპასუხის მატერიალური მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. ჯერ ერთი, ამ ტიპის საქმეებზე სასამართლო უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით განსაზღვროს საქმეზე დასადგენ გარემოებათა წრე და უფრო მეტიც, მას შეუძლია, გამოითხოვოს ის მტკიცებულებებიც, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ {სსსკ-ის 354-ე მუხლის პირველი ნაწილი}. მეორეც, დავა ეხებოდა ბავშვთა ინტერესებს, მათი ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის საჭირო აუცილებელ სახსრებს. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო, „ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპიდან“ გამომდინარე, სრულყოფილად გამოეკვლია საქმის გარემოებები და გადაწყვეტილება მიედო ბავშვების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით {„ბავშვის უფლებათა“ კონვენციის მე-18 მუხლი}.

13.2. მოცემულ შემთხვევაში, სარჩელით მოთხოვნილი იყო ალიმენტის დადგენილი ოდენობის, 500 ლარის, შეცვლა 1000 ლარით. ამგარი სამართლებრივი შედეგის მიღება სსკ-ის 1222-ე, 1212-ე და 1214-ე მუხლების დანაწესიდან გამომდინარე, უკავშირდებოდა შემდეგი სამართლებრივი წინაპირობების განხორციელებას:

ა) სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი უნდა იყოს ალიმენტვალდებული პირის მიერ შვილების სასარგებლოდ გადასახდელი ალიმენტის ოდენობა.

ბ) ალიმენტის ოდენობის დადგენის შემდეგ ალიმენტვალდებული პირის მატერიალური მდგომარეობა უნდა გაუმჯობესებულიყო.

გ) დადგენილი ალიმენტის ოდენობა მეორე მშობლის, ამ შემთხვევაში დედის, მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, არ უნდა იყოს საკმარისი შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის საჭირო აუცილებელი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

13.3. ამრიგად, მოცემულ საქმეზე გამოსაკვლევი იყო: რამდენი თანხა უნდა გაეღოთ ყოველთვიურად ორივე მშობელს, რომ ორივე ბავშვის ნორმალური რჩენა-აღზრდა უზრუნველყოფილიყო, რას შეადგენდა თითოეული მშობლის ყოველთვიური შემოსავალი, ალიმენტვალდებული პირის მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდა თუ არა. სააპელაციო სასამართლოს ჩამოთვლილთაგან არცერთი გარემოება სრულყოფილად არ გამოუკვლევია, რითაც დარღვეულ იქნა სსსკ-ის 105.2-ე მუხ-

ლის მოთხოვნები.

13.4. სასამართლომ უკრიტიკოდ გაიზიარა მოპასუხის შესაბეჭილი. მან არ შეაფასა ის ფაქტი, რომ მოპასუხეს 2014 წლის 30 აპრილიდან 120 თვის ვადით სს „... ბანქში“ გახსნილი აქცის საკრედიტო ხაზი 200 000 აშშ დოლარი, რომლის ფარგლებშიც მის სახელზე გაიცა სესხი 100000 აშშ დოლარი. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საბანკო კრედიტის გაცემის ერთ-ერთი წინაპირობა მისი დაბრუნებადობა {„კომერციული ბანკების საქმიანობის“ შესახებ კანონის მუხლი 1, „თ“ ქვეპუნქტი}, რაც იმას გულისხმობს, რომ სესხის მიღებამდე მსესხებელმა ბანკს უნდა წარუდგინოს მისი კრედიტუნარიინობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტები, მათ შორის, მისი შემოსავლების ამსახველი დოკუმენტაციაც. ბანკის 2015 წლის მაისის წერილი, რომელსაც დაეყრდნო სასამართლო, არ ასახავს რეალობას და არ შეიცავს საკმარისი ინფორმაციას მოპასუხის სახელზე გაცემული კრედიტის დაბრუნებადობისა და მიზნობრიობის შესახებ.

14. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას, სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს და ობიექტურად შეაფასოს როგორც სარჩელის გარემოებები, ისე მოპასუხის შესაგებელი, შეისწავლოს წინამდებარე განჩინების პ. 13.2-ში მითითებული გარემოებები (საჭიროების შემთხვევაში, თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები) და ისე მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

15. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა)საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ)არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვა-

ლისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, შეამონმოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

16. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განცეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღდვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყვდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 372-ე, 399-ე, 412-ე, მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ი. ხ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 11 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ალიგონტის დაკისრება

განჩინება

№ას-298-283-2016

26 სექტემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ალიგონტის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ც. ფ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ზ. ჩ-ის მიმართ და
მოითხოვა არასრულწლოვანი შვილისათვის ალიგონტის სახით
თვეში 500 ლარის დაკისრება შემდეგი დასაბუთებით:

2. მოსარჩელე მოპასუხესთან რეგისტრირებულ ქორწინება-
ში არ იმყოფებოდა. მათ 2002 წლის 4 ნოემბერს შეეძინათ შვი-
ლი, მ. ფ-ე. 2008 წელს მოხდა მამობის დადგენა და მ-ს მიენიჭა
მამის, ზ. ჩ-ის გვარი. მოსარჩელის განცხადებით, მიუხედავად
იმისა, რომ მოპასუხეს აქვს სტაბილური შემოსავალი (იგი სტო-
მატოლოგია და მუშაობს კერძო კომპანიაში), იგი თავს არიდებს
შვილისათვის მატერიალური დახმარების განევას და მონაწი-
ლეობას არ იღებს მის აღზრდაში.

3. ზ. ჩ-ემ სარჩელი ნაწილობრივ ცნო 50 ლარის ფარგლებში
და განმარტა, რომ 2014 წლის 3 ნოემბრიდან უმუშევარია. ამას-
თან, არის შემ პირი, დადგენილი აქვს ინვალიდობა, სტატუსით
– მნიშვნელოვანი. ფსიქონევროლოგიურ დისპენსერში იმყოფე-
ბა აღრიცხვაზე და სახელმწიფოსაგან იღებს პენსიას 287.50 ლა-
რის ოდენობით, საიდანაც 60 ლარი ყოველთვიურად სჭირდება
ნამლების შესაძენად.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 6 აპრილის
გადაწყვეტილებით ც. ფ-ის სარჩელი დაკისრებული და ნაწილობ-
რივ; ზ. ჩ-ეს დაეკისრა არასრულწლოვანი შვილის – 2002 წლის 4
ნოემბერს დაბადებული მ. ჩ-ის სასარგებლოდ ალიგონტის გა-
დახდა ყოველთვიურად 80 ლარის ოდენობით სარჩელის აღ-
ძრის მომენტიდან, 2014 წლის 15 ოქტომბრიდან, მის სრულ-
ნლოვანებამდე.

5. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ც. ფ-ემ.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილებით ც. ფ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილების ნაწილობრივ (სარეზოლუციო ნაწილის 1.1 პუნქტის) შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ზ. ჩ-ეს დაეკისრა არასრულწლოვანი შვილის – 2002 წლის 4 ნოემბერს დაბადებული მ. ჩ-ის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად 100 ლარის ოდენბით სარჩელის აღძვრის მომენტიდან – 2014 წლის 15 ოქტომბრიდან მის სრულწლოვანებამდე.

7. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

8. ც. ფ-ესა და ზ. ჩ-ეს ჟყვავთ არასრულწლოვანი შვილი – 2002 წლის 4 ნოემბერს დაბადებული მ. ჩ-ე, რომელიც იზრდება დედასთან. მოსარჩელე არის უმუშევარი და ფინანსურად ეხმარება ძმა.

9. ზ. ჩ-ე არის მე-2 ჯგუფის ინვალიდი, 2012 წლის 10 ოქტომბრიდან აღრიცხვაზე იმყოფება შპს „ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ ამბოლატორიულ განყოფილებაში, აქვს პარანოიდული შიზოფრენია, მნიშვნელოვნად გამოხატული შესაძლებლობების შეზღუდვა, უტარდება ამბოლატორიულმედიკამენტოზური მკურნალობა და სახელმწიფოსაგან იღებს პენსიას 287 ლარის ოდენობით.

10. შემოსავლების სამსახურის 2015 წლის 5 მარტის ცნობის თანახმად, 2014 წლის იანვრიდან 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით შემოსავლების სამსახურის ერთიანი ელექტრონული ბაზების მიხედვით, ზ. ჩ-ეს შემოსავალი არ უფიქრისირდება. ი/ზ. ჩ-ემ (ს/ბ ...) საშემოსავლო გადასახდის წლიური დეკლარაციით 2014 წლის 3 ნოემბერს შემოსავლების სამსახურში წარადგინა შეწყვეტის დეკლარაცია, რომლის მიხედვითაც, დასაბეგრი შემოსავალი შეადგენდა 633.40 ლარს, ხოლო საშემოსავლო გადასახადი 126 ლარს.

11. ზ. ჩ-ე ლიცენზირებული სტომატოლოგია, თუმცა სტაბილური სამუშაო არ აქვს.

12. 2013 წლის 18 ოქტომბრიდან მოპასუხე რეგისტრირებულ

ქორწინებაში იმყოფება 6. მ-სთან.

13. მ. ჩ-ე სწავლობს ... მუნიციპალიტეტის რევაზ ლალიძის სახელობის სამუსიკო სკოლაში. სკოლაში სწავლის საფასური ნლიურად შეადგენს 135 ლარს.

14. ზ. ჩ-ე 2014 წლის 31 ოქტომბრამდე იყო უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი ..., კორპუსი №..., ბინა №..., საკადასტრო კოდი ... და ქ. ბათუმი, ... ქ. №..., საკადასტრო კოდი ... თანამესა-კუთრე. აღნიშნული უძრავი ქონება მოსარჩელის მიერ სარჩე-ლის აღმდეგ ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე გადააფორმა მეუღლეზე, 6. მ-ზე.

15. მოსარჩელე ც. ფ-ეს საკუთრებაში გააჩნია სასოფლო-სა-მეურნეო დანიშნულების უძრავი ქონება მდებარე ზესტაფო-ნის რაიონი, სოფელი ... საკადასტრო კოდი: ...; ზესტაფონის რა-იონი, სოფელი ზედა საქარა, საკადასტრო კოდი: ...; ზესტაფო-ნის რაიონი, სოფელი ..., საკადასტრო კოდი: ..., რაც კომლის ქო-ნებას წარმოადგენს. მოსარჩელის ოჯახს ზესტაფონში აქვს სოფლის მეურნეობა, ჰყავთ საქონელი და იღებენ სარგებელს.

16. სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კო-დექსის მე-4 და 102-ე მუხლებზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ აპელანტს არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რაც დაა-დასტურებდა ზ. ჩ-ის მიერ უძრავი ქონების გაქირავებისა და იქვედან შემოსავლის მიღების ფაქტს.

17. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართვე-ლოს სამოქალაქო კოდექსის 1198-ე, 1202-ე, 1212-ე, 1214-ე მუხ-ლებით, „ბავშვის უფლებათა კონვენციით“ და აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მოპასუხისათვის და-კისრებული ალიმენტი 80 ლარის ოდენობით არაგონივრული იყო და აღნიშნული თანხა ვერ უზრუნველყოფდა ბავშვის ნორმა-ლური აღზრდა-განვითარებისათვის აუცილებელ, მინიმალურ მოთხოვნებს, შესაბამისად, მისი ოდენობა უნდა განსაზღვრუ-ლიყო 100 ლარით.

18. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ზ. ჩ-ემ შეიტანა საკადასტრო საჩივარი და მოითხოვა გასაჩივრებული გა-დაწყვეტილების გაუქმება და პირველი ინსტანციის სასამარ-თლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება.

19. კასატორის განცხადებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა მისი მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობა, რო-მელიც გამოიხატება პარანოიდულ შიზოფრენიაში, მნიშვნელოვ-ნად გამოხატული შესაძლებლობების შეზღუდვის სტატუსით,

უგადოდ. ამასთან, იგი არის უმუშევარი და არ გააჩნია ყოველ-თვიური სტაბილური შემოსავალი, გარდა სახელმწიფოს მიერ დანიშნული პენსიისა. შესაბამისად, სასამართლოს მიერ დაკის-რებული ყოველთვიური ალიმენტის ოდენობა არაგონივრულია.

20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატის 2016 წლის 8 აპრილის განჩინებით ზ. ჩ-ის საკასა-ციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპრო-ცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესა-მონმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

21. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპ-როცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩ-ნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

22. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეუ-თე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნე-ლოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასა-მართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სა-სამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არ-სებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქ-მე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რო-მელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შე-დეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გა-დაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშ-ნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც სა-კასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

23. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცე-სო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი ზე-მოთ მითითებული საფუძვლით.

24. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ალიმენტის ოდე-ნობის განსაზღვრა ხორციელდება ალიმენტის მიმღები პირის აუცილებლობისა და ალიმენტვალდებული პირის შესაძლებლო-ბის მხედველობაში მიღებით, რაც იმას ნიშნავს, რომ სარჩო,

რომლის მიღების უფლებაც არასრულწლოვანს მშობლისგან გააჩნია, უნდა წარმოადგენდეს სარჩენი პირის მოთხოვნილებათა მინიმალური დაკმაყოფილების საფუძველს მაინც. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც მშობლების, ისე შეილის რეალურ მატერიალურ მდგრადარეობას. ამდენად, კანონმდებელი არასრულწლოვანის რჩენა-ადგზრდისათვის აუცილებელი ხარჯების ზღვრულ ოდენობას არ ითვალისწინებს და შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ალიმენტის მოცულობა დაადგინოს ისეთი გარემოებების ობიექტურად და სამართლიანად შეფასების შედეგად, როგორიცაა მშობლების რეალური ფინანსური შესაძლებლობები, სარჩენი ბავშვის ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, მისი საჭიროებანი, თითოეული მშობლის კმაყოფაზე მყოფ პირთა რიცხვი და სხვა.

25. საკასაციო პალატა დაუსაბუთებელ შედავებად მიიჩნევს კასატორის მითითებას დაკისრებული თანხის არაგონივრულობის თაობაზე და თვლის, რომ მოპასუხისათვის ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სააპელაციო სასამართლომ მართებულად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 1198-ე, 1212-ე, 1214-ე მუხლები, ასევე „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ დებულებები.

26. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან (იხ. მაგ. სუსგ №ას-297-282-2016, 27 მაისი, 2016 წელი; №ას-1232-1173-2014, 2 მარტი, 2015 წელი).

27. ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუმჯობეს ზ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი, რის გამოც საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს
სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ზ.-ის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარ-
ჩეს განუხილველი;
2. კასატორი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახ-
დისაგან;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-
საჩივრდება.

საქორნები

1. დაქორნინების წესი და პირობები	
ქორნინების დამაბრკოლებელი გარემოებები	3
2. მეუღლეთა ქონებრივი უფლებები და მოვალეობები	11
მეუღლის ქონების გადაქცევა მეუღლეთა თანასაკუთრებად ..	11
მეუღლეთა თანასაკუთრება	42; 55
მეუღლეთა თანასაკუთრება;	
მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფა	63
მეუღლეთა საერთო ვალების გაყოფა	81
3. შვილების წარმოშობის დადგენა	
დაქორნინებული მშობლებისაგან შვილის	
წარმოშობის დადგენა	91
4. მშობლების უფლებები და მოვალეობები შვილების მიმართ	
შვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა	108; 121; 177
შვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა;	
ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ	138
არასრულწლოვანი შვილების საცხოვრებელი	
ადგილის განსაზღვრა მშობლების განქორნინებისას	154
5. მშობლების საალიმენტო მოვალეობები	
ალიმენტის განსაზღვრა	188
ალიმენტის დაკისრება	194